განათლება

რედაქტორი: თემურ ჯაგოდნიშვილი
თანარედაქტორი: რაფაელ გუზმან ტიგადო

GANATLEBA

Georgian Technical University
Georgian Academy of Education Sciences

Editor: Temur Jagodnishvili
Coeditor: Rafael Guzman Tirado

№ 4 (39) 2022

ISSN 2346-8300
DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

განათლება

GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

4(39)
2022

განათლება

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით

(ოქმი №7)

№ 4(39), 2022 წელი

რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თანარედაქტორი რაფაელ გუსმან ტირადო — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

რედაქტორის მოადგილე - ზურაბ ჩაჩხიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

საredakcio kolegia:

ლია ქათამაძე — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლია მენთეშაშვილი — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ანზორ აბრალავა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირაკლი გაბისონია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი გაგოშიძე — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

გელა ყიფიანი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ელისაბედ ხახუტაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ივანე ჯაგოდნიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვახტანგ მაღრაძე— პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლია მეტრეველი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ბონდარენკო — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თეა ცომაია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ხოხობაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ჯავახიშვილი — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტატიანა მეგრელიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი ხუხუნი — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ირჟი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)

სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

გალინა ტროფიმოვა — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი)

რედაქცია: თემურ ჯაგოდნიშვილი

რაფაელ გუსმან ტირადო

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები

მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კორპ. VI, სართ. VIII, ოთახი № 805ბ

ტელ.: +995 599 557 993; +995 577 938 858

web-გვერდი: https://gtu.ge/Journals/newsletters/

ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300
DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№ 4(39), 2022

Editor – **Temur Jagodnishvili,** Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Coeditor – **Raphael Guzman Tirado** – Professor, University of Granada (SPA)

Sub-editor – **Zurab Chachkhiani,** Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

EDITORIAL BOARD:

Lia Katamadze – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University
Lia Menteshashvili – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences
Anzor Abralava – Professor, Georgian Technical University
Irakli Gabisonia – Professor, Georgian Technical University
Giorgi Gagoshidze – Professor, Georgian Technical University. Full member of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician
Gela Kipiani – Professor, Georgian Technical University
Elisabeth Khakhutashvili – Associate professor, Georgian Technical University
Ivane Jagodnishvili– Professor, Georgian Technical University
Vakhtang Magradze – Professor, Georgian Technical University
Lia Metreveli– professor, Georgian Technical University
Tamar Bondarenko – Associate professor Georgian Technical University
Tea Tsomaia– professor, Georgian Technical University
Tamar Khokhobashvili – Professor, Georgian Technical University
Niko Javakhishvili – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tatiana Megrelishvili – Professor, Georgian Technical University
Giorgi Khukhuni –Professor, Lingvistic University of Moscow
Jiri Klapka – professor, Karlos University (CZE)
Tomas Schmidt – Professor, University of Bern (SUI)
Cecilia Ode – University of Amsterdam (NED)
Galina Trophimova – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS)

Editor office: Temur Jagodnishvili,
Raphael Guzman Tirado

Technical editor: Asmat Pipia

The authors are responsible for the accuracy of the facts in the article

Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU
TEL.: (032) 236 57 07
web-said's adress: http://gtu.ge/Journals/newsletters
e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300
DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

შინაარსი

განათლების მეცნიერებანი

თამარ რისტიაშვილი, მაია სოსელია, ასმათ ფიფია
ბიზნეს-განათლებაში ქეის-მეთოდის გამოყენების გამოცდილება და ტენდენციები 11

ირინა მელქაძე
განსხვავებული, მაგრამ თანასწორი (ინკლუზიური განათლება თანამედროვე სკოლაში) 16

ლია ანთაძე
დისტანციური სწავლების პირობებში სოციო-ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეულ პრობლემების იდენტიფიცირება 24

ჟურნალისტიკა

ლია ქათამაძე
მედიარეალობა ფრეიმების თეორიის შუქზე 28

თეონა ფანქველაშვილი
მედიაში ოკუპაციის გაშუქების ისტორიის ზოგიერთი საკითხი 32

ფილოლოგია

ნანა გაბადაძე
ენისა და ცნობიერების კვლევის კიბითადი მიმართულებები ანთროპოცენტრულ პარადიგმაში 36

კონფლიქტოლოგია

ზაზა გაბუნია
გავშვთა გამოყენება მეგრეკოლეგად შეიარაღებულ კონფლიქტებში და მათი დაცვის მექანიზმები 42

ლექსო წაველიძე
დრონებით ომი თანამედროვე კონფლიქტებში 46

საერთაშორისო ურთიერთობები

ნუგზარ დურმიშიძე, სოფიო გაბელაია
საიდან იწყება პატარა ქვეყნის განვითარება და რამდენად მისაღებია ნეიტრალიტეტი თანამედროვე საქართველოსთვის 54

მარიამ ბალხამიშვილი, ზურაბ კვეტენაძე
რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე 60

ნუკრი გელაშვილი
ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შეკავების პოლიტიკა და საქართველოს ინტერესების თანხვედრა 66

თამარ ზირაქაშვილი
არატრადიციული ნაციონალიზმი და პოსტმოდერნისტული მსოფლიო.....74

თთარ ფარცხალაძე
რუსეთ-ევროკავშირის უთანიერთობები უკრაინული კრიზისის კონტექსტში.....78

მარიამ ჩიჩუა
ევროკავშირის 12 რეკომენდაცია საქართველოს – შესრულების პროცესები და პერსპექტივები.....84

ლილი ხარჩილავა, თამარ ზირაქაშვილი
არაკლასიკური ნაციონალიზმი მსოფლიო პოლიტიკაში 89

სამართალმცოდნეობა

ანა მელქაძე
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი თავისებურებები დემოკრატიულ სახელმწიფოში.....94

ელისაბედ ადაქიძე, ლიკა ფირცხალაიშვილი
გამჭოლი პასუხისმგებლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში: საკანონმდებლო რეგულირება და სამართალი 100

ფსიქოლოგია

დავით ქათამაძე, ლია მეტრეველი
იდენტობის ფორმირების მნიშვნელობა გარდატეხის ასაკში 105

ლელა ტყეშელაშვილი
არასრულფასოვნების განცდის არსი და მოქმედების მექანიზმი ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა და განწყობის თეორიის მიხედვით.....111

სოციალური მეცნიერებები

იაშა (კოკა) კუტუბიძე, თამარ ჭიჭინაძე
ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის მოტივაციური ფაქტორები.....115

სოფიო ტალახაძე
დევიაციიდან პროსოციალურ ქცევამდე 119

ლაშა ჩეკურიშვილი
თვითიდენტიფიკაციის დაცვითი თვისება ფსიქოაქტიური ნივთიერების ატიპიური მოხმარების გარემოებებთან.....124

არქეოლოგია

მერაბ ძნელაძე, ვაჟა სადრაძე, გიორგი კვირკველია
შავი ზღვა „ბიბლიური წარღვნა“ და ე. წ. პროკოლხური „დაკიბეული“ ნამოსახლარების კულტურა.....130

ზურაბ გიორგაძე, ვაჟა სადრაძე
ადრე შუა საუკუნეების ვაშნარის ნაქალაქარი ბოლო წლების მონაცემების მიხედვით.....138

ნესტან გუგუშვილი, თამარ ხოხობაშვილი
შიდა ქართლის სამაროვნები და დაკრძალვის წესი (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა).....147

ლამარა გითრგაშვილი
არმაზული დამწერლობა 153

ლალი წიქარიშვილი, ვაჟა სადრაძე
ძველი თბილისის აბანოების ისტორიიდან 159

ეკონომიკა და ბიზნესი

ელისაბედ ხახუტაშვილი
ეკონომიკური ანალიზი და რეგრედინგი ტელეკომუნიკაციაში 164

მაია სოსელია, თამარ როსტიაშვილი, ასმათ ფიფია
ქეის-სთადის მეთოდის გამოყენება სტრატეგიული მენეჯმენტის სწავლებაში 170

თამარ როსტიაშვილი, თეონა აბულაძე
მოულოდნელი კრიზისული პერიოდისთვის რეკომენდაციები სახელმწიფო ინსტიტუტებს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებისთვის 175

თთარ ბუსკიევაძე
ენტროპიის არსი და კლასიფიკაცია 180

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

ვახტანგ აბაიშვილი
ლენტური სახეზი ჩარხის წამყვანი და ამყოლი ბორბლების დერეფული წნევების განსაზღვრა 185

CONTENTS

EDUCATION SCIENCES

Tamar Rostiashvili, Maia Soselia, Asmat Pipia
Experience and trends in the use of the case method in business education 11

Irina Melkadze
Different, but equal (inclusive education in modern school)..... 16

Lia Antadze
Identification of problems caused by socio-economic conditions in the
conditions of distance learning 24

JOURNALIZM

Lia Katamadze
Media Reality in the Light of Frame Theory 28

Teona Pankvelashvili
Some issues in the history of coverage of the occupation in the media 32

PHILOLOGY

Nana Gabadadze
Main directions of language and consciousness research in the anthropocentric paradigm..... 36

CONFLICTOLOGY

Zaza Gabunia
Use of children as combatants in armed conflicts and their protection mechanisms..... 42

Lexo Tsavelidze
Drone Warfare in Modern Conflicts..... 46

INTERNATIONAL RELATIONS

Nugzar Durmishidze, Sophio Gabelaia
Where does the development of a small country begin and how neutrality is
acceptable for modern Georgia 54

Mariam Balkhamashvili, Zurab kvetenadze
The impact of the Russia-Ukraine war on the energy security of the European Union 60

Nukri Gelashvili
Deterrence policy of the North Atlantic Treaty Organization and convergence of interests of Georgia 66

Tamar Ziraqashvili
Non-traditional Nationalism and Postmodern World..... 74

Otar Partskhaladze
Russia-EU relations in the context of the Ukrainian crisis 78

Mariam Chachua
EU's 12 Recommendations for Georgia - Implementation Processes and Perspectives 84

Lili Kharchilava, Tamar Zirakashvili
Non-Classical Nationalism in World Politics 89

LAW

Ana Melkadze
Availability of information and its features in a democratic state 94

Elisabed Aphakidze, Lika Pirtskhalaishvili
Vicarious liability in the limited liability company: legislative regulation and case law 100

PHSICHOLOGY

Davit Katamadze, Lia Metreveli
The importance of identity formation in the age of transition... 105

Lela Tkeshelashvili
The essence and mechanisms of the feeling of inferiority according to individual
psychology and the D.Uznadze's Theory of Set 111

SOCIAL SCIENCES

Iasha (Koka) Kutubidze, Tamar Chichinadze
Motivational factors for stopping drug use 115

Sophio Talakhadze
From Deviation to Pro-Social Behavior 119

Lasha Chekurishvili
The protective feature of self-identification in relation to the circumstances of atypical
use of psychoactive substances 124

ARCHEOLOGY

Merab Dzneladze, Vaja Sadradze, Giorgi Kvirkvelia
Black Sea "biblical flood" and So-called ProtokolkhiCulture of "Sunk" Settlers 130

Zurab Giorgadze, Vaja Sadradze
According to the recent data the early medieval settlement Vashnari 138

Nestan Gugushvili, Tamar Khokhobashvili
Shida Kartli cemeteries and burial rules (Late Bronze Age) 147

Lamara Giorgashvili
Armasian burn 153

Lali Tsikarishvili, Vaja Sadradze
From the history of old Tbilisi baths..... 159

ECONOMICS AND BUSINESS

Elisabed Khakhutashvili
Economic Analysis and Rebranding in Telecommunications 164

Maia Soselia, Tamar Rostiashvili, Asmat Pipia
Using the case-study method in teaching strategic management 170

Tamar Rostiashvili, Teona Abuladze
Recommendations to state institutions for the success of small and medium-sized businesses for an unexpected crisis period 175

Otar Buskivadze
The essence and classification of entropy 180

S C I E N C E S

Vakhtang Abaishvili
Determination of axial pressures for the driven and driving pulleys of a belt Grinder 185

განათლების მეცნიერებანი

EDUCATION SCIENCES

ბიზნეს-განათლებაში ქეის-მეთოდის გამოყენების გამოცდილება და ტენდენციები

თამარ როსტიაშვილი, სტუ ასოცირებული პროფესორი

მაია სოსელია, სტუ ასოცირებული პროფესორი

ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

რეზიუმე

ქეის-მეთოდი წარმოადგენს ბიზნეს-განათლების მნიშვნელოვან ფორმას: სწორედ იგი პასუხობს უდიდესი დოზით მმართველობითი განათლების ამოცანებს. ქეის-მეთოდი ხელს უწყობს კონკრეტული პირობების გათვალისწინებით პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას ფაქტობრივი ინფორმაციის არსებობისას. იგი ავითარებს ისეთ საკვალიფიკაციო მახასიათებლებს, როგორიცაა პრობლემების ანალიზისა და დიაგნოსტიკის ჩატარების, საკუთარი პოზიციის მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და გამოთქმის, კომუნიკაციის, დისკუსიის, ვერბალური და არავერბალური ფორმით შემოსული ინფორმაციის აღქმისა და შეფასების უნარები.

აღნიშნული მეთოდი გარკვეულწილად ხელს უწყობს პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას. იგი მატებს საკუთარი თავის რწმენას, ხელს უწყობს გადაჭარბებული შიშის ან გადაჭარბებული თავდაჯერებულობის დაძლევას.

სტატიაში განხილულია ბიზნეს-განათლებაში (დისციპლინებში) გამოყენებული სიტუაციური სწავლების ფორმები. ამ სწავლების ფორმებისა და მეთოდების დადებითი და უარყოფით მხარეები. გარდა ამისა, ჩამოყალიბებულია ბიზნეს-განათლების ძირითადი ამოცანები:

სტუდენტების მიერ პროფესიული ცოდნის საჭირო სისტემური კომპლექსის შეძენა; წარმატებაზე ორიენტირებული ენერგიული სპეციალისტების მომზადება; კონსტრუქციული და კრიტიკული აზროვნების წახალისება; მსმენელებისათვის საწარმოთა პრაქტიკული საქმიანობის გაცნობა; სტუდენტების მიერ პრაქტიკული ჩვევების დაუფლება (გადაწყვეტილებათა მიღება, დაკვირვება, სიტუაციების ანალიზი), რაც მას მოეთხოვება მის შემდგომ კარიერულ გზაზე; ადამიანური, ინტელექტუალური და სოციალური კაპიტალის ზრდა და აქტივიზაცია; პროფესიული, ზოგადსაკაცობრიო, მორალური, კულტურული და სხვა ფასეულობების სისტემის ჩამოყალიბება.

აღსანიშნავია, რომ ქეის-მეთოდის გამოყენება ისეთი მოცულობით, როგორც ეს ხდება აშშ-ში (სადაც სასწავლო მასალის 75 % მიეწოდებათ სტუდენტებს სიტუაციის ანალიზის გზით), ჩვენი ქვეყნის სწავლების სისტემაში შეუძლებელია რიგი მიზეზების გამო. მათ შორის ძირითადია სასწავლო პროგრამებისა და პედაგოგიური დატვირთვის კორექტირების აუცილებლობა. ამიტომაც ქეის-მეთოდი ჯერჯერობით მხოლოდ კურსის ცალკეული თემების შესწავლისას გამოიყენება.

სტატიაში ნაჩვენებია ბიზნეს-განათლებაში ქეის-მეთოდის გამოყენების შედეგად გამოვლენილი თავისებურებები და პრობლემები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სწავლების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს- განათლება, ქეის-მეთოდი, სიტუაციური სწავლების ფორმა.

შესავალი

ბიზნეს-განათლება პოსტავტორიტარულ ქვეყნებში განათლების ერთ-ერთ ყველაზე ინტენსიურად განვითარებად დარგს წარმოადგენს. ასეთი

განათლების, როგორც მასობრივი და მრავალწახნაგოვანი ინსტიტუციონალური მოვლენის საკუთარი გამოცდილების არარსებობა იწვევს იმას, რომ სავსებით ბუნებრივად შეინიშნება ბიზნეს-განათლების უცხოური მოდელების კოპირება როგორც მისი ორგანიზაციის, სასწავლო დაგეგმვის, ასევე სწავლების ტექნოლოგიების ასპექტით.

უახლოეს მომავალში გადასაწყვეტ სტრატეგიულ ამოცანად უნდა ჩავთვალოთ ბიზნეს-განათლების მოდელის შემუშავება მსოფლიო საუნივერსიტეტო ცენტრების მიღწევების გათვალისწინებით.

ძირითადი ნაწილი

ბიზნეს-განათლებაში (დისციპლინებში) გამოყენებული სიტუაციური სწავლების ფორმები

თანამედროვე პირობებში მენეჯერების, ფინანსისტების მუშაობის სპეციფიკა მოითხოვს უმაღლეს სასწავლებლებში მათი მომზადების პროცესის არსებით შეცვლას. კერძოდ, საუბარია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებაზე, სწავლების მოქნილობაზე, აუდიტორიის შემადგენლობის გათვალისწინებაზე, სულიერ მდგომარეობასა და რეაქციებზე, ამა თუ იმ მასალის აღქმის უნარზე. პედაგოგს მოეთხოვება იმპროვიზაციების გამოყენება სასწავლო პროცესში, სტუდენტების მაქსიმალური მიახლოება რეალურ სიტუაციებთან და ადეკვატური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასთან.

ბიზნეს-განათლების განვითარების ძირითადი ნაკლი ისაა, რომ ძალიან ნელა მიმდინარეობს მისი მიზნების, ფორმებისა და მეთოდების სპეციფიკის განსაზღვრა.

ჩვენი აზრით, ნებისმიერი სწავლების მიზანი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება იმ ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

თუმცა ბიზნეს-განათლებისთვის ეს ცოტაა. მენეჯერებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შრომის ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრება სხვა პროფესიების წარმომადგენლებთან შედარებით სპეციფიკური კონკურენციის გავლით, არამედ ერთგვარი საბაზრო სეგმენტის დაპყრობაც წარმოებრივი, ორგანიზაციულ-მმართველობითი, საფინანსო-ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად.

თანამედროვე მეწარმის საქმიანობა პრინციპულად სიტუაციურია, ანუ იგი განისაზღვრება სიტუაციებით, რომლებიც იქმნება და ვითარდება კაპიტალის, შრომის, საქონლისა და მომსახურებების ბაზარზე. აღნიშნული სიტუაციების თავისებურება მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ მათ შესწევთ საბაზრო კონიუნქტურის ზემოქმედებით სწრაფად ცვლილების უნარი, არამედ იმითაც, რომ მათთვის დამახასიათებელია პოლისტრუქტურულობა და პოლიფუნქციურობა, დამოკიდებულია მოქმედი სუბიექტების აქტიურობაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეწარმისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცოდნა არამედ ფასეულობებიც. ბიზნეს-განათლების საბოლოო მიზანია ფასეულობების სისტემაში ცოდნის ტრანსფორმაცია, სამყაროსამდი სათანადო დამოკიდებულების და ბუნებრივი ქცევის გამომუშავება გლობალიზაციის მიმართულებით ცვალებად გარემოში.

მეწარმისა და მენეჯერის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს მისი ცხოვრების წესის მაღალი აქტიურობა. ყველაზე წარმატებული მეწარმეები სუპერაქტიური ადამიანები არიან, რომლებიც გამოირჩევიან არა მხოლოდ საქმიანი ცხოვრების მაღალი ტემპით, არამედ რამდენიმე საფეხურზე, რამდენიმე სისტემაში, ვექტორში მისი წარმოებით, რაც ზრდის სწავლების ისეთი მეთოდების უპირატეს გამოყენებას, რომელიც იწვევს მენტალურ ცვლილებებს, ააქტიურებს მსმენელთა ქმედუნარიანობას, ამაღლებს მის ეფექტიანობას. რასაკვირველია, ამის მიღწევა შეუძლებელია ქვეყნის ბიზნეს-განათლებაში გაბატონებული სწავლების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით.

ახლა კი შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ბიზნეს-განათლების ძირითადი ამოცანები:

- სტუდენტების მიერ პროფესიული ცოდნის საჭირო სისტემური კომპლექსის შეძენა;
- წარმატებაზე ორიენტირებული ენერგიული სპეციალისტების მომზადება;
- კონსტრუქციული და კრიტიკული აზროვნების წახალისება;
- მსმენელებისათვის საწარმოთა პრაქტიკული საქმიანობის გაცნობა;
- სტუდენტების მიერ პრაქტიკული ჩვევების დაუფლება (გადაწყვეტილებათა მიღება, დაკვირვება, სიტუაციების ანალიზი), რაც მას მოეთხოვება მის შემდგომ კარიერულ გზაზე;
- ადამიანური, ინტელექტუალური და სოციალური კაპიტალის ზრდა და აქტივიზაცია;
- პროფესიული, ზოგადსაკაცობრიო, მორალური, კულტურული და სხვა ფასეულობების სისტემის ჩამოყალიბება

ბიზნეს-განათლებაში გამოიყენება სიტუაციური სწავლების შემდეგი ფორმები.

სიტუაციური სწავლების ფორმა	დისციპლინები
თამაშები ბიზნეს-სიტუაციები კონკრეტული სიტუაციების ანალიზი იმიტაციური სავარჯიშოები საქმიანი თამაშები	მენეჯმენტი სტრატეგიული მენეჯმენტი ფინანსური მენეჯმენტი საგარეოეკონომიკური საქმიანობის მენეჯმენტი მმართველობითი კონსულტაცია
მმართველობითი ტრენინგები	
„გონებრივი იერიშის“ მეთოდი, ანკეტირება, ინტერვიუირება	ეკონომიკური ანალიზი

ქეის-მეთოდი ორგანულად შემოვიდა თანამედროვე დისციპლინების, კერძოდ კი „მენეჯმენტის“, „პერსონალის მართვის“, „ბიზნესის საფუძვლების“ სწავლების პრაქტიკაში. სწავლების გამოცდილება ადასტურებს აღნიშნული მეთოდის გამოყენების უდავო მიზანშეწონილობას.

თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ქეის-მეთოდის გამოყენება ისეთი მოცულობით, როგორც ეს ხდება აშშ-ში (სადაც სასწავლო მასალის 75% მიეწოდებათ სტუდენტებს სიტუაციის ანალიზის გზით), ჩვენი ქვეყნის სწავლების სისტემაში შეუძლებელია რიგი მიზეზების გამო. მათ შორის ძირითადია სასწავლო პროგრამებისა და პედაგოგიური დატვირთვის კორექტირების აუცილებლობა. ამიტომაც ქეის-მეთოდი ჯერჯერობით მხოლოდ კურსის ცალკეული თემების შესწავლისას გამოიყენება.

იმავდროულად, ბიზნეს-განათლებაში ქეის-მეთოდის გამოყენებამ გამოავლინა ზოგიერთი თავისებურება და პრობლემა, კერძოდ:

1. ბიზნეს-განათლების განვითარება სტიქიურად, ყოველგვარი სტრატეგიის გარეშე ხდება. ამ სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი მდგენელი უნდა იყოს მეთოდური პრიორიტეტების კონცეფცია. აღნიშნულ კონცეფციაში საჭიროა დავასაბუთოთ სწავლების ინტერაქტიური მეთოდების, მ.შ. ქეის-მეთოდის შესაძლებლობები და მიმართულებები. ეს მეთოდი ძალიან ხშირად გვევლინება მეთოდური კონტრკულტურის წარმომადგენლის სახით, ხოლო პედაგოგი მიიჩნევა ინიციატორად, რომელიც არღვევს სწავლების ნორმატივებს.

2. ქეის-მეთოდი ორგანულად უნდა იყოს შეხამებული სწავლების ზოგად მეთოდიკასთან. აქ კი მთავარი ისაა, რომ მას სასწავლო პროცესში ჰქონდეს ლეგიტიმური სტატუსი.

3. ძალზე სასარგებლოა გამჭოლი, ინტეგრაციული ქეისების გამოყენება, რომლებიც მოიცავენ სასწავლო დისციპლინის მთელ რიგ თემებს. დიდი მოცულობის ქეისები, რომლებიც მოიაზრებენ პედაგოგისა და სტუდენტების წინასწარ მომზადებას, მიზანშეწონილია გავაერთიანოთ მინი-სიტუაციებთან, რომლებიც მუდმივად უნდა იქნეს გამოყენებული: ყოველ ლექციაში, ყოველ პრაქტიკულ მეცადინეობაზე. მინი-სიტუაციების მიმზიდველობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ყოველთვის დაუგეგმავია, იქმნება სტუდენტების თვალწინ, ხშირად კი მას თავად სტუდენტები ქმნიან. პედაგოგის ნებისმიერმა კითხვამ, რეპლიკამ ან მოგონებამ შეიძლება ერთგვარი მინი-ქეისის შექმნა გამოიწვიოს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გამოცდებზე სტუდენტები (პრაქტიკულად ყველა!) სწორედ ამ მინი-სიტუაციებს იხსენებს და არა სასწავლო კითხვებს.

4. უმთავრესი მოთხოვნა უნდა გახდეს შემდეგი: ქეის-მეთოდმა შეიძლება ხელი შეუწყოს სასწავლო მასალაში ჩაღრმავებას და მის უკეთ ათვისებას. ქეისი - ყოველთვის საჩუქარია, რომელსაც პედაგოგი ჩუქნის სტუდენტებს და საკუთარ თავს. ამის მიუხედავად, არის საფრთხე იმისა, რომ სტუდენტები აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ საჩუქარს და ქეისების ჩატარება თვითმიზნად აქციონ. ქეისი კარგავს მიზანშეწონილობას, თუ ცდება პროგრამის ფარგლებს და ვარდება კურსის ლოგიკიდან. თუ სტუდენტებმა უბრალოდ „ითამაშეს“ და ვერ მიხვდნენ, რისთვის იყო საჭირო ქეისი, მასალის რა ნაწილი აითვისეს უფრო სიღრმისეულად, რა ჩვევები შეიძინეს, - ქეისი დარჩება თვალისმომჭრელ, მაგრამ უსარგებლო სათამაშოდ. ამიტომაც „ოქროს წესი“ იქნება დასკვნა: მიაღწია თუ არა ქეისმა სასწავლო მიზნებს?

ქეის-მეთოდი ამერიკული ბიზნეს-განათლებისთვის ტიპური სასწავლო მეთოდიკაა. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია მოვიყვანოთ რამდენიმე შენიშვნა პოსტავტორიტარული ქვეყნების პირობების თავისებურებებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ახალი მეთოდიკების დანერგვის პროცესზე თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში მთლიანად ბიზნეს-განათლებაზე მაინც.

1. რაციონალური სიტუაციები და მათი გადაჭრა ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის მართვიდან ხშირად არ ჰგავს ანალოგიურ სიტუაციებს იმავე აშშ-ში.

2. არ შეიძლება ჯეროვნად არ დავაფასოთ მენეჯმენტის, როგორც ცოდნის სისტემის განვითარების

პროცესის სირთულე. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მმართველობის სფეროს ზოგიერთი მეცნიერი და პრაქტიკოსი უფრო გამარტივებული გზით წავიდა. მათ უბრალოდ შეცვალეს მმართველობის თეორიისა და პრაქტიკის ჩვენთან ადრე არსებული ტერმინები, ცნებები და არსი ტერმინით „მენეჯმენტი“. მათ არც გაუაზრებიათ, რომ მენეჯმენტი გახლავთ ზოგადად მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება - მართვის თეორია, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენთან ადრე არსებული თეორიებიდან. მენეჯმენტს თავისი ფილოსოფია, ტექნოლოგია, პრინციპები, მეთოდები, საშუალებები გააჩნია, რომლებიც მართვის წინა თეორიებისა და პრაქტიკებისგან განსხვავებულია.

3. საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მალე მთელ მსოფლიოში გაბატონდება ბიზნესის ერთი - ამერიკული ტიპი. აღნიშნული მოსაზრება გახლავთ თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პროცესის გამოხატულება, თუმცა კი ეროვნული სპეციფიკის უარყოფა, როგორც ისტორია გვიჩვენებს, წარმოუდგენელია. ეროვნული ბიზნესი ძალზე ნელა ყალიბდება და ეჯახება მთელ რიგ პრობლემებს: ხელმძღვანელთა მაღალი ასაკი, რაც განაპირობებს მათი მართვის ავტორიტარულ სტილს, მათი მხრიდან უცხოური მენეჯმენტის ზედაპირული აღქმა, რეალური წინააღმდეგობები ახალგაზრდა სპეციალისტებისა და მენეჯერების კარიერისთვის.

4. ეროვნული ბიზნეს-განათლება უპირატესად თავმოყრილია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის უმაღლეს დაწესებულებებში. აღნიშნული დაწესებულებების აბსოლუტური უმრავლესობა ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას რეგლამენტირებული ბიზნეს-სპეციალობების მიმართულების (მენეჯმენტი, მარკეტინგი, მმართველობითი აღრიცხვა და ა.შ.) უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების პროგრამის შესაბამისად.

5. მენეჯმენტისა და მარკეტინგის პედაგოგების დიდი უმრავლესობას გააჩნია უმაღლესი კვალიფიკაცია, კარგი სამეცნიერო მომზადება და, ამასთანავე, კრიტიკული მიდგომებიც როგორც სწავლების, ასევე მთლიანობაში ბიზნესის კურსის წაყვანასთან დაკავშირებით. ეს ხელს არ უშლის საქმიანი დისციპლინების სწავლებას, პირიქით, მკაფიო მეცნიერულ ორიენტირებულობასა და კვლევით სკურპულოზურობას მატებს მას. ამ შემთხვევაში ქეის-მეთოდი კარგად მოემსახურება ამ კატეგორიის პედაგოგების პოტენციალის სრულად რეალიზაციას. ბევრ მათგანს აქვს ახალი მსოფლმხედველობრივი გარდაქმნების ობიექტურად აღქმის, როგორც შინაარსის, ასევე სწავლების მეთოდიკის მიმართულებით საკუთარი მსოფლმხედველობის შეცვლის უნარი.

6. არსებობს ერთგვარი სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია სამამულო მასალების ბაზაზე ქეისების დაწერასთან. თავად სამამულო მასალა ძალზე არამდგრადია, რადგან ასახავს არა იმდენად საბაზრო ეკონომიკას, არამედ მასზე გარდამავალ პერიოდს. ეს გარკვეულ სიძნელეებს ქმნის „გრძელვადიანი“ ქეისების შექმნისთვის, რომელთა გამოყენებაც შინაარსის მუდმივი მეთოდური სრულყოფის გზით შესაძლებელი იქნებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ქეისების აგებას ხელს უშლის საწარმოთა ხელმძღვანელებისა და მესაკუთრეების მხრიდან მათ დასაწერად მასალის მიწოდების მზაობის არქონა. ეს კი იწვევს იმას, რომ ხშირად ქეისს უწოდებენ იმას, რაც სინამდვილეში არ არის - საწარმოს ერთგვარ თეორიულ მოდელს.

თანამედროვე ეტაპზე მენეჯერის ყველაზე ფასეული თვისებაა ინფორმაციის ანალიზის, ტექნოლოგიებისადმი ინოვაციური მიდგომების, მართვის თანამედროვე პრინციპების, მართვის სტრუქტურების ოპტიმიზაციაზე ორიენტაციის, ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირების ამაღლების საშუალებების, ასევე ადამიანური კაპიტალის დაზოგვისა და რეალიზაციის მეთოდების ფლობა. მნიშვნელოვანია არა უბრალოდ ამ თვისებების არსებობის ფაქტი, არამედ მათი სირთულეც. მაგალითად, ანალიზის მეთოდების ფლობა გულისხმობს მის სისტემურობას, ობიექტურობას, კონკრეტულობას, რაოდენობრივ განსაზღვრულობას, მაჩვენებელთა შედარებადობას; ანალიზის მრავალი კონკრეტული მეთოდების ფლობას; კონკრეტული ამოცანების გაგებას; და, რაც მთავარია, პრაქტიკულ საქმიანობაში ანალიზის შედეგების გამოყენების უნარს.

დასკვნა

თანამედროვე წარმატებული მეწარმის ცხოვრების წესი იმდენად რთული და სიტუაციურია, რომ სპეციალურ ათვისებას მოითხოვს. საჭიროა სტანდარტების, ღირებულებების, მოტივებისა და განაწესების ჩამოყალიბება. ისტორიული განვითარების პირობების სპეციფიკა იმგვარია, რომ ნელა ვითარდება მეწარმეობრივი ეთიკა, საზოგადოებაში მკვიდრდება რაციონალური და მაღალი ზნეობის მქონე მეწარმის ვებერისეული ტიპი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმზრდელობითი მდგენელი ბიზნეს-განათლებაში, როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სასწავლო ზემოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოჭორიშვილი მ., ნამიჭეიშვილი ნ., ნაბულიშვილი ნ. ინტერაქტიური მეთოდები 2014 წ. გვ 72
2. Долгоруков А. Метод case-study как современная технология профессионально-ориентированного обучения. Национальный Исследовательский Университет Высшая Школа Экономики. Нижний Новгород. http://www.vshu.ru/lections.php?tab_id=3&a=info&id=2600
3. Мухина С. А., Соловьева А. А. Современные инновационные технологии обучения. М: ГЭОТАР-Медиа, 2008.
4. Панфилова А. П. Инновационные педагогические технологии: активное обучение: учеб. пособие для студ. высш. учеб. заведений. М.: Изд-й центр «Академия», 2009. 192 с.
5. СБОРНИК КЕЙСОВ ДЛЯ ВУЗОВ ПО ДИСЦИПЛИНАМ ГУМАНИТАРНОГО И СОЦИАЛЬНО ЭКОНОМИЧЕСКОГО ЦИКЛА. Учебно-методическое пособие Коллектив авторов,. САНКТ-ПЕТЕРБУРГСКИЙ УНИВЕРСИТЕТ УПРАВЛЕНИЯ И ЭКОНОМИКИ Институт гуманитарных и социальных наук Кафедра управления персоналом Санкт-Петербург 2015
6. Что такое кейсы в бизнесе и зачем они нужны. georgytim.ru.
7. https://georgytim.ru/chto-takoe-kejsy-v-biznese/

Experience and trends in the use of the case method in business education

Tamar Rostiashvili, Associate professor of GTU

Maia Soselia, Associate professor of GTU

Asmat Pipia, Doctor of Business Administration

Summary

The case-method is an important form of business education: it is the one that answers the tasks of management education to the greatest extent. The case method helps to develop problem-solving skills in the presence of factual information, taking into account specific conditions. It develops such qualification features as problem analysis and diagnosis, clearly formulating and expressing one's position, communication, discussion, perception and evaluation of incoming information in verbal and non-verbal form. The mentioned method to some extent contributes to the formation of personal qualities. It increases self-confidence, helps to overcome excessive fear or excessive self-confidence.

The article discusses the forms of situational learning used in business education (disciplines). Pros and cons of these teaching forms and methods. In addition, the main tasks of business education are established:

- acquisition by students of the necessary system complex of professional knowledge;
- Training of energetic specialists focused on success;
- Encouraging constructive and critical thinking;
- Getting acquainted with the practical activities of enterprises for the trainees;
- students' acquisition of practical habits (decision-making, observation, analysis of situations), which is required of them in their further career path;
- growth and activation of human, intellectual and social capital;
- Establishing a system of professional, social, moral, cultural and other values.

It should be noted that the use of the case method in such a volume as it is in the USA (where 75% of the educational material is provided to students through situation analysis) is impossible in the education system of our country for a number of reasons. The main one among them is the need to adjust the training programs and teaching load. That is why the case-method is currently only used in the study of individual topics of the course. The article shows the peculiarities and problems revealed as a result of the use of the case method in business education, which must be taken into account in the teaching process.

Key words: business education, case-method, form of situational learning.

განსხვავებული, მაგრამ თანასწორი (ინკლუზიური განათლება თანამედროვე სკოლაში)

ირინა მელქაძე, სტუ დოქტორანტი

ხელმძღვანელი: იაშა (კოკა) კუტუბიძე, სტუ პროფესორი

რეზუმე

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს, ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე. ბავშვის უფლებათა ამგვარ ფართო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ სფეროებში.

სწავლისას ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება ექმნებოდეთ ნიჭიერ ბავშვებსაც, ქუჩის და მომუშავე ბავშვებს, ეთნიკური, კულტურული უმცირესობის და სხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლებს. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზები.

ინკლუზიური განათლება, არის მიდგომა, რომელიც ცდილობს ყველა სკოლის ასაკის ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მისი შესაძლებლობისა და/ან სირთულეებისა სწავლის პროცესში.

ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საკლასო ოთახში ყოფნას და თანატოლებთან ერთად გარკვეული დროის გატარებას. ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის დაუღალავ შრომას იმისთვის, რომ გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და კლასის სრულუფლებიანი წევრია. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში; სკოლაში მიმდინარე აკადემიურ (მაგ. წერა, კითხვა) და არა აკადემიურ (მაგ. დასვენებებზე თანატოლებთან თამაში) პროცესებში.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების და საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ყველას მიმართ სწავლებისა და ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობას და მათ ინდივიდუალობას. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან სწავლების ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება, (მსგავსი ინსტრუქციები მასალის ახსნისას, იდენტური საშინაო დავალებები, თანაბარი დრო დავალების შესასრულებლად) ერთის მხრივ არა პროფესიონალური მიდგომაა, ხოლო მეორეს მხრივ, არ უზრუნველყოფს ერთნაირ სასწავლო შედეგს ყველა მოსწავლესთან. შესაბამისად, განათლების სისტემაში სკოლა წარმატებულად ითვლება, თუ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური განსხვავებულობის მიმღებლობა გააჩნია და შესწევს უნარი შესაბამისი განათლებით უზრუნველყოს განურჩევლად ყველა მოსწავლე. სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში, ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის.

საკვანძო სიტყვები: „ინკლუზიური განათლება“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“ „ადამიანის უფლებები“, „უნივერსალური დიზაინი“.

შესავალი

ინკლუზიური განათლების გამოწვევები თანამედროვე სკოლაში

ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლისგან გარკვეული ამოცანების გადაჭრას მოითხოვს:

- სკოლაში ჩართულმა ყველა ადამიანმა უნდა მიმართოს ერთობლივ ძალისხმევას ინკლუზიური განათლების დასამკვიდრებლად სკოლის სივრცეში;
- ინკლუზიურმა გარემომ უნდა აღიაროს და გაითვალისწინოს მოსწავლის მრავალფეროვანი საჭიროებები; სკოლამ უნდა შესძლოს სწავლის განსხვავებული სტილით და შესაბამისი სტრატეგიის გამოყენებით სწავლების უზრუნველყოფა;
- სკოლის გარემომ უნდა შესძლოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შესაბამისი მხარდაჭერა; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მოსწავლისთვის სპეციალისტების დახმარება;
- სკოლა დაინტერესებული უნდა იყოს პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითარებით და მომზადებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად;
- სკოლას უნდა ყავდეს მოტივირებული პედაგოგები, რომლებსაც უწყვეტი ურთიერთობა ექნებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან და უზრუნველყოფენ მშობელთა აქტიურ ჩართულობას და თანამონაწილეობას მათი შვილების სწავლის პროცესში.
- სკოლამ უნდა უზრუნველყოს მისაწვდომი ფიზიკური გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ტექნოლოგიების (კომუნიკაციისთვის, მობილობისთვის) გამოყენება.

ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია. მოსწავლეების სპეციალიზირებულ სკოლებსა და კლასებში განაწილება უნდა ხდებოდეს გამონაკლის შემთხვევებში და რეკომენდირებულია მხოლოდ მაშინ, როცა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საგანმანათლებლო თუ სოციალურ საჭიროებებს, ან როცა ეს აუცილებელია ამ ბავშვის ან სხვა ბავშვების კეთილდღეობისთვის. ამ შემთხვევაში, მშობლებს აქვთ უფლება მიიღონ კვალიფიციური და ამომწურავი კონსულტაცია განათლების იმ ფორმის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათი შვილების საჭიროებებს, რათა ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ. სკოლები, რომლებიც იზიარებენ ინკლუზიური განათლების მიდგომებს, არის დისკრიმინაციული დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის ყველაზე ეფექტური საშუალება. ინკლუზიური განათლება ინკლუზიური საზოგადოების ფორმირების აუცილებელი წინაპირობა. სწორედ ინკლუზიური განათლების კონტექსტში ხდება შესაძლებელი, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა მიაღწიონ პროგრესს განათლებაში და წარმატებულ სოციალურ ინტეგრაციას.

ძირითადი ნაწილი

აბრაამ ლინკოლნის ცნობილი გამოთქმის მიხედვით (1863 წელი), დემოკრატია არის „ხალხის მიერ ხალხის სასიკეთოდ გახორციელებული ხალხის ძალაუფლება“; მოცემული სამი განზომილება შესაძლებელია გაგებულ იქნას შემდეგნაირად:

– ხალხის ძალაუფლება: ხალხი წარმოადგენს სუვერენულ ძალაუფლებას, რომელიც ფლობს ძალაუფლებას, ან გასცემს მანდატს ძალაუფლების განსახორციელებლად და ნებისმიერი პირი, რომელიც ხელისუფლების სათავეებში იმყოფება, პასუხისმგებელია ხალხის წინაშე;

– ხალხის მიერ განხორციელებული ძალაუფლება: ძალაუფლება ხორციელდება ან არჩეული წარმომადგენლების მიერ, ან უშუალოდ მოქალაქეების მიერ;

– ხალხის სასიკეთოდ განხორციელებული ძალაუფლება: ძალაუფლების განხორციელება ემსახურება ხალხის ინტერესებს, რაც საყოველთაო კეთილდღეობაში მდგომარეობს.

მოცემული განმარტებები სხვადასხვაგვარად გაგებისა და დაკავშირების საშუალებას იძლევა. ჟან-ჟაკ რუსოს მიმდევარი პოლიტიკური მოაზროვნეები ამტკიცებენ, რომ ძალაუფლება უნდა ხორციელდებოდეს უშუალოდ მოქალაქეების მიერ (სადაც მმართველი და მართული ერთსა და იმავე პირს წარმოადგენს). ხალხი იღებს გადაწყვეტილებას ყველაფრის შესახებ და არ იზღუდება რაიმე სახის კანონით.

ჯონ ლოკის მიმდევარი პოლიტიკური მოაზროვნეები ყურადღებას ამახვილებენ განსხვავებულ ინტერესთა შორის კონკურენციაზე პლურალისტურ საზოგადოებაში. კონსტიტუციურ ჩარჩოებში ისინი შესაძლებელია შეთანხმდნენ გადაწყვეტილებაზე, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობას ემსახურება. არა აქვს მნიშვნელობა, დემოკრატიის რამდენწლიანი ტრადიცია აქვს ქვეყანას, ან როგორ ჩამოყალიბდა, ნებისმიერ შემთხვევაში, არ შეიძლება მისი უგულებელყოფა. ყველა ქვეყანაში დემოკრატია და ადამიანის უფლებების ძირითადი გაგება მუდმივად განვითარების სტადიაში უნდა იმყოფებოდეს, რათა მისი საშუალებით შესაძლებელი იყოს იმ სირთულეების დაძლევა და იმ გამოწვევებთან გამკლავება, რომლის წინაშეც დგება ყოველი მომდევნო თაობა. ყოველ მომდევნო თაობას სჭირდება განათლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სფეროში.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ეფუძნება სკოლებში, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებით, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით განხორციელებული სწავლების ძირითად პრინციპებს.

სკოლა აღიქმება, როგორც მიკრო საზოგადოება, სადაც იცავენ მიღებულ წესებსა და პროცედურებს, იღებენ გადაწყვეტილებებს და არსებობს ურთიერთობის ქსელი, რაც გავლენას ახდენს ყოველდღიური ცხოვრების ხარისხზე. დემოკრატიული სახელმწიფოს მახასიათებლების ჩამონათვალზე თვალის გადავლებით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სკოლა არ არის პატარა სახელმწიფო, სადაც იმართება არჩევნები, სადაც მასწავლებლები მთავრობის წევრების ფუნქციას ასრულებენ და სადაც სკოლის დირექტორი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად გვევლინება და ა.შ. ისმის კითხვა: რა უნდა გაკეთდეს სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლებისათვის?

ინკლუზიური განათლების სახეები

ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროებების მოსწავლეების ყოველდღიური სწავლება სკოლაში და კლასში თანატოლებთან ერთად. თუმცა, ინკლუზიური განათლება გაცილებით უფრო ფართო ცნებაა და იგი განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებისა და სწავლების სხვადასხვა სახეებს მოიცავს. ესენია: სრული ინკლუზია, ნაწილობრივი ინკლუზია და ინტეგრირებული სწავლება.

სრული ჩართვა - ნიშნავს, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე სრულად არის ჩართული სასწავლო პროცესში, იგი ესწრება უკლებლივ ყველა გაკვეთილს და ყველა ამ გაკვეთილისთვის აქვს თავისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ნაწილობრივი ჩართვა _ ნიშნავს, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არჩევითად ესწრება გაკვეთილებს. ანუ, მოსწავლის შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე მისთვის იქმნება ინდივიდუალური საგაკვეთილო განრიგი და იგი ესწრება მხოლოდ იმ გაკვეთილებს, რომელსაც მისი განრიგი ითვალისწინებს.

ნაწილობრივი ინკლუზია - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ძალიან მოქნილი ფორმაა. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე, იგი ემსახურება:

ა) მოსწავლის ეტაპობრივ ჩართვას სასწავ-ლო პროცესში; ბ) მოსწავლის შეგუებასა და თანდათანობით ადაპტირებას სასწავლო გარემოსთან; გ) მოსწავლისათვის საკმარისი დროისა და სივრცის უზრუნველყოფას თანატოლების გასაცნობად და არაფორმალურ გარემოში ურთიერთობისათვის.

ნაწილობრივი ინკლუზიის შემთხვევაში მოსწავლისთვის შემუშავებულ უნდა იქნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დეტალურად აღწერს მოსწავლის საგანმანათლებლო მიზნებს და განსაზღვრავს შესაბამის აქტივობებს, როგორც გაკვეთილზე დასწრებისას, ასევე იმ დროს, როდესაც მოსწავლე გაკვეთილს არ ესწრება.

ინტეგრირებული სწავლება – ნიშნავს, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები არიან გაერთიანებულნი ერთ კლასში და სწავლობენ მათთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამით. ინტეგრირებული კლასის სასწავლო პროგრამა დგება მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებებისა და სკოლის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. ინტეგრირებული კლასის მოსწავლეები ჩართულები არიან ყველა სასკოლო აქტივობაში (ექსკურსია, ზეიმი, გამოფენები და სხვა), ინტეგრირებული სწავლება ხშირად ხდება საფუძველი წარმატებული სრული ინკლუზიისა და ამდენად, საკმაოდ ღირებული ფორმაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლებისთვის.

ინკლუზიური განათლების შესაძლო სახეებზე საუბრისას განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს რესურს ოთახის როლი და ფუნქცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლების საქმეში.

რესურს ოთახი – არის სკოლაში სპეციალურად გამოყოფილი ოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების განათლების ხელშემწყობი ყველა აუცილებელი თვალსაჩინოებითა და ტექნიკური საშუალებებით. ადაპტირებული და მრავალფეროვანი თვალსაჩინო სასწავლო მასალა, აუდი-ვიდეო აპარატურა. რესურს ოთახს შესაძლოა ემსახურებოდეს სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი და ყველა ის მასწავლებელი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილეობს. რესურს ოთახში ყოფნა და დამატებითი მეცადინეობა მოსწავლეთა საგაკვეთილო განრიგის შემადგენელი ნაწილია. აქ მათ შესაძლებლობა ეძლევათ საჭიროებისამებრ დაისვენონ, ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად იმეცადინონ. მოსწავლის რესურს ოთახში ყოფნის სიხშირესა და ხანგრძლივობას მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლის რესურს ოთახში ყოფნა დამხმარე საშუალებაა და არა მისი სწავლების ფორმა. სწავლება და სწავლა ხდება გაკვეთილზე, ყველასთან ერთად, ხოლო რესურს ოთახში ხდება ნასწავლის განმტკიცება და გავარჯიშება. რესურს ოთახის გამოყენება ასევე შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეთა დასვენებისთვის და კლასელებთან ერთად კლასგარეშე აქტივობების განხორციელებისათვის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ხორციელდება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნის ფარგლებში, ყოველი საფეხურისთვის განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს, ამოცანებს და წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებს. სკოლისა და პედაგოგის მიზანია, რაც შეიძლება მეტად მიუახლოოს ყველა მოსწავლე დასახულ წლიურ მიზანსა და სასწავლო შედეგს. შესაბამისად, მოსწავლე შეფასებას ღებულობს მიღწევის დონის მიხედვით მიზანთან მიმართებაში. სკოლაში პედაგოგის ამოცანაა სასწავლო პროცესი სწორედ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართოს, მაგრამ იმავდროულად მოარგოს ის მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ინტერესებს. ეროვნული სასწავლო გეგმა „ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ცოდნის ხარისხზე და არა ოდენობაზ“. ეს მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური ხდება, თუკი პედაგოგს კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ყავს, რომლისთვისაც გაუმართლებელი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული იგივე სასწავლო მიზნების დასახვა, რომელიც პედაგოგს დასახული აქვს კლასის დანარჩენი მოსწავლეებისთვის.

რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?

მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აუცილებლობის შესახებ დგება საკითხი, თუკი მოსწავლეს:

• სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას.

• არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო (ხანგრძლივი ავადმყოფობა), გარკვეული დროით საჭიროებს სპეციალურ სასწავლო პროგრამას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, არის შესაძლებლობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო და სასკოლო აქტივობებში ჩართვისა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას მოსწავლეზე ორიენტირებულად მოხდეს დროის იმ ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, რომელსაც მოსწავლე სასკოლო სივრცეში გაატარებს ან დაუთმობს სასწავლო საქმიანობებს სკოლაში თუ სახლში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სახელმძღვანელო დოკუმენტი, იმისათვის, რომ არ მოხდეს მოსწავლის მექანიკური დასწრება სასკოლო სივრცეში, რასაც ასე ხშირად ჰქონდა ადგილი ამ უკანასკნელ წლებში.

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას არა მხოლოდ საკლასო და აკადემიურ საქმიანობებში, არამედ აქ ხდება ყველა იმ არა აკადემიური საქმიანობების მოაზრებაც, რომლის განხორციელებაც მოსწავლეს უწევს სკოლაში და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ასეთი აქტივობებია ტუალეტის მოხმარება, ბუფეტში საადილის მირთმევა თანაკლასელებთან ერთად, დასვენებებზე გართობის შესაძლებლობა და სხვა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ეს

არის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო მიზნები მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული სასწავლო მიზნები შესაძლებელია განსხვავებული იყოს მოსწავლის საფეხურის შესაბამისი სასწავლო პროგრამის მიზნებისგან. შესაბამისად, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დასახული სასწავლო მიზნების განხორციელება სწავლების სპეციფიური სტრატეგიების და პროცესის განსაზღვრას გულისხმობს. მნიშვნელოვანია, ეს პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესისაგან მოწყვეტილად და სხვა მოსწავლეებისგან იზოლირებულად (მხოლოდ რესურს ოთახში) არ მიმდინარეობდეს. პირიქით ინდივიდუალურმა გეგმამ, კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლის სოციალიზაციას და ინტეგრაციას კლასში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ეხმარება პედაგოგს გააკონტროლოს მოსწავლის მიღწევები და წარმოადგენს საშუალებას მოსწავლის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა პირებს შორის გაზიარებისა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განახლება ხდება რეგულარულად, წინასწარ დათქმულ ვადებში და მასში აღიწერება ის ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის ეფექტური განათლების უზრუნველყოფისთვის. სასწავლო გეგმის განახლება ხორციელდება მოსწავლის შეფასების შედეგების და მისი სასწავლო მიღწევების საფუძველზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს მოსწავლის პედაგოგთა, სკოლის ადმინისტრაციის, მშობლის და თავად მოსწავლის შეთანხმებას სპეციალური სასწავლო პროგრამის თაობაზე და სერვისზე, რომლის უზრუნველყოფა შესაძლებელია აღნიშნული სკოლის ფარგლებში და არსებული რესურსების გათვალისწინებით.

მაშასადამე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, არის სახელმძღვანელო, რომელშიც ასახული და დასაბუთებულია კონკრეტული მოსწავლისთვის საჭირო მხარდაჭერა, რომელსაც მასთან მომუშავე ყველა მასწავლებელი თუ პროფესიონალი უნდა იზიარებდეს და მისდევდეს. ეს არ არის ხისტი დოკუმენტი,

არამედ ეს არის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც რეგულარულ ცვლილებებს მოითხოვს. აუცილებლად უნდა ხდებოდეს მისი დროის გარკვეულ მონაკვეთში გადახედვა/გადაფასება, მოსწავლის შესაძლებლობებთან და მიღწევებთან მიმართებაში მოყვანა და საჭირო ცვლილებების განსაზღვრა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი და მისი შინაარსი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წერილობითი დოკუმენტია. ამ ეტაპზე არ არსებობს გეგმის უნივერსალური ფორმა ან სქემა, რომელსაც საქართველოში ყველა საგანმანათლებლო სისტემა გაიზიარებდა და გამოიყენებდა. ესა თუ ის საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, რომელიც მისთვის ყველაზე მეტად მოსახერხებელი იქნება. მთავარია, გეგმაში ხდებოდეს ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ასახვა და თავმოყრა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა შესაძლებელია იყოს განსხვავებული, თუმცა შინაარსი ხშირად ერთია. ის შეიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- დემოგრაფიული მონაცემები,
- მოსწავლის შეფასების შედეგები (ძლიერი და სუსტი მხარეები),
- გრძელვადიანი მიზნები,
- მოკლევადიანი მიზნები,
- პროგრამა ანუ განხორციელების გზები,
- მიღწეული შედეგების მონიტორინგი,
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული შეხვედრის ოქმები.

მშობლის როლი ინკლუზიურ განათლებაში

ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში, სკოლამ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის სწავლებისთვის რეკომენდირებული პირობები და ხელი შეუწყოს მისი საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებას. ამ პროცესის წარმატებით განხორციელება, ხშირ შემთხვევაში წარმოუდგენელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლის ჩართულობის გარეშე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლება არის მშობლებისა და პროფესიონალების საერთო ამოცანა. სკოლის ადმინისტრაციამ, და პედაგოგებმა, ყველაფერი უნდა გააკეთონ მშობელსა და პედაგოგს შორის თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დასამყარებლად. რეალურად, ეს ნიშნავს მშობლებთან პარტნიორობას და მათ მნიშვნელოვან თანამონაწილეებად აღიარებას ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სკოლა ვალდებულია განსაზღვროს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები და საგანმანათლებლო პრიორიტეტები. მიუღებელია ამ პროცესის მშობლის თანხმობის, ჩართულობისა

და თანამონაწილეობის გარეშე განხორციელება. ექსპერტებისგან და პროფესიონალებისგან, საჭირო ინფორმაციის და რეკომენდაციის მიღების შემდეგ, მშობელს ენიჭება გადაწყვეტილების მიღების უფლება თავისი შვილისთვის განათლების ფორმის არჩევაში. ამ მხრივ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების მშობელთა დამოკიდებულება საკმაოდ არა ერთგვაროვანია. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა დადებითად აფასებს ინკლუზიურ განათლებას და იმ შესაძლებლობებს, რასაც სწავლის ეს ფორმა იძლევა, მშობელთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათი შვილების ჩართვა კიდევ უფრო გააღრმავებს მათ იზოლაციას. ისინი არა მარტო ვერ აითვისებენ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არამედ გახდებიან გარიყვის და დაცინვის ობიექტები. ამგვარი დამოკიდებულების არსებობის შემთხვევებში, მშობლები არჩევანს სპეციალიზირებული განათლების ან ინტეგრირებული სწავლების სასარგებლოდ აკეთებენ. ამ დროს ექსპერტთა და პროფესიონალთა ამოცანაა, შეაფასონ ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები და საგანმანათლებლო სისტემის რესურსების გათვალისწინებით, დაეხმარონ მშობლებს სწორი არჩევანის გაკეთებაში.

აღნიშნულს ადასტურებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ფარგლებში მომზადებული კვლევა თემაზე „ინლუზიური განათლების მაჩვენებელი საქართველოში“.

როგორც წესი, მშობელი შვილის მდგომარეობას ყველაზე კარგად იცნობს. მიუხედავად იმისა, თუ განათლების რა ფორმას მიანიჭებს მშობელი უპირატესობას, ის ვალდებულია სკოლას გაუზიაროს ყველა გასათვალისწინებელი ინფორმაცია ბავშვის შესახებ, რომლის ობიექტურ შეფასებას თუ გადამოწმებას სკოლის ადმინისტრაცია შესაბამისი პროფესიონალების მონაწილეობით უზრუნველყოფს. ყველა მშობელს აქვს გარკვეული მიზნები და მოლოდინები იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ, რომელშიც მისი შვილი ჩაერთვება. შესაბამისად, მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ისევ და ისევ მშობლის პრიორიტეტების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. სასურველია, რომ ყველა გადაწყვეტილება მასთან შეთანხმებით და მისი მხარდაჭერით მიიღებოდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ სასწავლო მიზანი იმთავითვე მიუღწეველი იქნება, თუკი ის მშობლისთვის მიუღებელია ან მას არასაკმარისი მნიშვნელობა ენიჭება. მაგ, მასწავლებლის ძალისხმევა ასწავლოს მოსწავლეს საათის ცნობა, უშედეგო იქნება, თუკი მშობელი ამ მიზანს არ გაიზიარებს და სახლში დამატებით არ იმუშავებს ამ უნარის განვითარებაზე. სასურველია არ მოხდეს სკოლის პედაგოგთა მხრიდან მშობლის მიერ გამოთქმული საგანმანათლებლო პრიორიტეტების მექანიკურად აღიარება. არსებობს რისკი იმისა, რომ მშობელს ჰქონდეს არა რეალისტური ან არა ადეკვატური მოლოდინები საკუთარი შვილის ან სკოლის მიმართ. სკოლა ვალდებულია მოუსმინოს მშობელს, გაიზიაროს მისი ხედვა, მაგრამ, უნდა შეეცადოს მშობელთან მოლაპარაკების გზით, რეალისტური და მიღწევადი მიზნების დასახვას. ამ პროცესში რასაკვირველია, დიდია პროფესიონალთა, ფსიქოლოგთა და სპეც-პედაგოგთა როლი.

მშობელი ჩართულია საკუთარი შვილის სასწავლო პროცესის არა მხოლოდ დაგეგმვის, არამედ განხორციელების პროცესში. მშობელი სკოლასთან ერთად იზიარებს პასუხისმგებლობას მოსწავლის აკადემიურ წარმატებებზე, რაც მას ავალდებულებს აქტიურად იმუშაოს ბავშვთან სახლში განსაზღვრული მიზნის და მიცემული დავალების შესაბამისად. სკოლის პედაგოგს, მოეთხოვება დეტალურად განიხილოს მშობელთან ის სასწავლო მიზნები, რომლებზეც ორივე მხარე თანხმდება და სასწავლო სტრატეგიები, რომლის გამოყენებაც კონკრეტულ მოსწავლესთან გამართლებული იქნება. გვახსოვდეს, რომ მხოლოდ შეთანხმებული მოქმედებით და ერთიანი სტრატეგიით მიიღწევა დასახული მიზნები. ამასთანავე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მშობელს ევალება გააცნობიეროს, რომ თავისი შვილის მაქსიმალური წარმატებებისთვის, აუცილებელია პედაგოგებთან შეთანხმებული სასწავლო განრიგისა და გეგმის მიმართ სრული საპასუხისმგებლო დამოკიდებულების ჩამოყალიბება და რეგულარული მეცადინეობები.

დაუშვებელია, სწავლის პროცესში, ბავშვის არსებული მდგომარეობის მომიზეზებით, მშობლის მხრიდან ბავშვისთვის რაიმე დამატებითი შეღავათების მოთხოვნა, რომლებიც მისი საგანმანათლებლო საჭიროებით არ არის გამოწვეული. მაგ. არასწორია მოთხოვნა მოსწავლეს საპატიოდ ჩაეთვალოს სკოლის გაცდენები, თუკი ეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით ან სხვა საპატიო მიზეზით არ არის გამოწვეული. არამართებული იქნება მასწავლებლის მხრიდან,

აპატიოს მოსწავლეს ინდივიდუალური დავალების არშესრულება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის გამო. მშობლის მხრიდან სასწავლო პროცესის სრული სერიოზულობით აღქმა და მხარდაჭერა, იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარების წინაპირობა. კლასის პედაგოგმა კი, თავის მხრივ, ცდა არ უნდა დააკლოს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელმა თავი თანასწორად და თავდაჯერებულად იგრძნოს კლასის სხვა მშობელთა შორის, არ ჰქონდეს დანაშაულისა და რიდის განცდა, შვილის სპეციალური საჭიროებების არსებობის და/ან დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების გამო. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი შეკითხვა რომელიც საკუთარ თავს უნდა დაუსვას მასწავლებელმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მშობელთან ურთიერთობისას:

- იჩენს თუ არა მასწავლებელი საკმარისს ინიციატივას მშობელთან ურთიერთობისას?
- მოხდა თუ არა მშობლის საჭიროებების და მოთხოვნების გათვალისწინება?
- საკმარისია თუ არა მშობლის მხარდაჭერა და ჩართულობა მოსწავლის
- სასწავლო პროცესში?
- რამდენად შეთანხმებულად მუშაობენ ისინი?
- არის თუ არა მშობელი მიმდინარე პროცესით კმაყოფილი?

მასწავლებლისა და მშობლის შეხვედრების ინტენსიურობა დამოკიდებულია

გარემოებებზე, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს რეგულარული. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში მშობლებსა და მასწავლებლებს შორის სისტემურ ურთიერთობას. მნიშვნელოვანია განისაზღვროს მხარეების ფუნქციები და ორივე მხარემ გამოთქვას აზრი როგორ წარმოუდგენია თანამშრომლობა. მშობლები შესაძლებელია მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად, რათა მათთვის ნათელი გახდეს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესები და ის სასწავლო სტრატეგიები, რომლითაც მისი შვილის სწავლება ხორციელდება. ასევე სისტემატიურად უნდა ხდებოდეს ინფორმაციის გაცვლა მოსწავლის მიღწეულ წარმატებებზე თუ მიმდინარე სირთულეებზე.

საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისა და მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის 2017 წლის ანგარიშში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობის დადებითი მხარეები. მის შექმნაში ჩართული მხარეების გუნდური და თანმიმდევრული მუშაობა.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, ბოლო დროს ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების კმაყოფილებას ინდივიდუალური სასწავლო მიდგომების, რესურს ოთახების და სკოლაში სპეციალური მასწავლებლების არსებობის მიმართ, თუმცა აღნიშნულის საზოგადო მიმღებლობა მაინც ნაკლებია ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესი ნაბიჯ-ნაბიჯ და წარმატებით ვითარდება. ამისათვის საჭიროა როგორც საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და ცვლილებები, ასევე პრაქტიკულ დონეზე განსახორციელებელი შესაბამისი მიდგომები. უპირველესად კი მონიტორინგის სიტემის დანერგვა და საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება განსხვავებულის, მაგრამ თანასწორის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვისწავლოთ ერთად – ინკლუზიური განათლება, 2008 წ. თბილისი
2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და მათი განათლება. 2008 ტრენინგ მოდული, Save the Children, USAID, კოალიაცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. თბილისი
3. CSIE. 2003. Index for Inclusion: developing learning and participation in schools. Centre for Studies on Inclusive Education 2003 [cited 2003]. Available from http://inclusion.uwe.ac.uk.csie/indexlaunch.htm.
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდი. www.mes.gov.ge.
5. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი www.ganatleba.org
6. ინკლუზია http://www.inclusion.ge
7. შეზღუდული შესაძლებლობის პირები http://www.disability.ge/

8. Save the Children (გადავარჩინოთ ბავშვები) www.savethechildren.org
9. Unesco (გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციი) www.unesco.org
10. ყველაფერი ინკლუზიის შესახებ http://www.inclusion.com/
11. http://www.nichcy.org
12. http://www.fpg.unc.edu/~ecrii/ ECRI - Early Childhood Research Institute on Inclusion
13. http://www.ld.org
14. http://www.nectas.unc.edu/inclusion
15. კვლევის ანგარიში „ინკლუზიური განათლების მაჩვენებელი საქართველოში“ http://inclusion.ge/res/docs/201507161349597521.pdf
16. საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისა და მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი კვლევის ანგარიში http://inclusion.ge/res/docs/201806151459088740.pdf

Different, but equal (inclusive education in modern school)

Irina Melkadze, PhD student. of GTU

Supervisor: Iasha (Koka) Kutubidze, professor of GTU

Summary

According to the Convention on the Rights of the Child, education is a fundamental right of every child. Each right outlined in the Convention applies to all children without any discriminatory exceptions. Such broad recognition of the child's rights does not have only a theoretical basis. In each country of the world, the rights of the child are strengthened by specific measures in the legislative, administrative and executive spheres. While learning, many children experience learning difficulties, which may be caused by the student's physical, intellectual, social, emotional, linguistic or other condition. Gifted children, street and working children, representatives of ethnic and cultural minorities and other marginalized groups may also face difficulties in the learning process. It is the responsibility of the country's educational system to find ways to successfully educate all children. Inclusive education is an approach that seeks to include all school-aged children in the learning process, regardless of their ability and/or learning difficulties. The goal of inclusive education is to give every child an equal opportunity to study with their peers and receive quality education close to where they live. Inclusive education does not mean having a student with special educational needs in the classroom and spending some time with his peers. Inclusive education requires the tireless work of the entire school to strengthen and develop the abilities of the student with special educational needs, improve the student's academic and social skills, prepare the student for independent life and actively contribute to the formation of the student as a full member of society. According to the international model of inclusive education, a student with special educational needs is a full member of the general education school and class. He must participate fully in school and classroom activities; in academic (for example: writing, reading) and non-academic (for example: playing with peers during vacations) processes in school. Inclusive education recognizes the need for diversity and difference in student learning. Educating students with different educational abilities and needs, of course, involves the use of different teaching approaches, strategies and methods. Applying the same teaching and behavior management strategies to everyone denies the differences between children and their individuality. Using the same teaching strategies with students with different educational abilities (similar instructions in explaining the material, identical homework, equal time to complete the task) is, on the one hand, an unprofessional approach, and on the other hand, does not ensure the same learning results for all students. Accordingly, in the education system, a school is considered successful if it accepts the individual differences of students and is able to provide appropriate education to all students regardless. In the conditions of properly planned inclusive education, all students are given the opportunity to fully realize their potential.

Keywords: "Inclusive Education", "Students with Special Educational Needs", "Persons with Disabilities", "Human Rights", "Universal Design"

დისტანციური სწავლების პირობებში სოციო-ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეულ პრობლემების იდენტიფიცირება

ლია ანთაძე, სტუ დოქტორანტი

ხელმძღვანელი მურად შონია, სტუ პროფესორი

რეზიუმე

მსოფლიოში ბოლო წლებში განვითარებულმა პანდემიურმა მოვლენებმა წარუშლელი კვალი დატოვა არაერთ ინდუსტრიაზე და მათ შორის ყველაზე შესამჩნევი - განათლების სექტორზე, მისი ყველა მიმართულების გათვალისწინებით. რამაც აქტუალობის ქვეშ დააყენა ეს საკითხი.

პანდემიის გავლენა და პოსტ-პანდემიური ფონი დიდწილად გაპირობებს მოზარდების აკადემიურ მიღწევებს. აქედან გამდინარე სტატია ემსახურება შემდეგ მიზანს, კერძოდ: მოვახდინოთ დისტანციური სწავლების პირობებში, სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული იმ ხელისშეშლელი გარემოებების იდენტიფიცირება, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოზარდების აკადემიური მოსწრების ხარისხზე.

წარმოდგენილი საკითხის წარმოსაჩენად გამოვიყენე რამდენიმე სტატია და სახელმძღვანელო. შევეცდები აღნიშნულ თემაში განვიხილო რა არის დისტანციური სწავლება, რა კვლევებია აღნიშნულთან დაკავშირებით და წარმოვადგინო ჩვენს მიერ ჩატარებული მცირებაშტაბიანი კვლევის ანგარიში.

დისტანციურ განათლებას სხვადასხვა განმარტება აქვს, თუმცა ყველაზე გავრცელებული მაინც იუნესკოს განმარტებაა, რის მიხედვითაც დისტანციური განათლება საგანმანათლებლო პროცესია, სადაც სწავლა სრულიად ან ძირითადად წარიმართება სივრცესა და/ან დროში დაცილებულად, როდესაც პედაგოგსა და მოსწავლეს შორის ელექტრონული საშუალებებით მიმდინარეობს კომუნიკაცია.

სასწავლო პროცესში საინფორაციო ტექნოლოგიების დანერგვა იძლევა ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გადამუშავების საშუალებას. თანამედროვე საშუალებები მოზარდს აძლევს სასწავლო პროცესის განახლების საშუალებას. დისტანციური განათლების ძირითადი ფილოსოფია არის, ის რომ იგი პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, მას დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში და განსაკუთრებით დაჩქარდა 2020 წელს.

პანდემიის პერიოდში, მსოფლიოს მთავრობების ნაწილმა გადაწყვიტა დაეხურა სკოლები, რათა თავიდან აეცილებია ვირუსის გავრცელება, სკოლის დახურვა, კი გავლენას ახდენს, როგორც მოსწავლეებზე ისე მასწავლებლებზე, შესაბამისად მსოფლიო გლობალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. სკოლების დახურვის, დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის საპასუხოდ იუნესკომ სხვადასხვა რეკომენდაცია გამოაქვეყნა. როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ისე საქართველოში პანდემიამ შესძლო დაეხვეწა კანონი დისტანციური სწავლების შესახებ, შესაბამისად ცვლილება შევიდა ჩვენს ეროვნულ სასწავლო გეგმაში, თუმცა მაინც დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდით, არათანაბარი პირობების გამო, რომელიც გამოწვეული იყო დაბალი სოციო-ეკონომიკური ფონოთ, მოზარდების გარკვეულ ნაწილს ნაკლები ხელმისაწვდომობა ჰქონდა ინტერნეტზე, კომპიუტერზე, ტექნოლოგიებზე და სხვა საშუალებებზე.[4; 8]

აღნიშნულ სტატიაში, წარმოდგენილ თემასთან დაკავშირებული კვლევები და რეკომენდაციები დაეხმარება საგანმანათლებლო სივრცეში მომუშავე ადამიანებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, მოზარდი, სასკოლო მიღწევები, სასკოლო რესურსები.

შესავალი

ხშირად, დისტანციური განათლების ისტორიაზე საუბრისას სამ ეტაპს გამოჰყოფენ. პირველ ეტაპზე წარმართველი ბეჭდური სახით ინფორმაციის გავრცელებას ასახელებენ, მეორე ეტაპზე ელექტრონული და მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენებას განიხილავენ, ხოლო მესამეზე, ინტერნეტ ტექნოლოგიებს ასახელებენ.[2]

დისტანციური განათლება თანამედროვე ცხოვრების გამოწვევაა და მას ბევრი სასარგებლო მხარე აქვს, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში განათლების შენარჩუნების და სკოლების საერთო დახურვისგან თავის აცილების გზა აღმოჩნდა. თუმცა ამ გამოწვევას სხვადასხვა მოზარდი ინდივიდუალურად შეხვდა, რომელიც სხვადასხვა

გარემოებით იყო გამოწვეული.

მაგალითად, ერთ-ერთი სამეცნიერო სტატიის თანახმად ნიგერიის მაგალითზე, ნაჩვენებია, რომ დისტანციური სწავლების დროსაც კი, განათლების მიღმა დარჩა მოსწავლეები, რომლის მშობლებსაც არ ჰქონდათ ის ფიზიკური გარემო, სადაც მოზარდები მშვიდად მოისმენდა გაკვეთილს და ჩაერთვებოდა საგაკვეთილო პროცესში.[9]

ძირითადი ნაწილი

საქართველოში, 2021 წელს ჩატარდა კვლევა, სადაც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით საუბარია, დისტაციური სწავლების დროს სასწავლო დანაკარგზე. საქართველოში სკოლები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და სასწავლო დანაკარგიც არაერთგვაროვანია. კვლევმა აჩენა, რომ შემცირდა მოსწავლეთა მოტივაცია, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში საჭიროებდნენ სოციალურ მხარდაჭერას. თითქოს მოსწავლეთა შეფასება ერთმნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა რესპოდენტების 22%-ი აღნიშნავს შედეგების გაუარესებას. კვლევის პასუხებმა აჩვენა, რომ მოსწავლები ღარიბი, მრავალშვილიანი ოჯახებიდან რისკ ჯგუფს წარმოადგენდნენ.[1]

ასევე, გავეცანით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ გვერდს და გამოვყავით საშუალო შემოსავლების, ფინანსურად რისკ ჯგუფის და მაღალი შემოსავლების ოჯახები, შესაბამისად ამ ოჯახების მოზარდების მიღწევებს შორის ვეძებდით განსხვავებას.[7] ასევე, გავეცანით საქართველოს ბავშვთა უფლებათა კოდექსს, სადაც „მოზარდი", როგორც ტერმინი წარმოადგენს, 10-დან 18 წლის ახალგაზრდას.[6]

ჩვენც, ჩავატარეთ შემდეგი კვლევა, რომლის **მიზანია** - დავადგინოთ, როგორია დისტანციური სწავლების დროს სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე, რის საფუძველზეც დავისახეთ რამდენიმე **ამოცანა:**

- დავადგინოთ პრობლემები რომელიც ჰქონდათ მოზარდებს დისტანციური სწავლების დროს.
- მოვახდინოთ სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული ხელმისშემშლელი გარემოებების შესწავლა - დისტანციური სწავლების დროს.

კვლევის **ჰიპოთეზას** რაც შეეხება შემდეგია: მოზარდის დაბალ მიღწევებს დისტანციური სწავლების დროს მეტწილად განაპირობებს დაბალი სოციო-ეკონომიკური პირობები.

სამიზნე სეგმენტი და შერჩეული მეთოდები: ჩვენ ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა, მიზნობრივი შერჩევა, გამოვიყენეთ სიღრმისეული ინტერვიუ, გვყავდა ორი სეგმენტი მშობლები და პედაგოგები, როგორც საჯარო ისე, კერძო სკოლის.

კვლევის მიგნებები:

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოჩნდა, რომ დისტანციურ სწავლების პერიოდში მოსწავლეებს ჰქონდათ სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებები, რომლებმაც სასწავლო პროცესის ყველა საგანში ჩამორჩენა გამოიწვია. მასწავლებლებიც და მშობლებიც აღნიშნავდნენ, რომ სწავლის მიმართ დემოტივაციამ, გავლენა მოახდინა მათ ჩართულობაზე და აკადემიურ შედეგებზე. განსაკუთრებით ჩამორჩენა განიცადა დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების შვილებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ სასწავლო პირობები. აღმოჩნდა, რომ თუ დაბალი შემოსავლების ოჯახები მატერიალურ საჭიროებას განიხილავდნენ პრობლემად, მაღალი შემოსავლების ოჯახები ჯანმრთელობის და დისციპლინის შემცირებას ასახელებდნენ. თუ დაბალი შემოსავლების მშობლები სკოლაში, საგნობრივი ქულების შემცირებაზე ასახელბდნენ, შედარებით მაღალი შემოსავლების ოჯახები დამატებით აქტივობებში მონაწილეობის ნაკლებობაზე საუბრობდნენ. შესაბამისად მაღალი შემოსავლების ოჯახების შვილებს ნაკლები ფინანსური ხელისშემშლელი გარემო ჰქონდათ სწავლის პროცესში და შესაბამისად მათი შედეგებიც მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, რასაც ვერ ვიტყვით შედარებით დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების შვილებზე.

ხოლო, ეროვნული სასწავლო გეგემის თანახმად, მოზარდების, საბაზო საფეხურის მთავარი მისია არის საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე, ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლეთა მიდრეკილებების, ინტერესების გამოვლენა, დამოუკიდებლობისა და შრომისუნარიანობის განვითარება. განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა.[5] შესაბამისად ონლაინ სწავლების დროსაც უნდა იქნეს მოზარდების მხარდაჭერა, რათა ამ მიზანს არ ჩამოვრჩეთ.

დასკვნა

ამგვარად, დისტანციური სწავლების დროს სოციო-ეკონომიკურმა მდგომარეობამ გავლენა იქონია მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე. რომ დაბალ შემოსავლიანი ოჯახების შვილებს ბევრი დაბრკოლებები და ხელისშემშლელი გარემოებები ჰქონდათ სწავლის პროცესში, რომ მათ დისტანციური სწავლების დროს შეუმცირდათ გარკვეული კუთხით ფინანსური ხარჯები, მაგრამ

დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ და სწავლის შედეგები მეტწილად გაუარესდა. აქ კი, შეგვიძლია გავიხსენოთ მასლოუს პირამიდა, რაც უფრო ნაკლები ხელმისაწდომობა აქვს ადამიანს, ამ შემთხვევაში მოზარდს სასწავლო რესურსებზე მით უფრო დაბალია შედეგები.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით გავედით კვლევის მიზანზე, ასევე დადასტურდა ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა. ხოლო თეორიული ნაწილით და აღნიშნული კვლევის შედეგებით აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები ღარიბი, მრავალშვილიანი ოჯახებიდან რისკ ჯგუფს წარმოადგენდნენ და დისტანციური სწავლების დროს, მათი სწავლის შედეგები დიდწილად დამოკიდებულია ოჯახის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. რომ სოციალურად დაბალი შემოსავლების ოჯახებს სურთ მათი მოზარდების შედეგების გაუმჯობესება და დანაკარგის ანაზღაურება, მაგრამ არ აქვთ ფინანსური მხარდაჭერა. შესაბამისად შევიმუშავეთ რეკომენდაცია, რომ მოხდეს მოზარდების სასწავლო შედეგების გადახედვა და საჭირო აქტივომებით დახმარება სკოლის, პედაგეგების და განათლების სამინისტროს ერთობლივი ჩართულობით. სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიუკური კუთხით მნიშვნელოვანია განათლებაში, რადგან სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული ეკონომიკური რესურსები, რომელიც საჭიროა განათლების განვითარების მთელი რიგი პროგრამების განსახორციელებლად. [3] რადგან განათლება, ჩვენი ქვეყნის განვითარების საწინდარია.

გამოყენებული ლიტერტურა

1. მ. ქადაგიძე, COVID19-ის გავლენა სასკოლო განათლების სისტემაზე, კვლევა 2021.
2. ლ. მეტრეველი, დისტანციური სწავლების სისტემის დანერგვის მეთოდიკური ასპექტები ფსიქოლოგიის სწავლების მაგალითზე, თელავი, 2008.
3. თ. შინჯიაშვილი, განათლების სოციოლოგია, თბილისი, 2019წ.
4. დისტანციური სწავლების მართვა, პრაქტიკუელი სახელმღვანელო სკოლის ადმინისტრატორებისთვის. თბილისი, 2021წ.
5. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024
6. საქართველოს კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი. 2019.https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi
8. დისტანციური სწავლების მართვა; https://mes.gov.ge/uploads/covid/distanciuri-swavleba%20-%2008%2002%202021.pdf
9. International Journal of Educational Research , Socio-demographic determinants of children home learning experiences during COVID 19 school closure _2022.

Identification of problems caused by socio-economic conditions in the conditions of distance learning

Lia Antadze, PhD student of GTU

Murad Shonia, Professor of GTU

Summary

Today, the pandemic events that have developed in the world in recent years have left an indelible mark on many industries, and the most noticeable among them is the education sector, taking into account all its directions. which brought this issue to the fore.

The impact of the pandemic and the post-pandemic background largely determine the academic achievement of adolescents. The following article serves the following purpose, namely: to identify the hindering circumstances caused by socio-economic factors, which negatively affected the quality of academic performance of adolescents in the conditions of distance learning.

I have used several articles and textbooks to present the presented issue. In this topic, I will try to discuss what distance learning is, what researches are related to it, and present the findings of our small-scale research.

Distance education has different definitions, however, the most common one is the UNESCO definition, according to which distance education is an educational process where learning takes place completely or mainly in space and/or time, when there is communication between the teacher and the student by electronic means.

The introduction of information technologies in the educational process enables the collection, storage and processing of information. Modern means allow the teenager to update the learning process. The basic philosophy of distance education is that it responds to modern requirements, it receives a lot of attention in the world's educational space, and it has especially accelerated in 2020.

During the pandemic, some governments around the world have decided to close schools to prevent the spread of the virus, school closures affect both students and teachers, so the world is facing global problems. In response to the closing of schools, the transition to a remote mode, UNESCO has published various recommendations. As in other countries of the world, in Georgia, the pandemic was able to improve the law on distance learning, accordingly, a change was made in our national curriculum, however, you still faced great challenges, due to unequal conditions caused by low socio-economic background, a certain part of teenagers had less access to the Internet , on computers, technologies and other means.

In the mentioned article, research related to the presented topic, recommendations will help people working in the educational space and other interested persons.

Key words: distance learning, socio-economic status, adolescent, school achievements, school resources.

ჟურნალისტიკა

JOURNALIZM

მედიაგავლენა ფრეიმების თეორიის შუქზე

ლია ქათამაძე
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ფრეიმების თეორიას აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს. სტატიაში ფრეიმების თეორია განხილულია ცნობილი კვლევებიდან მიღებული დასკვნებისა და დებულებების საფუძველზე. ხოლო მთავარი იდეა ამ თეორიის სოციოლოგიური, ინდივიდუალური და მედიური ასპექტების ერთობლიობაში განხილვის აუცილებლობის ჩვენებას ემსახურება. ინტერპრეტაციული სქემები ადამიანის ცნობიერებაში სხვადასხვა სიბრტყეზე - ინდივიდუალურსა და სოციალურ დონეებზე - ქმნიან მიკრო და მაკრო ჩარჩოებს. მათში გაფილტრული ინფორმაცია განსხვავებულ შედეგს იძლევა იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორია ძირითადი, მედიისგან წამოსული ფრეიმი - ახალი ჩარჩო. მედიური ფრეიმი წინასწარი გაზრახვით ან მის გარეშე შექმნილი ფილტრია და გარკვეული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ არის მიმართული. უდავოა მისი მნიშვნელობა, მაგრამ არანაკლებად გასათვალისწინებელია საზოგადოების გარკვეული ნაწილის ან ცალკეული ინდივიდის ცნობიერებაში არსებული საწყისი ფრეიმი, რომელიც მხოლოდ მისთვის მისაღებს გაატარებს ფილტრში, ან სასურველ მნიშვნელობას მიანიჭებს ინფორმაციას, რომელსაც ობიექტურად ეს შინაარსი არ გააჩნია. მედიაგავლენებზე საუბრისას აუდიტორიაში უკვე არსებული ფრეიმების გაუთვალისწინებლობა ან შეუფასებლობა მართებული არ არის და სწორხაზოვნების საშიშროებას ქმნის.

მსოფლიო ჟურნალისტიკის პრაქტიკა უფრო და უფრო მეტად გამოკვეთს მასობრივი კომუნიკაციის პროცესის ფართო სეგმენტებად დაყოფის ტენდენციას. თავს იჩენს სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ჯგუფები, რომლებიც საერთო ინტერპრეტაციულ სქემებს მოიხმარენ. მოლოდინების გათვალისწინებით, ყველა მედიას საკუთარი აუდიტორია ჰყავს. აუდიტორიაში წინასწარ უკვე არსებული ინტერპრეტაციის პოლიტიკური თუ სოციალური პაკეტი სასურველი სინამდვილის თავსმოხვევის სრულ თავისუფლებას ანიჭებს მედიას. აუდიტორიის ფრეიმები ახშობს კრიტიკულ აზროვნებას და გზას უხსნის მისთვის მისაღებ მედიაფრემებს. შესაბამისად, ყველა ფაქტი კარგავს თავის ობიექტურ მნიშვნელობას - მისი ან იგნორირება ხდება ან დამახინჯებული აღქმა. ეს არის ნებაყოფლობითი მზაობა მანიპულაციისთვის.

სექტორებად დაყოფილი აუდიტორიებისა და მათზე მომუშავე მედიების უკიდურესი გამოხატულებაა პოლარიზებული საზოგადოება და ასევე პოლარიზებული მედია. სინამდვილე აქ მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში აღიქმება. პოლიტიკურად ანგაჟირებული მედიების მიერ გაღვივებული საზოგადოებრივი პოლარიზაცია იმ ჯადოსნურ წრეს ქმნის, სადაც ზეგავლენა და ამ ზეგავლენისთვის მზაობა ურთიერთგანპირობებულია.

საზოგადოებრივ პოლარიზაციას, მანიპულირებისთვის მის ნებაყოფლობით მზაობას სწორედ ფრეიმები - ინტერპრეტაციული სქემები უდევს საფუძვლად. ეს ფრეიმები სუბიექტურ რეალობას ქმნიან და აღრმავებენ უფსკრულს სინამდვილესთან. ფრეიმების თეორია ამ პროცესების არათუ ახსნის, არამედ გამოაშკარავების შესაძლებლობას გვაძლევს. ჟურნალისტური კეთილსინდისიერების გაზომვის ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ისიც არის, თუ რამდენად იყენებს ის სტრატეგიულ მედიაფრეიმებს.

საკვანძო სიტყვები: ფრეიმი, ჩარჩო, ინტერპრეტაცია, ბუნებრივი და სოციალური ფრეიმები, ინდივიდუალური ფრეიმები, სტრატეგიული ფრეიმები, მედიაფრეიმი,

შესავალი

აუდიტორიაზე ზეგავლენის მეთოდების შესწავლას უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აქტუალურობას დღესაც არ კარგავს. **ფრეიმების თეორიის** ანალიტიკური კვლევა თითქმის ყველაზე პოპულარულია მედიამცოდნეობაში. ასე რომ, მათს სამეცნიერო პროდუქტიულობას სწორედ საზოგადოებრივი მნიშვნელობა განსაზღვრავს. როგორც არ უნდა სკეპტიკური იყოს საზოგადოებრივი აზრი მედიიდან მიღებული ინფორმაციის მიმართ.

მედიაეფექტების კვლევამ სხვადასხვა სტადია გაიარა, მედიაგავლენის ბრმა რწმენიდან დაწყებული და ამ გავლენათა უარყოფით დამთავრებული. მედიის ეფექტების აბსოლუტურობის საწინააღმდეგოდ არაერთი თეორიული მოსაზრება გამოთქმულა, რომლებიც ფართომასშტაბიან კვლევებს დაუდასტურებიათ. მეცნიერების წინაშე ღიად დარჩენილი კითხვა კი არჩევანის, ან უფრო სწორად, დილემის წინაშე გვაყენებს: რას ვიწამოთ - მედიაგავლენის ყოვლისშემძლეობა თუ წინასწარგანწყობის შეცვლის უუნარობაუუნარობა. შევეცდებით ამ მიდგომათა „შეუთავსებლობის“ ახსნას ფრეიმების თეორიის შუქზე. ჩვენი რწმენით, სწორედ ფრეიმების თანხვედრა აძლიერებს მედიაეფექტს, ხოლო მათი აცდენა ან დაპირისპირება უტყუარ ფაქტსაც კი საერთოდ უკარგავს ძალას.

ამრიგად, სტატიაში განხილული იქნება მედიური ინტერპრეტაციის სქემები ფრეიმების თეორიის შუქზე.

ძირითადი ნაწილი

ფრეიმების თეორია ერთი იდეით გაერთიანებული კონცეფციების ერთობლიობა უფროა, ვიდრე ერთიანი, მწყობრი და მკაცრად ორგანიზებული თეორია. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დარგისა (სოციოლოგიის, კიბერნეტიკის, ლინგვისტიკის, მედიოლოგიისა და ფსიქოლოგიის) და განსხვავებული სამეცნიერო მიდგომების საფუძველზე ჩამოყალიბდა, მაინც შესაძლებელია საუბარი თეორიულ მთლიანობაზე.

ფრეიმების თეორია მასმედიის შექმნილი რეალობის სხვადასხვა ინტერპრეტაციულ სქემებს განიხილავს და სინამდვილის სურათის დამახინჯების მექანიზმებს იკვლევს.

ინფორმაციული დამუშავების პროცესის კავშირს რეციპიენტების მიერ მის აღქმასთან ფრეიმინგის მეთოდი ავლენს. ეს კონცეფცია, ფრეიმების თეორიის სახელწოდებით, ირვინგ გოფმანს ეკუთვნის. „ფრეიმების ანალიზი“ არის ნაშრომი, რომელშიც **ჩარჩო (frame),** როგორც ინტერპრეტაციის სქემა, ხდება ინფორმაციის აღქმის, მისთვის მნიშვნელობის მინიჭებისა და იარლიყის მიწებების საფუძველი[1].

კონცეფციის მთავარი ღერძი ეყრდნობა იდეას, რომ ჩვენ ფრეიმების მეშვეობით აღვიქვამთ რეალობას, რომ უკვე არსებული (პირველადი) ფრეიმების სისტემებით ყველაფრის ინტერპრეტაციას ვახდენთ. „როცა დასავლურ საზოგადოებაში ადამიანი ამოიცნობს რამე მოვლენას, ყველა შემთხვევაში ის საკუთარ აღქმაში ფრეიმების ერთ ან რამდენიმე სისტემას ჩადებს“, - წერდა გოფმანი, - „ყოფით ცხოვრებაში პირველადი ფრეიმები ორ კლასს ქმნიან - დავარქვათ მათ ბუნებრივი და სოციალური. ფრეიმების ბუნებრივი სისტემები განსაზღვრავენ არამართულ და და არაგამიზნულ მოვლენებს. ასეთ მოვლენებს არ შეიძლება მივაწეროთ ან წარმატება ან წარუმატებლობა, ან დადებითი ან უარყოფითი სანქციები. აქ მეფობს დეტერმინიზმი და წინასწარგანსაზღვრულობა. **სოციალური ფრეიმები,** პირიქით, უზრუნველყოფენ მოვლენების ისეთ გაგებას, რომელშიც ჩართულია ნება, მიზანდასახულობა და გონივრულობა - ცოცხალი საქმიანობა, რომელსაც ადამიანი განასახიერებს[1].

გამოდის, რომ გოფმანის მიხედვით, ფრეიმი არის ინტერპრეტაცია, რომელსაც ქმნის აღქმის პროცესზე მორგებული სქემა და ადამიანს იარლიყის მიწებების საშუალებას აძლევს. სოციალური ფრეიმები მოვლენებს განიხილავს სხვა სოციალური მოთამაშეების მიზნების შესაბამისად. ეს არის მანიპულაცია, რომელიც მზა ინტერპრეტაციას ახვევს თავს ინდივიდს. ნებისმიერ მომენტში, გოფმანის მიხედვით, ადამიანი იყენებს ფრეიმების რამდენიმე სისტემას. გარკვეული ჯგუფისთვის საერთო პირველადი ფრეიმების სისტემები მისი კულტურის ცენტრალურ ელემენტს ქმნიან.

ერთი რამ ცხადია, რომ ინტერპრეტაცია მაშინაც კი, როცა ბუნებრივ ფრეიმებზე არ ვსაუბრობთ, შესაძლოა რეალობის სუბიექტური აღქმის შედეგიც იყოს და მანიპულაციური მიზნის შემცველიც. მიზანმიმართულ ფრეიმებს **სტრატეგიული ფრეიმები** უწოდეს, გამოყოფენ ასევე **„მხარდამჭერ ფრეიმებსაც“** (advocate frame). ბ. ვან კორპისა და დ. ტიუკენბერნის შეხედულებით, დაინტერესებული სპინდოქტორები ან სარეკლამო სააგენტოს თანამშრომლები ანონსირების ეტაპზევე მიმართავენ მასმედიის ყურადღებას მომგებიან ასპექტებზე. ფრეიმი გამზადებულია, ჟურნალისტებს კი მხოლოდ მათი კონკრეტული შინაარსით შევსება რჩებათ[2; 3].

მედიაზემოქმედების თეორიების კვლევის

კონტექსტში ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს **მედიაფრეიმის** ცნება. ახალ ამბებში სპეციფიკურ მედიაფრეიმებზე თავდაპირველად რ. ენტმანმა გაამახვილა ყურადღება. ენტმანმა მედიაფრეიმების მაგალითად მოიყვანა ის განსხვავებული ინტერპრეტაციული სქემები, რომელთა მეშვეობით აშშ სააახალამბებო ინდუსტრია აშუქებდა თვითმფრინავის ჩამოგდების ორ სხვადასხვა ფაქტს - საბჭოთა საჰაერო სამხედრო ძალებისა და ამერიკის მიერ[3]. განსხვავებული ინტერპრეტაცია, განსხვავებული იარლიყები და, რაც მთავარია, აუდიტორიაზე ზემოქმედების სრულიად განსხვავებული ეფექტი. რა თქმა უნდა, პროპაგანდის ძალას, ჩვენი აზრით, აქ ინდივიდუალური ფრეიმებიც აძლიერებენ. და ალბათ უპრიანი იქნება, რომ მედიაფრეიმები განვიხილოთ ინდივიდუალურ ფრეიმებთან წყვილში. თუ მედიაფრეიმი არის გარკვეულ შაბლონში ჩასმული და შეფუთული ინფორმაცია, ინდივიდუალური ფრეიმი აუდიტორიის წევრების უკვე არსებული შეხედულებებია, რომელთა ფილტრში გატარების შემდეგაც ხდება მიწოდებული ინფორმაციის აღქმა. ეს არის იმის მიზეზი, რომ ადამიანები ხშირად ირჩევენ მათთვის სასურველ აშკარა პროპაგანდისტურ მედიას ნეიტრალური ან ობიექტური მედიის ნაცვლად, რადგან არსებული წინასწარგანწყობებისა და სუბიექტური შეხედულებების შესაფერის „სიმართლეს“ ეძებენ. ამ შემთხვევაში მათი ინდივიდუალური ფრეიმები და მედიაფრეიმები კონფლიქტს არ ქმნიან. შეხედულებების, იდეებისა თუ სტერეოტიპების ინდივიდუალური სქემები ღია ფილტრს წარმოადგენენ ასეთი მედიაფრეიმებისთვის და ნებისმიერი ინტერპრეტაციის, ყველაზე აბსურდულისაც კი, გატარება შეუძლიათ. და პირიქით, დოკუმენტურად გამყარებული ფაქტიც კი არ აღიქმება ფაქტად - ხდება მისი იგნორირება ან ყალბად გამოცხადება. ეს ის შემთხვევაა, როცა აუდიტორიის ინდივიდუალური ფრეიმი არ ემთხვევა მედიაფრეიმს ან თუნდაც არაინტერპრეტირებულ ფაქტს და შესაბამისად, მიზანს ვერ აღწევს. სწორედ ამ დროს საუბრობენ მედიაგავლენის არაყოვლისშემძლეობაზე, კლაპერის სელექციურ თეორიას თუ გავიხსენებთ.

გემსონისა და მოდილიანის მიხედვით, „მედიაფრეიმი არის ინტერპრეტაციული მედიაპაკეტის მთავარი იდეა, რომელიც მედიატექსტის მთავარ თემას სპეციფიკურ სოციოკულტურულ მნიშვნელობას ანიჭებს [4].

თუმცა შოიფელე და ტიუკსბერი ჟურნალისტების მხრიდან მედიაფრეიმების გამოყენებას ყოველთვის მანიპულაციური მიზნებით არ ხსნიან. ეს არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტების უმრავლესობა ისტორიის გადასხვაფერებას ან აუდიტორიის მოტყუებას ცდილობს. სინამდვილეში მედიაფრეიმები მათთვის აუცილებელი ინსტრუმენტია საკითხის სირთულის შესამცირებლად, შესაფერისი მედიების „საახალამბებო სარკმლების“ დროითი შეზღუდვების გათვალისწინებით საეთერო დროში“. [5; 6] შეიძლება დავეთანხმოთ კიდეც, რადგან უწყინარი მედიაფრეიმებიც არსებობს არაკონფლიქტურ სიტუაციაში.

და მაინც მედიაფრეიმები მანიპულირების მიზნებს უფრო ხშირად ემსახურება. ერთიანი, ყოვლისმომცველი მანიპულაციის იდეა დღეს უკვე უარყოფილია, მით უმეტეს, ფლურალისტური მედიის პირობებში. მასმედიისა და საზოგადოების ურთიერთობის შედარებით ახალი ტენდენციაა მასობრივი აუდიტორიის სეგმენტებად დაყოფა. საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განსხვავებები სხვადასხვა მედიისთვის უპირატესობის მინიჭებაში აისახება. ცალკეულ შეხედულებათა სისტემას მოვლენათა შეფასების საკუთარი ინტერპრეტაციული სქემები აქვს შემუშავებული. მათში მოხვედრისას ნებისმიერი ფაქტი იფილტრება და შესაფერის ინტერპრეტაციას იძენს. ეს პროცესი თითოეულ ინდივიდში დამოუკიდებლად ქმნის ინდივიდუალურ ფრეიმს. თუმცა საერთო პოლიტიკური, კულტურული თუ სოციალური საფუძველი ფილტრის ერთმანეთთან დაახლოებულ საერთო მოდელს ქმნის, რომელში გატარებული ინფორმაციაც ერთგვაროვანი აღქმის შედეგს იძლევა. ასეთ ჯგუფში (აუდიტორიაში) მოხვედრილი ნებისმიერი მედიაფრეიმი მიზანს ვერ მიაღწევს, თუ ის არ დაემთხვევა ჯგუფის მზაობას ინტერპრეტაციული მოლოდინის შესაფერის ინფორმაციაზე. აუდიტორიაში არსებული სოციალური თუ პოლიტიკური პაკეტი მხოლოდ იმ მზა მედიაინტერპრეტაციას მიიღებს, რომელიც მას ემთხვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგნორირებას გაუკეთებს ან უარყოფს. ასეთ დროს უტყუარი ფაქტიც კი უკუგდებულია და უარყოფილი. აუდიტორია შეგნებულად იხშობს კრიტიკული აზროვნების უნარს და მხოლოდ მისი შეხედულებების სისტემის მედიაფრეიმებს უხსნის გზას. ამით ის ნებაყოფლობით გამოხატავს მზაობას მანიპულაციისადმი.

სექტორებად დაყოფილი აუდიტორიებისა და მათზე მომუშავე მედიების უკიდურესი გამოხატულებაა პოლარიზებული საზოგადოება და ასევე პოლარიზებული მედია. სინამდვილე აქ მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში აღიქმება. პოლიტიკურად ანგაჟირებული მედიების მიერ გაღვივებული საზოგადოებრივი პოლარიზაცია იმ ჯადოსნურ წრეს

ქმნის, სადაც ზეგავლენა და ამ ზეგავლენისთვის მზაობა ურთიერთგანპირობებულია.

დასკვნა

მანიპულაციური ხასიათის ან თუნდაც უწყინარი მედიაფრეიმების განხილვისას ამ ინტერპრეტაციული სქემების ზემოქმედების ეფექტებზე საუბარი ცალმხრივი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ ინდივიდუალურ ფრეიმებს, რომელთა მეშვეობით გაფილტრული ინფორმაცია შესაძლოა საერთოდ არ დაემთხვეს რეალობას. რეალობისგან შესაძლოა შორს იდგეს მედიური ინტერპრეტაციული სქემებიც, თუმცა ინდივიდუალურ ან ჯგუფურ ფრეიმებთან კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში მათ დიდი ზეგავლენის ძალა აქვთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Erving Goffman, “Frame Analysis: An Essay on the Organization of Experience”, Northeastern University Press, Boston, 1974 by Erving Goffman. Reprinted 1986 by arrangement with Harper & Row;
2. Tewkbury D. [et al] Interaction of News and Advocate Frames: Manipulating Audience Perceptions of a Local Public Policy Issue//Journalism and Mass Communication Quarterly, 2000. Vol.7, N 4, p. 806;
3. Van Gorp B. Constructional Approach to Framing: Bringing Culture Back In // Journal of Communication, 2007. Vol.57. N1, p.68;
4. Entman R.M. Framing: Towards clarification of a Fractured Paradigm. Journal of Communication, 43(4), 51-58;
5. Gamson W. A., & Modigliani A. Media Discourse and Public Opinion on Nuclear Power: A Constructionist Approach. American Journal of Sociology. 1989, 95, 1-37;
6. Sheufele Diettam A. (1999),’Framing as a Theory of Media Effects’, Journal of Communication 49(11) 13-22;
7. Tuchman Gaye (1978) Making News: A Study in the Construction of Reality. New York. The Free Press.

Media Reality in the Light of Frame Theory

Lia Katamadze, Associate professor of GTU

Summary

The theory of frames does not lose up to now its relevance. In this article, the theory of frames is considered on the basis of the conclusions of famous studies. As for the idea, it shows the need to consider sociological, individual and media aspects together. Interpretation schemes create micro and macro frames on different planes of the human mind – at the individual and the social level. Filtered information gives a different result, regardless of what the main media frame is. A media frame is a filter or a scheme created with or without intention and is aimed at creating public opinion. Undoubtedly media frames are of great importance, but no less significant is the initial frame in the mind of the individual recipient that will pass only acceptable information in the filter or give the desired value, but in fact objectively does not have this content. When discussing the influence of the media, it would be wrong not to take into account or underestimate frames, already existing in the audience.

Considering expectations, each medium has its own audience. A package of social or political interpretation already pre-existing in the audience gives the mass media the chance to impose the information desired by the audience. The audience silences critical thinking and opens the way for desired media frames. Accordingly, all facts lose their objective meaning – they are either ignored or perceived distortedly. This is voluntary readiness to manipulate oneself.

Dissected audiences give a polarized society and polarized mass media. Reality is perceived only in black and white. Social polarization ignited by politically biased media creates magic circle where influence and willingness to influence are interdependent.

So, frames are the basis for polarization and voluntary readiness for manipulation too. They create subjective reality and widen the gap between reality and media reality.

მედიაში ოკუპაციის გაშუქების ისტორიის ზოგიერთი საკითხი

თეონა ფანქველაშვილი, სტუ დოქტორანტი

2008 წლის აგვისტოს ომი, კულმინაციის გარდა, იმ პროცესის დასაწყისიც აღმოჩნდა, რუსული ოკუპაციის მთავარ ხაზად რომ იქცა და რომელსაც სულ უფრო ხშირად მოიხსენიებენ „ბორდერიზაციად“, რუსული ოკუპაცია აფხაზეთში სხვადასხვა ფორმით ვლინდება და ძირითად ტვირთად აწვება მოსახლეობას. კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზია, რომელიც წლების განმავლობაში იცვლებოდა, იხვეწებოდა და ერგებოდა იმ დროისთვის არსებულ სტანდარტს. მეოცე საუკუნის ბოლოს კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში სწორედ აფხაზეთისა და ცხინვალის ომების დროს დაიწყო. ყველაზე მთავარი, რაც მაშინდელი ერთადერთი ტელევიზიის, საქართველოს პირველი არხის, ღვაწლად შეგვიძლია მივიჩნიოთ, არის ის არქივი, რომელიც შემოგვინახა. პირველი არხის განსაკუთრებული როლი 2008 წლის ომის დროს იმაში გამოიხატება, რომ საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავის თავზე აიღო მტკიცებულებების მოძიება სტრასბურგში წარდგენილი სარჩელისთვის. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 700-მდე ინტერვიუ ჩაწერა და მოამზადა, რაც მტკიცებულებებად გაიგზავნა ევროპის სასამართლოში. მომზადდა ომით დაზარალებული ადამიანების, დევნილების, ჯარისკაცების და იძულებით გადაადგილებული პირების ინტერვიუები, რამაც მნიშვნელოვანი როლი

შეასრულა სტრასბურგის გადაწყვეტილებაში. [1] 1994 წელს დაარსდა დამოუკიდებელი ტელევიზია “რუსთავი 2”, რომელიც დაარსებიდან მკვეთრად პროდასავლური ორიენტაციით გამოირჩეოდა. ტელევიზიას მოუწია 2006 წლისდა 2008 წლის საომარი მოწმედებების გაშუქება, რომელიც ცხინვალში და ლიახვის ხეობაში მიმდინარეობდა. რუსთავი 2-ის მიერ ომის თემაზე მომზადებლი უამრავი სიუჟეტიდან განსაკუთრებით ის დოკუმენტური ფილმებია საინტერესო, რომლებიც თომა ჩაგელიშვილის მიერაა გადაღებული. განსახილველად ერთ-ერთი საინტერესო ფილმია “აგვისტოს ომი”. [2]

განსახილველად ერთ-ერთი საინტერესო ფილმია “აგვისტოს ომი”. 2- საათნახევრიან ფილმში მოთხრობილია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი დეტალურად, გადმოცემულია ფაქტები, შეფასებები და საერთაშორისო კონტექსტი. ფილმი არ არის მხოლოდ ფაქტების კონტატაცია. ცხადია, რომ მისი ავტორი ცდილობს, მაყურებელს დაეხმაროს იმის გააზრებაში, რას ნიშნავდა ეს კონფლიქტი საქართველოსთვის. აღსანიშნავია, რომ ომის გაშუქება ნებისმიერ ქვეყანაში განსაკუთრებული გამოწვევაა ჟურნალისტისთვის. დარჩეს ფაქტების მთხრობელ რეპორტიორად თუ იმ ქვეყნის მოქალაქედ, სადაც ომია, ამ ორ ფაქტორს შორის ზღვარის გავლება საკმაოდ რთულია და, როგორც წესი, ამას მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმის მქონე ჟურნალისტები ახერხებენ.

ქართულ-რუსული კონფლიქტის გაშუქებას რუსთავი-2 წლების განმავლობაში დროდადრო ყოველთვის უბრუნდებოდა. ჟურნალისტები ცხელი წერტილებიდან აკეთებდნენ რეპორტაჟებს, წერდნენ ექსკლუზიურ ინტერვიუებს და იღებდნენ საინტერესო მასალას. ტელეკომპანია ისევე, როგორც სხვა საკითხებთან მიმართებაში, კონფლიქტის გაშუქებისასაც ცდილობს წარმოჩინდეს ობიექტურ მედიასაშუალებად, თუმცა რიგ შემთხვევებში, ცხადია, ეს არ გამოსდის.

საკვანძო სიტყვები: ოკუპაცია, ბორდერიზაცია, მედია, ახალი ამბები.

შესავალი

2008 წლის აგვისტოს ომი, კულმინაციის გარდა, იმ პროცესის დასაწყისიც აღმოჩნდა, რუსული ოკუპაციის მთავარ ხაზად რომ იქცა და რომელსაც სულ უფრო ხშირად მოიხსენიებენ „ბორდერიზაციად“, რაც, თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციის ძალებისა და დე-ფაქტო ხელისუფლებების მიერ მავთულხართებითა და ღობეებით ე.წ. „საზღვრის“ ერთპიროვნული დემარკაციის პროცესს წარმოადგენს, ძირითადად, სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს. რაც შეეხება აფხაზეთს, რადგან ადმინისტრაციული საზღვარი მდინარე ენგურზე გადის, რუსული ოკუპაცია აფხაზეთში სხვადასხვა ფორმით ვლინდება და ძირითად ტვირთად აწვება გალის რაიონის მოსახლეობას, რომლის უმეტესობა ეთნიკური ქართველია. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის მოტივით ადამიანების

დაკავება გახშირებულია. საქართველოს სახელ-მწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტატისტიკუ-რი მონაცემების თანახმად, ეგრეთ წოდებული“ საზღვრის“ გადაკვეთის ბრალდებით 2008 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით დაკავებულია 5 პირი, 2009 წელს – 78 პირი, 2010 წელს – 73, 2011 წელს – 134, 2012

წელს – 108, 2013 წელს – 142, 2014 წელს – 142, 2015 წელს – 163, 2016 წელს კი - 134

ადამიანი, 2017 წლის იანვარ-მაისში 21 მოქ-ალაქეა დაკავებული, 2018 წელს-100 ადამიანი, 2019-წელს 80 ადამიანი, 2020 - 40 ადამიანი. (მოძიებულია პირადი მიმწერის საფუძველზე, საქართველოს უსაფრთოხების სამსახური (სუს) [3]

კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზია, რომელიც წლების განმავლობაში იცვლებოდა, იხვეწებოდა და ერგებოდა იმ დროისთვის არსებულ სტანდარტს. ამ ტიპის მედიაკონტენტი განსაკუთრებით გაიზარდა მაშინ, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და გამოეყო საბჭოთა კავშირს, რასაც მალევე მოჰყვა ომი ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში, რაც

რუსულ იმპერიალიზმთან ბრძოლის და ქართულ-რუსული კონფლიქტის გაღრმავებით აიხსნება.

ძირითადი ნაწილი

მეოცე საუკუნის ბოლოს კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში სწორედ აფხაზეთისა და ცხინვალის ომების დროს დაიწყო. ყველაზე მთავარი, რაც მაშინდელი ერთადერთი ტელევი-ზიის, საქართველოს პირველი არხის, ღვაწლად შეგვიძლია მივიჩნიოთ, არის ის არქივი, რომელიც შემოგვინახა. პირველმა არხმა შემოგვინახა ცხინ-ვალსა და სოხუმში საომარი მოქმედებების, დევ-ნილთა გადაადგილებისა და ომის ამსახველი უამრავი კადრი, რომლებიც დღემდე იწვევს დიდ ემოციას მაყურებელში. [4]

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ასევე მნიშ-ვნელოვანი როლი შეასრულა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს. პირველი არ-ხის განსაკუთრებული როლი 2008 წლის ომის დროს იმაში გამოიხატება, რომ საომარი მოქ-მედებების დასრულების შემდეგ საზოგადოებ-რივმა მაუწყებელმა თავის თავზე აიღო მტკიცე-ბულებების მოძიება სტრასბურგში წარდგენილი სარჩელისთვის. როგორც ტელევიზიის მაშინ-დელი დირექტორი გია ჭანტურია ამბობს, საზო-გადოებრივმა მაუწყებელმა 700-მდე ინტერვიუ ჩაწერა და მოამზადა, რაც მტკიცებულებებად გაიგზავნა ევროპის სასამართლოში. მომზადდა ომით დაზარალებული ადამიანების, დევნილების, ჯარისკაცების და იძულებით გადაადგილებული პირებისინტერვიუები, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სტრასბურგის გადაწყვეტილებაში. [5]

1994 წელს დაარსდა დამოუკიდებელი ტელე-ვიზია “რუსთავი 2”, რომელიც დაარსებიდან მკვეთრად პროდასავლური ორიენტაციით გამო-ირჩეოდა. ეს ტელევიზია გაიზარდა, ჩამოყალიბდა დაიხვეწა სახელმწიფოსთან ერთად. წლების განმავლობაში ტელევიზია როგორც საინფორმაციო გამოშვებებში, ისე ანალიტიკურ გადაცემებში და თოქშოუებში დიდ დროს უთმობდა კონფლიქტების გაშუქებას, ქართულ-რუსულ ურთიერთობებსა და სამაჩაბლო-აფხაზეთის საკითხს. ტელევიზიის ჟურნალისტებში გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც წლების განმავლობაში ამ საკითხებზე მუშაობით იყვნენ დაკავებულები და გამოცდილებიდან გამომდინარე, ექსპერტებადაც კი ჩამოყალიბდნენ ამ მიმართულებით. არსებობის განმავლობაში, რუსთავი 2 არაერთხელ შეხებია კონფლიქტებს და ამ მიმართულებით როგორც მედიასაშუალება რამდენიმე გამოწვევის წინაშეც დამდგარა.

90-იანი წლების ომების გარდა, ტელევიზიას მოუწია 2006 წლისდა 2008 წლის საომარი მოქ-მედებების გაშუქება, რომელიც ცხინვალში და ლიახვის ხეობაში მიმდინარეობდა. რუსთავი 2-ის მიერ ომის თემაზე მომზადებლი უამრავი სიუჟეტიდან განსაკუთრებით ის დოკუმენტური ფილმებია საინტერესო, რომლებიც თომა ჩაგელი-შვილის მიერაა გადაღებული. განსახილველად ერთ-ერთი საინტერესო ფილმია “აგვისტოს ომი”. 2-საათნახევრიან ფილმში მოთხრობილია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი დეტა-ლურად, გადმოცემულია ფაქტები, შეფასებები და საერთაშორისო კონტექსტი. დოკუმენტურ ფილმში საუბრობენ საქართველოს მშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალი თანამდებობის პირები. ფილმი არ არის მხოლოდ ფაქტების კონტატაცია. ცხადია, რომ მისი ავტო-რი ცდილობს, მაყურებელს დაეხმაროს იმის გააზრებაში, რას ნიშნავდა ეს კონფლიქტი საქარ-თველოსთვის. ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ ფილმი შესაძლოა იყოს პროპაგანდისტული, თუმცა გვრჩე-ბა შთაბეჭდილება, რომ ეს არის საქართველოს მო-ქალაქე ჟურნალისტის მიერ მომზადებული ფილმი, რომლის მიზანია კარგად დაანახოს მაყურებელს, რომ რუსეთი მტერია. აღსანიშნავია, რომ ომის

გაშუქება ნებისმიერ ქვეყანაში განსაკუთრებული გამოწვევაა ჟურნალისტისთვის. დარჩეს ფაქტების მთხრობელ რეპორტიორად თუ იმ ქვეყნის მოქალაქედ, სადაც ომია, ამ ორ ფაქტორს შორის ზღვარის გავლება საკმაოდ რთულია და როგორც წესი ამას მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმის მქონე ჟურნალისტები ახერხებენ.

კონფლიქტების და განსაკუთრებით ქართულ-რუსული კონფლიქტის გაშუქებას რუსთავი-2 წლების განმავლობაში დროდადრო ყოველთვის უბრუნდებოდა. იმ დრომდე, სანამ სტრასბურგის გადაწყვეტილება ძალაში არ შევიდა და ტელევიზიის მენეჯმეტს ჩამოაცილეს ნიკა გვარამიას გუნდი. ამ ფაქტის შემდეგ ტელეკომპანია ისევე, როგორც სხვა საკითხებთან მიმართებაში, კონფლიქტის გაშუქებისასაც ცდილობს წარმოჩინდეს ობიექტურ მედიასაშუალებად, თუმცა რიგ შემთხვევებში ცხადია ეს არ გამოსდის.

დასკვნა

კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიასაშუალებებში კვლავ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად, რადგან თვითონ საკითხია დღემდე აქტუალური. მართალია საომარი მოქმედებები შეჩერებულია, მაგრამ საქართველო-რუსეთის კონფლიქტი გრძელდება მცოცავი ოკუპაციით, უკანონოდ დაკავებული მოქალაქეებით და ჰიბრიდული ომით.

თავისუფალი მედიის არსებობასა და საზოგადოებისთვის გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდებას კონფლიქტური რეგიონების მქონე ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღეს არსებული სიტუაციის სისტემატურ და უფრო ღრმა გაშუქებას ქართველი ჟურნალისტების მხრიდან ხშირად ხელს უშლის ადგილობრივ (ოკუპირებულ რეგიონებში) მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაციის სირთულე და ფაქტების სიმწირე, რაც ხშირად ხელს უწყობს ცნობების არასრულყოფილ გადმოცემას, რიგ შემთხვევებში კი - დეზინფორმაციას და ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში კონკრეტული მედიასაშუალებებისთვის პრიორიტეტულია ოკუპაციის თემის გაშუქება (ბორდერიზაციის პროცესის უახლესი შემთხვევევისას პირდაპირი ტრანსლაცია საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებიდან, მოვლენების ანალიზი და დეტალების სიღრმისეული გადმოცემა), ხოლო გარკვეული მედიაწყაროები ხშირად მხოლოდ ზედაპირულად, ან სულაც ფაქტების დამახინჯებით გადმოსცემენ მოვლენის მსვლელობას. მსგავსი შემთხვევები ხშირია საოკუპაციო ძალების წარმომადგენლების მხრიდან განხორციელებული ქმედებებისას - საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მავთულხლართებისა და საზღვრის აღმნიშვნელი ახალი ბანერების დამონტაჟებისას, ასევე საოკუპაციო ძალების მიერ გატაცებულ საქართველოს მოქალაქეთა შესახებ ინფორმაციის მოწოდებისას.

იგივე შეიძლება ითქვას სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ბოლო წლებში ჩატარებული არალეგიტიმური არჩევნების გაშუქების შესახებ ქართულ მედიაში - ღიად პროდასავლური მედიის მიერ მომზადებულ სიუჟეტებში მუდმივად აღნიშნულია არჩევნების არალეგიტიმური ხასიათი, ამავდროულად არაერთი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარისა და ექსპერტის მიერ ისტორიული თუ სამართლებრივი ფაქტებით გამყარებული დასკვნა ე.წ. არჩევნების არალეგიტიმურობის დასადასტურებლად, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი იმის ხასგაზმას, რომ ნატო არ აღიარებს ე.წ არჩევნებს ან რეფერენდუმს, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე იმართება და დე-ფაქტო ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება.

2022 წელს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ ''რეპორტიორები საზღვრებს გარეშე'' მსოფლიოში პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებით ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც საქართველომ 180 ქვეყანას შორის 89-ე ადგილი დაიკავა. [6] ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქართული მედიაგარემო მრავალფეროვნებით და ამავდროულად, მკვეთრი პოლიტიკური პოლარიზაციით ხასიათდება და ხშირად, სარედაქციო შინაარსს კონკრეტული ტელევიზიის მფლობელის გავლენა განაპირობებს (მაგალითის სახით მოყვანილია რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკის სრული ცვლილება მფლობელის შეცვლის შემდეგ). ანგარიშში ასევე ხაზგასმულია რუსული გავლენა, რომელიც ქვეყანაში ძლიერია და ხშირად ჟურნალისტთა მუშაობაზეც ახდენს გავლენას. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს სოციალური მედია მოცულია სხვადასხვა სახის პრო რუსული პორპაგანდული სახის გზავნილებით, ჟურნალისტები მეტად ფრთხილად და ზედმიწევნით სწორად უნდა აშუქებდნენ მოვლენებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სტრასბურგის სასამართლომ 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო https://civil.ge/ka/archives/392298
2. ჩაგელიშვილი თ., https://www.youtube.com/watch?v=H7y53zdkExM
3. საქართველოს უსაფრთოხების სამსახური (სუს), მოძიებულია პირადი მიმოწერის საფუძველზე,
4. თომა ჩაგელიშვილი ., აფხაზეთის ომი“.
5. საზოგადოებრივი მაუწყებელი https://www.youtube.com/watch?v=TAkDc4I8B2A
6. „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ https://civil.ge/ka/archives/488620

Some issues in the history of coverage of the occupation in the media

Teona Pankvelashvili, PhD student of GTU

Summary

The topic "Some issues of the history of coverage of the occupation in the media" refers to some issues of coverage of the 2008 war in the Georgian media. Based on personal correspondence of "Public Broadcaster", Security Service of Georgia, "Reporters Without Borders" according to archival materials, materials covered during the war and since then, which are reflected inGeorgian media from 1991 to 2022. It is important to share the post-war bordering process, how the Georgian media covers the dangers of hybrid war and the problems with the so-called"occupation line". Coverage of the occupation and other features remains an important topic for the Georgian media.

In the 21st century, the world faced new challenges. This war is called "hybrid war". Russia, as the main actor of the hybrid war, occupies a large place in the media space. Monitoring of the information service, as well as analytical programs and Internet publications are considered. The article reviews the positions, attitudes and trends expressed by the media. All issues, how they develop, what danger they pose. The issue of coverage of the elections and referendums of the de facto governments in the occupied territories of Georgia by the Georgian media is discussed. The article also provides an example of a report compiled by an international non-governmental organization, which is related to the Georgian media environment, the editorial policy of media outlets and the issue of increasing Russian influence on it. Due to the fact that Georgia is one of the primary targets of the Russian-led hybrid war, the challenges for Georgian journalists when working on current events in the conflict regions include not only covering the subject of occupation, but also combating Russian propaganda and eliminating news spread through disinformation. Due to the fact that today social media is filled with various pro-Russian propaganda messages, journalists should cover the events very carefully and thoroughly.

ფილოლოგია

PHILOLOGY

ენისა და ცნობიერების კვლევის ძირითადი მიმართულებები ანთროპოცენტრულ პარადიგმაში

ნანა გაბადაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

ეთნიკურ ერთიანობაში ენა აკავშირებს ადამიანებს კონცეპტების მეშვეობით, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა კულტურული საზოგადოებები ერთი ენით სარგებლობენ და, პირიქით, არსებობს ადამიანები, რომლებსაც თავისი კულტურული ერთიანობა შეცნობილი აქვთ, მაგრამ სხვადასხვა ენებს იყენებენ. როგორც სამართლიანად მიიჩნევს დ.ბ. გუდკოვი, „ნორმას“ მაინც ენის, კულტურის, ეთნოსის ერთიანობა წარმოადგენს. ტერმინ „ლინგვოკულტურული საზოგადოების“ (ნაცვლად „ეთნოსისა“) გამოყენებით მას ყურადღების აქცენტი გადააქვს ამგვარი მთლიანობის არა იმდენად ბიოლოგიურ, გენეტიკურ, გეოგრაფიულ მხარეზე (რაც ნებისმიერი შემთხვევაში ეთნოსის ცნებასთანაა დაკავშირებული), არამედ მის წევრთა ენობრივ და კულტურულ ერთიანობაზე.

ლინგვოკულტურული ცნობიერების ერთ-ერთ ძირითად მაინტეგრირებელ/ მადიფერენცირებელ ნიშნად ავტორი მის წევრთა ენობრივი ცნობიერების ინვარიანტული ნაწილის ერთიანობას მიიჩნევს. „კულტურულ-ენობრივი საზოგადოება არის ინდივიდუუმთა ასოციაცია, რომელიც მოცემული ენის მატარებელთა ვერბალურ-ასოციაციური სტრუქტურების ინტერსუბიექტურობაზე (მსგავსებები) და ტრანსპერსონალურობაზეა (გასხვავება) აგებული“.

იღებს რა საფუძვლად ამ დებულებას, დ.ბ. გუდკოვი მიიჩნევს, რომ ამ სტრუქტურების ერთიანობა დაფუძნებულია ლინგვოკულტურული საზოგადოების ინვარიანტული კოლექტიური წარმოდგენების ერთიანობაზე. კოლექტიური ენობრივი ცნობიერების ერთიანობა განსაზღვრავს და განისაზღვრება ცოდნისა და წარმოდგენების გარკვეული ერთიანი, განსაკუთრებულად ორგანიზებული ფონდის ერთიანობით, რომელსაც ავტორი კოგნიტურ ბაზას უწოდებს, რაც, თავის მხრივ, სინამდვილის მოვლენების, და იმ ნორმებისა და შეფასებების სისტემის აღქმის ალგორითმის ერთიანობას განსაზღვრავს, რომელიც ახდენს სოციალური ქცევის მოდელების დეტერმინირებას.

შესავალი

ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა, ერთი მხრივ, და შეცვლილი სამყაროს ობიექტური პირობები – მეორე მხრივ, გარდაუვლად მოითხოვს როგორც კარგად ნაცნობ, ისე ახალი დროისათვის აქტუალური პრობლემების ხელახალ გააზრებას, ამიტომაც შემთხვევითი როდია ანტროპოცენტრისტულ პარადიგმაში შემავალ ისეთი მიმართულებისადმი ინტერესის მკვეთრი გაზრდა, როგორიცაა ეთნოფსიქოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, კოგნიტური ლინგვისტიკა, სამეტყველო აქტების თეორია, კულტურათაშორისი კომუნიკაცია და ა.შ.

ენის როგორც ერის კულტურული კოდის, და არა უბრალოდ როგორც კომუნიკაციისა და შეცნობის იარაღის განხილვა ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა, ვინაიდან ენის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია შევაღწიოთ არა მარტო ერის თანამედროვე ცნობიერების სამყაროში, არამედ გამოვავლინოთ მის სიღრმისელ პლასტებში დალექილი წარმოდგენები სამყაროზე, საზოგადოებაზე და თვით ადამიანებზე. როგორც ცნობილია, გარდასულ ეპოქათა გამოძახილებს, რომელთაც

საუკუნეებს გაუძლეს, დღესაც ვპოულობთ ენობრივ მასალაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა წარმოადგენს ძირითად წყაროს, რომლის მეშვეობითაც ადამიანი აცნობიერებს სამყაროს შესახებ ინფორმაციის უმეტეს ნაწილს. ვინაიდან ადამიანი ცხოვრობს მის მიერ ინტელექტუალური, სულიერი, სოციალური მოთხოვნილებებისთვის შექმნილი კონცეპტების სამყაროში, რომელშიც საგნებსა და ნივთებს ნაკლები მნიშნელობა ენიჭება მათთან შედარებით, საზოგადოებაში მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად ფლობს ის სიტყვას, თანაც არა იმდენად მეტყველების კულტურის, რამდენადაც ენის საიდუმლოებებში შეღწევის უნარის თვალსაზრისით. ფილოსოფოსების არ იყოს, თუ ზედმიწევნით გესმის სიტყვის არსი, რომელიც ამა თუ იმ საგანს, მოვლენას აღნიშნავს, უფრო ადვილად შეგიძლია მართო ნივთიერი სამყარო.

ენის ანთროპოცენტრულობის იდეა დღეს საყოველთაოდ მიღებული გახდა და ადამიანის შესახებ წარმოდგენის შექმნაში ენობრივ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ბუნებრივია, რომ ახალი მეცნიერული პარადიგმის გამოჩენა ახალ ამოცანებს აყენებს ენის მკვლევართა წინაშე და მოითხოვს მისი აღწერის ახალ მეთოდიკას, ენობრივი ერთეულების, კატეგორიების, წესების ანალიზის ახალ მიდგომებს. ანთროპოცენტრული პარადიგმის არსია – მკვლევარის ინტერესების გადართვა შეცნობის ობიექტისგან სუბიექტზე, ე.ი. ანალიზირდება „ენა ადამიანში“ და „ადამიანი ენაში“.

ძირითადი ნაწილი

ახალი პარადიგმის ერთ-ერთი ფუძემდებლური პოსტულატია ლ. ვიტგენშტაინის თეზისი: „სამყარო ფაქტების და არა ნივთების ერთობლიობაა“. თანდათან მოხდა ენის რეორიენტირება ფაქტზე, მოვლენაზე, ხოლო ყურადღების ცენტრში დადგა ენის მატარებლის პიროვნება (ი.ნ. კარაულოვის ტერმინოლოგიით „ენობრივი პიროვნება“), შეიცვალა საგნის კონსტრუირების ხერხები, ტრანსფორმაცია განიცადა თავად კვლევის საერთო პრინციპებისა და მეთოდების შერჩევისადმი მიდგომამ, გამოჩნდა ლინგვისტური აღწერის რამდენიმე, კონკურენტული მეტაენა, და როგორც ვ.ა.მასლოვა აღნიშნავს: „ანთროპოცენტრული პარადიგმის ფორმირებამ ლინგვისტური პრობლემატიკის ადამიანისკენ და კულტურაში მისი ადგილისკენ მობრუნებამდე მიგვიყვანა, ვინაიდან კულტურისა და კულტურული ტრადიციის ყურადღების ცენტრში ენობრივი პიროვნება დადგა მთელი მისი მრავალფეროვნებით. მე – ფიზიკური, მე – სოციალური, მე – ინტელექტუალური, მე – ემოციური, მე – მეტყველი და მოაზროვნე... პიროვნების ნებისმიერ სუბსტანციაზე ზემოქმედებით შესაძლებელია ადრესატის პიროვნების ნებისმიერ სხვა მხარეზე ზემოქმედება. ამრიგად, ენობრივი პიროვნება კომუნიკაციაში შედის როგორც მრავალი ასპექტის მქონე, და ეს შეეფარდება სამეტყველო ურთიერთობის სტრატეგიებსა და ტაქტიკებს, კომუნიკანტების სოციალურ და ფსიქოლოგიურ როლებს, კომუნიკაციაში ჩართული ინფორმაციის კულტურულ მნიშვნელობას“ (1. 33.გვ.15).

ანთროპოცენტრული პარადიგმის მიერ პირველ ადგილზე ადამიანის წინ წამოწევა ამავდროულად ეფუძნება ენის, როგორც ადამიანის მთავარი მაკონსტრუირებელი მახასიათებლის აღიარებას. ენა, იჭრება რა ყველა აზროვნებით პროცესში, ქმნის ახალ მენტალურ სივრცეებს და გამოჰყავს ადამიანი უშუალო დაკვირვების ფარგლებს გარეთ. ენა გამოხატავს ადამიანის აზრის მოძრაობას, აგებს შესაძლო სამყაროებს, აღბეჭდავს რა თავის თავში აზრის დინამიკას და ვერბალური საშუალებებით მისი წარმოდგენის ხერხებს.

ანთროპოცენტრული პარადიგმის ფარგლებში ფორმირებულ ძირითად მიმართულებებს შორის უნდა აღინიშნოს ლინგვოკულტუროლოგია, კოგნიტური ლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოფსიქოლინგვისტიკა და ა.შ. თუ ლინგვოკულტუროლოგიას აინტერესებს ენა, როგორც კულტურის ფენომენი, რომელიც ეროვნული ენის პრიზმაში ახდენს სამყაროს გარკვეული ხედვის რეალიზებას, კოგნიტური ლინგვისტიკა იყენებს (ოპერირებს) „ინფორმაციის ცნების“ და „ცოდნის სტრუქტურების“კატეგორიებს, რაც ინფორმაციის გონებით დამუშავებასა და მის ენობრივ ფორმებში რეპრეზენტაციის მექანიზმების არსებობას გულისხმობს.

თუკოგნიტურილინგვისტიკა,კოგნიტოლოგიის შემქმნელ სხვა მიმართულებებთან ერთად (კოგნიტური ფსიქოლოგია და კოგნიტური სოციოლოგია) ცდილობს უპასუხოს კითხვას იმაზე, თუ როგორ არის ორგანიზებული ადამიანის გონება, როგორ შეიცნობს ადამიანი სამყაროს, რომელი ინფორმაცია სამყაროს შესახებ იქცევა ცოდნად, როგორ იქმნება მენტალური სივრცეები, კულტუროლოგია მთელ ყურადღებას უთმობს ადამიანს კულტურაში და მის ენას, რაც შემდეგი საკითხების გადაჭრას მოითხოვს: როგორს ხედავს ადამიანი სამყაროს, როგორია მეტაფორის და სიმბოლოს როლი

კულტურაში, როგორია ფრაზეოლოგიზმების როლი კულტურის რეპრეზენტაციაში და ა.შ. ეთნოლინგვისტიკაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მიმართულება თავის ყურადღებას კულტურასთან, ხალხურ ზნე-ჩვეულებებთან, საზოგადოების ან მთლიანად ერის სოციალურ სტრუქტურასთან ენის კავშირების შესწავლაზეა ფოკუსირებული. ეთნოსი განიხილება როგორც ადამიანთა ენობრივი, ტრადიციულ-კულტურული ერთიანობა, რომლებიც გამთლიანებულია ერთიანი წარმოდგენებით მათ წარმომავლობაზე, ისტორიულ ბედზე. გამაერთიანებელ ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე ენის, კულტურის და ფსიქიკის თავისებურებებისა და ჯგუფური ერთიანობის თვითშეგნება.

ეთნიკური თვითშეგნება – ეთნოსის წევრების მიერ თავისი ჯგუფური ერთიანობის და სხვა ანალოგიური ფორმირებებისგან განსხვავების გაცნობიერებაა. ეთნოლინგვისტიკის მიზანი მეცნიერებს ისტორიულ რეტროსპექტივაში ესახებათ, ე.ი. ეროვნული სტერეოტიპების გამოვლენაში, სამყაროს „ეროვნული“ სურათის გამოვლენაში. ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკასთან დაკავშირებულია ისეთი დისციპლინა, როგორიცაა ეთნოფსიქოლინგვისტიკა. ეთნოფსიქოლინგვისტიკის ძირითადი პრინციპების ფორმულირებისას, ვ. ვ. კრასნიხი აღნიშნავს: „ეთნოფსიქოლინგვისტიკა (ეფლ) მოიაზრება როგორც მიმართულება, რომელიც მეტყველებით საქმიანობას ეროვნულკულტურული სპეციფიკის პლანსა და დისკურსის ეროვნულ-კულტურული მდგენელის გათვალისწინებით განიხილავს. ის ასევე იკვლევს ენობრივი ცნობიერებისა და კომუნიკაციის ეთნოფსიქოლინგვისტურ დეტერმინირებულობას. ეთნოფსიქოლინგვისტიკის შესწავლის ობიექტია იმ სამეტყველო მოვლენების ან სამეტყველო სიტუაციების ერთობლიობა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ეროვნული დისკურსის პირობებში. ეთნოფსიქოლინგვისტიკის საგანია ეროვნული დისკურსი მისი სპეციფიკის განმაპირობებელი გამოვლინებებისა და ფაქტორების მთელ ერთობლიობაში... დისკურსი მოიაზრება, როგორც ვერბალიზებული მეტყველებით-აზროვნებითი საქმიანობა, რომელიც წარმოგვიდგება როგორც პროცესის და შედეგის ერთობლიობა და რომელსაც ორი პლანი აქვს: საკუთრივ-ლინგვისტური და კოგნიტური. დისკურსი როგორც პროცესი თავად არის ვერბალიზებადი საქმიანობა. დისკურსი როგორც შედეგი წარმოგვიდგება ტექსტების ერთობლიობის სახით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დისკურსის საკუთრივ-ლინგვისტური პლანი (ასპექტი) დაკავშირებულია ენასთან. გამოყენებული ენობრივი საშუალებებით ის თავის თავის მანიფესტირებას ახდენს, ხოლო დისკურსი, როგორც შედეგი წარმოშობილი ტექსტების ერთობლიობაში მჟღავნდება. დისკურსის ლინგვოკოგნიტური პლანი დაკავშირებულია ენობრივ ცნობიერებასთან, განაპირობებს ენობრივი საშუალებების შერჩევას, გავლენას ახდენს ტექსტების წარმოქმნაზე (და აღქმაზე), მჟღავნდება რა კონტექსტში და პრესუპოზიციაში (დისკურსი როგორც პროცესი). დისკურსი წარმოადგენს ერთიან ორგანიზმს, რომელშიც ერთდროულად რეალიზდება არა მარტო ენის, არამედ ენობრივი აზროვნების სრულიად სხვადასხვაგვარი ასპექტები“ (2,62).

მიუხედავად ზოგადთეორიული მოსაზრებების გარკვეული განსხვავებისა, ყველა მითითებული მიმართულება ზოგადი ანთროპოცენტრული განწყობით ერთიანდება. ადამიანი, როგორც ენობრივი პიროვნება, წარმოადგენს არა განყენებულ ცნებას, არამედ გარკვეული კულტურის მატარებელია, გარკვეული სოციუმის წარმომადგენელი, რაც მის ეთნოლინგვოსოციალურ სტატუსს განაპირობებს. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა კულტურის გაგების გასაღები ანთროპოცენტრისტული პარადიგმის სფეროში ძევს. კონფლიქტური სიტუაციების უმეტესობა, რომლებიც ინოფონებთან ურთიერთობისას წარმოიქმნება, კომუნიკანტების ეროვნულ-კულტურული თავისებურებების იგნორირების ფაქტორთან არის დაკავშირებული. საინტერესოა, რომ ახლახანს წარმოქმნილი მიმართულება – „ლინგვო-კონფლიქტოლოგია“ ამოცანად ისახავს შესაძლო საკონფლიქტო სიტუაციების წარმოქმნის კვლევას და მათი თავიდან აცილებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას. ამა თუ იმ ერის მენტალიტეტის ცოდნის პირველი და აუცილებელი პირობაა. ენობრივი ცნობიერება, რომელიც კულტურის საკვანძო ცნებებს გარკვეული კონცეპტების სახით აფიქსირებს, მსოფლიოს ერთიანი, მთლიანი სურათის სახით წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად „სამყაროს მატერიალური საფუძვლის ერთიანობისა“, ეს უკანასკნელი სხვადასხვა კულტურის მიერ სხვადასხვაგვარად აღიქმება, რაც სინამდვილის ენობრივი მანიფესტაციის ფორმებშიც გამოიხატება. (3,20)

ჩვენი სტატიის კვლევის მიზანმა განსაზღვრა ცალკეული კერძო ამოცანები: 1) ლინგვოკოგნიტური პოზიციებიდან დასაბუთდეს კონცეპტ „კომუნიკაციის“ ბირთვული სემების შინაარსი და ეთნომენტალური ბუნება; 2) გაირკვეს „კო-

მუნიკაციის“ კონცეპტუალური ველის სტრუქ-ტურირების ძირითადი პრინციპები; 3) დადგინდეს კონცეპტ „კომუნიკაციის“ რეალიზაციის აზრობ-რივი და ემოციურ-ფსიქოლოგიური „ეკოსფერო“; 4) დადგინდეს „კომუნიკაციის“ კონცეპტუალურ-სემანტიკური ველის შემადგენლობაში ინტერაქ-ციული დიალოგური სტრუქტურის კომპონენტთა ლინგვოპრაგმატიკა და როლი კონცეფტის ინტერ-პრეტაციის საქმეში.

ეთნიკურ ერთიანობაში ენა აკავშირებს ადა-მიანებს კონცეპტების მეშვეობით, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა კულტურული საზოგადოებები ერთი ენით სარგებლობენ და, პირიქით, არსებობს ადამიანები, რომლებსაც თავისი კულტურული ერთიანობა შეცნობილი აქვთ, მაგრამ სხვადასხვა ენებს იყენებენ. როგორც სამართლიანად მიიჩნევს დ.ბ. გუდკოვი, „ნორმას“ მაინც ენის, კულტურის, ეთნოსის ერთიანობა წარმოადგენს. ტერმინ „ლინგვოკულტურული სა-ზოგადოების“ (ნაცვლად „ეთნოსისა“) გამოყენე-ბით მას ყურადღების აქცენტი გადააქვს ამგვა-რი მთლიანობის არა იმდენად ბიოლოგიურ, გენეტიკურ, გეოგრაფიულ მხარეზე (რაც ნების-მიერი შემთხვევაში ეთნოსის ცნებასთანაა დაკავ-შირებული), არამედ მის წევრთა ენობრივ და კულტურულ ერთიანობაზე.

ლინგვოკულტურული ცნობიერების ერთ-ერთ ძირითად მაინტეგრირებელ/ მადიფერენცირებელ ნიშნად ავტორი მის წევრთა ენობრივი ცნობიერების ინვარიანტული ნაწილის ერთიანობას მიიჩნევს. „კულტურულ-ენობრივი საზოგადოება არის ინდი-ვიდუუმთა ასოციაცია, რომელიც მოცემული ენის მატარებელთა ვერბალურ-ასოციაციური სტრუქტუ-რების ინტერსუბიექტურობაზე (მსგავსებები) და ტრანსპერსონალურობაზეა (გასხვავება) აგებული“.

იღებს რა საფუძვლად ამ დებულებას, დ.ბ. გუდკოვი მიიჩნევს, რომ ამ სტრუქტურების ერ-თიანობა დაფუძნებულია ლინგვოკულტურული საზოგადოების ინვარიანტული კოლექტიური წარმოდგენების ერთიანობაზე. კოლექტიური ენობრივი ცნობიერების ერთიანობა განსაზღვრავს და განისაზღვრება ცოდნისა და წარმოდგენების გარკვეული ერთიანი, განსაკუთრებულად ორგანი-ზებული ფონდის ერთიანობით, რომელსაც ავტორი კოგნიტურ ბაზას უწოდებს, რაც, თავის მხრივ, სინამდვილის მოვლენების, და იმ ნორმებისა და შეფასებების სისტემის აღქმის ალგორითმის ერთიანობას განსაზღვრავს, რომელიც ახდენს სოციალური ქცევის მოდელების დეტერმინირებას.

ჩვენ შეცეცადეთ ცნობიერებისა და მისი რეპრეზენტაციის ფორმების თანაფარდობასთან დაკავშირებული სხვადასხვა თვალსაზრისი წარ-მოგვედგინა, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვევ-ლინა სპეფიციკური კატეგორიის – „ენობრივი ცნობიერების“ ჩვენეული გაგება. აზროვნების ურთიერთობა მისი დამოკიდებულება რეპრეზენ-ტაციის ვერბალურ ფორმასთან (საკითხის ისტო-რიის პოზიციიდან) სხვადასხვა კონცეფციებში აისახა. ჩვენთვის მისაღებია შემდეგი პარადიგმა, რომელსაც ტ.ა. ფესენკოს დავესესხეთ.ავტორი რამდენიმე შესაძლებელ ვარიანტს გამოყოფს:

1) აზროვნება ენასთან არის გაიგივებული. საუბარი (მეტყველება) ხმამაღალი აზროვნების სინონიმიურია, ხოლო არაგამოხატული აზოვნება – საუბრისა (გონებაში, შინაგანად). ეს კონცეფცია უკიდურესად საწინააღმდეგო შეხედულებებს აერთიანებს, პლატონისგან – ბიჰევიორისტებამდე.

2) აზროვნება არის ენა, მაგრამ ენა არ არის აზროვნება. მოცემული კონცეფცია ამოდის იმ პოსტულატიდან, რომ აზროვნება (ე.ი. ფსიქოფი-ზიოლოგიურ და ნეიროფიზიოლოგიურ დონეზე მიმდინარე პროცესი) ხორციელდება საკუთარი ენის ფორმებში (რასაც ფსიქოლოგთა ტერმინოლოგიით ეწოდება „შინაგანი მეტყველება“, რომლის პრედი-კატული სტრუქტურა „მეტყველებაში გადაკო-დირდება“). ამ კონცეფციაში ორი თვალსაზრისია წარმოდგენილი: ა) სამყაროს გაცნობიერება მხოლოდ გონებაში (აზროვნებაში) ხდება, ენის დახმარების გარეშე, თუმცა ეს უკანასკნელი, ნიშნების სხვა სისტემებთან ერთად, შეიძლება აზროვნების საყრდენად გვემსახურებოდეს („ინდი-ფერენტული მიდგომა“); ბ) ენა აზროვნების ფიქ-საციის და შეცნობილის გადაცემის საშუალების სახით მხოლოდ დაბრკოლებას წარმოადგენს („სკეპტიკური მიდგომა“).

3) ენა არის აზროვნება, მაგრამ აზროვნება არ არის ენა. აზროვნება და საუბარი (მეტყველება) განიხილება როგორც ერთი პროცესის სხვადასხვა მხარე. ენისა და ინტელექტის განვითარება ურთიერთგანპირობებულია, მაგრამ არ არის ერთმანეთის შედეგი. აზროვნება შესაძლებელია ენის გარეშე, მაგრამ მეტყველება აზროვნების მონაწილეობის გარეშე გამორიცხულია.

4) აზროვნება არ არის ენა, და არც ენა არ არის აზროვნება. აზროვნება და ენა ქცევის სხვადასხვა ტიპებად გვესახება, ვინაიდან ადამიანი ჯერ ფიქრობს, და მხოლოდ შემდეგ საუბრობს.

5) აზროვნების ტიპები მრავალფეროვანია და სხვადასხვანაირად არის დაკავშირებული ენას-თან. ტ.ა.ფესენკო იზიარებს როგორც ვერბალური,

ისე არავერბალური აზროვნების რეალობის თვალსაზრისს, ვინაიდან ადამიანის ტვინის ნეირონულ კავშირებში რეალური სინამდვილის ასახვის პროცესი აბსტრაქციის ორ საფეხურზე რეალიზდება – როგორც მგრძნობელობითი აზროვნება და როგორც ლოგიკური, რომლებიც სხვადასხვაგვარად შეეფარდება ბუნებრივ ენას. შესაბამისად, ადამიანურ აზრს არა აქვს რაიმე რეპრეზენტაციის კონკრეტული და ერთადერთი ვარიანტი.

წინამდებარე თავის ამოცანა იყო კონკრეტული მასალის საინტერპრეტაციოდ აუცილებელი თეორიული წინაპირობების განსაზღვრა.

1. ჩვენ ამოვდივართ იქიდან, რომ ენობრივი და კოგნიტური ცნობიერება არ არის გაიგივებული (ერთი და იგივე), თუმცაღა მნიშვნელოვანწილად კვეთენ ერთმანეთს. ენობრივ ცნობიერებას აქვს ენობრივი ბუნება და თავის თავს ენაში მანიფესტირებს, რომელიც ადამიანის აზრის საუკეთესო ანარეკლი და გამოხატულებაა. მეორე მხრივ, ჩვენი ცნობიერება თავის ასახვას ენობრივი დონის ერთეულებში არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ნაწილობრივად პოულობს.

2. ენობრივი ცნობიერება საფუძველია ლინგვოკულტურული საზოგადოებისა, ე.ი. ადამიანთა ჯგუფისა, რომელიც გაერთიანებულია მასში შემავალ ინდივიდთა კულტურის ერთიანობით. კოლექტიური ენობრივი ცნობიერების ერთიანობა განისაზღვრება ცოდნისა და წარმოდგენების განსაკუთრებულად ორგანიზებული ფონდის ერთიანობით, რომელსაც კოგნიტური ბაზა ეწოდება.

3. ადამიანის მენტალური სამყარო კულტურის საკვანძო კონცეპტებში რეალიზდება, რომლებიც სამყაროს სურათის საბაზო ერთეულებს წარმოადგენს. ეროვნული ხასიათისა და სამყაროს სურათის კვლევა უნდა ეფუძნებოდეს კულტურის საკვანძო კონცეპტებს, რომლებიც კოლექტიური ენობრივი ცნობიერების ბუნებას ასახავენ.

4. მენტალიტეტის ინტერპრეტაციისას ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ არა მის განსაზღვრებას, როგორც „სამყაროს გულუბრყვილო მთლიანი სურათისა მის ღირებულებით ორიენტირებში“, არამედ მენტალობას როგორც სამყაროს ჭვრეტას მშობლიური ენის კატეგორიებსა და ფორმებში, რომელიც შეცნობის პროცესში აერთიანებს ინტელექტუალურ, სულიერ, ნებელობით თვისებებს მის ტიპიურ გამოვლინებებში.

5. ჩვენ ამოვდივართ მოსაზრებიდან, რომ ეთნოკულტურული სპეციფიკის კვლევები ყველაზე მკაფიოდ და ნათლად კონცეფტთან დაკავშირებულ კვლევებში მჟღავნდება, რის დადასტურებასაც მომდევნო თავში ვეცდებით.

დასკვნა

ამ პრობლემის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობის დახასიათებისას უპრიანია მოვიშველიოთ ი.ა. ბოდუენ დე კურტენეს სიტყვები: „ენობრივი მოვლენები, სხვა სახის მოვლენათა მსგავსად, ერთი შეხედვით, ქაოსს, უწესრიგობას, არეულობას წარმოადგენს. ადამიანის გონებას აქვს თანდაყოლილი უნარი ამ მოჩვენებით ქაოსში მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აღმოაჩინოს, შეიტანოს სინათლე, სიმწყობრე წესრიგი, სისტემატურობა“.

გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის გონებას შესწევს თანდაყოლილი უნარი გაანათოს ქაოსი და აღმოაჩინოს მასში სიმწყობრე, წესრიგი, სისტემატურობა და მიზეზობრივი კავშირი, ვეცდებით პირველ რიგში შევარჩიოთ შესაბამისი თეორიული წანამძღვრები, რომელთაც შეუძლია მიზანმიმართულად დაგვაკვალიანონ კონკრეტული ემპირიული მასალის ინტერპრეტაციის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Маслова А.А. Введение в лингвокультурологию. – М., 1997.
2. Красных В.В. Коммуникация в свете лингвокогнитивного подхода // Функциональные исследования. Вып. 3. – М., 1997
3. დავით გოცირიძე - რჩეული ნაშრომები, თბილისი, 2020წ.

Main directions of language and consciousness research in the anthropocentric paradigm

Nana Gabadadze
Doctor of Philological Sciences

Summary

In the ethnic unity, the language connects people by means of concepts, though there are cases, when different cultural societies use one and the same language and, on the contrary, there are humans, who realise their cultural unity but use different languages. As D.B. Gudkov justly notes, still the unity of language, culture, and ethnos is a "norm". Using the term "linguocultural society" (instead of "ethnos") he emphasizes and pinpoints attention not so much on biological, genetical, geographic aspects of such integrity (that is associated with the notion of ethnos in any case), as on linguistic and cultural unity of its members.

In author's opinion, the unity of invariant part of linguistic consciousness of this society's members is one of the main integrating/differentiating criteria of linguocultural consciousness. "Cultural-linguistic society is the association of individuals, which is built on intersubjectivity (similarities) and transpersonality (dictinctions) of verbal-associative structures of this language speakers".

Taking this provision as a ground, D.B. Gudkov supposes that the unity of these structures is based on the unity of invariant collective representation of linguocultural society. The unity of collective linguistic representation determines and is determined by the unity of some united, specially arranged fund of knowledge and representations that is called a cognitive base by the author that, in its turn, identifies the unity of reality phenomena, and perception algorithm of that system of standards and evaluations, which determines social behavior models.

We tried to demonstrate different viewpoint related to ratio between consciousness and its representation forms that enables us to manifest our understanding of specific category – "linguistic consciousness". Relationship of thinking and its dependence on verbal forms of representation (from the perspective of question history) is reflected in different concepts. For us there is acceptable the following paradigm that we borrowed from T.A. Fesenko. Author singles out several options.

kay words: systemacity, linguistic, communication, material, science

კონფლიქტოლოგია

CONFLICTOLOGY

ბავშვთა გამოყენება მებრძოლებად შეიარაღებულ კონფლიქტებში და მათი დაცვის მექანიზმები

ზაზა გაბუნია, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში „ბავშვთა გამოყენება მებრძოლებად შეიარაღებულ კონფლიქტებში და მათი დაცვის მექანიზმები“ მოცემული და განხილულია თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა, არასრულწლოვნების ჩართულობა საბრძოლო ოპერაციებში, მათი გამოყენება მებრძოლებად თავიანთი სურვილით ან მათი ნების საწინააღმდეგოდ. საუბარია იმაზე, თუ რამდენად აქტუალური და სერიოზულია აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილია სტატისტიკა, სადაც ნაჩვენებია მებრძოლი ბავშვების და მათი გარდაცვალების მონაცემები. ასევე რა ზომებს იღებს და რა ღონისძიებებს ატარებს საერთაშორისო საზოგადოება დასმული საკითხის პრევენციის მიზნით და რამდენად ეფექტურია მათ მიერ შექმნილი ეს პრევენციის მექანიზმები.

საუბარია მებრძოლი ბავშვების დაცვის მექანიზმებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. პირველად როდის მიიღეს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია. ასევე პირველივე თავში განხილულია გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ. როდის მიიღეს იგი და შემდეგ განვითარების რა ეტაპები გაიარა. შემდეგ განხილულია აფრიკული ქარტია ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა აფრიკის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ 1990 წლის 11 ივლისს და რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 29 ნოემბერს. შემდეგ ქვეთავად წარმოდგენილია კონვენცია, რომელიც ეხება ბავშვთა მძიმე შრომას, დასახელებით „კონვენცია ბავშვთა მძიმე შრომის შესახებ“.

განხილულია ის თუ როგორი ყურადღება დაეთმო აღნიშნულ საკითხს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჭრილში და რა პრევენციულ მექანიზმებს შეიცავს იგი. აქვე ასევე მოცემულია განმარტება, თუ რა არის შეიარაღებული კონფლიქტები.

მოცემულია „ბავშვი კომბადანტი და სამხედრო ტყვის სტატუსი“. ჩაშლილი და ახსნილია მისი არსი და მნიშვნელობა.

საუბარია „ჩვეულებრივ სამართალზე“, სადაც მოცემულია ის თუ რა ითვლება საერთაშორისო ჩვეულებით სამართლის ნორმად და რა მნიშვნელობის მატარებელია იგი და ასევე საუბარია იმაზე თუ რა ხარვეზები აქვს ზემოთ აღნიშნულ „ჩვეულებით სამართლის ნორმას“.

საკვანძო სიტყვები: „სამართალი“, „შეიარაღებული კონფლიქტები“, „ბავშვთა დაცვის მექანიზმები“, „პრევენციის მექანიზმები“, „საერთაშორისო სამართალი“.

შესავალი

ბოლო დროს, მსოფლიოში არსებული შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად დაახლოებით 2 მილიონი ბავშვია გარდაცვლილი, 5 მილიონამდე დასახიჩრებული, ხოლო 12 მილიონი მოწყვეტილია საკუთარ ოჯახს. 10 მილიონი ბავშვი კი განიცდის კონფლიქტის შედეგად მიყენებულ ფსიქოლოგიურ ტრამვას. ძალიან გავრცელებული პრობლემაა ბავშვთა გამოყენება უშუალოდ შეიარაღებულ კონფლიქტებში. დღესდღეობით მსოფლიოში დაახლოებით 250000 ბავშვი მებრძოლია. 20 მილიონი ბავშვია დაღუპული შეიარაღებულ კონფლიქტებში უშუალო მონაწილეობის შედეგად. აღნიშნული კონფლიქტების დროს თვით სახელმწიფოებისა

და დაჯგუფებების მიერ ხდება ბავშვთა ამგვარი გამოყენება. მათი კონფლიქტებში ჩართულობა გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: გაწვევა, გატაცება, არასრულწლოვნების საკუთარი ნებით შეერთება მებრძოლებთან, რადგან მათ მიაჩნიათ რომ ისინი ამით საკუთარ ოჯახებს დაიცავენ და სხვა მსგავსი მრავალი მიზეზი.

საერთაშორისო სამართლით 15 წელს ქვემოთ ბავშვების სამხედრო სამსახურში გაწვევა და მათი გამოყენება მებრძოლებად აკრძალულია, უფრო მეტიც, ასეთი ქმედება ითვლეა ომის დანაშაულად საერთაშორისო ომის სამართალში. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით პიროვნება 18 წლამდე ითვლება ბავშვად. საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს უყურადღებოდ არ დატოვოს ასეთი ფაქტები და ქმნის ბავშვთა დაცვის სხვადასხვა მექანიზმს. მაგრამ რამდენად ეფექტურია ეს მექანიზმები? მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის, თუ რამდენად ეფექტურია სანქციები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჩაიდენენ ამ ტიპის დანაშაულს. ასევე საინტერესოა განვიხილოთ თუ რა დაცვის მექანიზმებს აწესებს საერთაშორისო სამართალი ასეთი ბავშვების მიმართ.

სტატიის მიზანია არსებული არსებული დაცვის მექანიზმების განხილვა და მათი ეფექტურობის შესწავლა. ყოველივე ამის მისაღწევად თემაში განხილული იქნება: პირველი თავი დაეთმობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არსებული დაცვის მექანიზმების განხილვას. მეორე თავი დაეთმობა საერთაშორისო თუ არა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს ბავშვთა ზოგადი და სპეციალური დაცვის საკითხები. ხოლო ბოლო თავი დაეთმობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევებს.

მებრძოლ ბავშვთა დაცვის მექანიზმები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აუცილებელი გახდა შექმნილიყო რაიმე სამართლებლივი ინ-სტრუმენტი, რომლის საშუალებითაც, სახელ-მწიფოები, მათი იურიზდიქციია ფარგლებში, განახორციელებდნენ ადამიანის ეფლებათა დაცვას? 1948 წელს მოხდა ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მირება, რომელსაც სავალდებულო ძალა არ გააჩნდა, თუმცა ეს იყო საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი, რასაც 1950ნწელს მოჰყვა სავალდებულო ძალის მქონე რეგიონალური შეთანხმების-ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შექმნა. 1966 წელს იქმნება კიდევ ორი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი-პაქტები „სამოქალაქო და პოლიტიკური ურთიერთობების“ და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. პირველ რიგში, ბავშვები დაცულები არიან ზოგადად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არსებული ნომრებით და შემდგომ კონკრეტულად იმ დაცვის მექანიზმებით, რაც უშუალოდ ბავშვებს ეხება.

1923 წელს ერთა ლიგის ფარგლებში მოხდა ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მირება, რომელიც ჟენევის დეკლარაციის სახელითაა ცნობილი. ის 1924 წელს დამტკიცდა ერთა ლიგის მეხუთე ასამბლიაზე. 1948 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაციის უფრო სრული ვერსია, ხოლო 1959 წელს-უკვე დეკლარაცია-ბავშვთა დაცვისა და კეთილღეობის პრინციპების შესახებ. ამის შემდეგ გაეროს გენერალური ასამბლიის მიერ მიღებული იქნა ბავშვის უფლებათა კონვენცია, რაც ერთ-ერთ მთავარ დოკუმენტად გვევლინება ბავშვების უფლებათა დაცვის სფეროში.

გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ

1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს და მოიცავს ბავშვთა ფუნდამენტურ უფლებებს. კონვენციამ უნივერსალური აღიარება მოიპოვა. იგი რატიფიცირებულია 192 სახელმწიფოს მიერ. ეს დოკუმენტი რატიფიცირებული არ აქვს აშშ-ს, სამხრეთ სუდანს და სომალს, თუმცა უკანასკნელმა ორმა განაცხადა მზაობა და სურვილი ახლო მომავალში კონვენციის რატიფიცირების.

კონვენციის პირველ მუხლში მოცემულია „ბავშვის“ სამართლებრივი დეფინიცია: „წინამდე-ბარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლე-ბოდა 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას“. ასეთ პირებზე სახელმწიფოები იღებენ ვალდე-ბულებას განახორციელონ კონვენციით განსაზ-ღვრული უფლებათა დაცვა.

აფრიკული ქარტია ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ

აფრიკის კონტინენტზე უამრავი ბავშვი მებ-რძოლია. აფრიკული ქარტია ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ, მირებულია აფრიკის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ 1990 წლის 11 ივლისს და ძალაში შევიდა 1999 წლის 29 ნოემბერს.

დოკუმენტის მე-2 მუხლი ადგენს ბავშვის სამარ-თლებრივ განმარტებას, რომლის მიხედვითაც ბავშვად ჩაითვლება ყველა პირი 18 წლამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლში რაიმე გამო-

ნაკლისის დაშვებას ასაკთან მიმართებაში არ ვხვდებით.

საყურადღებოა 22-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ქარტიის მონაწილე ყველა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა არ მოხდეს საბრძოლო მოქმედებებში ბავშვთა პირდაპირი გამოყენება და სახელმწიფოებმა უარი თქვან მათ გაწვევაზე სამხედრო სამსახურში. აქ იგულისხმება, როგორც სავალდებულო გაწვევა, ისე ნებაყოფლობითი მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტებში. როგორც ვხედავთ, აფრიკულ ქარტიაშიც აკრძალულია ბავშვთა გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტებში, თუმცა არაფერია ნათქვამი საბრძოლო მოქმედებებში ბავშვთა არაპირდაპირ გამოყენებაზე. მსგავსი ელემენტის უგულებელყოფა საკმაოდ ასუსტებს სამართლებრივი დაცვის მოცემულ მექანიზმს.

ერთი შეხედვით ზემოთ ხსენებული ქარტია სხვა დოკუმენტებთან შედარებით, მკაცრად იცავს 18 წლამდე პირებს და არ უშვებს ასაკობრივ გამონაკლისს. პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ნებისმიერი ჩვეულება, ტრადიცია, კულტურული ან რელიგიური პრაქტიკა, რომელიც შეუთავსებელია ქარტიაში მოცემულ რაიმე უფლებასთან უარყოფილი იქნება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქარტია იცავს 18 წლამდე ასაკის პირებს სამხედრო სამსახურისგან, როგორც შეიარაღებული კონფლიქტების დროს, ასევე მშვიდობიანობის პერიოდში.

მებრძოლ ბავშვთა დაცვის მექანიზმები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

განვიხილეთ რა მებრძოლ ბავშვთა დაცვის მექანიზმები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კუთხით, მნიშვნელოვანია ამავე მიზნით, იგივე პრობლემას დავუთმოთ ყურადღება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჭრილში.

ჰუმანიტარული სამართალი განსაზღვრავს ომის წარმოების მეთოდებს და საშუალებებს და შეიარაღებული კონფლიქტების დროს იცავს იმ პირებს, რომლებიც არ ან ვეღარ მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში. სამართლებრივი ჩარჩოა ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი 1977 წლის დამატებითი ოქმები. მიუხედავად იმისა, რომ ჟენევის კონვენციები უშუალოდ არ ეხება ბავშვთა მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტებში, ისინი გვთავაზობენ ბავშვთა დაცვას საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო კონფლიქტის დროს. ბავშვები სარგებლობენ ზოგადი დაცვით, როგორც სამოქალაქო პირები, რომლებიც არ მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში, ხოლო ჟენევის მე-3 და მე-4 კონვენციები და პირველი და მეორე დამატებითი ოქმები სპეციალური დაცვის სამართლებრივ ჩარჩოს აყალიბებს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გვთავაზობს ბავშვთა დაცვის სპეციალურ და ზოგად რეჟიმს.

ჟენევის 1949 წლის პირველი კონვენცია იცავს შეიარაღებულ კონფლიქტში დაჭრილებს და ავადმყოფ პირებს. მე-2 კონვენცია იცავს საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილ ასეთ პირებს. მე-3 კონვენცია ეხება სამხედრო ტყვეთა მოპყრობის წესებს. მე-4 კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას.

განვმარტოთ რა არის შეიარაღებული კონფლიქტი: შეიარარებული კონფლიქტი არსებობს მაშინ, როდესაც ხდება სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული ძალების გამოყენება ან ხდება ხანგრძლივი შეიარაღებული ძალადობა ორგანიზებულ დაჯგუფებასა და სახელმწიფო ძალებს შორის, ან სახელმწიფოს შიგნით არსებული მსგავსი ხასიათის ჯგუფებს შორის.

ჩვეულებითი სამართალი

როგორც უკვე ავღნიშნე, 15 წლამდე ბავშვთა გამოყენების აკრძალვა შეიარაღებულ კონფლიქტებში არის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფოს ეკისრება მოვალეობა, არ დაარღვიოს ჩვეულებითი სამართლით აღიარებული ნორმა მიუხედავად იმისა, შესაბამისი ხელსეკრულების მონაწილეა თუ არა მოცემული სახელმწიფო, ასევე მიუხედავად კონფლიქტის ხასიათისა. მაგრამ მთავარ ფაქტორად რჩება ის, რომ ბავშვთა უფლებათა კონვენციით ბავშვის სამართლებრივი დეფინიცია ბავშვის ასაკს განსაზღვრავს18 წელს ქვემოთ. გამოდის, რომ 15-18 წლამდე ბავშვები რჩებიან დაუცველნი. საერთაშორისო წითელი ჯვრის კომენტარებში ნახსენებია, რომ კონვენციის რატიფიკაციასთან დაკავშირებით, ასაკთან მიმართებით, იყო გარკვეული წინააღმდეგობები, კერძოდ, ჰოლანდიის, ესპანეთისა და ურუგვაის წარმომადგენლებმა მოითხოვეს რეკრუტირების 18 წლამდე დაუშვებლობის პრინციპის ჩამოყალიბება. აგრეთვე 1999 წელს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 27-ე კონფერენციაზე, ურუგვაი, შვედეთი, დანია, კანადა და სხვა ქვეყნებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს ასაკობრივი ზღვრის აწევას, რის შედეგადაც, აღნიშნული აღნიშნული მხარდაჭერილი ჩამოყალიბებული პრინციპი გახდებოდა. ჩემი აზრით თუ მოხდება აღნიშნულ კონვენციათა დაცვა და ამ საკითხს თავად სახელმწიფოები უფრო განამტკიცებენ პრაქტიკაში, აღნიშნული პრაქტიკა დიდი ალბათობით ჩამოყალიბდება ჩვეულებად, რომლის ძალითაც მოხ-

დება 18 წლამდე პირთა საბძოლო მოქმედებებში გამოყენების აკრძალვის განმტკიცება.

დასკვნა

სტატიაში შეჯამებული არის ის სამართლებრივი დაცვის ის მექანიზმები, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კონტექსტში. კერძოდ, განხილული იქნა გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, რომელმაც წარმოგვიდგინა ბავშვის სამართლებრივი ასაკი - 18 წელი- და მისი დამატებითი ოქმი შეიარაღებულ ქონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ, რომელშიც წარმოდგენილია შედარებით მკაცრი სამართლებრივი ენა. აგრეთვე ყურადღება გამახვილდა აფრიკის ქარტიაზე- „ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ". მიუხედავად ყოველივე ხსენებულისა, ვფიქრობ არსებული დაცვის მექანიზმები საკმაოდ სუსტია, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია დავინახოთ ის დადებითი ნაბიჯები, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება დგამს ამ საკითხთან დაკავშირებით რბილი სამართლის ფარგლებში, მცდელობა, რომ ჩამოყალიბდეს ნორმა, რომელიც 18 წლამდე პირების საბრძოლო მოქმედებაში გამოყენებას უპირობოდ აკრძალვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. The United Nations Cinvention on the Rights of the Childe 1190;
2. African Charter on the Rights and Walfare of the Childe 1999;
3. Worst Froms if Childe Labour Convention (N182) 1999;
4. Protokol 1 Additional to the Geneva Convention 1977;
5. Protokol 2 Additional to the Geneva Convention 1977;
6. ქეთევან ხუციშვილი, გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები.

Use of children as combatants in armed conflicts and their protection mechanisms

Zaza Gabunia, PhD student of GTU

Summary

The article "The use of children as combatants in armed conflicts and their protection mechanisms" presents and discusses one of the biggest challenges of the modern world, the involvement of minors in combat operations, their use as combatants willingly or against their will. In the introductory part, the conversation begins with how relevant and serious the mentioned issue is. Statistics are presented showing the data of child fighters and their deaths. Also, what measures is taken and what measures is taken by the international community in order to prevent the issue and how effective are these prevention mechanisms created by them.

The first chapter talks about the protection mechanisms of combatant children in international human rights law. When was the Universal Declaration of Human Rights adopted for the first time? The first chapter also discusses the UN Convention on the Rights of the Child. When was it adopted and then what stages of development did it go through? It then discusses the African Charter on the Rights and Welfare of the Child, which was adopted by the member states of the African Organization on 11 July 1990 and which entered into force on 29 November 1999. The following sub-chapter presents the Convention on Child Hard Labor under the title "Convention on Child Hard Labor".

The second chapter of the article was devoted to the protection mechanisms of combatant children in international humanitarian law. It is discussed what kind of attention was paid to the mentioned issue in terms of international humanitarian law and what preventive mechanisms it contains. It also provides a definition of what armed conflicts are.

In the same chapter, the next sub-chapter is "Child combatant and the status of a prisoner of war". Its essence and meaning are broken down and explained.

As for the third chapter, here we are talking about "customary law", where it is given what is considered a norm of international customary law and what meaning it carries, and it also talks about the shortcomings of the above-mentioned "norm of customary law".

Key words: "law", "armed conflicts", "child protection mechanisms", "prevention mechanisms", "international law".

დრონებით ომი თანამედროვე კონფლიქტებში

ლექსო წაველიძე, სტუ მაგისტრი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თანამედროვე მსოფლიოში ომების მიმდინარეობისას დრონების გამოყენების პრაქტიკა; თუ რა ტიპის დრონებს იყენებენ განვითარებული ქვეყნები ტერორიზმთან ბრძოლაში და დრონების გამოყენების სამართლებრივი ასპექტები.

ნაშრომში გაანალიზებულია თუ რა განწყობას იწვევს საზოგადოებაში და რამდენად კანონიერია უპილოტო საფრენი აპარატის გამოყენება კონფლიქტების მიმდინარეობისას.

ასევე, გამახვიებულია ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან ასპექტზე, როგორიცაა ბ. ობამას დოქტრინა დრონების შესახებ, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა ბუშის დოქტრინისგან, რომელიც ემხრობოდა დიდი რაოდენობით ძალის გამოყენებას კონფლიქტის რეგიონში.

ნაშრომში მოყვანილია დრონების გამოყენების წარმატებული მაგალითები და გაანალიზებულია, თუ რამდენად ნაკლებად სარისკოა ამ აპარატების გამოყენება კონფლიქტის დროს, ვიდრე სახმელეთო და პილოტიანი საფრენი აპარატების გამოყენება.

აღნიშნული უპილოტო საფრენი აპარატები გამოყენებული იქნა წარმატებით ტერორისტული ლიდერების გასანადგურებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც იყვნენ: პაკისტანის თალიბანის სარდალი, ანვარალ-ავლაკი, ბაითულამეჰსუდი, რომლის ვიდეოები და ვებგვერდები ანტიამერიკული ტერორიზმისკენ მოუწოდებდნენ ხალხს იემენში.

მოცემული სტატიის მთავარი მიზანია ანალიზი, თუ რამდენად სამართლიანია დრონებით ომი თანამედროვე მსოფლიოში. დღეს-დღეისობით ტექნოლოგიების განვითარება თითქმის ყველა სახელმწიფო აპარატს შეეხო, რაც შეეხება სპეც სამსახურებს და შეიარაღებულ ძალებს დრონები, უკვე მხარს უჭერენ ცოცახალ ძალას განვითარებულ ქვეყნებში და ეს მიდგომა მართებულია. დღეს უკვე ომების წარმოება აღარ ხდება ხმალით და ცხენებით, როდესაც ჯარისკაცის გადარჩენის ალბათობა უფრო დიდი იყო ვიდრე დღევანდელ კონფლიქტებში.

შეიარაღებული ძალების განვითარებასთან ერთად ვითარდებიან ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებთან ბრძოლაც ცოცხალი ძალით დანაკარგს იწვევს და მათთან საბრძოლველათ საუკეთესო საშუალება, დრონია, რომელიც რობოტის მოვალეობას ასრულებს

სტატიაში ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ისრაელისა და რუსეთის შეთანხმება უპილოტო აპარატის კოდების გადაცემასთან დაკავშირებით 2008 წ. რა როლს ასრულებს უპილოტო საფრენი აპარატები საქართველოს უსაფრთხოებისთვის და რამდენად გამოიყენება დრონები სამოქალაქო საკითხებში კერძოდ „საპოლიციო სისტემაში“, გამოთქმულია ვარაუდი თუ, რა პერსპექტივა არსებობს დრონებისთვის თანამედროვე კონფლიქტებში და შესაძლებელია თუ არა ომის თეატრი მთლიანათ დრონებმა დაიკავონ.

საკვანძო სიტყვები: უპილოტო საფრენი აპარატები, ტერორიზმი, ობამას დოქტრინა, ომის თეატრი.

შესავალი

ომის განვითარებაში შეიძლება გამოვიყენოთ რამდენიმე სტადია: პირველი თაობა თანამედროვე ომის ყალიბდება საფრანგეთის რევოლუციასთან ერთად საყოველთაო გაწვევის პირობებში, რევოლუციის შედეგად წამოჭრილმა ნაციონალისტურმა იდეებმა მოახდინა ბრძოლის ეროვნული ნიშნით მოტივირება. მეორე თაობის ომისთვის გადამწყვეტი იყო საცეცხლე ტექნოლოგიების გაუმჯობესება, რაც განაპირობა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა ინდუსტრიული რევოლუციის დროს. მესამე თაობის ომი გახდა ტაქტიკური მანევრებისა და სტრატეგიის, რომლის საუკეთესო გამოვლინება იყო გერმანელთა მოქმედებები მეორე მსოფლიო ომის დროს, მეოთხე თაობის ომი (თანამედროვე ომი) ხასითდება შერეული სტრატეგიით და ტექნოლოგიების მაქსიმალური ინტეგრირებით საბრძოლო პროცესებში, რომ დღეს ბრძოლაში ჩართულ ყველა მხარეს მეტნაკლებად თანაბრად მიუწვდება ხელი ტექნოლოგიურ სიახლეებზე, რაც დამატებით კომპლექსურობას სძენს თანამედროვე კონფლიქტებს. ტექნოლოგიური განვითარება ცვლის, როგორც ბრძოლის ბუნებას, ასევე წარმოების მეთოდებს და წარმოდგენებს ომზე. თუ ადრეული განვითარების ხანაში, ციხე-სიმაგრეების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვანი უპირატესობა მიანიჭა მათ ვინც თავს იცავდა, მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს ცეცხლსასროლი იარაღის მზარდმა გავრცელებამ, არსებული სასახლეთა სისტემა

არაეფექტური გახადა. არტილერიის გამოჩენამ თავდასხმითი სტრატეგიის უპირატესობა კიდევ უფრო გააღრმავა. პირველ მსოფლიო ომამდე, ცეცხლსასროლი და მობილური იარაღის გაუმჯობესების გამო, თავდასხმითი სტრატეგია წარმატების უმთავრეს გარანტად მიიჩნეოდა, თუმცა ეს წარმოდგენა შეიცვალა პირველი მსოფლიო ომის დროს გამოყენებული აქტიური სასანგრე სისტემების გამო. მეორე მსოფლიო ომმა და ბირთვული იარაღის გამოყენებამ, თავდაცვა-თავდასხმის ბალანსი კიდევ ერთხელ შემოაბრუნა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ (ჯერვისი, 2011, pp. 99-101). მაიკლ შიჰანის ანალიზის მიხედვით, 1815-1910 წლებში გამართული ომების 80%-ში გაიმარჯვეს იმ მთავრობებმა, რომლებმაც ომი წამოიწყეს, თუმცა, 1910-1965 წლებში, წამომწყებთა 60%-მა განიცადა მარცხი (Sheehan, 2006, p. 175)ცივი ომის პერიოდში, ბირთვული წესრიგის პირობებში, სტრატეგიული შეკავება ომისა და მშვიდობის თვისებრივად ახალ ჩარჩოს გვთავაზობდა.ამ პერიოდში დაგროვილმა ტექნოლოგიურმა ცოდნამ გამოვლინება 1991 წლის ყურის ომში (Gulf War) ჰპოვა, აშშ-ს შეიარაღებული ძალების დიდმა უპირატესობამ, საბოლოოდ მიმართა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ყურადღება ტექნოლოგიებისა და ბრძოლის მეთოდების არსებით კავშირზე. თერთმეტი სექტემბრის შემდგომ, შეიარაღებულ კანფლიქტებში სულ უფრო აქტიურად გვხვდება უპილოტო საფრენი აპარატები, ე.წ დრონები; მათი გამოყენების ინტენსივობა გაიზარდა პრეზიდენტი ბარაკ ობამას ადმინისტრაციის პირობებში. დრონების გამოყენება აჩენს მრავალ კითხვას, როგორც მათ გრძელვადიან ეფექტურობაზე, ისე მათ ეთიკურობაზე.

ძირითადი ნაწილი

წინამდებარე სტატიის მიზანია კრიტიკულად გავაანალიზო უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება თანამედროვე კონფლიქტებში. ვეცდებით პასუხი გავცეთ შემდგომ კვლევით კითხვებს:

1. რა თვისებრივი განსხვავებებია დრონებსა და სხვა მანამდე არსებულ ტექნოლოგიურ მიღწევებს შორის, ომის წარმოების თვალსაზრისით.
2. რამდენად ეფექტურია უპილოტო საფრენი აპარატებით ომი.
3. როგორია საზოგადოებრივი რეაქციები და რა ეთიკურპრობლემებს აჩენს მათი გამოყენება. რამდენად თავსებადია დრონებით ომი სამართლიანი ომის თანამედროვე ჩარჩოსთან.

ყველა სხვა საშუალებას შორის, დრონებით ბრძოლა განსაკუთრებით ეფექტურია, ვინაიდან ამ დროს მინიმუმამდე დაიყვანება ადამიანური დანაკარგი, თავდამსხმელი ძალის რიგებში. თუმცა დისკრიმინაცია სამოქალაქო და მებრძოლ პირებს შორის, თითქმის შეუძლებელი ხდება. შესაბამისად, არსებობს საფრთხე იმისა, რომ ბრძოლის შედეგად გადაილახოს ის წითელი ხაზები, რომელთა დაცვას, შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ პროფესიონალი სამხედროები. რაციონალური თვალსაზრისით თითქოს არაფერი სჯობს, მოწინააღმდეგის განადგურებას, ასეულობით კოლომეტრის მანძილზე განლაგებული სამართავი პუნქტიდან, მაგრამ შესაძლებელია დრონებით ბრძოლას მოჰყვეს სამიზნე საზოგადოების მკაცრი უკურეაქცია, მოსახლეობის რადიკალიზაცია როგორც წესი, ართულებს უმთავრესი მიზნის (მშვიდობის დამყარების) მიღწევას. ამდენად ძალზედ მნიშვნელოვანია კრიტიკული გააზრება ზოგადი სურათის, სადაც ერთდოულად რამდენიმე ასპექტი იქნება თავმოყრილი. დრონების პოპულარულობა დემოკრატიულ ქვეყნებში აიხსნება ხალხის მზარდად პაციფისტური ორიენტაციის საგარეო პოლიტიკის მიმართ. ვინაიდან გადასახადის გადამხდელებს აღარ სურთ იხილონ საკუთარი ჯარისკაცების მსხვერპლი და ამასთან დიდი ფინანსური რესურსის გაღება გრძელვადიან საბრძოლო კამპანიებში, ქვეყნების ინვესტიცია დრონების წარმოებაში მზარდია, ხოლო აპარატების ხვედრითი წილი ბრძოლებში სულ უფრო იზრდება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზოგადი ეფექტურობისა, დრონები შესაძლოა ხელში ჩაუვარდეთ, როგორც სახელმწიფოებს, ისე არასახელმწიფოებრივ-არალეგალურ დაჯგუფებებს, რაც დამატებითი საზრუნავია თანამედროვე უსაფრთხოების პოლიტიკის შემოქმედთთათვის. მართალია დიდი ზომის დრონების შეძენა-შენარჩუ-ნებას, იფრასტრუქტურული და მატერიალური ბაზა სჭირდება, მაგრამ შედარებით დაბალი კალიბრის აპარატები, ხელმისაწვდომია ე. წ შავ ბაზარზე. ასევე საჭიროა ითქვას, რომ სერიოზული ოპერაციის დაგეგმისათვის ადამიანური ძალის გამოყენებით, აუცილებელია წინასწარი პრაქტიკული და ტაქტიკური მომზადება, რაც ძვირი და სახიფათოა. დრონების გამოყენებისას კი, ეს პრობლემა ნაწილობრივ მოხსნილია.

უპილოტო სამხედრო აპარატები შეიარაღებულ ძალებში და მათი გამოყენება

საერთაშორისო თავდაცვის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტები მსოფლიოში, ესესაა იწყებენ უპოლოტო საფრენი აპარატების სხვადასხვა

დანიშნულების მიხედვით ადაპტირებას. მთავრობებმა კარგად იციან მიმდინარე კვლევების ეფექტურობა, შესაბამისად, ცდილობენ არ ჩამორჩენ მოვლენათა განვითარებას. მაგალითად, ევროპის კავშირის კომისიამ წარადგინა ახალი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 1.5 მილიონი ევროს გადაცემას იარაღის მწარმოებელი კომპანიებისთვის, ახალი სამხედრო ტექნოლოგიების განვითარების მიზნით. მიუხედავად ამისა, ხელის ზომის **ბლექჰორნეტიდან** დაწყებული, 40 მეტრიანი **გლობალჰოკამდე,** სამხედრო დრონები იმდენად განსხვავდებიან, რომ არცერთ ცალკეულ კომპანიას, ან თუნდაც სახელმწიფოს, არძალუძს გახდეს დომინანტი მათ წარმოებაში. თუმცა, 90-მდე ქვეყანას აქვს დრონები საკუთარ სამხედრო არსენალში, მხოლოდ 11 მათგანს ემსახურება შეიარაღებული უპილოტო საფრენი აპარატები. მათი წარმომავლობა შემდეგია (DW, 2017):

მიკრო და ნანოდრონები

მწერების ზომის ჯაშუში მანქანები, რომლებიც სამეცნიერო ფანტასტიკაში გვხვდებოდა, ბოლო წლებში, ბრძოლის განუყოფელი შემადგენელია. ყველაზე კარგი მაგალითი 1/4 ინჩიანი ბლექჰორნეტია, რომელსაც ბრიტანელი ჯარისკაცები იყენებდნენ კედლების მიღმა დაკვირვებისთვის ავღანეთში (2013 წ.) გერმანელი სამხედროები უპირატესობას ლუნა-ს ანიჭებენ, იგი როგორც წესი, ინახება ხელსაწყოთა ქამარში და ჯარისკაცს მისი კონტროლი შეუძლია ხელის ტერფის ზომის სამართავი პილტიდან, რომელზეც ასევე ჩანს გამოსახულება დრონში ჩამონტაჟებული სამიკამერიდან. ბლექჰორნეტს, რომელსაც აწარმოებს ნორვეგიული კომპანია პროქსდინამიკსი, შეუძლია ერთი დამუხტვით 25 წუთის ფრენა, ციფრული კავშირი ტერმინალსა და აპარატს შორის ხორციელდება 1.6 კილომეტრ მანძილზე. 2014 წელს, კომპანიამ ბლექჰორნეტი აღჭურვა ღამის ხედვითა და ინფრა წითელი განათებით.

მცირე ტაქტიკური დრონები

მიუხედავად იმისა, რომ ამ ზომის დრონების ჯიბით ტარება შეუძლებელია, ჯარისკაცს მაინც შეუძლია დახმარების გარეშე მისი მართვა. ასეთი დრონია ფულმარი, მსუბუქი დაზვერვითი საფრენი აპარატი, რომელიც ცაში 12 საათის განმავლობაში ძლებს დაფარავს 90 კილომეტრს. ფულმარის სერია შეიქმნა ფრანგული მულტინაციონალური კომპანიის თალესის მიერ დაზვერვის, მიყურადღების, მიზნის ამოცნობისა და მსგავსი ოპერაციების შესასრულებლად. ამავე კლასის დრონია გერმანული ალადინი, ის დამზადებულია EMT-სმიერდა 15 კილომეტრიანი ფრენისრადიუსი აქვს. აშშ-ს შეიარაღებული ძალები, ამკლასში, უპირატესობას ანიჭებს რეივენს, ადგილობრივი წარმოების საფრენ აპარატს.

საშუალო ზომის დაზვერვის დრონები

სამხედრო დრონების ყველაზე დიდ სეგემენტს საშუალო ზომის "მუშა ცხენები" შეადგენენ (ტერმინი რომელსაც დრონების ექსპერტი ულრიკე ფრანკე ხმარობს). ამ ტიპის აპარატების საფრენი არეალი საშუალოა და იყოფიან ორ ნაწილად: ა) საშუალო სიმაღლისა და დიდი გამძლეობის; ბ) მაღალი სიმაღლისა და დიდი გამძლეობის.

ამ კლასში, ერთ-ერთი უმთავრესიუ დრონია ჰერონი, რომელიც მზადდება ისრაელის საჰაერო სივრცის ინდუსტრიის მიერ, სწორედ ამ დრონების ყიდვას აპირებს ბუნდესვერი უახლოეს მომავალში. დრონს, რომელიც 1000 კილოს იწონის ფრთათა სიგანი 16 მეტრი აქვს და შეუძლია იფრინოს 52 საათი 10.000 მეტრ სიმაღლეზე, დაახლოებით ასეთია კომერციული თვითმფრინავების მაჩვენებელი. ჰორონი შედის აშშ-ს, კანადის, თურქეთისა და მაროკოს შეიარაღების ნუსხაში.

გერმანია იყენებს ადგილობრივი წარმოების ლუნას. ამ დრონს, რომელსაც ბუნდესვერი ბოლო წლებია ენდობა, ათასობით კილომეტრი აქვს ნაფრენი 2000 წლის კოსოვოს კამპანიის შემდეგ, ის ჰორონზე ბევრად იაფია, მაგრამ მისი ფრენის სივრცე მხოლოდ 100 კილომეტრია.

დიდი საბრძოლო და დაზვერვითი დრონები

ყველაზე ცნობადი დიდი ზომის საბრძოლო დრონები გამოიყენება შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებში და მათი მართვა ხდება სატელიტური კავშირით აშშ-ს ტერიტორიიდან სამიზნე ტერიტორიაზე. პრედატორი და მისი ახალი, უფრო დიდი ზომის ნათესავი რიპერი მზადდება ამერიკული კომპანიის ჯენერალ ატომიკსის მიერ და გამოყენებული ყოფილა ისეთ ტერიტორიებზე სადაც აშშ ოფიციალურად არ აწარმოებს ომს. რიპერი შესაძლებელია აღიჭურვოს როგორც ცა-მიწა რაკეტებით, ისე ლაზერული მართვის ჭურვებით, მას შეუძლია ათასობით მილის გავლა და უწყვეტი ფრენა 14 საათის განმავლობაში. აღნიშნულ მოდელებს იყენებენ ნატოს სხვა წევრი ქვეყნებიც: დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი და ნიდერლანდები. დრონის ჩინური ანალოგი CH-46 გვხვდება ეგვიპტისა და ერაყის შეიარაღებაში.

გლობალ ჰოკის მწარმოებელი ამერიკული ნორთროპ გრუმანია; აპარატი ყველაზე დიდი და ძვირია სხვა ანალოგებს შორის. ერთი მოწყობი-

ლობის ფასი 131 მილიონ დოლარს შეადგენს, საბაზო ინფრასტრუქტურის გარეშე. გლობალ ჰოკი დაფრინავს კომერციული საჰაერო თვითმფრინავებზე მაღლა 18.000 მეტრ სიმაღლეზე.

მიუხედავად იმისა, რომ მას ძირითადად კონფლიქტურ ზონებში იყენებენ, გლობალ ჰოკის დანიშნულება არ არის აუცილებლად სამხედრო, მას შეუძლია შეითავსოს სიგნალების ჩაჭრისა და მიყურადების ფუნქციები.

დღეს ნორთორპი ერთადერთი კომპანიაა, რომელიც მსგავსი ზომის დრონებს აწარმოებს, თუმცა მომავალში უნდა ველოდოთ ჩინური ანალოგების გაჩენას (Brown, 2017).

უპილოტო საფრენი აპარატის მუშაობის პრინციპი დადანიშნულება უპილოტო საფრენი აპარატის მუშაობის პრინციპს რაც შეეხება სისტემა შედგება უპილოტო საფრენი აპარატისა და სახმელეთო დისტანციური მართვის სეგმენტებისაგან. ფრენის მართვა ხორციელდება დინსტანციური მართვით, რაც შეეხება აფრენას ხორციელდება პნევმატური კატაპულტის მეშვეობით: უპილოტო აპარატის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზებისთვის რომლებიცაა:

1. სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება
2. ბრძოლის ველზე ქვეითი ქვედანაყოფების ცეცხლით უზრუნველყოფა
3. ბრძოლის ველზე თვალყურის დევნა
4. საჰაერო ფოტოგადაღება
5. სანაპირო დაცვის უზრუნველყოფა
6. ბრძოლის ველზე დაჭრილების, დახოცილების შეფასება და ინფორმაციის მიწოდება ზემდგომ შტაბზე
7. ღამით დაზვერვა
8. სტიქიური უბედურების ზედამხედველობა საპოლიციო სტრუქტურებზე დახმარება (დამნაშავის იდენთიფიკაცია)

უპილოტო საფრენი აპარატები აღჭურვილია დღისა და ღამის სადაზვერვო სისტემებით, მისი უშუალო დანიშნულებაა: მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის ადგილმდებარეობის დაგენა ბრძოლის ველის პირდაპირი ტრანსლაცია ზემდგომ შტაბთან რადგან კორდინაცია და კარგი კავშირი ქვედანაყოფთან აუცილებელია ოპერაციის წარმატების შესრულებისთვის. საფრენი აპარატი ფრენას ახორციელებს ნებისმიერ ბუნებრივ პირობებში თვითმფრინავს აქვს ფრენის ორ ირეჟიმი: ონლაინ რეჟიმში რადიომართვით და სრულ რადიოსიჩუმეში ავტონომიურ. ონლაინრეჟიმში თვითმფრინავის მართვა რადიოსიხშირით ხორციელდება, მისი ჩახშობის შემთხვევაში კი ფრენა ავტონომიურ რეჟიმში ავტოპილოტით გრძელდება. სადაზვერვო ოპტიკური მოწყობილობები თვითმფრინავის წინა ნაწილშია დაყენებული, სპეციალურ გიროსტაბილიზებულ პლატფორმაზე დღეღამური ხედვის ორსიბრტყეში მოძრავი კამერაა დამონტაჟებული. ფოტო გადაღებისთვის კი თვითმფრინავი აღჭურვილია ფოტო აპარატით. თვითმფრინავის ძალურ დანადგარს წარმოადგენს 3,5 ცხენის ძალის მქონე შიდა წვის ძრავი. თვითმფრინავთან ერთად უპილოტო საჰაერო სისტემის კომპლექტში შედის რადიომართვის ანტენა, პნევმატური გამშვები მექანიზმი და მართვის კომპიუტერული სისტემა.

სამართლიანი ომის ცნება და მისი განვითარება

განსჯა ომის სამართლიანობაზე არ შეწყვეტილა ანტიკური ხანიდან დღემდე. მიუხედავად სისატიკისა, რომელიც ბრძოლებს ახასიათებს ადამიანები მაინც საჭიროებდნენ საკუთარი ქმედებების გამართლებას სხვადასხვა მორალური, თუ ფილოსოფიური არგუმენტებით. ანალიზისათვის აუცილებელია გამოიყოს ომთან დაკავშირებული სამი ტიპის სამართალი: Jus ad bellum - ომის უფლება (რა გვაიძულებს ვიომოთ?), Jus in bello - ომის წარმოების სამართალი (როგორ ვომობთ), jus post bellum (როგორ ვექცევით დამარცხებულს). იმისათვის რომ ომი მიჩნეულ იქნას სამართლიანად, აუცილებელია დაცული იყოს ბრძოლის წესები პროცესის სამივე ფაზის დროს (Stahn, 2006). პირველი მოსაზრებები სამართლიანი ომის შესახებ ძველ წელთაღრიცხვამდე, ანტიკურ ფილოსოფიაში გვხვდება, თუმცა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ადრე ქრისტიანული მიდგომები, რომლებსაც ავითარებდნენ ნეტარი ავგუსტინე და თომა აქვინელი. მათთვის ომი წარმოადგენდა ბოროტების განგათავისუფლების გზას, რომელიც როგორც ყველაფერი სხვა, ღვთის დაშვებით ჩნდებოდა ადამიანთა ცხოვრებაში. ავგუსტინე მიიჩნევდა, რომ ომის მკვლელობები ჯარისკაცს მიეტევება, რადგან ღვთის განგებას, მირონცხებული მეფის ხელდასმით ასრულებს, თუმცა ომში მიმავალნი უნდა ყოფილიყვნენ მჭმუნვარენი და არ ექციათ ბრძოლა გართობად, არც თავის გამოჩენის ასპარეზად. ავგუსტინესთვის ომის წამოწყება სამართლიანი იყო, თუ ის მიზნად ისახავდა ამორალური ქცევის ერის დასჯას, მოკავშირეთა დახმარებას, ანაც წართმეულის დაბრუნებას. მისი მიხედვით, ომის წარმოებისას აუცილებელი იყო მებრძოლთა და არამებრძოლთა დისკრიმინაცია, ასევე საფრთხის პროპორციული ძალის გამოყენება, ასევე მნიშვნელოვანი იყო მტერთან ღირსეული

მოპყრობა (Langan, 1984). თომა აქვინელი ხაზს უსვამდა სამართლიანი მიზეზისა და განზრახვის აუცილებლობას ომის წამოწყებისას. მისი აზრით, თუ განზრახვა არ შეესაბამება მიზეზს, ომი ვერ იქნება სამართლიანი. მაგალითად, შეიძლება მთავარმა ომის მიზეზად ტყვეთა გათავისუფლება დაასახელოს, თუმცა სინამდვილეში მისი განზრახვა ადგილობრივთა ქონების დატაცება იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობებს სწორედ ესმიდგომები ედო საფუძვლად, ისტორიული მოვლენები მოწმობს, თუ რაოდენ ხშირი იყო ავგუსტინესა და თომა აქვინელის პრინციპებიდან გადახვევა.

ჰუგოგროციუსმა, საინტერესო ახსნა მოუძებნა სამართლიან ომს, მისი თქმით:

„ღმერთს სურს რომ ჩვენ (ა) დავიცვათ თავი, (ბ) შევინარჩუნოთ ცხოვრებისეული აუცილებლობები, (გ) მივიღოთ ის, რაც გვეკუთვნის, (დ) დავსაჯოთ ავაზაკებიდა (ე) ამავდროულად დავიცვათ სახელმწიფო... მაგრამ ეს ღვთაებრივი მიზნები, ზოგჯერ მოითხოვს ომის წარმოებას... მაშასადამე, ღმერთის ნებაა ზოგი ომის არსებობა... ვერავინ უარყოფს რომ რაც ღვთის ნებაა სამართლიანია, ასე რომ ზოგი ომი სამართლიანია. “ (Grotius, 2011)

აღსანიშნავია, რომ კლაუზევიცის ცნობილი ფორმულა: “ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, სხვა ხერხებით, ”ლეგიტიმაციას ანიჭებდა ნებისმიერ ომს და მას პოლიტიკის უმთავრეს იარაღად განიხილავდა. თუმცა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე, ომის გაგება შეიცვალა და მას მანკიერ პრაქტიკად, ანაც ბოლო გამოსავლად მოიხსენიებენ. საერთაშორისო სამართალმა, მაქსიმალურად შეამცირა სივრცე, სადაც ომი შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს. თანამედროვე ამერიკელი მეცნიერი, მაიკლუოლცერი აჯამებს მიდგომებს დ ააღნიშნავს, რომ ომის წამოწყება (Jus ad bellum) შესაძლებელია თუ არსებობს (Walzer, 2006):

1. სამართლიანი მიზეზი
2. სწორი განზრახვა
3. სწორი აღმასრულებელი (ომის გამომცხადებელი)
4. მიზნის პროპორციულობა
5. (არის) ბოლო გამოსავალი
6. წარმატების რაციონალური იმედი
7. მშვიდობა, როგორც უმთავრესი მიზანი

ავტორის აზრით, ბრძოლისას (Jus in bello) აუცილებელია სამოქალაქო მსხვერპლის თავიდან არიდება, ხოლო გამოყენებული ძალა უნდა იყოს გამარჯვებისთვის საკმარისი (არამეტი).

ნაშრომის საჭიროებიდან გამომდინარე, აუცილებელია ვისაუბროთ, Jus post bellum-ზე, რომელიც დღეს მშვიდობის მშენებლობის საფუძველს წარმოადგენს. ომის შემდგომი სამართალის დამკვიდრება ძალზედ რთულია, თუ დარღვეულია სამართლიანი ომის პრინციპები პირველ ორ ფაზაში. მაგალითად, თუ ომის წამომწყებმა ომი ცუდი განზრახვით წამოიწყო, ან ბრძოლაში არ მიმართა დისკრიმინაციას, მაშინ მოწინააღმდეგესთან ბძოლის შემდგომი ზავი გართულდება. დამარცხებული მტერი რევიზიონისტულად განეწყობა და შურისძიების სურვული ომის უმთავრეს სამართლიან მიზანს - მშვიდობის დამყარებას სათუოს გახდის.

სამართლიანი ომი და დრონები

დრონების კანონიერებას, რომ შევეხოთ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფლიმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გაამართლა უპილოტო საფრენი აპარატების მოქმედებები თავის ერთ-ერთ პრესკომფერენციაზე, რომელიც ეხებოდა ქვეყნის უსაფრთხოებას და ანტიტერორისტულ ღონისძიებებს. საუბარი შეეხებოდა ძირითად საფრთხეს, რომელიც ალ-ქაიდასგან და სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებისგან მომდინარეობდა. ობამამ განაცხადა, რომ ვაშინგტონი დაეხმარებოდა მოკავშირე ქვეყნებს (პაკისტანს, იემენს, სომალს) ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე აღნიშნა, რომ თუ ქვეყანა ვერშეძლებს გაუმკლავდეს ტერორისტებს, მაშინ დრონების გამოყენება სამართლიანი იქნება. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ განახორციელებდა დარტყმებს ტერორისტების წინააღმდეგ თუ შესაძლებელი იქნება მათი ცოცხლად აყვანა, უმჯობესი იქნება მათი ცოცხლად აყვანა გამოძიება, ბრალის წაყენება და დასჯა (ამერიკის საგარეოპოლიტიკა გვ.366)

2001 წლის 11 სექტემბრამდე ამერიკის შეერთებული შტატების უპილოტო საფრენი აპარატები რაოდენობა შეადგენდა 200-ზენაკლებ, ხოლო შემდგომი ათი წლის განმავლობაში ეს რიცხვი გაიზარდა 7 ათასამდე რაც შეეხება მათ სახელებს შეგვხვდება- “მტაცებელი”ან“გლობალური ქორი”და ასეშემდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფლიმა პრეზიდენტებმა ბუშმა და ობამამ დრონები გამოიყენეს სხვადასხვა ომებში, კონფლიქტებსა და ანტიტერორისტულ ოპერაციებში (ერაყში, ავღანეთში, პაკისტანში, სომალიში, იემენში). დღეს-დღეისობით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში სამხედრო-საჰაერო ძალები უფრო მეტ პერსონალს წვრთნის უპილოტო საფრენი აპარატებისათვის

ვიდრე პილოტიან სამხედრო ტექნიკისთვის.

რაც შეეხება ობამას დოქტრინას, რომელიც 2011 წლის 28 მარტს ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ლიბიაში სამხედრო ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით განახცადა, ასევე ამ გამოსვლაში გაცხადებული იყო თუ როდის, რატომ და რისთვის უნდა ჩარეულიყო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლები მოცემულ კონფლიქტებში. ობამამ განაცხადა, რომ ამერიკა ყოველთვის ვერ გამოიყენებს სამხედრო ძალას ყველგან მშვიდობის დასამყარებლად, ეს დაკავშირებულია რათქმაუნდა დიდ თანხასთან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ცოცხალ ძალასთან კონფლიქტში ჩართვისას აუცილებელია ინტერესების და მოქმედებების აუცილებლობების ერთმანეთთან დაკავშირება, მისი განცხადებით ლიბიაში მოქმედებების დასაწყებად ამერიკას ქონდა მანდატები საერთაშორისო თანამეგობრობიდან, არაბული ქვეყნების მხარდაჭერა და რაცმთავარია ლიბიელი ხალხი ითხოვდა დახმარებას და დაცვას კადაფის რეჟიმისგან. ამ განხცადბაში მნიშვნელოვანი ისაა რომ ამერიკელი ხალხის კეთილგანწყობასაც მოიპოვებდა ობამა, რომ განაცხადა ამერიკას აქვს შესაძლებლობა ამ ომში ჩაერთოს და მოაგვაროს პრობლემა სახმელეთო ჯარების გამოყენების გარეშე, რომელიც ცოცხალი ჯარის დაღუპვას არ გამოიწვევს, ამით კი კმაყოფილი იქნება ამერიკელი ხალხი, რომ უცხო მიწაზე კიდევ დამატებით ფრონტზე ამერიკა არ გაწირავს საკუთარ ჯარისკაცებს და საწადელ მიზნებს მიაღწევს მხოლოდ მატერიალური ქონების დახმარებით და არაცოცხალი ძალის დაღუპვით.

დრონების გამოყენების მომხრეები კონფლიქტებში ხაზს უსვამენ ამ აპარატების ეფექტიანობას და ლეგალურობას, ობამას დოქტრინა განსხვავდებოდა ბუშის დოქტრინისგან, რომელიც ემხრობოდა დიდი რაოდენობით ძალის გამოყენებას კონფლიქტის რაიონში, რომელიც გამოჩნდა ერაყის მოქმედებების დროს. აღნიშნული უპილოტო საფრენი აპარატები გამოყენებული იქნა წარმატებით ტერორისტული ლიდერების გასანადგურებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც იყვნენ: პაკისტანის თალიბანის სარდალი, ანვარალავლაკი, ბაითულამეჰსუდი, რომლის ვიდეოები და ვებგვერდები ანტიამერიკული ტერორიზმისკენ მოუწოდებდნენ ხალხს იემენში. ამ აპარატების გამოყენება ნაკლებად სარისკოა ვიდრე სახმელეთო და პილოტიანი საფრენი აპარატების გამოყენება კონფლიქტის დროს. დრონების გამოყენების ლეგალიზაციის საკითხი დაიწყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ამერიკის საშინაო კანონმდებლობით მათი გამოყენება ნებადართულია და გამართლებულია ეს აპარატები ასევე აღიარებულია საერთაშორისო სამართლითაც, კერძოდ თავდაცვის უფლებით.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დრონებს განიხილავს მეგობარ ქვეყნებთან ერთად, როგორც "ლეგალური, ეთიკური და გონივრული" ნაბიჯი კონფლიქტის მოსაგვარებლად, დაპირისპირებული მხარეები ყველა არგუმენტს აკრიტიკებს და განმარტავენ, რომ როგორიც არ უნდა იყოს უპილოტო საფრენი აპარატების მეშვეობით სარგებელის მოტანა და წარმატება, უფრო მეტი უარყოფითი ფაქტების შემსწრენი აღმოჩნდა მთელი მსოფლიო: მიღებული სამოქალაქო მსხვერპლი, ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევა, სამაოქალაქო დახოცილი ადამიანების ნათესავების რადიკალიზაცია, სამოქალაქო ინფრასტრუქტორის განადგურება და ასე შემდეგ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად ყურადსაღები იყო პაკისტანის მოქმედებებში კერძოდ: როდესც ამერიკელი ჯარისკაცი კილომეტრებიდან მოშორებით ზის სამხედრო შტაბში და ღილაკის დაწოლით პალისტანში კლავს პატარა ბავშვს, ადამიანური ფაქტორია მისი მამა შურის საძიებლად მიდის ომში ამერიკელების წინააღმდეგ და აქ ალ-ქაიდასთან კავშირი არაფერშუაშია ის უბრალოდ აპირებს სამართლიანობის აღდგენას და შურისძიებას. დღეს-დღეისობით განვითარებული ქვეყნები ახორციელებენ უპილოტო საფრენი აპარატების მშენებლობას და მათ არ ჩამოუვარდებათ ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც ამზადებენ თავდასაცავთ დრონებს სხვადასხვა მოქმედებებისთვის. უპილოტო საფრენ აპარატებმა ფართოაღიარებაჰპოვესდღევანდელმსოფლიოშიდა მათი მოპოვება, როგორც სხვადასხვა ქვეყნებისთვის და ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ასევე ხელმისაწვდომია გავლენიანი ადამიანებისთვის, რომელიც დაეხმარება საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.

ისეთი ქვეყნები, როგორიცა მერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი და ასე შემდეგ(საერთაშორისო სისტემაში წამყვანი ადგილი, რომ უკავიათ) თავიაანთი გეგმების განხორციელებას ყოველთვის შეძლებენ და იმ გეგმების გამართლებას, რომლებიც არ არის სამართლიანი და ეწინააღმდეგება სამართლიან ომს თუნდაც დრონებით ომის წარმოებას.

ოცდამეერთე საუკუნე შეიძლება ჩაითვალოს ტექნოლოგიების განვითარების ეტაპად, რომლის საშუალებით მცირდება დიდი ლაშქრობები ქვეითი

ჯარებით, როელიც გასულ საუკუნებს ახასიათებდათ.

დასკვნა

მოცემული სტატიის მთავარი მიზანია რომ გამეანალიზებინა რამდენად სამართლიანია დრონებით ომი თანამედროვე მსოფლიოში, დღეს-დღეისობით ტექნოლოგიების განვითარება თითქმის ყველა სახელმწიფო აპარატს შეეხო, რაც შეეხება სპეც სამსახურებს და შეიარაღებულ ძალებს დრონები, უკვე მხარს უჭერენ ცოცახალ ძალას განვითარებულ ქვეყნებში, რომელი მიდგომაც მართებულია. დღეს უკვე ომების წარმოება აღარ ხდება ხმალით და ცხენებით, როდესაც ჯარისკაცის გადარჩეის ალბათობა უფრო დიდი იყო ვიდრე დღევანდელ კონფლიქტებში. თუ დრონებით ომს უსამართლოს ვუწოდებთ მაშინ შესაძლებელია არაპირდაპირი ცეცხლის გამოყენებასაც (არტილერიას) იგივე სტატუსი მივანიჭოთ, რადგან ეს იარაღიც ომის თეატრიდან კილომეტრების მოშორებით დგას და ბომბავს ტერიტორიას განურჩევლად სამხედრო და სამოქალაქო პუნქტებისა, დრონები კი მეტად ზუსტი და ლოკალურია, დისტანციური მართვისას უყურებ ეკრანზე რა ადგილს ბომბავ და ვის ესვრი ჭურვს. ომის თეატრს პირდაპირი ტრანსლაციით თვალს ადევნებენ საკომანდო პუქტიდან და გასროლილი ჭურვი წამში ხდება დანიშნულების ადგილას. ის დრო თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი, რომელიც კავშირგაბმულობის დაუხვწელობის გამო იკარგებოდა, სანამ ინფორმაცია მეთაურამდე მივიდოდა და შემდეგ ჭურვის გასროლის ბრძანება მსროლელამდე დაბრუნდებოდა ამ დროში შეიძლებოდა ვითარება სრულიად შეცვლილიყო ბრძოლის ველზე. შეიარაღებული ძალების განვითარებასთან ერთად ვითარდებიან ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებთან ბრძოლაც ცოცხალი ძალით დანაკარგს იწვევს და მათთან საბრძოლველათ საუკეთესო საშუალება, დრონია, რომელიც რობოტის მოვალეობას ასრულებს და მომავლის ომების პროგნოზირებამ, რომ გავაკეთოთ ჩემი აზრით შეიარაღებული ძალები რამდენიმე წლის შემდეგ „დრონიზაციაზე“ გადავა და რობოტების საშუელბით მოხდება თანამედროვე კონფლიქტები. ცოცხალი ძალის დაკარგვის ალბათობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, ეს მიდგომა ძალიან კარგია, თუმცა ამასაც აქვს ერთი უარყოფითი მხარე თუ, რომელიმე X ქვეყანამ ვერ აუწყო ფეხი ტექნოლოგიების განვითარებას და ისეთი აპარატების გამოგონებას, რომლებიც იმეფებენ ბრძოლის ველზე, მოუწევთ დაკარგონ ცოცხალი ძალა მათ გასანადგურებლად

გამოყენეული ლიტერატურა:

1. ჯერვისი, რ. (2011). თავდაცვა, თავდასხმა და უსაფრთხოების დილემა. In რ. არტი, & რ. ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები (pp. 92-115). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. Walzer, M. (2006). Just and Unjust Wars. New York: Basic Books.
3. Civil.GE. (2010, April 10). Civil.GE. Retrieved June 21, 2018, from https://old.civil.ge/geo/article.php?id=25337
4. Civil.ge. (2013, Jule 6). CIVIL.GE. Retrieved June 21, 2018, from https://old.civil.ge/geo/article.php?id=27107
5. Sheehan, M. (2006). Military Security. In A. Collins, Contemporary Security Studies (pp. 169-185). Oxford: Oxford University Press.
6. Stahn, C. (2006). ‘Jus ad bellum’, ‘jus in bello’ . . . ‘jus post bellum’? –Rethinking the Conception of the Law of Armed Force. European Journal of International Law , 921-943..
7. Langan, J. (1984). The Elements of St. Augustine's Just War Theory. The Journal of Religious Ethics , 19-38.
8. DW. (2017, 06 30). Deutsche Welle English. Retrieved from http://www.dw.com/en/a-guide-to-military-drones/a-39441185
9. Grotius, H. (2011). Stanford Encyclopedia of Philosophy. Stanford: Online

Drone Warfare in Modern Conflicts

Lexo Tsavelidze, MA European Studies
Georgian Technical University

Summary

The article discusses the practice of using drones during wars in the modern world; What types of drones are used by developed countries in the fight against terrorism and the legal aspects of using drones.

The article analyzes what moods arouses in society and how legitimate it is to use unmanned aerial vehicles during conflicts.

Also, attention is paid to such an important aspect as the drones doctrine of B. Obama, which contrasted sharply with the doctrine of Bush, who advocated the use of large force means in the conflict region.

The paper provides examples of the successful use of drones and analyzes how the use of these devices in conflict conditions is less risky than the use of ground and manned aircraft. These drones have been used successfully to destroy terrorist leaders in different countries of the world, such as: Pakistani Taliban commander Anwaral-Awlaki, Baitulamehsud, whose videos and websites called for anti-American terrorism in Yemen.

The main purpose of this article is to analyze how fair the war on drones is in the modern world. Today, the development of technology has affected almost all state apparatuses, as far as special services and the armed forces are concerned, drones already support manpower in developed countries, and this approach is justified. Today, wars are no longer fought with swords and horses, when the likelihood of a soldier's survival was higher than in today's conflicts.

Along with the development of the armed forces, terrorist organizations are developing, the fight against them leads to the loss of manpower, and the best way to fight them is a drone that performs the duties of a robot.

The article focused on issues such as the 2008 agreement between Israel and Russia on the transfer of drone codes. What is the role of unmanned aerial vehicles for the security of Georgia and to what extent are drones used in civil affairs, in particular in the "police system", it is suggested what perspective there is for drones in modern conflicts and whether it is possible for drones to occupy the entire theater of war.

საერთაშორისო ურთიერთობები

INTERNATIONAL RELATIONS

საიდან იწყება პატარა ქვეყნის განვითარება და რამდენად მისაღებია ნეიტრალიტეტი თანამედროვე საქართველოსთვის

ნუგზარ დურმიშიძე, სტუ ასოცირებული პროფესორი

სოფიო გაბელაია, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი ეხება მსჯელობას პატარა ქვეყნების ზოგადად და კონკრეტულად საქართველოსთვის სამხედრო-პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, როგორც გადარჩენის და მყარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლო გზასთან დაკავშირებით.

ნეიტრალიტეტი არ არის პანაცეა. ის ყოველთვის ვერ გამოდგება პატარა ქვეყნის უსაფრთხოების გარანტად და ამის არაერთი მაგალითი იცის მსოფლიოს პოლიტიკურმა ისტორიამ. თუნდაც გასული საუკუნის ორი უდიდესი ტრაგედიის - ორი მსოფლიო ომის მძიმე გამოცდილებაც კმარა.

რუსეთს ხშირად „ურჩევია საქართველოსთვის ნეიტრალიტეტის გამოცხადება, განსაკუთრებით აქტიურობდა 2007 წლის შემდეგ, როდესაც ქვეყანას NATO-ში გაერთიანების არცთუ უსაფუძვლო მოლოდინი გაუჩნდა. გასაგებია, რომ ამით მოსკოვი საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პრევენციას ცდილობდა, როდესაც დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ასე უფრო დაცული იქნებოდა საქართველოს უსაფრთხოება, ვიდრე NATO-ში გაწევრიანებით.

რეალურად კი, რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის შემოთავაზებული ნეიტრალიტეტი უფრო მიტმასნებას და სატელიტობას გულისხმობს, რაც დიდი ხნით შეაფერხებდა ქვეყნის დემოკრატიული, ევროპული გზით განვითარებას, სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას და ზოგადად, ხელს შეუშლიდა ყოველგვარ პროგრესს. დაახლოებით ასე იყო ფინეთი ცივი ომის დროს, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ. საქართველოსთვის არც 1921 წლის ტრაგიკული გაკვეთილის დავიწყება იქნებოდა გამართლებული. პირველმა რესპუბლიკამაც ხომ სწორედ რუსეთის „რჩევით“ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ. ნიშანდობლივია ასევე, რომ ნეიტრალიტეტს რუსეთის გარდა არავინ გვთავაზობს; არადა, ასეთი საკითხის გადასაწყვეტად გლობალურ აქტორთა კონსენსუსია საჭირო. ალბათ ესეც საყურადღებოა.

განხილულ იქნა ნეიტრალიტეტის სტატუსის მიღებისათვის აუცილებელი საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური პროცედურები და მზანშეწონილობა უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ავტორთა აზრით, ისტორიის ამ ეტაპზე, საქართველოსთვის ნეიტრალიტეტის გამოცხადება არამიზანშეწონილი იქნებოდა როგორც გეოპოლიტიკური მდებარეობის და რუსეთის ფაქტორის, ტერიტორიული და ფინანსური პრობლემრბის, ასევე იმის გამო რომ ნაკლებად მოსალოდნელია ამ საკითხზე კონსენსუსი დიდ მოთამაშეებს შორის.

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემაში ისეთმა კატეგორიებმა, როგორიცაა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და თუ გნებავთ, ერი-სახელმწიფო, ჩვენს დროში რამდენადმე ახალი, უფრო ასე ვთქვათ, „კონკრეტული“ მნიშვნელობა შეიძინეს, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ძველი, კლასიკური ტრადიციული განმარტებისაგან, რაც

ითვალისწინებს აბსოლუტურ დამოუკიდებლობას ყველა სფეროში, თუმცა საგარეო პოლიტიკაში მაშინაც მეტნაკლებად ერთმანეთზე იყვნენ დამოკიდებული. ამგვარი მიდგომა უფრო ანტიკურ და შუა საუკუნეების ეპოქებს ახასიათებდა, მაგრამ მე-19 საუკუნიდან ვითარება სგრძნობლად შეიცვალა საერთაშორისო პოლიტიკისა და ეკონომიკის უნივერსალიზაციის მიმართულებით, რაც უფრო გაღრმავდა გასულ, მე-20 საუკუნეში, დღეს კი სახეზეა გლობალიზაცია და „დაპატარავებული მსოფლიო“ და შესაბამისად დამოუკიდებლობის ცნების ახალი აზრობრივი დატვირთვა. თუმცა რეალურად ის უფრო ზემლიერი, გლობალური და დიდი სახელმწიფოებისთვის არის ახალი, თორემ პატარა სახელმწიფოებისთვის იგი ყოველთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. პატარა ქვეყნისთვის დამოუკიდებლობა ძირითადად არჩევანის და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის აღების აღების თავისუფლებას ნიშნავს და/ან განვითარების გზისა და სტრატეგიულ მოკავშირეთა არჩევას, რომლის გარეშეც ძალზე გაჭირდება წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა გრძელვადიან პერსპექტივაში.[1]

რამდენადაც ცნობილია და ნაწილობრივ ზემოთაც აღინიშნა, საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სუბიექტები - სახელმწიფოები, რამდენიმე კლასად იყოფიან: ზესახელმწიფოები გლობალური გავლენითა და ამბიციებით; დიდი სახელმწიფოები, რომლებიც მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემების განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობენ და მათ პოზიციას ანგარიშს უწევენ; რეგიონული ძალის ცენტრები, რომლებიც თავიანთი გარემომცველ რეგიონში ლიდერის როლს ასრულებენ; პატარა სახელმწიფოები, რომელთა დანიშნულებაც ლოკალური პრობლემების მოწესრიგებით შემოიფარგლება, ზოგჯერ კი დიდი საერთაშორისო პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელ ობიექტებს წარმოადგენენ ასრულებენ რა ტრანზიტორის, მწარმოებლის ან გეოპოლიტიკური ბუფერის თუ სატელიტის დანიშნულებას. და ბოლოს, დისფუნქციური ანუ არშემდგარი, არაქმედუნარიანი სახელმწიფოები (მაგ.: სომალი, ავღანეთი და ა.შ.). რაც შეეხება არაღიარებულ სეპარატისტულ რეგიონებს, ისინი საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის სუბიექტებს არ წარმოადგენენ. პატარა სახელმწიფოებს, რომელთა რაოდენობაც ყველაზე მეტია მსოფლიოში და მათ შორისაა საქართველოც, ხშირად უწევთ ფიქრი საკუთარ უსაფრთხოებასა და თვითგადარჩენაზე, განსაკუთრებით ისეთი გარემოცვის პირობებში, როგორშიც იმყოფება ჩვენი ქვეყანა და ზოგადად სამხრეთ კავკასიის რეგიონი. ბუნებრივია, ასეთ დროს მთელი პოლიტიკური და დიპლომატიური ძალისხმევა უპირველეს ყოვლისა, გარედან მომდინარე საშიშოებათა პრევენციისა და დაცვის მაქსიმალური გარანტიების უზრუნველყოფისაკენ იქნება მიმართული, რადგან ამის გარეშე, ანუ რამდენადმე მაინც გარანტირებული მშვიდობისა და უსაფრთხოების გარეშე ქვეყნის სახელმწიფოებრივ განვითარებასა და კეთილდღეობაზე ფიქრიც კი უადგილოა. [2] მაგრამ ყველა პატარა ქვეყანას ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის თავისი გზა დამოდელი აქვს, რომლებსაც არცთუ იშვიათად ისევდაისევ გეოგრაფია და მიმდინარე საერთაშორისო ვითარება კარნახობს. ამ მოდელებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება ოთხი ძირითადი: ნეიტრალიტეტი, „ძალის სესხება,“ დაბალანსება და ე.წ. მიტმასნება. წინამდებარე პუბლიკაციის მიზანს შეადგენს ნეიტრალიტეტის, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზის განხილვა, მისი მიღწევისა და განხორციელებისათვის აუცილებელი სამართლებრივი პროცედურების გარდა, მსჯელობა მის მართებულობაზე სხვადასხვა ქვეყანასთან მიმართებაში საქართველოს მაგალითზე, თუ რამდენად მისაღებია იგი ჩვენი ქვეყნისთვის მოცემულ ეტაპზე ისტორიული ანალოგიების მოხმობით. ვინაიდან უკანასკნელი მოვლენების (იგულისხმება რუსეთის მიერ გაჩაღებული ომი უკრაინაში) ფონზე ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, ვინაიდან რუსეთი უკრაინისაგან ნატო-ში გაწევრიანების ალტერნატივად ნეიტრალიტეტის გამოცხადებას მოითხოვს, ანუ იმასვე, რასაც წლების მანძილზე ითხოვდა საქართველოსგან (ახლა უკვე „3+3 ფომატში“ გაწევრიანებისკენ მოგვიწოდებს ყველა დიდი მეზობელი). თვით საქართველოშიც ბევრი ექსპერტ-პოლიტოლოგი ნეიტრალიტეტს ოპტიმალურ გამოსავლად მიიჩნევს. ჩვენი მიზანია უსაფრთხოების უზრუნველყოფის უკვე ისტორიულად არსებული და დღევანდელი მოდელების ფონზე დაახლოებით განსაზღვრა, რამდენად შეესაბამება თანამედროვე საქართველოს ნეიტრალური სტატუსი და თუ არ შეესაბამება, რატომ? [3]

ნეიტრალიტეტი.

ნეიტრალიტეტი საგარეო პოლიტიკის წარმოების ერთ-ერთი უძველესი მოდელია, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ პატარა სახელმწიფოები დიდი მეზობლებისაგან თავის გადარჩენის მიზნით.

მაგრამ საკითხავია ყოველთვის თუ და რამდენად ამართლებს ეს საშუალება აღნიშნულ მიზანს.

ნეიტრალიტეტი შეიძლება იყოს მუდმივი და ყოვლისმომცველი (ანუ როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და იდეოლოგიური), რომელიც აღიარებული და გარანტირებულია დიდ საერთაშორისო „მოთამაშეების“ მიერ მათივე შეთანხმების საფუძველზე, როგორც ეს მოხდა შვეიცარიისა და ბელგიის შემთხვევაში ვენის კონგრესის შემდეგ და ავსტრიის მიმართ II მსოფლიო ომის შემდეგ. ასევე არსებობს ევენტუალური, ანუ ვითარებითა და გარემოებით ნაკარნახევი ნეიტრალიტეტი, როდესაც სახელმწიფო უარს ამბობს მოცემულ კონკრეტულ ომში მონაწილეობაზე, რაც რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის ასე იქნება. ამ ფორმას არა მარტო პატარა, არამედ ზოგჯერ დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფოებიც მიმართავენ არა იმიტომ, რომ ძალა არ შესწევთ, არამედ იმის გამო, რომ უბრალოდ აღნიშნული ომისა და მისი შედეგების მიმართ სტრატეგიული დაინტერესება არა გააჩნიათ, ტყუილუბრალოდ ადამიანური და მატერიალური რესურსების გაფლანგვა კი არ სურთ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები პირველ მსოფლიო ომში 1917 წლამდე არ ჩარეულა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს 1941 წლის დეკემბრამდე ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს. ორივე შემთხვევაში შექმნილმა გარემოებებმა აიძულა ჩარევა. ცივი ომის დროს უამრავ რეგიონულ კოფლიქტს ჰქონდა ადგილი და თითქმის ყოველი მათგანის უკან ზესახელმწიფოები - აშშ და საბჭოთა კავშირი იდგნენ, მაგრამ არცერთ მათგანში ისინი ოფიციალურად და ღიად არ მონაწილეობდნენ, არამედ თავიანთი სატელიტების მეშვეობით არკვევდნენ ურთიერთობას. ცალკე თემაა ფინური და შვედური ნეიტრალიტეტი. შვედეთი ნაპოლეონის ომების შემდეგ საკუთარი ნებით არ მონაწილეობს არცერთ შეიარაღებულ დაპირისპირებაში და არც „დიდი მოთამაშეები“ და საერთაშორისო თანამეგობრობაა ამის წინააღმდეგი. მაგრამ გნსაკუთრებული შემთხვევაა ფინური ნეიტრალიტეტი, რომელიც XX საუკუნის მე-2 ნახევარში, ანუ ცივი ომის პერიოდში მოქმედებდა და ეს ფენომენი საერთაშორისო პოლიტიკურ ლექსიკონში „ფინლანდიზაციის“ სახელით არის ცნობილი. [3]

თანამედროვე და საერთოდ, მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოში, ნეიტრალიტეტი თავისი კლასიკური, ტრადიციული გაგებით, ანუ ყოვლისმომცველი მნიშვნელობით აღარ არსებობს. აქ საქმე ეხება მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიულ ნეიტრალიტეტს, რაც არ ნიშნავს უარის თქმას თანამშრომლობაზე საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით და ასევე, მონაწილეობაზე სამშვიდობო და ანტიტერორისტულ ოპერაციებში, მაგრამ კატეგორიულად დაუშვებლად მიიჩნევს გაწევრიანებას სამხედრო ალიანსებში ან სამხედრო დახმარების გაწევას რომელიმე მეომარი მხარისათვის. სწორედ ასეთი ტიპის ნეიტრალიტეტი აირჩია ფინეთმა მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ და შეიძლება ითქვას, იგი ერთ-ერთი პიონერი გახლდათ ამ მოდელის დამკვიდრების საქმეში. მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, ცარიელ ადგილას არ მომხდარა; ამას ჰქონდა თავისი წინაპირობა და განსაკუთრებული „ნიუანსები,“ ანუ ყველაფერი ის რამაც ცივი ომის პერიოდში იძულებული გახადა ეს პატარა ქვეყანა „ფინლანდიზაციას“ დათანხმებოდა

წინაისტორია კი ასეთი იყო: 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, ფინეთმა, რომელიც მანამდე რუსეთის იმპერიის ავტონომიურ ნაწილს წარმოადგენდა (1809 წლიდან), პირველი საბჭოთა მთავრობისგან სრული დამოუკიდებლობა მიიღო; შესაბამის დოკუმენტს თავად ლენინი აწერდა ხელს. მაგრამ შემდგომ იმავე ხელისუფლებამ სცადა ყველაფერი გაეკეთებინა ფინეთის „გასაწითლებლად“ ქვეყანაში მწვავე შიდა დაპირისპირებათა ინსპირირებით, რასაც 1918-1922 წლების სამოქალაქო ომი მოჰყვა, მაგრამ აქ, რუსეთისაგან განსხვავებით, ე.წ. თეთრმა გვარდიამ, ანუ ეროვნულ-პატიოტულმა ძალებმა გაიმარჯვეს და ქვეყანა „გასაბჭოებას“ გადაარჩინეს. მომდევნო რუსულ-ფინურ კონფლიქტს 1939-1940 წლების ნოემბერ-მარტში ჰქონდა ადგილი სსრკ მხრიდან ტერიტორიული პრეტენზიების საფუძველზე (ოფიციალური ვერსია) და ისტორიაში „ზამთრის ომის“ სახელითაა შესული. რეალური მიზანი კი ქვეყნის სრული ოკუპაცია და ანექსია იყო, რის უფლებასაც მოსკოვს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი აძლევდა აღმოსავლეთ ევროპის ფაქტობრივი გადანაწილების შედეგად, მაგრამ ვერ შეძლო ქვეყნის სრულად ოკუპირება და დედაქალაქის აღება, და მხოლოდ განაპირა მოსაზღვრე ტერიტორიებს დასჯერდა, რადგან ფინეთის შეიარაღებულმა ძალებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭოთა არმიას და დიდი ზარალიც მიაყენეს და არც საერთაშორისო სიტუაცია იძლეოდა ომის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობას და ამდენად, ფინეთი, როგორც სახელმწიფო, გადარჩა

სულ სხვა სურათი შეიქმნა მე-2 მსოფლიო ომის მიწურულს. როგორც ცნობილია, ამ ომში ფინეთი

გერმანიის მოკავშირე იყო და იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების მიზნით; მაგრამ როდესაც, 1944 წელს, აშკარა გახდა გერმანიის მარცხი, ფინეთი დადგა ეგზისტენციალური დილემის, ანუ ეროვნული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის წინაშე, რადგან ძალზე ნაკლები იყო იმის ალბათობა, რომ გამარჯვებული საბჭოთა რუსეთი მის წინააღმდეგ ბრძოლას აპატიებდა პატარა ჩრდილოელ მეზობელს. ამიტომ ფინეთმა რადიკალურად შეცვალა პოზიცია: მან ომი გამოუცხადა ნაცისტურ გერმანიას და ქმედითი დახმარება გაუწია „ახალ მოკავშირეებს" ქვეყნიდან გერმანიის ჯარების განდევნაში. თუმცა ცხადი იყო, რომ მარტო ეს ვერ იქნებოდა საკმარისი საბჭოეთის „დასაშშმინებლად." მოსკოვს სჭირდებოდა სრული გარანტია იმისა, რომ ფინეთის მხრიდან აღარასდროს შეექმნებოდა პრობლემები და დაკარგული ტერიტორიებიც სამუდამოდ ამოიშლებოდა ამ ქვეყნის მეხსიერებიდან; ანუ მას სჭირდებოდა „ბოლომდე მოთვინიერებული" და დამყოლი ფინეთი და მხოლოდ ამ პირობით შეეძლო დაეშვა მისი როგორც სუვერენული სახელმწიფოს შენარჩუნება უკეთეს შემთხვევაში სატელიტის დონეზე. მაგრამ ამასთან ერთად, მაშინდელმა საბჭოთა ლიდერმა იოსებ სტალინმა გადადგა ერთი მეტად „ორიგინალური" ნაბიჯი, რითაც მთელი მსოფლიო გააოცა და ეს ალბათ საბჭოთა დიპლომატიისმნიშვნელოვანწარმატებადშეიძლება ჩაითვალოს. მან ფინეთს შესთავაზა სამხედრო ნეიტრალიტეტის გამოცხადება, საბჭოთა კავშირთან სამეგობრო სტრატეგიული ხელშეკრულეის გაფორმება და მოსკოვთან შეთანხმებული საგარეო პოლიტიკის წარმოება; სანაცვლოდ კი არათუ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, არამედ დემოკრატიული მრავალპარტიული სისტემის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შენარჩუნება და შიდა საქმეებში ჩაურევლობა აღუთქვა. ფონელები რა თქმა უნდა, უყოყმანოდ დათანხმდნენ ყველა ამ პირობას, რაც ხსნის ერთადერთი გზა იყო. ფინეთის სახელმწიფო მოსპობას გადაურჩა. 1947 წლის 10 თებერვალს პარიზში ხელი მოეწერა ზავს, ხოლო 1948 წლის 6 აპრილს დაიდო საბაზო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ."ამ თავისთვის საკმაოდ „უცნაური საქციელით" მაშინდელმა საბჭოეთმა შექმნა საკმაოდ პოზიტიური პრეცედენტი და მსოფლიოს თვალწინ მოახდინა სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის არათუ „მშვიდობიანი თანაარსებობის," არამედ სტრატეგიული პარტნიორობის მიკრომოდელის დემონსტრირება, რაც ვიმეორებთ, ნამდვილად შეიძლება შეფასდეს საბჭოთა დიპლომატიის თვალსაჩინო წარმატებად; ეს კი საკმაოდ იშვიათი მოვლენა გახლდათ ამ სახელმწიფოს პრაქტიკაში და ძირითადად მისი არცთუ ხანგრძლივი ისტორიის პირველ ნახევარს უკავშირდება. მოგვიანებით ფინეთი გაწევრიანდა ე.წ. მიუმხრობლობის მოძრაობაში (იგულისხმებოდა ცხადია, სამხედრო მიუმხრობლობა), ანუ „უბლოკო სტატუსი," რომლის ერთ-ერთი თავისებურება ის გახლდათ, წევრი ქვეყანა რომ უარს ამბობდა რომელიმე სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში გაერთიანებაზე, მაგრამ არ გამორიცხავდა სამხედრო თანამშრომლობას ცალკეულ „სტრატეგიულ პარტნიორებთან."ამ მოძრაობაში, რომელიც დაფუძნდა სოციალისტური იუგოსლავიის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს ინიციატივით და აქტიურად მხარდაჭერილი იქნა სსრკ ხელმძღვანელობის მიერ, ფინეთის გარდა იყნენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა კუბა, ინდოეთი, ალჟირი, ვიეტნამი, ჩრდილოეთ კორეა და აფრიკის სახელმწიფოთა უმრავლესობა. აქედან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რას წარმოადგენს ეს ორგანიზაცია და რამდენად მისაღები იყო მისი წევრობა ფინეთისათვის, მაგრამ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა; მისი საგარეო პოლიტიკა მაქსიმალურად მოსაწონი უნდა ყოფილიყო მოსკოვისთვის. ასე რომ, ფინეთის ცივი ომის დროინდელი ნეიტრალიტეტი უფრო სიტუაციით ნაკარნახევ და გააზრებულ მიტმასნებას ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ ნეიტრალიტეტს, რომელსაც ქვეყანამ მხოლოდ ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიაღწია. ახლა კი ფინეთი შვედეთთან ერთად NATO-ში წევრიანდება და ეს გადაწყვეტილება ამ ორმა სახელმწიფომ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის განხორციელების შემდეგ მიიღეს, რაც ალბათ, სულაც არ მეტყველებს ნეიტრალიტეტის სასარგებლოდ რუსეთის მეზობელ პატარა ქვეყნებთან მიმართებაში.

ეს არის „ფინლანდიზაცია," [6] რასაც ასე აქტიურად სთავაზობს განვითარებისა და საგარეო ორიენტაციის მოდელად თანამედროვე რუსეთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ გაწევრიანებულან ОДКБ-ში და ე.წ. ევრაზიის კავშირში; ანუ ნეიტრალიტეტს ფორმალურად და რეალურად - მასზე მიტმასნებას.

ახლა კი ვნახოთ, რამდენად მისაღებია ნეიტრალიტეტის რუსული ვარიანტი, ე.წ. ფინლანდიზაცია, საქართველოსთვის.

ჯერ ამ საკითხის სამართლებრივი ასპექტები განვიხილოთ: ნეიტრალიტეტის სტატუსის მოსაპოვებლად საკმარისი არ არის კონკრეტული სახელმწიფოს სურვილი და დეკლარირება; საჭიროა როგორც რეგიონული ძალის ცენტრების, ისე მსოფლიო პოლიტიკის მთავარი მოთამაშეების თანხმობა, ნეიტრალურმა ქვეყანამ თვითონ, გარედან დახმარების გარეშე, უნდა უზრუნველყოს საკუთარი თავდაცვა, სამხედრო პოტენციალი, რაც ძალზე ძვირი ჯდება და ყველა პატარა სახელმწიფოს ამის გაკეთება არ შეუძლია, სხვა სახელმწიფოთა შორის ომის შემ-თვევაში ნეიტრალურმა ქვეყანამ არ უნდა მიაწოდოს შეიარაღება არცერთ მეომარ მხარეს, ან უნდა მისცეს ორივეს თანაბრად [5] და არ უნდა დაუხუროს სახმელეთო და საჰაერო სივრცე მხოლოდ ერთ მათგანს. და ბოლოს, ნეიტრალურ ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს სადავო ტერიტორიები მეზობელ სახელმწიფოებთან, არ უნდა ჰქონდეს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. ამ კრიტერიუმთაგან რომლის დაკმაყოფილება შეუძლია საქართველოს? ორი მათგანის ნამდვილად არ შეუძლია: ეს არის პირველ რიგში ტერიტორიული მთლიანობა და მეზობლებთან მოწეს-რიგებული ურთიერთობები. მის გარეშე კი, სხვა ყველა მიმართულებით იდეალური მდგომარეობაც რომ იყოს, ნეიტრალიტეტზე საუბარს აზრი არა აქვს. არც საქართველოს ფინანსური შესაძლებლობებია ისეთი რომ დამოუკიდელად სათანადო დონის სამხედრო-ტექნიკური პოტენციალის და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა შეძლოს. დიდი ალბათობით, არც რეგიონული და გლობალური ყველა ძალის ცენტრი იქნება თანახმა საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიის საკვანძო ქვეყნის მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით და სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს „ფინლანდიზაცია“ შესაძლოა სავსებით აწყობდეს რუსეთს, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშ-ნეთ, ეს ფაქტობრივად მიტმასნებას და სატელიტობას გულისხმობს და ალბათ არც თურქეთი და ირანი იქნებიან ამის წინააღმდეგი, რადგან საქართველოს გაწევრიანება რომელიმე სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში, იქნება ეს NATO თუ ОДКБ, ან თუნდაც ევროკავშირში, ნაკლებ საშუალებას მისცემდათ ქვეყანაში საკუთარი ინტერესების განხორციელებისათვის. სამაგიეროდ საქართველოს ნეიტრალიტეტის რუსულ-ფინური ვარიანტი, დიდი ალბათობით, მიუღებელია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპისათვის, რადგან კარგად იციან, რომ ეს რეალურად ამ ქვეყნის და შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის რეგიონის დაკარგვას ნიშნავს. [5] აქვე ერთ საყურადღებო ისორიულ ანალოგიასაც მოვიყვანთ: ბელგიას, რომელიც 1830 წლიდან, ანუ დამოუკიდებლობის მიღების დღიდანვე ნეიტრალური სახელმწიფო იყო, ვერცერთ მსოფლიო ომში ვერ უშველა ნეიტრალიტეტმა; ორივე შემთხ-ვევაში იგი ოკუპირებულ იქნა გერმანიის მიერ.[5] ახლა ეს ქვეყანა ნატოს და ევროკავშირის წევრია. საქართველოს პირველ რესპუბლიკასაც ვერაფრით დაეხმარა ნეიტრალიტეტი; ამ სტატუსს ოდნავაც არ შეუშლია ხელი საბჭოთა რუსეთისათვის 1921 წლის თებერვალში.[1] ასე რომ, ზოჯერ ისტორიის გაკვეთილების გათვალისწინებაც ძალზე მნიშვნელოვანია, რათა ქვეყანამ საბედისწერო შეცდომები არ გაიმეოროს.

დასკვნა

ნეიტრალიტეტი არ არის პანაცეა. ის ყოველთვის ვერ გამოდგება პატარა ქვეყნის უსაფრთხოების გარანტად;

საქართველოსთვის რუსეთის მხრიდან დაბეჯითებით შემოთავაზებული ნეიტრალიტეტი რეალურად უფრო მიტმასნებას და სატელიტობას გულისხმობს, რაც დიდი ხნით შეაფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ და ევროპულ განვითარებას. არც წარსულის მძიმე გამოცდილების დავიწყება იქნებოდა გამართლებული;

ნიშანდობლივია, რომ რუსეთის გარდა ნეიტრალიტეტს არავინ გვთავაზობს და ალბათ, ამაზეც ღირს დაფიქრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნუგზარ დურმიშიძე - „ნეიტრალიტეტი - მესამე ალტრნატივა? საქართველოს სტრატეგიული კვლევების ცენტრის ბიულეტენი #59, 2001;
2. შორენა ბაბლუანი - „რატომ ვერ დაგვიცავს რუსეთისგან სამხედრო ნეიტრალიტეტი? Ghn.ge, 21.05.2021;
3. ევროპა. ნეიტრალიტეტი ეჭვქვეშაა. Civil.ge, 05.08.2022
4. ნუგზარ დურმიშიძე - „ევრო-ატლანტიცური ინტეგრაცია და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის.“ საქართველოს სტრატეგიული კვლევების ცენტრის ბიულეტენი, #78, 2003;
5. მანანა ნოზაძე - „საქართველოს ნეიტრალიტეტი - რუსული პროპაგანდის ნაწილი,“ www.ansa.ge, 25.06.2015;
6. კორნელი კაკაჩია, შოთა კაპანაძე - „რა არის „ფინლანდიზაცია“ და რატომ არ არის საქართველოსთვის გამოსავალი,“ netgazeti.ge 23.02.2022

Where does the development of a small country begin and how neutrality is acceptable for modern Georgia

Nugzar Durmishidze, Associate Professor of GTU
Sophio Gabelaia, PhD student of GTU

Summary

Subject of presented article concern the neutrality as one of the ways to provide guaranteed self security for the little states generally and concretely for Georgia.

Obligatory international legal and political procedures for obtaining the neutral status and necessity in safity aspect were considered.

Neutrality, this is not Panacea; It is not useful always as a guarantee of security for the little country and there are a lot of examples of it in the World political history. For instance, only the tragic expereance of the both World Wars are quite enough by our opinion.

Russia had often “advised” Georgia to declear the neutrality, especially actively after 2007, when our country’s inspyriense of membership in NATO was not too unreal. That is clear that Russia by this offering tried to prevent the North Atlantic integration of Georgia. Russian argument: this way would be much more undangerouse for Georgia.

Realy, such offer from Russia looks for us more to become a satelit that would chalange the democratic, europien development and formation of the justice state for a long time. Approximately in such position was Finland during the Cold War, that we mentioned above. Also, for Georgia would be better not to forget the bad experience of 1921. The first Georgian Republic also decleared the neutrality after the peaceful treaty with Soviet Russia in May 7 of 1920 again after edvice of Russia “partners”. Besides, it looks very strange that nobody offer us the neutrality but Russia when for solution of this issue is nesecury the consensus of all global actors. We have to think about this too.

By opinion of authors,on this stage, neutrality would not be a good choice for Georgia first of all, because of geopolitical situation and Russian factor, so because of territorial and financial problems and also, as we think, hardly can be reached any concensus between the “big actors” on this issue.

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე

მარიამ ბალხამიშვილი, სტუ დოქტორანტი

ხელმძღვანელი: ზურაბ კვეტენაძე, სტუ პროფესორი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოს დღის წესრიგში ენერგეტიკული უსაფრთხოება სახელმწიფოთა ერთ-ერთ მთავარ გარანტს წარმოადგენს, რის შედეგადაც ენერგეტიკული რესურსებისკენ მიმავალი გზა სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური ბრძოლის ფრონტად იქცა.

განსაკუთრებული აქტუალობა კი აღნიშნულმა შეიძინა უკრაინის კრიზისის, შემდგომ კი რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში.

ნაშრომში განხილულია უკრაინის კრიზისის და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგები. უკრაინის მოვლენების გარშემო ერთმანეთს ეჯახება ისეთი მსხვილი პოლიტიკური აქტორების ინტერესები როგორის არის აშშ, რუსეთი და ევროკავშირი, რამაც თავის მხრივ კონფლიქტი გაზარდა როგორც რეგიონალურ და ასევე გლობალურ დონეზე.

უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდგომ ევროკავშირის უმთავრეს ამოცანად რჩება გააძლიეროს ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოება, ასევე წევრი ქვეყნების ენერგეტიკული მდგრადობა და შეამციროს ენერგომატარებლების იმპორტი რუსეთიდან, ის აქტიურად ცდილობს ალტერნატიული და განახლებადი გზების ძიებას, რათა ნულამდე დაიყვანონ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება. თუმცა, აღნიშნულს ართულებს წევრ ქვეყნებს შორის ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკის არარსებობა.

ნაშრომში ასახულია რუსეთ-უკრაინის ომამდე პერიოდში, რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკული ურთიერთობების განვითარების ეტაპები.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რუსეთსა და ევროკავშირს შორის ენერგეტიკულ თანამშრომლობაში ენერგეტიკული უსაფრთხოების პერსპექტივების ანალიზს.

ნაშრომში განხილულია ,,ჩრდილოეთის ნაკადი 2'' გაზსადენის გავლენა და შედეგები რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში, რომელიც ფაქტობრივად ზრდიდა ევროკავშირის ენერგოდამოკიდებულებას რუსეთზე. რუსეთ-უკრაინის ომმა კი გვერდით გადადო მისი ბედი. აღნიშნული გაზსადენის სერტიფიცირების შეჩერება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ შორის ენერგეტიკული თანამშრომლობის პერსპექტივების ანალიზის დროს.

რუსეთ-უკრაინის ომი რუსეთს დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს როგორც გეოპოლიტიკურ ისე გეოეკონომიკურ ასპექტში, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ დროსთან ერთად რუსეთი შეიძლება თამაშგარე პოზიციაში აღმოჩნდეს, ამ დროისთვის კვლავ რჩება ევროკავშირში ენერგორესურსების უმსხვილეს ექსპორტიორად.

ეკონომიკური გლობალიზაცია და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია დღეისთვის წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების მთავარ ტენდენციას. რუსეთისთვის მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს ევროკავშირის ბაზარზე ენერგეტიკული რესურსების პოზიცირება, განსაკუთრებით თუკი ევროკავშირი აქტიურად დაიწყებს განახლებადი და ალტერნატიული გზების ძიებას.

ცვალებად საერთაშორისო გარემოში ენერგეტიკულ პერპესქტივებზე საუბრისას ბაზარზე შენარჩუნებული იქნება ეკონომიკური კონკურენციის ტენდენციის ზრდა, რაც რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური კურსის მუდმივ რეგულირებას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: ენერგოდამოკიდებულება, ენერგეტიკული თანამშრომლობა, ენერგოუსაფრთხოება, ენერგოდიალოგი.

შესავალი

XXI ს-ში ენერგეტიკა უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გარანტს წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში ამ სახელმწიფოთა ლიდერები ვისაც საკუთარი რესურსები არ გააჩნიათ დილემის წინაშე დგებიან, რადგან ისინი ვისაც ხელი მიუწვდებათ ენერგორესურსებზე ცდილობენ ეს უპირატესობა პოლიტიკურ იარაღად გამოიყენონ.

ევროკავშირი მსოფლიოს ყველაზე წარმატებული ინტეგრაციული გაერთიანებაა, სადაც დაცული ადამიანის უფლებები, მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია ეკონომიკური ცხოვრების დონე, არსებობს განვითარების პერსპექტივა და ნათელი მომავლის იმედი. სანამ ამ დონეს მიაღწევდა ევროპამ ორი მსოფლიო ომი გამოაცხადა. იყო მილიონობით ადამიანური მსხვერპლი, ნგრევა, უბედურება, მაგრამ ევროპა

ამ უდიდესი გამოცდილებით ამაღლდა საკუთარ ამბიციებზე და ,,ცივი ომის'' პერიოდში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბუნებრივი რესურსების ირგვლივ დაპირისპირების ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა ეს რესურსები საერთო მონაპოვრად და სიმდიდრედ გამოეცხადებინათ.

ევროკავშირს გააჩნია მეტად ეფექტური სამეზობლო პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სხვადასხვა ეკონომიკური პროექტები, გარდა ამისა ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებს ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას.

ამასთანავე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს, განსაკუთრებით უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ ევროკავშირსა და რუსეთს შორის ენერგეტიკულმა თანამშრომლობამ გაცილებით მეტი აქტუალობა შეიძინა და ეს თემა პოლიტიზირებული გახდა.

ძირითადი ნაწილი

ენერგოდიალოგი რუსეთსა და ევროკავშირს შორის 2000 წლიდან დაიწყო, თუმცა უშედეგოდ. ამის საპირისპიროდ კი ევროკავშირი ცდილობს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირებას. ურთიერთობები ვითარდება უკრაინის მოვლენების ფონზე. უკრაინაში განვითარებულმა პროცესებმა ევროკავშირი დააფიქრა იმაზე, არის თუ არა რუსეთი საიმედო პარტნიორი და რას უნდა ველოდოთ მისგან. ევროკავშირი ცდილობს ალტერნატიული რესურსების მოძიებას, რომლის ნათელი მაგალითია ,,ნაბუკო'' და ,,თეთრი ნაკადი'' - ის ინიციატივა, რომლებიც კვლავ განუხორციელებელი დარჩა რიგი მიზეზების გამო. დღის წესრიგში დგას ასევე ფიქალის გაზის რესურსი, რომლის მოპოვების შესაძლებლობა აქვთ ევროკავშირის იმ ქვეყნებს, რომლებიც მეტად არიან დამოკიდებულნი რუსეთზე.

უკრაინაში კრიზისის პერიოდში ევროკავშირმა და აშშ-მ რუსეთის ენერგეტიკული სექტორის წინააღმდეგ მიზნობრივი სანქციების იდეა წამოაყენეს, რისი მიზანიც იყო რუსეთის ბიუჯეტზე დარტყმის მიტანა და მოსკოვის დაძალება წასულიყო დათმობებზე უკრაინის კრიზისის გადასაჭრელად.

უკრაინის 2014 წლის კრიზისმა გაზარდა რუსეთიდან ევროპაში აირის მიწოდებაში შეფერხებების რისკი და უბიძგა ევროკავშირს რუსეთისგან ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირების გზების ძიების აქტივიზაციისკენ. მიუხედავად ამისა, უახლოეს დროში ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოება ტრადიციულ ენერგეტიკულ წყაროებს ეფუძნება, ხოლო ენერგეტიკულ მატარებელთა უკმარისობა ენერგეტიკული იმპორტის ხარჯზე შეივსება. 2005 წლის კრიზისმა“ უკრაინის გავლით აირის ტრანზიტის ღირებულების გამო უთანხმოებებთან დაკავშირებით ერთობ შელახა რუსეთის, როგორც ,,საიმედო'' მიმწოდებლის რეპუტაცია და სტიმული მისცა ევროკავშირის ქვეყნებს ენერგიის მიმწოდებლებისგან უფრო მკაფიო პოლიტიკის გასატარებლად.

გარდა ამისა, „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ - ის პროექტი, რომლის მშენებლობაც უკვე დასრულებულია, რუსეთის მხრიდან აღიქმება როგორც სუფთა კომერციული პროექტი, რომელსაც მხარს უჭერდა გერმანიის ყოფილი კანცლერი ანგელა მერკელი და გამორიცხავდა რომ პროექტი პოლიტიკურად მოტივირებულია. „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ გაზსადენის გაცხადებულ მიზეზად ევროპის გაზზე მოთხოვნის ზრდას ასახელებენ , თუმცა ყველა თანხმდება , რომ პროექტი მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის არ არის და რუსეთი მხოლოდ ეკონომიკური სარგებლით არ არის დაინტერესებული, აღნიშნული გაზსადენის საშუალებით რუსეთი გათავისუფლლდება უკრაინაზე დამოკიდებულებისგან, პარალელურად კი დიდ შემოსავალს აკარგვინებს უკრაინას, რომელიც ბუნებრივი აირის სატრანზიტო ქვეყანაა.

მთავარი მნიშვნელოვანი მომენტია რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი, აღნიშნულის პარალელურად გვიწევს ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. მოგეხსენებათ, რუსეთ-უკრაინას შორის დაპირისპირება ახალი არ არის და რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკულ ურთიერთობებზეც დიდ გავლენას ახდენდა, კერძოდ, ევროკავშირი ეჭვქვეშ აყენებდა რუსეთის სანდოობის საკითხს, მიმდინარე ომმა კი დღის წესრიგში დააყენა რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხები. სანამ კონკრეტულად ენერგოდამოკიდებულების საკითხებს შევეხებით ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას სიტუაციაზე.

რუსეთის პრეზიდენტი ვ.პუტინი თავისი იდეოლოგიზირებული გადმოსახედიდან უყურებს სივრცის მოწყობას რუსეთის გარშემო და ის ბოლომდე შეეცდება მაქსიმალური მიიღოს, კერძოდ კი მას დიდ გამოწვევად ევლინება ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით. ის რაც დღეს უკრაინაში ხდება ეს არა მხოლოდ უკრაინის, არამედ მთელი მსოფლიოს კატასტროფაა, ფაქტობრივად უკრაინამ არ გაამართლა რუსეთის მოლოდინები და აჩვენა მათ გმირობის მაგალითები, რაც შეეხება რუსეთის

მიმართ დაწესებულ მკაცრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სანქციებს, ნათელია, რომ აკრძალვები მიმდინარე ომზე გავლენას ვერ ახდენს, ის მხოლოდ საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივაა. დასავლეთის პოზიცია აშკარაა, ისინი შემოიფარგლებიან მხოლოდ და მხოლოდ დაპირებული იარაღის მიწოდებით უკრაინისთვის, ცალსახად გაკეთდა განცხადებები იმის თაობაზე, რომ უკრაინას ცას არავინ დაუკეტავს. ფაქტია, რომ მიმდინარე ყველა მოვლენის ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ პუტინის კონკრეტული ნაბიჯების პროგნოზირება საკმაოდ რთულია, რადგან მას ფაქტობრივად მოუწია გეგმის ცვლილება, ახლა მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მნიშვნელოვანი იყო მისი მხრიდან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული განცხადებები და ბრძანება იარაღის მწყობრში მოყვანის შესახებ, ფაქტია, რომ მას შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს მასობრივი განადგურების შეიარაღების კომპონენტები. მთელი დასავლეთი მასობრივ სისხლისღვრას ერიდება და შესაბამის ზომებს იღებს, თუმცა მოვლენების მსგავსად განვითარების შემთხვევაში, ნატოს მოქმედება შეუძლია. ექსპერტი ვახტანგ მაისაია აღნიშნავს, რომ ,,თუ საერთაშორისო სამართალის სერიოზული დარღვევა მოხდა, რომელიც მოიცავს ეთნიკურ წმენდას და იგივე ჰუმანიტარული კატასტროფის შექმნას, მაშინ ნატო მოქმედებას დაიწყებს და ომში ჩაერთვება, ასეთ კატასტროფას კი ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში მივიღებთ.

უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკის გაეროს უშიშროების საბჭოს სესიაზე გამოსვლა უკრაინის დიპლომატიის დიდ წარმატებას წარმოადგენს თუმცა, ეს ყველაფერი მას საკმაოდ დიდ ფასად უჯდება, საუბარია უამრავ დაღუპულ ბავშვსა და მშვიდობიან მოსახლეობაზე. ამავდროულად 6 მლრდ დევნილი უკრაინიდან უდიდესი დანაკარგია.

თავად რუსეთში პრეზიდენტ პუტინის რეიტინგი მკვეთრად გაიზარდა რისი დასტურიც არის შესაბამისი კვლევები, ოფიციალური სოციოლოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ რუსი მოსახლეობის 74% მხარს უჭერს რუსეთის უკრაინაში შეჭრას. ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პუტინი მიმდინარე ომისთვის კარგად ემზადებოდა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, კერძოდ რუსული საზოგადოება მიიჩნევს, რომ უკრაინაში ნაცისტები არიან, ნატო კი აპირებს რუსეთზე თავდასხმას.

რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე დიალოგიც ერთგვარად შესაძლოა ატარებდეს ერთგვარი ტაქტიკური მანევრის ფუნქციას, რომლის შემდეგაც ჯარები სულს მოითქვამენ. ის, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება, ამაში არაერთხელ დავწრმუნდით, გარდა იმისა, რომ ის ენერგეტიკულ ურთიერთობებში არ არის საიმედო პარტნიორი, მას არაერთხელ დაურღვევია არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება თუ პირობა. ექსპერტი ვ.მაისაია მიმდინარე ომის შეწყვეტის გამოსავალად შემდეგ ფაქტორებს ასახელებს: ,,1. უკრაინის ხელისუფლების საკმაოდ ძლიერი მდგრადობა; 2. დასავლეთი უნდა გადავიდეს სამშვიდობო ფორმატის მოლაპარაკებებზე, რომ განრისხებული პუტინი გააჩერონ, რათა არ გადავიდეს ეს შურისძიება მშვიდობიან მოსახლეობაზე; 3. რუსეთის სრული ეკონომიკური ბლოკადა.''

დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ როგორც აღვნიშნეთ მთელი რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების პაკეტი წარადგინა, გერმანიის მხრიდან სანქცია კი გულისხმობდა ჩრდილოეთის ნაკადი 2 ის სერტიფიცირების შეჩერებას. ნაკადის, რომელიც ზრდიდა ევროკავშირის ენერგოდამოკიდებულებას რუსეთზე. პარალელურად არავინ საუბრობს იმ დეტალზე, რასაც ექსპერტი მაისაია აღნიშნავს, რომ რუსეთმა შეძლო და წარმატებულად აითვისა ,,სამხრეთის ნაკადი'', რის შედეგადაც ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები რუსეთის პირდაპირი გავლენის ქვეშ ექცევიან, ,,სამხრეთის ნაკადი'' თურქეთზე გადის ევროპიდან, ასევე მოქმედებაში რჩება ,,ჩრდილოეთის ნაკადი 1'', ასევე რუსეთმა დაიწყო მოლაპარაკებები და გაზს რომელსაც ,,ჩრდილოეთის ნაკადი 2'' გაზსადენში უნდა გაევლო, ციმბირის გაზსადენის გაყვანით გადაისვრის ჩინეთისკენ. პარალელურად ევროკავშირის დამოკიდებულება უცვლელია, საჭიროა ევროპის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების ნულამდე დაყვანა. ვხვდებით, მკაცრ განცხადებებს, რომ ევროკავშირმა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა არც ერთი წევრი სახელმწიფო არ იყოს დამოკიდებული რუსულ გაზზე.

უკრაინა კვლავ თავს იცავს რუსეთისგან, რომელსაც მსოფლიომ უპრეცენდენტო სანქციები დაუწესა, უმთავრესი იარაღი, გარდა სამხედრო და ბირთვული შეიარაღებისა რაც რუსეთის ფედერაციას გააჩნია არის ენერგეტიკული რესურსები, ევროკავშირის დამოკიდებულება რჩება კვლავ თითქმის 50% ზე, რომელიც ძირითადად ბუნებრივ აირზე მოდის, სამწუხაროა, რომ ევროპამ ბევრი წელი დაკარგა, რათა გადაედგა კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით. თუმცა, არსებული ვითარება

აიძულებთ მათ გადადგან ეს ნაბიჯები საკუთარი ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად.

გერმანიის სახელმწიფო ბანკის და ნიდერლანდური კომპანია Gasunie პარტნიორობით გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც გერმანიაში თხევადი გაზის ტერმინალის მშენებლობას ითვალისწინებს გერმანიის ენერგეტიკის მინისტრის თვალთახედვით, მთავარი მიზანი რუსულ იმპორტზე დამოკიდებულების სწრაფი შემცირებაა, თხევადი ბუნებრივი აირის ტერმინალი გერმანიისა და ნიდერლანდური კომპანიის ერთობლივ საკუთრებას წარმოადგენს.

ტერმინალის წლიური რეგაზიფიკაციის სიმძლავრე 8 მლრდ კუბ მეტრს შეადგენს, რაც შედარებისთვის გერმანიაში რუსული გაზის წლიური იმპორტი დაახლოებით 140 მლრდ კუბ მეტრია. თხევადი ბუნებრივი აირის პირველი ტერმინალი სავარაუდოდ 2024 წლისთვის ევროკავშირისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობასთან შესაბამისად, შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ ამოქმედეება და პროექტის პარტნიორების მიზანი ტერმინალის რაც შეიძლება სწრაფი განხორციელება ლიცენზირებისა და სახელმწიფო მოთხოვნების გათვალისწინებაა.

ამასობაში შეერთებულმა შტატებმა რუსული ნავთობის იმპორტი აკრძალა. ამის შესახებ ბაიდენმა განაცხადა, რომ მისი თქმით მზადდება ბევრად უფრო მძიმე სანქციები, რაც უფრო მეტად დააწვება რუსეთის ეკონომიკას. ამერიკას ბევრად უკეთესი მდგომარეობა აქვს ევროპასთან შედარებით რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების კუთხით. ევროპისათვის რუსულ გაზზე და ნავთობზე უარი უფრო მეტად რთული სათქმელი იქნება ევროპის ცალკეული ქვეყნების შემთხვევაში, რუსული გაზი რომელიც მკვეთრად გაძვირებულია მაინც სასიცოცხლო მნიშვნელობის არის , მეტად ხელფეხგახსნილია ბრიტანეთი კონტინენტურ ევროპაში, ბრიტანეთის მთავრობამ რუსული ნავთობპროდუქტების იმპორტის აკრძალვის შესახებ გააკეთა განცხადება, თუმცა, იმპორტის ეტაპობრივი შეწყვეტა არ იქნება მყისიერი რათა ქვეყნის კერძო სექტორს ჰქონდეს საკმარისი დრო მიწოდების ჯაჭვის კორექტირებისათვის, ასევე მრეწველობისა და მოხმარების მხარდაჭერისათვის. ,,რუსული ნავთობის იმპორტი შეადგენს რუსეთის ექსპორტის 44% ს და ფედერალური მთავრობის შემოსავლიების 17%-ს გადასახადების მეშვეობით, ეს ნაბიჯი აძლიერებს საერთაშორისო ზეწოლას რუსეთის ეკონომიკაზე. რუსული იმპორტი შეადგენს გაერთიანებული სამეფოს ნავთობზე მთლიანი მოთხოვნის 8%-ს, მაგრამ დიდი ბრიტანეთი ასევე არის ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მნიშვნელოვანი მწარმოებელი" .

უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ ევროკომისიამ რუსულ ნავთობზე და გაზზე დამოკიდებულების შემცირების გეგმა წარმოადგინა, რომელიც 2030 წლამდე ევროკავშირის სრულ ენერგოდა-მოუკიდებლობას ითვალისწინებს . REpowerEU გეგმა ევროკავშირის გაზით მომარაგების წყაროების დივერსიფიცირებას და განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებას მოიცავს, კერძოდ, გაზის ახალი მიმწოდებლების მოძიებას, ალტერნატიული გზების ძიებას, განახლებადი ინვესტიციების დაჩქარებას და ბუნებრივი აირის საწყოებების ზამთრამდე შევსებას, რათა გაზარდონ ენერგომომარაგების უსაფრთხოება და შეამცირონ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება. ევროკომისიის ვარაუდით ამ გეგმის საშუალებით 2022წლის ბოლომდე რუსულ გაზზე მოთხოვნა 66 % ით შემცირდება.

გარდა ამისა, ინვესტიციები განხორციელდება ისეთ ალტერნატიულ საწვავებში, როგორიც არის წყალბადი და ბიომეთანი, თუმცა გეგმა ჯერ არასრულია. რუსეთის ენერგოდამოკიდებულებაზე შემცირების მიზნით კი ევროკავშირის ქვეყნებმა მოუწოდეს თავიანთ მოქალაქეებს 1 გრადუსით შეამცირონ ტემპერატურა სახლებში, რის შედეგადაც ევროპაში მხოლოდ წელს 10 მლრდ კუბური მეტრი გაზი დაიზოგება, ასევე გაიზრდება ინვესტიციები ქარისა და მზის ელექტროსადგურების მშენებლობებში.

რუსული გაზის ჩანაცვლების მთავარი წყარო გათხევადებული ბუნებრუვი გაზია, ევროპის ენერგოსისტემა კი დღეს გაცილებით მძლავრი და მდგრადია, ამ კუთხით საკმაოდ დიდი ინვესტიციები განახორციელა რეგაზიფიცირების სისტემებში და სერიოზული ინფრასტრუქტურა შექმნა , რომელიც კვლავ აუთვისებელია, რეგაზიფიცირების სისტემებმა ნახევარი დატვირთვით რომ იმუშაონ, შესაძლებელი იქნება რუსული გაზის იმპორტის ორი მესამედის ჩანაცვლება.

ამ ეტაპისთვის ევროპას რუსული გაზის იმპორტის ჩანაცვლებისთვის არ მიეწოდება საკმარისი რაოდენობის გათხევადებული ბუნებრივი გაზი, ამისთვის მას გაზის ტანკერების დამატებითი არმადები ესაჭიროება აშშ-დან და აზიიდან, ეს უკანასკნელი კი ახალი კონტრაქტების გაფორმებას საჭიროებს.

გათხევადებულ ბუნებრივ გაზზე ევროპის მაღალი მოთხოვნით მოსალოდნელია ისარგებლოს მისმა მწარმოებელმა ჩინეთმა და აშშ-მ, რომელიც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით უფრო ახლოს არის ევროპასთან.

გიგანტი კომპანია ,,შელი" ტოვებს რუსეთს, ,,ბრითიშ პეტროლიმი'' კი წყვეტს ნავთობ-რესურსების შეძენას რუსეთის ბაზარზე. ,,ჩვენ მივეცით უკრაინას 1 მლრდ ევრო, რაც შესაძლოა დიდ თანხად მოგეჩვენოთ, ეს არის ის თანხა, რასაც ჩვენ ვუხდით პუტინს ყოველდღიურად იმ ენერგიაში, რასაც ის გვაწვდის, რაც ომი დაიწყო ჩვენ მას მივეცით 35 მლრდ ევრო და ახლა ეს შეადარეთ 1 მლრდ ევროს, რომელსაც ვაძლევთ ჩვენ უკრაინას შეიარაღებისთვის, ეს გიგანტური სხვაობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გეგმის განხორციელების აუცილებლობას, რომელიც ევროპის საბჭომ დაგვანახა. უნდა შევამციროთ ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე, განაცხადა ჯოზეფ ბორელმა .

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ,,ჩრდილოეთის ნაკადი'' გაზსადენის აფეთქება, რომელიც ექსპერტთა ნაწილის მიერ მიჩნეულია როგორც რუსეთის მიერ მოწყობილი დივერსია, ე.წ რბილი ძალის გამოყენების ტაქტიკა ევროკავშირის მიმართულებით, რაც გამორიცხავს უკრაინის გვერდის ავლით გაზის მიწოდებას ევროპისთვის. ექსპერტი ვ.მაისაია აღნიშნავს რუსეთი მისთვის უკვე ნაცად ხერხს გამოიყენებს, კერძოდ ევროპისთვის ერთადერთი გზა რჩება, რომ ბუნებრივი აირი უკრაინის გავლით მიიღოს, რაც თავის მხრივ რუსეთისთვის ხელშემწყობი გარემოებაა რათა დასავლეთმა უკრაინაზე მოახდინოს ზეწოლა.

დასკვნა

მოკლედ რომ შევაჯამოთ, რუსული გაზის სრული შეწყვეტის შემთხვევაში მთელი ევროპა დაზარალდება, თუმცა აღნიშნულ პრობლემას ის ერთი წლის პერსპექტივაში არსებითად დაძლევს. საქმე ისაა, რომ ევროკავშირი დიდი ხანია ეგუება რუსულ არასაიმედო პარტნიორს და ხელოვნურად გაზრდილ ფასებს, შესაბამისად მას ახლა უფრო დიდი სურვილი აქვს შეამციროს ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ რუსული გაზის გარეშე ევროპას გაუჭირდება, მაგრამ გაუძლებს და გადარჩება, გრძელვადიან პერსპექტივაში კი მას უფრო ძლიერს ვიხილავთ ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, რუსეთისთვის კი ეს დიდი ზიანის მომტანი იქნება, რასაც ნამდვილად არ მოყვება სახარბიელო პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები.

იმის გასაგებად, თუ როგორ შეიცვლება გეოპოლიტიკური მდგომარეობა მსოფლიოში, საჭიროა მიმდინარე ომის დასრულება. ახალი მსოფლიო წესრიგისა და უსაფრთხოების კონტურები ჯერჯერობით არ შეცვლილა, ეს მოხდება მხოლოდ და მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ, მაშინ კი რეალურ სურათს ვიხილავთ, თუ როგორია მსოფლიო წესრიგის ახალი კონტურები ან თუნდაც ევროპული უსაფრთხოების ,,ახალი არქიტექტურა''.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The impact of the war in Ukraine on Europe's climate and energy policy. March/24/2022, URL:https://www.eui.eu/news-hub?id=the-impact-of-the-war-in-ukraine-on-europes-climate-and-energy-policy
2. The war in Ukraine and its implications for the EU, 14/03/2022 ,URL:https://www.eeas.europa.eu/eeas/war-ukraine-and-its-implications-eu_en
3. Russia's Energy Role in Europe: What's at Stake With the Ukraine Crisis 22/02/2022, URL:https://www.cfr.org/in-brief/russias-energy-role-europe-whats-stake-ukraine-crisis
4. What the Ukraine conflict means for Europe's energy crisis 8/02/2022 URL:https://www.energymonitor.ai/policy/a-ukraine-could-inflame-europes-energy-crisis
5. How the Ukraine Conflict Looms as a Turning Point in Russia's Uneasy Energy Relationship with the European Union , 12/02/2022, URL:https://insideclimatenews.org/news/12022022/how-the-ukraine-conflict-looms-as-a-turning-point-in-russias-uneasy-energy-relationship-with-the-european-union-
6. Russia's Invasion of Ukraine Adds Urgency to Europe's Green Power Transition, 25/02/2022, URL:https://www.scientificamerican.com/article/russias-invasion-of-ukraine-adds-urgency-to-europes-green-power-transition/
7. Nord Stream 2: Assessing Russia's "serious geopolitical victory", 3 Jun 2021 URL: https://www.lowyinstitute.org/the-interpreter/nord-stream-2-assessing- russia-s-serious-geopolitical-victory
8. Nord Stream 2: US warns companies to 'immediately abandon work' URL : https://www.dw.com/en/nord-stream-2-us-warns-companies-to-immediately-abandon-work/a-56920315Geopolitics versus geoeconomics: The case of Russia's geostrategy and its effects on the EU, May 2016, URL https://www.researchgate.net/

publication/302064665_Geopolitics_versus_geoeconomics_The_case_of_Russia%27s_geostrategy_and_its_effects_on_the_EU
9. REPowerEU: Joint European action for more affordable, secure and sustainable energy March/8/2022 URLhttps://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_22_1511?fbclid=IwAR3cFnlbdCMEYSg7nVAiqwufTEPCA1PNBKHlX6Yza2G5ERGnnH2XqcUUvBQ
10. Energy diplomacy in a time of energy transition, November 2019, URL https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2211467X19300793
11. Commissioner Simson in Vienna for energy diplomacy meetings amid Russia's invasion of Ukraine, 8/April/2022, URL
12. https://ec.europa.eu/info/news/commissioner-simson-vienna-energy-diplomacy-meetings-amid-russias-invasion-ukraine-2022-apr-08_en
13. ჩრდილოეთის ნაკადი 2“ - გადაწყვეტილია თუ არა ევროპის" ცუდი გარიგების“ ბედი? 11/02/2021, ტონი ვესოლოვსკი. URL: https://www.radiotavisupleba.ge/a/31098350.html
14. გაზსადენი ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის მშენებლობა დასრულდა 10/09/2021. URL: https://tabula.ge/ge/news/672809-gazsadeni-chrdiloetis-nakadi-2-mshenebloba

The impact of the Russia-Ukraine war on the energy security of the European Union

Mariam Balkhamashvili, PhD student of GTU
Supervisor: Zurab Kvetenadze, Professor of GTU

Summary

In the modern world, energy security is one of the main guarantors of states, as a result of which the way to energy resources has become the front of political struggle between the states.

This gained special urgency, during the Ukraine crisis, and then during the Russian-Ukrainian war.

After the developments in Ukraine, the main task of the European Union remains to strengthen the energy security of the European Union, as well as the energy sustainability of the member states, and to reduce the import of energy carriers from Russia, it is actively trying to search for alternative and renewable ways to reduce energy dependence on Russia to zero. However, this is complicated by the absence of a unified energy policy among the member states.

The paper reflects on the stages of the development of Russia-EU energy relations in the period before the Russia-Ukraine war.

The article pays special attention to the analysis of energy security perspectives in energy cooperation between Russia and the European Union.

The impact and consequences of the "Northern Stream 2" gas pipeline in Russia-EU relations, which actually increased the EU's energy dependence on Russia, are also discussed. The Russia-Ukraine war put his fate aside. The suspension of certification of the mentioned gas pipeline plays an important role in the analysis of the perspectives of energy cooperation between them.

The Russia-Ukraine war presents Russia with great challenges in both geopolitical and geoeconomic aspects, despite the fact that over time Russia may find itself out of the game, but at the moment it remains the largest exporter of energy resources in the European Union.

Economic globalization and regional economic integration are currently the main trends in the functioning of the world economy. It is important for Russia to maintain its position of energy resources in the EU market, especially if the EU actively starts looking for renewable and alternative ways.

While talking about energy prospects in the changing international environment, the trend of economic competition will be maintained in the market, which requires constant regulation of the political course of the countries of the region.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შეკავების პოლიტიკა და საქართველოს ინტერესების თანხვედრა

ნუკრი გელაშვილი, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში დღეს არსებულმა დინამიურმა პროცესმა, სწრაფად ცვალებადმა და ხშირ შემთხვევაში ძნელად პროგნოზირებადმა გარემომ, გლობალიზაციამ და ტექნოლოგიების განვითარებამ საქართველოს წინაში მდგარი ამოცანების შესრულება კიდევ უფრო მეტად დაუკავშირა მის საგარეო კურსს.

მსოფლიოში მიმდინარე უახლოესმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ არსებული საფრთხეებიდან ყველაზე დამაზიანებელი და შეუქცევადი სამხედრო საფრთხეა. ასეთი საფრთხისადმი გამკლავება, მით უმეტეს პატარა ქვეყნისათვის, შესაძლებელია მხოლოდ თავდაცვისუნარიანობის ეფექტური სისტემის არსებობისას, რისთვისაც საგარეო მხარდაჭერის მოპოვება წინმსწრები ფაქტორია.

ეხება რა ნატო-ს სტრატეგიულ კონცეფციაში ასახული შეკავებასა და თავდაცვას, ავტორი მოკლედ გვაწვდის ამ ამოცანის ტრანსფორმაციის ისტორიას ნატო-ს შექმნიდან დღემდე და წერს, რომ ალიანსი, შეკავებისა და თავდაცვის ნაწილში, დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფოების თუ არასახელმწიფო აქტორების მხრიდან იძულების მიზნით პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგეტიკული, საინფორმაციო და სხვა ჰიბრიდული ტაქტიკური სვლების გამოყენებისაგან თავის დაცვას. ახალი კონცეფციის თანახმად, წევრი სახელმწიფოების მიმართ ასეთმა ჰიბრიდულმა ღონისძიებებმა შესაძლოა მიაღწიონ შეიარაღებული თავდასხმის ხარისხს, რაც გამოიწვევს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედებას.

2022 წლის ნატო-ს სტრატეგიული კონცეფცია, ეხება რა უმნიშვნელოვანეს გამოწვევებს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთი ესაა "ყველაზე მნიშვნელოვანი და პირდაპირი საფრთხე" ნატო-ს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებისათვის, ისევე როგორც მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ევროატლანტიკურ რეგიონში.

ავტორი აღნიშნავს, რომ დასავლეთის ქვეყნების ინტერესები კასპიის ნავთობისადმი ნაკარნახევია მათი პოლიტიკური გათვლებით მსოფლიო ენერგეტიკული რესურსების მიმართ, ვინაიდან სწორედ ენერგეტიკა წარმოადგენს 21-ე საუკუნის სტრატეგიულ გასაღებს. შესაბამისად, არსებული გეოპოლიტიკური ვითარებისა და უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, ევროკავშირის ინტერესის სფეროში ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ენერგომატარებლებით მდიდარი ქვეყნები მოექცნენ. ეს კი საქართველოსათვის, როგორც ტრანზიტული პოტენციალის მქონე ქვეყნისათვის ერთგვარი შანსიცაა და გამოწვევაც.

ევრაზიის კონტინენტზე შექმნილი ვითარება და საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ახალ რეალობას გვთავაზობს. ეხება რა ფინეთისა და შვედეთის ალიანსის წევრობის წინასწარ გარანტიებს და ევროატლანტიკური ალიანსის მზარდ ინტერესებს რეგიონის მიმართ, ავტორი მიიჩნევს, რომ ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მანძილზე, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ყველაზე მეტად ეხლაა შესაძლებელი.

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში დღეს არსებულმა დინამიურმა პროცესმა, სწრაფად ცვალებადმა და ხშირ შემთხვევაში ძნელად პროგნოზირებადმა გარემომ, გლობალიზაციამ და ტექნოლოგიების განვითარებამ საქართველოს წინაში მდგარი ამოცანების შესრულება კიდევ უფრო მეტად დაუკავშირა მის საგარეო კურსს. საკუთარი ინტერესების დაცვა ჩვენი ქვეყნისათვის, ისევე როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოსათვის, მნიშვნელოვნად არის და იქნება მომავალშიც დამოკიდებული მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელი სუბიექტების ხედვაზე, გავლენის არეალის და სფეროების გადანაწილებასთან დაკავშირებით.

უკრაინის მოვლენებმა მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახა, რომ საფრთხეებსა და გამოწვევებს შორის, რომლებიც შეიძლება მტრულად განწყობილი, ან თუნდაც გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკური უპირატესობის მოპოვების მქონე სუბიექტიდან შეიძლება მომდინარეობდეს, ყველაზე დამაზიანებელი და შეუქცევადი სამხედრო საფრთხეა. მით უმეტეს ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, სამხედრო საფრთხე შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნების უალტერნატივო გზა და მისი საგარეო პოლიტიკური არჩევანი რომ ძლიერი სამხედრო ალიანსის წევრობაა, კონსტიტუციითაა განსაზღვრული. ქვეყნის უზენაესი კანონის თანახმად, კონსტიტუ-

ციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა მიიღონ ყველა ზომა საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში სრულ ინტეგრაციამდე [1].

ვგეგმავთ რა სევეხოთ ნატო-ს შეკავების პოლიტიკას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მოკლედ გახსენება, რაც საფუძვლად დაედო ნატო-ს შექმნას და მისი ძირითადი ამოცანების ფორმირებას.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) 1949 წლის 4 აპრილს დაფუძნება განპირობებული იყო საბჭოური გავლენის აღმოფხვრის სურვილით. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ, მალევე ცხადი გახდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიური გეგმები. ოკუპირებულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირი მოსკოვისადმი ლოიალურ და კომუნისტური იდეოლოგიის მიმდევარ რეჟიმებს ახალისებდა. მას კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება და მისი გავლენის სფეროს გაფართოება სურდა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. **ცალსახა იყო, რომ საბჭოთა კავშირმა ევროპაში ფაშისტური დიქტატურის ჩანაცვლება არანაკლებ საფრთხის შემცველი კომუნისტური დიქტატურით განიზრახა [2].**

სწორედ ამ პერიოდში, ევროპის გასაძლიერებლად და შესაბამისად, მისთვის ეკონომიკური მხარდაჭერის აღმოსაჩენად, პრეზიდენტმა ტრუმენმა წამოაყენა ე. წ. შეკავების დოქტრინა, რომლის რეალიზება „მარშალის გეგმის“ სახელწოდებით ცნობილი პროექტის შესაბამისად განხორციელდა. „ბრიუსელის პაქტის“ ქვეყნები ერთიან თავდაცვით სისტემაში ჩართვის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ აშშ-სთან და კანადასთან, ასევე დანიასთან, ისლანდიასთან, იტალიასთან, ნორვეგიასა და პორტუგალიასთან. მოლაპარაკებები 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონის ხელშეკრულების (**ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება**) ხელმოწერით დასრულდა.

ნატო-ს მიერ გაცხადებული შეკავების პოლიტიკა იყო და არის ცივილიზებული სამყაროს წესრიგის და უმნიშვნელოვანესი ღირებულებების შენარჩუნების მნიშვნელოვანი მექანიზმი. ნატოს წესდების პრეამბულაში ვკითხულობთ, რომ მხარეები მოწოდებულნი არიან „დაიცვან საკუთარი ხალხის თავისუფლება, საერთო მემკვიდრეობა და ცივილიზაცია დამყარებული დემოკრატიულ პრინციპებზე, ინდივიდუალურ თავისუფლებასა და კანონის უზენაესობაზე“ [3]. საფრთხეს კი ამ ღირებულებებს უქმნიდა ისეთი სისტემა და ისეთი სახელმწიფო, რომელიც ცდილობდა სხვა სისტემის გავრცელებას მათ შორის ევროპის კონტინენტზე. ეს საფრთხე მოდიოდა საბჭოთა კავშირიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს ძირითადი მიზანი - წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა პოლიტიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით, უცვლელი რჩება, დროთა განმავლობაში იცვლება ამ ამოცანის შესრულების მეთოდები და მიდგომები.

თავდაპირველ ეტაპზე ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა საბჭოთა გავლენის სფეროს შეკავება (შეკავების პოლიტიკა Deterrence policy), რაც ეკონომიკურ და სამხედრო ინსტრუმენტების გამოყენების მიღმა, უმეტესწილად კომუნისტური პროპაგანდის შეკავებას და ამით საბჭოთა იდეოლოგიის გაუვრცელებლობას გულისხმობდა (ე.წ. სტრატეგიული კომუნიკაციის მეშვეობით).

50-იან წლებში, დაპირისპირების სიმწვავიდან გამომდინარე, შეკავების პოლიტიკას რადიკალური ხასიათი მიიღო. ამ პოლიტიკის მიხედვით, რომელსაც „მასიური შურისძიება“ (massive retaliation) ეწოდებოდა ალიანსი, მის წევრზე „ჩვეულებრივი იარაღით“ თავდასხმის საპასუხოდ, მზად იყო პირველს შემოეტანა ბირთვული იარაღი და ეწარმოებინა ბირთვული ომი, რაც იმ პერიოდში განაპირობებული იყო საბჭოთა კავშირის აშკარა უპირატესობით ჩვეულებრივი შეიარაღებისა და საბრძოლო ძალის კუთხით. შესაბამისად, თავდასხმის შემთხვევაში ალიანსს უნდა მიეღო ადექვატური ზომები [4].

მოგვიანებით, როდესაც რუსეთმა 1957 წელს კოსმოსში გაუშვა თანამგზავრი „სპუტნუკ 1“, აშშ-მ გააცნობიერა მოსკოვის შესაძლებლობები და ის საფრთხე, რაც შეიძლებოდა დამუქრებოდა მას, თუკი ევროპაში რუსეთის კონვენციურ ომს დაუპირისპირებდნენ ბირთვულ იარაღს. ამიტომ 1967 წელს ალიანსმა მიიღო ახალი ბირთვული სტრატეგია - „მოქნილი პასუხი“ (flexible response). სტრატეგიის თანახმად, ალიანსი ბირთვულ იარაღს პირველი გამოიყენებდა მხოლოდ მაშინ, თუ აგრესორის კონვენციურ შეტევაზე პასუხი არ აღმოჩნდებოდა შეკავებისათვის საკმარისი [5].

ცივი ომის დასრულების და მალევე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პერიოდში უსაფრთხოების გარემო არსებითად შეიცვალა, რამაც ნატოს ბირთვული სტრატეგიის გადახედვის საშუალება მისცა. 90-იან წლებში მკვეთრად იქნა შემცირებული ბირთვული იარაღის ოდენობა ევროპაში და რამდენიმე ათეულამდე შემცირდა. გარდა ამისა, ალიანსი მხარს უჭერს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმს. ამ პერიოდში, ალიანსი მიერ განცხადებული სტრატეგიის თანახმად, იგი უზრუნველყოფს შეკავებისა და თავდაცვის პოტენციალის განმტკიცებას ხმელეთზე, წყალზე

და ჰაერში არსებითი და მუდმივი დასწრებით, მათ შორის ერთობლივი საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის გაძლიერების გზით. საფრთხეების პროპორციულად, რომელსაც ალიანსი აწყდება, ნატო უზრუნველყოფს, რომ შეკავება და თავდაცვა დარჩეს სანდო, მოქნილი, ადაპტირებული და მდგრადი.

მიუხედავად ნატო-ს მოქნილი და ადაპტირებადი მიდგომებისა, ცივი ომის დასრულების შემდეგ, იგი რიგ შემთხვევებში სტრატეგიულად ჩამორჩენილად ჩანდა და მისივე წევრი ქვეყნების ზოგიერთი ლიდერი მას „მოძველებულ“, ან თუნდაც „ტვინში მკვდარ“ ორგანიზაციად მიიჩნევდა [6]. ექსპერტთა მოსაზრებით, უკრაინაში რუსეთის შეჭრამ ნატო-ს ახალი სიცოცხლე მისცა და იგი კვლავ თავდაპირველ, ისტორიულ მისიაზე ფოკუსირდა, რასაც ევროპის რუსეთისაგან დაცვა წარმოადგენს. ალიანსის წევრები აგზავნიან იარაღს უკრაინაში და პარალელურად აძლიერებენ საკუთარი თავდაცვის შესაძლებლობებს, ხოლო ორმა სახელმწიფომ - შვედეთმა და ფინეთმა, მიუმხრობლობის ნაცვლად ალიანსის წევრობა აირჩია, როგორც პირდაპირი პასუხი უკრაინაში რუსეთის შეჭრაზე.

ნატო-ს სტრატეგიული კონცეფცია და საქართველოს ინტერესი ალიანსის წევრობაზე

ნატო-ს წევრი ქვეყნების მეთაურების მიერ 2022 წლის მადრიდის კონფერენციაზე მიღებული სტრატეგიული კონცეფცია განსაზღვრავს ჩრდილოატლანტიკური კავშირის სამ ძირითად ამოცანას: 1. შეკავება და თავდაცვა; 2. კრიზისის პრევენცია და კრიზისის მართვა; 3. თანამშრომლობაზე დამყარებული უსაფრთხოება [7].

კონცეფციაში ხაზგასმულია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების ძირითადი საფუძვლის - შეკავებისა და თავდაცვის მნიშვნელოვანი განმტკიცების აუცილებლობის შესახებ.

ალიანსი, შეკავებისა და თავდაცვის ნაწილში, დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფოების თუ არასახელმწიფო აქტორების მხრიდან იძულების მიზნით პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგეტიკული, საინფორმაციო და სხვა ჰიბრიდული ტაქტიკური სვლების გამოყენებისაგან თავის დაცვას. ახალი კონცეფციის თანახმად, წევრი სახელმწიფოების მიმართ ასეთმა ჰიბრიდულმა ღონისძიებებმა შესაძლოა მიაღწიონ შეიარაღებული თავდასხმის ხარისხს, რაც გამოიწვევს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედებას.

ნატო-ს შეკავებისა და თავდაცვის პოლიტიკა გულისხმობს, რომ ნატოს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობების სრული სპექტრი, რომელიც აუცილებელია მისი მოსახლეობის დასაცავად და დამუქრებული საფრთხის შესაჩერებლად, ასევე მისი ტერიტორიის უსაფრთხოებისათვის. ალიანსი ვალდებულია უზრუნველყოს შეკავებისა და თავდაცვის პოზიციის გაძლიერება უსაფრთხოების შეცვლილი და განვითარებადი გარემოს გათვალისწინებით [8].

საერთაშორისო ურთიერთობათა ექსპერტის, ჰენრი კისინჯერის აზრით, მსოფლიოში არსებული საერთაშორისო სისტემების რეკონსტრუქცია ახალ გამოწვევებს წარმოშობს. უნიკალური მართვის სტილის მქონე თითოეული რეგიონი აღმოჩნდება ცდუნების წინაშე, მის საზღვრებზე მოსინჯოს ძალა სხვების, არალეგიტიმურად მიჩნეული წესრიგის სისტემების მიმართ. დღეს არსებული ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, პერიფერიებზე მიმდინარე შეხლა-შემოხლა მალევე გადაიქცევა სტატუსისა და უპირატესობისათვის ბრძოლის კონტინენტურ ან სულაც გლობალურ დაპირისპირებად [9].

ამ ფონზე განსაკუთრებით საყურადღებოა პოსტკომუნისტური სივრცე, რომელიც დღეისათვის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთი უსუსტესი რგოლია. ცივილიზებულ მსოფლიოს კარგად ესმის, რომ ამ სივრცეში აღმოცენებული სახელმწიფოების თვითრეალიზება და სტაბილური განვითარება აუცილებელი კომპონენტია მშვიდობის შენარჩუნებისათვის. „სწორედ პოსტკომუნისტურ სივრცეში უნდა დამკვიდრდეს ყველაზე ეფექტურად საერთაშორისო სამართლის პრინციპები, ქცევის მიღებული ნორმები და წესები, რათა თავიდან იქნეს აცილებული არა მხოლოდ ხსენებულ სივრცეში წარმოდგენილი ახალი სუვერენული ქვეყნების კოლაფსი, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში „უმწეო“, არასტაბილური სახელმწიფოებისაგან შემდგარი, უზარმაზარი კონფლიქტოგენური რგოლის ჩამოყალიბება“ [10].

კისინჯერის მოსაზრების რეალიზება, ბოლო ათწლეულის მანძილზე, განსაკუთრებული სისწრაფით მიმდინარეობს. რუსეთის დამაზიანებელმა ქმედებებმა და ჩინეთის „მავნე აქტიურობამ“ საფრთხე შეუქმნა ევროატლანტიკური უსაფრთხოების განჭვრეტად წესრიგს.

2022 წლის ნატო-ს კონცეფციაზე წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა განსაზღვრეს რა სტრატეგიული გარემოს, ყურადღება გაამახვილეს უმნიშვნელოვანეს გამოწვევებზე. ასე მაგალითად, შეეხნენ ტერორიზმი მისი ყოველგვარი გამოვლინებით, კონფლიქტებსა და არასტაბილურ გარემოს აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში და სამხრეთ მიმართულებაზე. მაგრამ პირველად,

ფაქტობრივად ღიად, თავის სტრატეგიულ კონკურენტად ნატომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა. თუმცა, დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ რუსეთი ესაა "ყველაზე მნიშვნელოვანი და პირდაპირი საფრთხე" ნატო-ს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებისათვის, ისევე როგორც მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ევროატლანტიკურ რეგიონში. კონცეფციაში ასევე აღნიშნულია, რომ პეკინის სამხედრო ამბიციები, მისი კონფრონტაციული რიტორიკა, მისი მზარდი და მჭიდრო კავშირები მოსკოვთან წარმოადგენს სისტემურ გამოწვევას.

ნატოს გენერალური მდივნის, იენ სტოლტენბერგის თანახმად, „ჩინეთი არსებითად აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს, მათ შორის ბირთვულ იარაღს, აბულინგებს მეზობლებს, ემუქრება ტაივანს.... ავრცელებს რუსულ დეზინფორმაციას“ [11].

ჩინეთისადმი ამგვარად მომეტებული ინტერესი ნათლად ასახავს უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გეოპოლიტიკური გარემოს მკვეთრ ცვლილებას. რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე, რუსეთის პრეზიდენტის ჩინეთში ვიზიტმა და ე. წ. „ულიმიტო პარტნიორობის“ მემორანდუმზე ხელმოწერამ, ასევე რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ჩინეთის მხრიდან ლოიალურმა პოზიციამ და აგრესიის ფაქტის არ დაგმობამ, ჩინეთში რუსული ენერგიის ნაკადების მნიშვნელოვანმა ზრდამ დასავლელ ლიდერებს ნერვიულობის საბაბი გაუჩინა [12].

მიმდინარე მოვლენები იძლება საშუალებას დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ ჩინეთი და რუსეთი ერთ ხაზს მიყვებიან. მათი სტრატეგიული ინტერესები მნიშვნელოვანწილად მსგავსია და გულისხმობს საერთაშორისო წესრიგის უგულვებელყოფას დასახული მიზნების მიღწევის გზაზე. ვფიქრობთ, ჩინეთი აცნობიერებს, რომ რუსეთი შეუქცევად დასუსტდება და აღარ იქნება ძლიერი მოთამაშე საერთაშორისო ასპარეზზე მომდევნო ათწლეულში, მაგრამ ალიანსის წევრების სტრატეგიული აქცენტების რუსეთზე გადატანა შეასუსტებს მათი ყურადღების ფოკუსირებას ტაივანის ირგვლივ, რომელიც დასავლეთთან დაახლოებას ცდილობს [13].

როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ნატოს ახალი კონცეფციით ახლებურად შეფასდა უსაფრთხოების გარემო, მაგრამ ევროატლანტიკური რეგიონისათვის, საფრთხეებს შორის უმთავრესი, კვლავ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები რჩება. „იგი ცდილობს იძულების, დივერსიის, აგრესიისა და ანექსიის გზით დაადგინოს საკუთარი გავლენისა და პირდაპირი კონტროლის სფეროები. მის მიზანს წარმოადგენს ალიანსის აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ქვეყნების დესტაბილიზაცია, ასევე უკიდურეს ჩრდილოეთში ხელი შეუშალოს ნატოს ქვეყნების გაძლიერებას, რაც სტრატეგიული გამოწვევაა ალიანსისათვის“ [7]. სწორედ ამიტომ, ალიანსის წევრი ქვეყნების ლიდერები, ნატო-ს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანის - „კრიზისის პრევენციისა და კრიზისის მართვის“ ნაწილში, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერას, რაც მიზნად ისახავს პარტნიორი ქვეყნების შესაძლებლობებისა და მზაობის ამაღლებას, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ მავნე ჩარევასა და აგრესიას, თავიდან აიცილონ დესტაბილიზაცია. ამ ნაწილში კი თბილისის ინტერესი სრულ თანხვედრაშია ნატოს ინტერესთან, რამეთუ სწორედ საქართველოსადმი რუსეთის აგრესიის და მტრული მოქმედების შედეგია ოკუპირებული ტერიტორიები და ამ ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობა.

ჯერ კიდევ წლების წინ, განიხილავდა რა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს, უინსტონ ჩერჩილმა აღნიშნა, რომ: „ერთ რომელიმე ხარისხზე, ერთ რომელიმე პროცესზე, ერთ რომელიმე ქვეყანაზე, ერთ რომელიმე მარშრუტზე და ერთ რომელიმე სფეროზე ჩვენ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული. ნავთობის უწყვეტობა და უსაფრთხოება დამოკიდებულია მისი წყაროების მრავალფეროვნებაზე და მხოლოდ ამაზე“ [14].

დასავლეთის ქვეყნების ინტერესები კასპიის ნავთობისადმი ნაკარნახევია მათი პოლიტიკური გათვლებით მსოფლიო ენერგეტიკული რესურსების მიმართ, ვინაიდან სწორედ ენერგეტიკა წარმოადგენს 21-ე საუკუნის სტრატეგიულ გასაღებს. შესაბამისად 1994 წლის სექტემბერში კასპიის ზღვაში ნავთობის მოპოვებისა და მისი შემდგომ ტრანსპორტირებისათვის აზერბაიჯანსა და წამყვან დასავლურ ნავთობკომპანიებს შორის ხელი მოეწერა „საუკუნის კონტრაქტად“ წოდებულ შეთანხმებას, რამაც განაპირობა დასავლეთის ინტერესის ზრდა საქართველოს, როგორც სატრანზიტო პოტენციალის მქონე ქვეყნის მიმართ.

ნატოს გენ მდივანი ხავიერ სოლანა 1997 წელს საქართველოს პარლამენტში გამოვიდა და აღნიშნა, რომ ევროპა ვერ იქნება ბოლომდე უსაფრთხო და ვერ გამოიყენებს სრულად საკუთარ პოტენციალს, თუ კავკასიის ქვეყნები დარჩებიან ევროპული უშიშროების სივრცის გარეთ. ამრიგად, ეს იყო ნატოს პირველი თამამი განცხადება, საიდანაც ჩანდა, რომ ალიანსი სამხრეთ კავკასიას უკვე მიიჩნევდა იმ რეგიონად, რომელთანაც პირდაპირი ხაზით იყო დაკავშირებული მისი უსაფრთხოება [15].

ჩერჩილის მიერ შემოთავაზებული მიდგომა წლების შემდეგ უაღრესად აქტუალური გახდა. რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ევროპის ბლოკის

27-მა ქვეყანამ ენერგომატარებლების წყაროებისა და მისი მოწოდების გზების დივერსიფიცირებაზე ზრუნვა განაახლა. ინტერესის სფეროში ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ენერგომატარებლებით მდიდარი ქვეყნები მოექცნენ. ევროკავშირმა, რუსული ბუნებრივი გაზის ალტერნატივად, აზერბაიჯანიდან ბუნებრივი გაზის მიწოდების გაორმაგებაზე შეთანხმება გააფორმა [16].

შესაძლოა რუსეთის წუხილი ნატო-ს გაფართოების და შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის ზრდის თაობაზე არც თუ უსაფუძვლოა, მაგრამ საქართველოს „წუხილი“ რუსეთის „წუხილის“ საპირისპიროა. ამდენად, საქართველოსთვის ნატოს ყოველი გაფართოება რუსეთის კიდევ უფრო შესუსტებას ნიშნავს და ჩვენს ეროვნულ ინტერესს ესადაგება. ნატოს ღია კარის დღის პოლიტიკა არის უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი მექანიზმი ნატოს უმთავრესი ამოცანის - შეკავებისა და თავდაცვის აღსრულების გზაზე. ნატო-ში ახალი წევრების მიღებით, მისი გეოგრაფიული არეალის გაფართოება არის მყარი გარანტია იმისა, რომ რუსეთმა ვეღარ შეძლოს თავისი ექსპანსიონისტური, იმპერიალისტური იდეების ხორცშესხმა. ამ კუთხით, ნატოსთვის განსაკუთრებულ ინტერესს უნდა წარმოადგენდნენ რუსეთთან გეოგრაფიულად ახლოს მყოფი, მაგრამ ღირებულებებითა და მსოფლმხედველობით შორს მდგომი ქვეყნები.

გამომდინარე იქიდან, რომ დასავლეთ ბალკანეთს და შავი ზღვის რეგიონს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ასევე საქართველო და უკრაინა წარმოადგენენ ალიანსის უპირობო ინტერესს. შესაბამისად არსებობს მოლოდინი, რომ ნატო გააგრძელებს ამ რეგიონების ქვეყნების მხარდაჭერას, მათი შესაძლებლობების გაძლიერებისა და მესამე მხარის მიერ მავნე ჩარევებისა და იძულებისადმი მდგრადობის კუთხით, მათ საბოლოო ინტეგრაციამდე.

ნატოს **ახალი სტრატეგიული კონცეფცია ადასტურებს, რომ მისი მთავარი მიზანი არის კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს 360 გრადუსიან ხედვაზე დაფუძნებულ მიდგომას. ამ მიზნის მისაღწევად** ნატოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას „თანამშრომლობაზე დამყარებული უსაფრთხოება“ წარმოადგენს. ხოლო აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად კი ალიანსის წევრი სახელმწიფოების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ნატო-ს კარები რჩება ღია ყველა ევროპული, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, რომლებიც იზიარებენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ღირებულებებს და არიან მზად და შესწევთ უნარი აიღოს ის პასუხისმგებლობა და ვალდებულებები, რაც დაკავშირებულია ნატო-ს წევრობასთან და ვისი წევრობაც ხელს შეუწყობს ალიანსის საერთო უსაფრთხოებას [7].

ახალ სტრატეგიულ დოკუმენტში, ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერებმა, კიდევ ერთხელ გამოხატეს მხარდაჭერა საქართველოსადმი და აღნიშნეს, რომ ალიანსი გააგრძელებს პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას, მათ შორის საქართველოსთან, საერთო ინტერესების წინსვლისათვის, როგორიცაა მშვიდობა, სტაბილურობა და უსაფრთხოება ევროატლანტიკურ რეგიონში. „ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს მიერ 2008 წელს ბუქარესტში მიღებულ გადაწყვეტილებას და შემდგომ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში“ [7], აღნიშნულია კონცეფციაში.

საქართველოს ნატო-ს წევრობისკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენს, რაც ერთი შეხედვით გადაუჭრელ ამოცანაა, ნატო-ს წევრი ქვეყნებისთვის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლთან მიმართებით, რომლის თანახმადაც, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად. ანუ, არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს ალიანსში გაწევრიანების შემთხვევაში, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი ავტომატურად უნდა ამოქმედდეს, რაც ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უმეტესობისათვის დამაფიქრებელია და შეუძლებელს ხდის საკითხის საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტას.

საქართველოს ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) ნატოს ბუქარესტის სამიტზე ვერ მიღება, ევროპის რიგი ქვეხნების მხრიდან, იმ დროისათვის, რუსეთთან ურთიერთსასარგებლო, ორმხრივი ურთიერთობის შენარჩუნების სურვილით იყო ნაკარნახები და უარყოფითი გადაწყვეტილების წინმსწრებ ფაქტორს წარმოადგენდა. ხოლო, ოკუპირებული ტერიტორიები და მე-5 მუხლის ამოქმედების საშიშროება, მეორადი ხასიათისა იყო. ასეთ პოზიციას, სამხედრო უსაფრთხოებაზე მეტად, საფუძვლად ედო ეკონომიკური და ენერგეტიკული გათვლები, რომლებსაც ქვემოთ შევეხებით და რომლებიც რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში რადიკალურად შეიცვალა.

რაც შეეხება რუსეთის „ლეგიტიმური შეშფოთებას უსაფრთხოებაზე“ ნატოს შესაძლო გაფართოებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ

2008 წლიდან 2022 წლამდე ალიანსს ოთხი წევრი ქვეყანა დაემატა (2009 წ. - ალბანეთი, ხორვატია; 2017 წ. - მონტენეგრო; 2020 წ. - ჩრდილოეთ მაკედონია), ხოლო 2022 წელს კი ნატო-მ ისეთ ქვეყნებს გაუხსნა კარი, როგორიცაა შვედეთი და ფინეთი, რომელთაგან ამ უკანასკნელის საზღვრის სიგრძე რუსეთთან 1340 კილომეტრია და აღემატება ნატო-რუსეთს შორის მანამდე არსებული საზღვრის სიგრძეს.

2018 წელს ამერიკული კონსერვატიული კვლევითი ცენტრ „მემკვიდრეობის ფონდი"-ს მიერ გამოქვეყნდა მკვლევარი ლუკ კოფის ნარკვევი სახელწოდებით - „ნატოში გაწევრიანება საქართველოსთვის: აშშ და ევროპული ინტერესებიდან გამომდინარე" [17]. აღნიშნული ნაშრომი ავტორი იძლევა გარკვეულ რეკომენდაციებს, რომელთა შორის მკვლევარი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე გამოწვევების გადალახვისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებისათვის ხელშეწყობის გზად, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-6 მუხლის დროებით შესწორებას განიხილავს. „ბევრი წუხს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება ნიშნავს რუსეთთან ავტომატურ ომს ოკუპირებული რეგიონების გამო. მაგრამ მე-6 მუხლის შესწორებით - სადაც განისაზღვრება რომელი ტერიტორიები ექცევა მე -5 მუხლის დაცვის ქვეშ, შესაძლებელი ხდება რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დროებითი გამორიცხვა მე-5 მუხლის დაცვიდან. ეს შესწორება შეიძლება გაკეთდეს საქართველოს გაწევრიანების ოქმით, რადგან ეს იყო 1951 წელს, როდესაც თურქეთი და საბერძნეთი ალიანსში გაწევრიანდნენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ დროებითი ღონისძიება იქნება, სანამ საქართველოს სრული, საერთაშორისო დონეზე აღიარებული ტერიტორია არ აღდგება მშვიდობიანი და დიპლომატიური საშუალებებით მომავალში. ეს არის საქართველოს ნატოში გაწევრიანების გონივრული გზა და რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ საქართველო, აშშ ან ნატო ცვლიან მიდგომას საქართველო ტერიტორიული მთლიანობის მიმართ" [17].

რუსეთ-უკრაინის ომმა, მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელი სუბიექტები ახალი რეალობის წინაშე დააყენა. საქართველოსადმი ინტერესის მატება, თავად საქართველოს ინტერესების მეტად გათვალისწინებას, ხვალინდელი დღის აუცილებელ მახასიათებლად აქცევს. საქართველოს ინტეგრირება ნატო-ში, ლუკ კოფის მიერ შემოთავაზებული ფორმულის შესაბამისად, თუ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს (ყოფილის სამხრეთ ოსეთი) ჩათვლით, ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მანძილზე, ყველაზე მეტად რეალისტური ამ გეოპოლიტიკურ ვითარებაში შეიძლება იყოს. ვფიქრობთ, რომ ორივე შემთხვევაში ეს იქნება წინაპირობა ერთიანი, სუვერენული საქართველოს არსებობისა.

შეხედულებას, რომ საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება, ვიდრე ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა არ მოგვარდება, არანაირი ფორმალური საფუძველი არ გააჩნია. ნატო-ს ინტერესებიდან გამომდინარე, ალიანსს მიღებულია აქვს არასტანდარტული გადაწყვეტილებები. ასე მაგალითად, 2004 წელს, ნატოში გაწევრებისას ბალტიის ქვეყნებს საზღვრების დემარკაციის საკითხები არ ჰქონდათ მოგვარებული რუსეთთან, ამ უკანასკნელის მხრიდან პროცესის გაჭიანურების გამო [18].

მოსაზრებას, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხის გააქტიურებას, შესაძლოა მოყვეს რუსეთის მხრიდან საქართველოს სრული ოკუპაცია და ანექსია, გვინდა ვუპასუხოთ შეკითხვით - და რა მოხდება თუ რუსეთი დააპირებს საქართველოს სრულ ანექსიას დღეს? განა მართებული იქნება ვიფიქრო, რომ რუსეთს ამის სურვილი არ გაუჩნდება მხოლოდ იმიტომ რომ ოფიციალური თბილისი მოიქცევა ისე, როგორც მოსკოვს სურს? თუ პასუხი დადებითია, მაშინ საუბარი სუვერენიტეტზე ზედმეტია და რუსეთსაც სამხედრო ძალისხმევა ზედმეტად აღარ დასჭირდება, რამეთუ თვითკაპიტულაციის რეჟიმში ვიმყოფებით. მაგრამ ეს რომ ასე არაა საქართველოში ჩატარებულმა არაერთმა ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევამ დაადასტურა. ნატოში გაწევრება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის არჩევანია, რაც ნათლად ჩანს 2008 წლის 5 იანვარს ჩატარებული პლებისციტით, როცა მოსახლეობის 77%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს ნატოში გაწევრებას [19]

ყველაზე ქმედითი მექანიზმი, რომელიც შეიძლება საქართველომ გამოიყენოს რუსეთის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში, ისევ და ისევ მტრისთვის საკადრისი პასუხის გაცემაა. საქართველომ თავისი თავდაცვითი შესაძლებლობების განუხრელი გაზრდით უნდა შეძლოს ნატო-ს წევრი ქვეყნების დარწმუნება, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლებს მოწინააღმდეგისათვის წინააღმდეგობის გაწევას იმ ვადით, რაც საჭიროა ალიანსის მხრიდან მისთვის პოლიტიკური და სამხედრო დახმარების აღმოსაჩენად. ამისათვის კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს თავდაცვითი დანახარჯების გაზრდას, როგორც ეს შვედეთის და ფინეთის შემთხვევაში ვიხილეთ. აქვე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიოში ბევრი პატარა ქვეყანა, ისეთები, როგორიცაა მაგალითად შვეიცარია და ისრაელი, გასაოცარი მიღწევებით

გამოირჩევა, მათ შორის თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით.

პრინციპი რომელიც გულისხმობს, საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და მდგრადობის ზრდის პარალელურად, მეტი დახმარების მიღების და კონფლიქტის მოგვარებაში მეტი საერთაშორისო მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას, უკრაინის მაგალითზე ნათლად ჩანს - დახმარება უკრაინის მდგრადობის პროპორციულად იზრდება.

საქართველოსთვის მეტად საინტერესოა შვედეთისა და ფინეთის შემთხვევა. ბრიტანეთმა, ნორვეგიამ, დანიამ, ისლანდიამ და ნატოს სხვა წევრებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება შვედეთისა და ფინეთის გადაწყვეტილების მხარდასაჭერად, სადაც პირობა დადეს, რომ მხარს დაუჭერენ ორი ქვეყნის სწრაფ გაწევრიანებას ალიანსში და დაეხმარებიან მათ ყოველგვარი საპასუხო ქმედების წინააღმდეგ [20].

პროფესორი კორნელი კაკაჩია თქმით, „როცა საუბარი არის ორი ქვეყნის გაწევრიანებაზე, ხშირად საუბრობენ: „მაპი რომ მოგცეთ, მერე ჩვენ რა გარანტია გვაქვს… ამან კიდევ არ წააქეზოს რუსეთი, რომ ომი დაიწყოს…“. ეს მოდელი იქნება საინტერესო, თუ ფინეთისთვის და შვედეთისთვის შესაძლებელია გარანტიების მიცემა შუალედურ პერიოდში, მაშინ ეს შეიძლება საინტერესო იყოს საქართველოსთვის და უკრაინისთვისაც“ [21].

დასკვნა

დიდი, ძლიერი ქვეყნები თავიანთ სურვილებსა და ინტერესებს უმეტესად „დიპლომატიურ საბურველში“ გახვეული, შენიღბული ფორმით გამოხატავენ. სინამდვილეში კი, მსოფლიოში ძალის პოლიტიკა ბატონობს. სწორედ ამიტომ, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, უმნიშვნელოვანესია საკუთარ შესაძლებლობებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული სწორი საგარეო ორიენტაცია, რათა უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვით შესაძლებლობებზე დაფუძნებული უსაფრთხოება.

პრაგმატული და შედეგზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარება, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფის წინაპირობას, რაც თავის მხრივ არის ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების საწინდარი.

რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები, როგორც ბარიერი ნატოსკენ მიმავალ გზაზე, არსებობდა 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დროსაც, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ნატო-ს წევრი ქვეყნებისათვის გაეკეთებინათ ჩანაწერი დეკლარაციაში, რომ „საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა“. ამ ფაქტის შემდეგ, მიუხედავად რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული საომარი მოქმედებებისა და დამატებითი ტერიტორიების ოკუპაციისა, ნატო-ს მომდევნო სამიტებზე წევრი სახელმწიფოების ლიდერები აღნიშნული ჩანაწერის ერთგულნი რჩებოდნენ. ეს კი მნიშვნელოვანი გზავნილია საქართველოსათვის, რათა მეტი ძალისხმევა ჩაიდოს ქვეყნის თავდაცვითი პოტენციალის ამაღლების და მდგრადობის გაზრდის კუთხით, რათა „ღირსეული პარტნიორი“ ერთ დღეს გახდეს ნატო-ს წევრი.

ევრაზიის კონტინენტზე შექმნილი ვითარება და საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ახალ რეალობას გვთავაზობს. საქართველო მნიშვნელოვანი ეკონომიკური, ენერგო-ტრანზიტისა და ვაჭრობის საერთაშორისო ჰაბია და როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის კორიდორის განუყოფელ ნაწილი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ევროპის ენერგოუსაფრთხოებისა და მომარაგების სტრატეგიული მარშრუტების დივერსიფიკაციის კუთხით. სწორედ ამიტომ, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება, ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მანძილზე, ყველაზე მეტად ამ გეოპოლიტიკურ ვითარებაშია შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, მუხ. 78 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
2. ნატოს ისტორია - https://old.infocenter.gov.ge/nato-history/#1
3. The North Atlantic Treaty - https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_17120.htm
4. A SHORT HISTORY OF NATO - https://www.nato.int/cps/en/natohq/declassified_139339.htm
5. Nuclear strategy - https://www.britannica.com/topic/nuclear-strategy/Flexible-response
6. Why China is mad at NATO right now - https://www.grid.news/story/global/2022/07/02/natos-new-china-focus-smart-move-or-too-provocative/
7. NATO 2022 Strategic Concept - https://www.nato.int/strategic-concept/

8. Deterrence and difence - https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_133127.htm
9. ჰენრი კისინჯერი, „მსოფლიო წესრიგი“, გამომც. „ინტელექტი“, თბ. 2020, ინგლისურიდან თარგმნა მაია ფანჯიკიძემ. გვ 526-527
10. ალექსანდრე რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, მეორე, განახლებული გამოცემა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბ., 2009 წ. გვ. 78
11. NATO declares China a security Challenge for the first time - https://www.aljazeera.com/news/2022/6/30/nato-names-china-a-strategic-priority-for-the-first-time
12. China's Spending on Russian Energy Jumps to $6.4 Billion in June - https://www.iqstock.news/n/china-spending-russian-energy-jumps-billion-june-4237155/
13. China and Taiwan: A really simple guide - https://www.bbc.com/news/world-asia-china-59900139
14. NATO AFTER ENLARGEMENT: NEW CHALLENGES, NEW MISSIONS, NEW FORCES, Edited by Stephen J. Blank, September 1998 - https://apps.dtic.mil/sti/pdfs/ADA354158.pdf
15. პაატა შამუგია - საქართველოს საგარეო ორიენტაციის პრობლემები 327.001.16, საქ. ტექ. უნ. თბილისი, 0175, საქართველო, თებერვალი 2018 წ. გვ. 82
16. EU signs new gas deal as fears grow over Russian supplies cutoff - https://www.cnbc.com/2022/07/18/eu-gas-deal-with-azerbaijan-as-fears-grow-over-russia-supplies.html
17. NATO Membership for Georgia: In U.S. and European Interest - https://www.heritage.org/defense/report/nato-membership-georgia-us-and-european-interest
18. The Long Shadow of History - https://www.jstor.org/stable/pdf/26323241.pdf?refreqid=excelsior%3Adb157b9368f2f86607d22acbacf30fbf&ab_segments=&origin=&acceptTC=1
19. გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ - http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2019-04/1555401920_nato-book-2019-1.pdf
20. NATO Countries Begin Ushering Finland and Sweden Into the Fold - https://foreignpolicy.com/2022/05/16/finland-sweden-nato-russia-war-security/
21. რას ნიშნავს ფინეთის ნატოში შესვლა რუსეთისთვის, თავად ალიანსისა და საქართველოსთვის - https://netgazeti.ge/life/610286/

Deterrence policy of the North Atlantic Treaty Organization and convergence of interests of Georgia

Nukri Gelashvili PhD student of GTU

Summary

The dynamic process existing in the international relations system today, the rapidly changing and in many cases difficult to predict environment, globalization and the development of technologies connected the fulfillment of the tasks facing Georgia even more with its foreign course.

Recent events in the world have once again shown that the most damaging and irreversible of the existing threats is the military threat. Coping with such a threat, especially for a small country, is possible only in the presence of an effective defense system, for which foreign support is a prerequisite.

Regarding the deterrence and defense reflected in NATO's strategic concept, the author briefly provides us with the history of the transformation of this task from the creation of NATO to the present day and writes that the alliance, in the deterrence and defense part, pays a lot of attention to political, economic, energy , avoiding the use of informational and other hybrid tactical moves. According to the new concept, such hybrid measures against member states could reach the level of an armed attack, which would trigger Article 5 of the North Atlantic Treaty.

NATO's strategic concept for 2022, addressing the most important challenges, emphasizes that Russia is the "most important and direct threat" to the security of NATO member states, as well as to peace and stability in the Euro-Atlantic region.

The author notes that the interests of Western countries in Caspian oil are dictated by their political calculations regarding the world's energy resources, since energy is the strategic key of the 21st century. Accordingly, taking into account the current geopolitical situation and the security environment, the energy-rich countries of Central Asia and the South Caucasus are in the field of interest of the European Union. This is both a chance and a challenge for Georgia, as a country with transit potential.

The situation on the Eurasian continent and the geopolitical location of Georgia offer us a new reality. Regarding the preliminary guarantees of membership of the alliance of Finland and Sweden and the growing interests of the Euro-Atlantic alliance in the region, the author admits that in the history of NATO-Georgia relations, Georgia's accession to NATO is most possible now.

არატრადიციული ნაციონალიზმი და პოსტმოდერნისტული მსოფლიო

თამარ ზირაქაშვილი, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

XX-XXI საუკუნის მიჯნაზე მსოფლიო წესრიგის ახალი კონფიგურაცია გამოიკვეთა. მანამდე შეიძლება წარმოვიდგინოთ „სამი კონცეპტუალური წრე“ თუ იერარქიული სამყარო 1. წინამოდერნი; 2. მოდერნი და 3. პოსტმოდერნი.

წინამოდერნი საჭიროებს ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს სოციალური წესრიგის დასამყარებლად და განსამტკიცებლად. მაგრამ ბევრი მიზეზის გამო მას არ შეუძლია მყარი ინსტიტუციონალიზაცია. აქ ადამიანს არჩევანის გაკეთება უწევდა იმპერიასა და ქაოსს შორის. დღეისათვის თუ ვინმეს არ შეუძლია შექმნას იმპერია, ირჩევს ქაოსს. დღეს წინამოდერნის სამყაროს პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ აფრიკის ქვეყნების უმცირესობა და აზიის რიგი ქვეყნები, შეიძლება მასში კანდიდატებად მოვიაზროთ პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი რეგიონი.

მოდერნისტული სამყარო - ესაა სახელმწიფოს კლასიკური სისტემა, სახელმწიფო ინარჩუნებს მონოპოლიას ძალის გამოყენებაზე და მზადაა იმოქმედოს ერთი-მეორის წინააღმდეგ. აქ მთავარი მახასიათებელია სახელმწიფო სუვერენიტეტის აღიარება და თანმიმდევრული გამიჯვნა საშინაო და საგარეო პოლიტიკის. ამ სამყაროში, ანუ მოდერნის სამყაროში უსაფრთხოების მთავარი გარანტი ძალაა. ესაა სამყარო, რომელშიც (თეორიულად მაინც) საზღვრები შეიძლება შეიცვალოს ძალით.

რაც შეეხება პოსტმოდერნისტულ სამყაროს, იგი გამოდის (ტოვებს) ძალისმიერი სახელმწიფოების სისტემიდან. აქ თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა სისტემა კოლაფსში ექცევა, მაგრამ განსხვავებით წინამოდერნისტული სამყაროსაგან, მას კოლაფსში აგდებს არა ქაოსი, არამედ დიდი მსოფლიო წესრიგი. ხდება საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის საზღვრების მოშლა.

საკვანძო სიტყვები: წინამოდერნისტული, პოსტმოდერნისტული, სუვერენიტეტი, მოდერნი.

შესავალი

XX-XXI საუკუნის მიჯნაზე მსოფლიო წესრიგის ახალი კონფიგურაცია გამოიკვეთა. მანამდე შეიძლება წარმოვიდგინოთ „სამი კონცეპტუალური წრე“ თუ იერარქიული სამყარო 1. წინამოდერნი; 2. მოდერნი და 3. პოსტმოდერნი. [1:10-11]

წინამოდერნი საჭიროებს ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს სოციალური წესრიგის დასამყარებლად და განსამტკიცებლად. მაგრამ ბევრი მიზეზის გამო მას არ შეუძლია მყარი ინსტიტუციონალიზაცია. აქ ადამიანს არჩევანის გაკეთება უწევდა იმპერიასა და ქაოსს შორის. დღეისათვის თუ ვინმეს არ შეუძლია შექმნას იმპერია, ირჩევს ქაოსს. [1:16] დღეს წინამოდერნის სამყაროს პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ აფრიკის ქვეყნების უმცირესობა და აზიის რიგი ქვეყნები, შეიძლება მასში კანდიდატებად მოვიაზროთ პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი რეგიონი.

ძირითადი ნაწილი

მოდერნისტული სამყარო - ესაა სახელმწიფოს კლასიკური სისტემა, სახელმწიფო ინარჩუნებს მონოპოლიას ძალის გამოყენებაზე და მზადაა იმოქმედოს ერთი-მეორის წინააღმდეგ. აქ მთავარი მახასიათებელია სახელმწიფო სუვერენიტეტის აღიარება და თანმიმდევრული გამიჯვნა საშინაო და საგარეო პოლიტიკის. ამ სამყაროში, ანუ მოდერნის სამყაროში უსაფრთხოების მთავარი გარანტი ძალაა. ესაა სამყარო, რომელშიც (თეორიულად მაინც) საზღვრები შეიძლება შეიცვალოს ძალით. [1:17] საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით, ამგვარი მსოფლიო მთელი თავისი მუდმივი ინტერესთა კალკულაციითა და ძალით აღგვიწერეს ნიკოლო მაკიაველმა და კარლ ფონ კლაუზევიცმა. მას მიეკუთვნება ისეთი მსხვილი სახელმწიფოები, როგორიცაა: ჩინეთი, ინდოეთი და ბრაზილია. ასევე სპარსეთის ყურის და სხვა სახელმწიფოები.

რ. კუპერი ამ კატეგორიას სავსებით სამართლიანად მიაკუთვნებს რუსეთის ფედერაციასაც, მაგრამ ჩვენ დავამატებთ იმას, რომ რუსეთისათვის თუ არ ჩავთვლით მონღოლთა შემოსევების ეპოქას, ყოველთვის პოპულიარული იყო იმპერიული იდეა და აქ ერი-სახელმწიფო პრინციპში არც ჩამოყალიბებულა თავისი კლასიკური ფორმებით. იმპერიული პროექტი მიმზიდველია მათთვის დღესაც, რასაც თვალნათლივ უყურებს მთელი მსოფლიო.

რაც შეეხება პოსტმოდერნისტულ სამყაროს, იგი გამოდის (ტოვებს) ძალისმიერი სახელმწიფოების სისტემიდან. აქ თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა სისტემა კოლაფსში ექცევა, მაგრამ განსხვავებით წინამოდერნისტული სამყაროსაგან,

მას კოლაფსში აგდებს არა ქაოსი, არამედ დიდი მსოფლიო წესრიგი. [1:19] ხდება საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის საზღვრების მოშლა. საერთაშორისო ურთიერთობების ყველა მონაწილე აღიარებს ურთიერთდამოკიდებულებას. ძალა, როგორც წინააღმდეგობის გადაჭრის საშუალება, იგნორირებულია. სახელმწიფოებრივი საზღვრები თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას. საერთაშორისო უსაფრთხოების სტრუქტურა დაფუძნებულია ტრანსფარენტულობის, ურთიერთგახსნილობის, ურთიერთდამოკიდებულებების და ურთიერთმოწყვლადობის პრინციპზე. პირველ პოსტმოდერნისტულ სახელმწიფოებრივ სისტემას, რომლის ნიშნებიც ნათლად იყო გამოკვეთილი კანტის მსოფლიო მოდელის კონცეფციაში, შეიძლება მივაკუთვნოთ ევროკავშირი, კანადა და გარკვეული რაკურსით იაპონია. (აქ ნაკლებად იგულისხმება ტრადიციულ ფასეულობებზე დარტყმა).

პოსტმოდერნისტული სახელმწიფოს პრობლემას დღეისათვის წარმოადგენს დემოკრატია და დემოკრატიული ინსტიტუტები, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული კლასიკურ ნაციონალურ ტერიტორიულ სახელმწიფოსთან. ერთიანი ეროვნული იდენტობა, ეროვნული ტერიტორია, ნაციონალური არმია, ეროვნული ეკონომიკა და ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტები, ჯერ კიდევ უაღრესად ეფექტურია. ეკონომიკა კანონმდებლობა და თავდაცვა შეიძლება თანდათანობით მოექცეს ინტერნაციონალურ ჩარჩოში. ტერიტორიის საზღვრები შეიძლება ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდეს, მაგრამ იდენტობა და დემოკრატიული ინსტიტუტები უპირატესად ნაციონალური რჩება. ამიტომაც ტრადიციული სახელმწიფოები უახლოეს მომავალში საერთაშორისო ურთიერთობებში დარჩება, როგორც ფუნდამენტური ერთეული, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ყველაფერში საკუთარ ტრადიციებს არ მისდიოს. [1:23]

ნაციონალიზმის საერთო ტრანსფორმაცია XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე შემდეგნაირად გამოიყურება: წინამოდერნის ეპოქაში (მოდერნისტული პარადიგმის აზრით) ნაციონალიზმი პრაქტიკულად არ არსებობს: ბატონობს რელიგიური იდეოლოგია, ეთნოცენტრისტული და კლანური ფასეულობები. ხილული პერსპექტივით აქ არ შეიძლება შედგეს ერი, რამდენადაც ამისათვის არ არსებობს არც ეკონომიკური (მოდერნიზაცია), არც პოლიტიკური (ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო) პირობები. ამგავრი სიტუაცია ვლინდება განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში (მხედველობაში გვაქვს მისი თანამედროვე გამოვლინება), როცა ზოგიერთ სახელმწიფოებში დაჩქარებული წესით იწყება ერი-სახელმწიფოს მშენებლობა. ამის მაგალითები გვქონდა და მისი ნიშნები დღემდე შეინიშნება პოსტსაბჭოთა ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში. მსგავს სიტუაციებში საუკეთესო შემთხვევაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა ატარებს იმიტაციურ ხასიათს, უარეს შემთხვევაში ადგილი აქვს სოციალურ რღვევას.

მოდერნის სამყაროში ერისა და ნაციონალური სახელმწიფოს ფორმირების პროცესი გვაგონებს ევროპის 200-300 წლის წინანდელ მოვლენებს. აქ ცენტრალური ხელისუფლების ნება საკმაოდ ეფექტურად რეალიზდება სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე. კლანებში, რელიგიური და ეთნიკური ჯგუფებიანთავიანთინებითთანამშრომლობენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან (ინდოეთის მოდელი) ან კიდევ ხდება მათი უმკაცრესი დათრგუნვა (ჩინეთის მოდელი). აქ გამოიყენება კლასიკური ერი-სახელმწიფოს მშენებლობისათვის დამახასიათებელი ისეთი მეთოდები, როგორიცაა: დომინირებული ეთნიკური ჯგუფების ასიმილაცია, გადასახლება და ტერორი. [2:166-168]

იმავდროულად სახელმწიფო მიზანმიმართულად მოძრაობს სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციის მიმართულებით, ხელს უწყობს მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას, ახდენს სოციალური პროგრამების რეალიზებას.

პოსტმოდერნის სამყაროში ნაციონალიზმი (ყოველ შემთხვევაში კლასიკური) კარგავს თავის აქტუალურობას. ინდუსტრიალიზაციის ფაზა აქ უკვე კარგახნის ჩავლილია. ეროვნული სახელმწიფოები კი შექმნილი. მათ უკვე გამოავლინეს თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები. ექსტატიკური პოლიტიკური ემოციების ეპოქაც წარსულს ჩაბარდა. სოციალური და მორალური დანაკარგების შესახებ ხსოვნა შენარჩუნებულია. (მსოფლიო ომებში, ეთნიკური წმენდა, სეგრეგაცია, გენოციდი). ამიტომაც ამგვარი სამყაროს ქვეყნებში ნაციონალიზმი მართალია არ ქრება მთლიანად, მაგრამ განიცდის რადიკალურ ტრანსფორმაციას. [3:190-205]

სხვაგვარად რომ ვთქვათ, წინა-მოდერნი - ესაა ნაციონალიზმამდე არსებული რეალობა (საეჭვო პერსპექტივით გლობალიზაციის პირობებში მოხდეს ერის ფორმირება); მოდერნის სამყარო - ესაა ნაციონალისტური სამყარო (არაევროპული ცივილიზაციური სპეციფიკის ყველა შესწორებით, ანუ ამ დროს შეიძლება წარმოიშვას ნაციონალიზმი, ოღონდ არა იმ კლასიკური ფორმებით, როგორც

თავის დროზე იყო ევროპაში); პოსტმოდერნის სამყარო - ესაა ისტორიული განვითარების პოსტნაციონალისტურ სტადიაზე გადასვლა.

ბევრი პოლიტიკური ექსპერტი ვარაუდობდა, რომ დროთა განმავლობაში დასავლეთ ევროპისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური ტენდენციები - „ნაციონალიზმის აკვნები“ და პოსტმოდერნისტული სამყაროს ბირთვი გადაინაცვლებდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში.

უკონფლიქტო და მშვიდობიან გადანაცვლებაზე რა თქმა უნდა აქ არ იყო საუბარი. ფიქრობენ, რომ მიკრო და მაკრო ნაციონალიზმს შორის კონფლიქტი გარდამავალი წარმატებით წარიმართებოდა. უფრო მეტიც, გლობალიზაციის მხარდამჭერი რიგი სერიოზული პოლიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში, სტრატეგიული თვალსაზრისით გარკვეული მხარდაჭერა (თვით კავშირამდეც კი) შეიძლებოდა გამოეცხადებინათ მიკრონაციონალიზმის მომხრეებისათვის. ამგვარმა დამოკიდებულებებმა მსოფლიო სისხლიან კონფლიქტებში ჩაძირა და ბევრი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო მმართველობის ეროვნული საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გ. ფულერი აცხადებდა: „თანამედროვე მსოფლიო წესრიგი, რომელიც არსებულ სახელმწიფოებრივ საზღვრებს განაგებდა და ამ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობის სურვილებს მინიმალურად ითვალისწინებდა, თავისი არსით მობერდა. ნაციონალიზმისა და კულტურული თვითმყოფადობის ძალები უკვე მზად არიან თავიანთი სიტყვა თქვან. სახელმწიფოს აღარ შეუძლია ძველი წყენის კომპენსირება და მომავალი იმედების გამართლება. არა თანამედროვე ერი-სახელმწიფო, არამედ ახალ ამპლუაში მყოფი ეთნიკური ჯგუფები იქნებიან მომავალი მსოფლიო წესრიგის მამოძრავებელი ძალა“. ამერიკელი მოხელე ვარაუდობდა, რომ გაეროს წევრი სახელმწიფოების რიცხვი გასამმაგდებოდა. [4:119]

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ამგვარი მოვლენები, ზოგჯერ შეფასებულია როგორც „მონაწილეობის პარადოქსი“, როცა ერთის მხრივ „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვა ბევრი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ იმავდროულად საქმე გვქონდა უნიფიცირებული მსოფლიოს ფორმირებასა და შეუქცევად ინტეგრაციულ პროცესებთან, ანუ ერთის მხრივ ერთიანი ლიბერალური მსოფლიო წესრიგი ყალიბდება, მეორეს მხრივ კი სეპარატისტული მოძრაობები ძლიერდებოდა.

ზოგიერთი ავტორი სრულ აბსურდამდეც კი მიდოდა და ამტკიცებდა, რომ „პოლიტიკური ერთეულებისათვის საუკეთესო იყო არ ეცადათ ერთმანეთთან დაკავშირება. კავშირების ამგვარ წყვეტას მივყავართ ერთიანი სუვერენული სახელმწიფოს დაყოფასთან პატარა სუვერენიტეტების ოჯახთან, მაგრამ არა მას შემდეგ, რაც ბუნებრივად დადეგბა დაცემისა და დეზინტეგრაციის ფაზა, არამედ გაცილებით ადრე, როცა სიტუაცია ჯერ კიდევ კონტროლირებადია. ეროვნულ (ნაციონალურ) საზოგადოებაში, სადაც ამგვარად ხდება სუვერენიტეტთა გამრავლება, ამგვარი დაყოფა უნდა იქცეს ნორმალურ მოვლენად, საკუთარი ეკონომიკური პროგრესის უმტკივნეულო დამატებად, მით უფრო, რომ საქმე გვაქვს ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მზარდ სირთულეებთან. [5:69-70]

ალბათ ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება ჩვენი მხრიდან თუ ვიტყვით, რომ ამგვარი პოზიციების შედეგიცაა ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, რადგან სწორედ სახელმწიფოს როლის ნიველირებამ გამოიწვია უკურეაქცია, სრული კრახი განიცადა პოსტმოდერნისტულმა მენტალიტეტმა და სახეზე გვაქვს პოლიტიკური რეალიზმის არნახული აღორძინება სახელმწიფოს ძალის მთელი პრიმატით.

„დიდ საჭადრაკო დაფაში“ ზ. ბჟეზინსკი ასე აღწერდა „ცივი ომის“ შემდგომ ვითარებას: „საკუთარ თავში დაურწმუნებლობა ძლიერდება ცივი ომის შემდეგ შექმნილი ვითარების გულგატეხილობიდან. „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ნაცვალდ, რომელიც კონსენსუსსა და ჰარმონიაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული, მოვლენები რომელიც ჩანდა რომ წარსულს ჩაბარდა“ მოულოდნელად მომავლად იქცა. მართალია ეთნონაციონალური კონფლიქტები, მსოფლიო ომს ვერ გამოიწვევს, მაგრამ იგი საფრთხედ იქცა პლანეტის მნიშვნელოვან რაიონებში. ამგვარად ომი, როგორც ჩანს, რაღაც დროის მონაკვეთში ჯერ კიდევ არ იქნება მოძველებული გაგება. იმის გამო, რომ შედარებით უზრუნველყოფილი ქვეყნებისათვის შემაკავებელ ფაქტორად გვევლინება თვითგანადგურების შედარებით განვითარებული ტექნოლოგიები, ასევე მათი საკუთარი ინტერესები, ომი ფუფუნების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მსოფლიოს ღარიბი ხალხებისათვის.

ახლო მომავალში კაცობრიობის გაღატაკებული ორი მესამედი თავიანთ ქცევებში შეზღუდვებით ვერ იხელმძღვანელებენ, რომლითაც ხელმძღვანელობენ პრივილეგირებულნი. [6:251-252]

დასკვნა

ყოველივე ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რომ „გაღარიბებული ქვეყნების“ აგრესია მხოლოდ ერთმანეთზე იქნება მიმართული და არ შემოუტრიალდება „უზრუნველყოფილ სახელმწიფოებს“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გლობალიზებული, მყარი მსოფლიო, რომელმაც მაღლა ასწია ხალხებს შორის ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება - იმავდროულად ძალზე მაღლა სწევს მათ შორის ურთიერთმოწყვლადობის ხარისხსაც. ამიტომაც ეთნიკური და ნაციონალისტური თვითშეგნების ზრდის სავსებით კანონზომიერი პროცესი, როგორც მსოფლიო სისტემის ბირთვ სახელმწიფოებში, ისე მის პერიფერიებში ხელს უწყობს აქამდე „ისტორიის იატაკქვეშ“ არსებული წყენის, წინააღმდეგობებისა და პრეტენზიების აქტუალიზაციას. შესაბამისად ლეგიტიმური და ეფექტური საერთაშორისო თუ გლობალური უსაფრთხოების სისტემის არასებობის პირობებში - ყველა პირობა იქმნება სხვადასხვა დონის კონფლიქტების ესკალაციისა და საერთაშორისო ურთიერთობებში საერთო დისბალანსის გაღრმავებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cooper R., The post-modern state and the world order, London, Demos, 2000.
2. Геллнер Э., Пришествие национализма. Мифы нации и класса, Нации и национализм, М., Праксис, 2002.
3. Малахов В., Государство в условиях глобализации, М., КДУ, 2007.
4. Уткин А., Глобализация: процесс и осмысление, М.: Логос, 2000.
5. Jacobs J., Cities and the Wealth of the Nations, New York, 1984.
6. ბჟეზინსკი ზ., დიდი საჭადრაკო დაფა, თბ., 2014.

Non-traditional Nationalism and Postmodern World

Tamar Zirakashvili, PhD of GTU

Summary

At the turn of (XX-XXI) the 20th and 21st centuries, a new pattern of the world order emerged. Before that, we could envision a "three conceptual circles" or hierarchical world: 1. Premodern, 2. Modern and 3. Postmodern.

The pre-modernism requires a strong centralized state to establish and ensure observance of public order. But for many reasons, it could not be rigidly institutionalized. Here man had to choose between empire and chaos. Today, if one cannot build an empire, one chooses chaos. Nowadays a minority of African countries and a number of Asian countries can be conditionally attributed to the pre-modern world, while some regions of the post-Soviet space can be considered as candidates.

The modernist world is a classical state system, the state retains a monopoly on the use of force and is prepared to act against one or the other. Here the main distinguishing feature is the recognition of state sovereignty and the consistent separation of internal and foreign policies. In this world, that is to say, in the modern world, the main guarantor of security is power. It is a world where (at least theoretically) borders can be changed through force.

As for the postmodern world, it emerges (leaves) from the system of powerful states. Here the state system of the modern world collapses, but unlike the pre-modern world, it is not the chaos that plunges it into collapse, but the global world order. The lines between domestic and foreign policies are blurred.

All this does not completely mean that the aggression of "impoverished countries" will be directed only at each other and will not turn against "secure states". In other words, a globalized, solid world that has raised the level of interconnectedness and interdependence between peoples - at the same time greatly increased the degree of mutual vulnerability between them. That is why the completely regular process of growth of ethnic and nationalist self-awareness, both in the core states of the world system and in its peripheries, contributes to the actualization of grievances, contradictions and claims that have been "under the floor of history". Accordingly, in the absence of a legitimate and effective international or global security system, all conditions are created for the escalation of conflicts of various levels and the deepening of the general imbalance in international relations.

რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობები უკრაინული კრიზისის კონტექსტში

თთარ ფარცხალაძე, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

უკრაინის ფაქტორი რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა. თავის დროზე ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე ზბიგნევ ბჟეზინსკი აღნიშნავდა, რომ რუსეთსა და დასავლეთს შორის მთავარი ბრძოლა უკრაინის ტერიტორიაზე გაიმართებოდა, რაც სრული სიმართლე აღმოჩნდა. დღეს რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები უკიდურესობამდეა გამწვავებული. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის რეგულარული არმიის შეჭრამ უკრაინაში, სრულიად შეცვალა ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა. ევროკავშირმა რუსეთს უმკაცრესი სანქციები დაუწესა და განაცხადა, რომ დასავლურ დემოკრატიულ ფასეულობებს არაფერზე არ გაცვლიდა. ევროკავშირი იმთავითვე დაინტერესებული აღმოჩნდა რუსული იაფი ენერგორესურსებით, ამგვარი ურთიერთობები ბუნებრივიც იყო, რადგან რუსეთი ახლო მეზობელია ევროპისათვის და ევროკავშირი პარტნიორული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ცდილობდა რუსეთთან ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაზე აეღო აქცენტი. ამიტომაც ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელშიც განსაკუთრებული როლი ითამაშა გერმანიამ. შეთანხმების თანახმად ბალტიის ზღვაზე აგებული უნდა ყოფილიყო ორი ურთიერთხელსაყრელი პროექტი - ჩრდილოეთის ნაკადი - 1 და ჩრდილოეთის ნაკადი - 2. ჩრდილოეთის ნაკადმა - 1 მართლაც წარმატებით დაიწყო ფუნქციონირება, გაზი უკრაინისა და პოლონეთის გვერდის ავლით პირდაპირ მიეწოდებოდა გერმანიას, ხოლო შემდეგ იქედან ხდებოდა მისი გადანაწილება ევროპის სხვა ქვეყნებში. მოსალოდნელი იყო ჩრდილოეთის ნაკაი - 2-ის ჩართვაც, მაგრამ უკრაინის ომმა არა თუ ჩრდილოეთის ნაკადი-2 -ის განხორციელებას შეუშალა ხელი, არამედ ტერაქტის შედეგად (რომლის შემსრულებლებიც დღემდე დაუდგენელია) ფუნქციონირება შეწყვიტა ჩრდილოეთის ნაკადი - 1. მიუხედავად ამისა, ევროკავშირმა სრულად ვერ თქვა უარი რუსულ ენერგომატარებლებზე, რადგან ეს ევროპელთა ეკონომიკას უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდებდა.

რუსეთი ევროკავშირს სისტემატიურად დებდა ბრალს უკრაინაში ანტირუსული განწყობები პროვოცირებაში, რევოლუციების მოწყობაში, ექსტრემისტული და ნაციონალისტური ძალების წახალისებაში, მაგრამ არასოდეს უთქვამს, თუ რატომ აკეთებდა პროდასავლურ არჩევანს თავად უკრაინელი ხალხი. ეს იყო არჩევანი უკეთეს ცხოვრებასა და წარსულში დარჩენას შორის. პროდასავლური არჩევანი უკრაინისთვის, ეს იყო ნორმალური ცხოვრებისათვის ბრძოლა, რუსეთი კი თავისი იმპერიალისტური ამბიციებით ცდილობდა ამ არჩევანის უგულვებელყოფას. შედეგად მივიღეთ უმძიმესი ომი, რომელსაც ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს. ამრიგად უკრაინას რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, ევროკავშირი, უკრაინა, ანტირუსული, ნაციონალისტური ძალები.

შესავალი

ორმა პროდასავლურმა რევოლუციამ (2004-2013) რომელთაგან ბოლო სისხლისღვრით დასრულდა, რუსეთისა და დასავლეთის მკვეთრი დაპირისპირება გამოიწვია. მეორე მხრივ კი უკრაინელი ხალხის არჩევანმა და რუსეთის იმპერიალისტურმა ამბიციებმა უკრაინას სულ უფრო და უფრო უბიძგა დისტანცირება მოეხდინა რუსეთისაგან. ევროკავშირი, ცხადია, მზად არ აღმოჩნდა უკრაინა მხოლოდ მისი ადგილმდებარეობის გამო მიეღო ინტეგრაციულ გაერთიანებაში. არადა მას ამის პრეცენდენტი უკვე ჰქონდა „ვიცი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. უკრაინა მასშტაბებით დიდი სახელმწიფოა, უამრავი პრობლემითა და რუსეთის მხრიდან მასზე განსაკუთრებული აქცენტებით. ევროკავშირი ამას მაშინ ვერ გარისკავდა. ამიტომ ევროკავშირის წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ საჭირო იყო მოსამზადებელი ეტაპის გავლა. ევროპელებმა ამ მიზნით გაატარეს და დღემდე ატარებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში უკრაინის მხარდამჭერ პოლიტიკას. ეს არის დემოკრატიის განმტკიცება ქვეყანაში, რეფორმების გატარება და ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა. ასევე ევროკავშირმა მოამზადა პროექტი ქვეყნის ევროკავშირში ასოცირებულ წევრად მიღების თაობაზე. უკრაინული ხელისუფლების პროევროპული პოლიტიკის წარმატების მთავარი მიზეზი იმალებოდა იმაში, რომ უკრაინელი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა ევროატლანტიკურ კურსს.

ამასთანავე პრეზიდენტ ლ. კუჩმას მრავალვექტორულმა პოლიტიკამ უკრაინა დილემის წინაშე დააყენა: ევროპა თუ რუსეთი, რამაც უაღრესად გაართულა შიდაპოლიტიკური ვითარება.

უკრაინული კრიზისი რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში შემობრუნების წლად იქცა. ყირიმის რუსეთთან შეერთებამ და დონეცკისა და ლუგანსკის რაიონებში სეპარატისტების წახალისებამ რუსეთისათვის სასურველი შედეგი არ გამოიღო. აშშ-მ და მისმა ევროპელმა მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება რუსეთისა და მისი პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ შემოეღოთ სანქციები, რომელსაც ევროპელები დღემდე მოიხსენიებენ, როგორც ავტორიტარულს. რუსეთმა კი ყოველივე ეს მიიღო, როგორც ზეწოლა გარედან და მცდელობა რუსეთის შიგნით მოეწყოთ არეულობა მორიგი „ფერადი რევოლუციის“ მოხდენით. საბოლოო ჯამში კი, როგორც რუსული პოლიტიკური ელიტა აღნიშნავდა, ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო ხელისუფლების შეცვლითა და რუსეთის სათავეში პროდასავლური ძალების მოსვლით.

პირველი მსხვილი კონფლიქტი რუსეთსა და ევროკავშირს შორის მოჰყვა ევროპარლამენტის 2014 წლის 13 მარტის რეზოლუციას, სადაც რუსეთის მიმართ იყო მოწოდება ყირიმიდან გაეყვანა შეიარაღებული ძალები, რადგან იგი უკრაინის ტერიტორია იყო. რეზოლუციაში ყირიმის რეფერენდუმი მოხსენიებული იყო, როგორც არალეგიტიმური, ხოლო რუსეთის ჯარების შეყვანა ნახევარკუნძულზე, როგორც აგრესია. რეზოლუცია მოუწოდებდა ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს თავი შეეკავებინათ რუსეთთან სავიზო რეჟიმის შერბილებისაგან. [1:45-46] ევროკავშირის სანქციები რუსეთის წინააღმდეგ ადრე რომ შემოეღოთ, მაგ. დნესტრისპირეთში განვითარებული მოვლენების, ან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კარგი იქნებოდა, მაგრამ მაშინ ეს არ გაკეთდა. საქართველოს მასშტაბი მცირეა და ამიტომაც ევროკავშირი მაშინ რადიკალურ გზას არ დაადგა. აქ ვერ გამოდგება პრინციპი „ყველაფერს თავისი დრო აქვს“. ევროკავშირს მაშინ რომ შეეწუხებინა თავი (სანქციები ევროპასაც აყენებს ზიანს) ვფიქრობთ დღეს უკეთესი მდგომარეობა თუ არა გარკვეული სიტუაცია მაინც გვექნებოდა. უკრაინის შემდეგ კი ევროკავშირი თუ ისევ არ შემოიღებდა სანქციებს რუსეთის მიმართ, ეს უკვე რბილად რომ ვთქვათ ევროკავშირის საერთაშორისო პრესტიჟს ნულზე დასცემდა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სანქციებთან დაკავშირებით განაცხადა შემდეგი: „ჩვენ სულ უფრო ხშირად გვესმის ულტიმატუმებისა და სანქციების ენა. თავად სახელმწიფო სუვერენიტეტის გაგება ჩარეცხილია. მიუღებელი რეჟიმები, ქვეყნები, რომლებიც დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებენ, ან ვინმეს ინტერესების გზაზე დგებიან, ან კიდევ მათი დესტაბილიზაცია იწყება“. [2] დესტაბილიზაციისა და პროვოკაციების მოწყობა პოლიტიკური მიზნის მისაღწევად რუსეთისათვის ნამდვილად არ არის უცხო მოვლენა, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტი ამას დასავლელ პარტნიორებს ხშირად ახსენებდა, მხედველობაში ჰქონდა რა ე.წ. „ფერადი რევოლუციები“, რომლებიც მართლაც გარედან იყო პროვოცირებული და არაერთი რეჟიმის შეცვლა გამოიწვია პლანეტის სხვადასხვა კუთხეში. 2014 წელს 17 მარტიდან 119 რუსეთის მოქალაქეს დაუწესდა სანქციები, ასევე 12 სექტემბრიდან 23 რუსულ კომპანიას.

რუსეთის მიმართ მაშინ დაწესებულ სანქციებს არავითარი განსაკუთრებული ეფექტი არ ჰქონია. პირიქით, ამან ქვეყნის შიგნით კონსოლიდაცია გამოიწვია. რუსეთმა საკუთარ ეკონომიკაზე სერიოზული ფიქრი დაიწყო, თუმცა ამ მხრივ მას ნაბიჯები ადრევე ჰქონდა გადადგმული (გავიხსენოთ ევრაზიული ინტეგრაცია). ასე რომ ამ სანქციებს თავად რუსეთში პანიკა არ გამოუწვევია, თუმცა რუსეთისათვის იგი მაინც უსიამოვნო იყო.

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა 2014 წლის ოქტომბერში შემდეგი განცხადება გააკეთა: „უკრაინაში კატასტროფა რომ არ მომხდარიყო, ჩვენი ქვეყნის „შეკავებისთვის“ სხვა მიზეზი მოიძებნებოდა. ეს კურსი მრავალი ათეული წელია განუხრელად ხორციელდება. მხოლოდ მისი რეალიზაციის ფორმა და პრაქტიკა იცვლება. [3:9] აქედან მოყოლებული ამ მოსაზრებას რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამ აზრს მართლაც სხვადასხვა ფორმით ავითარებდა და ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ დასავლეთს რუსეთის განადგურება უნდოდა. ამჟამინდელი რუსული პოლიტიკური პროპაგანდა მთლიანად მსგავს ნარატივზეა ორიენტირებული და საკუთარ მოსახლეობას გამუდმებით უმტკიცებს, რომ გარეშე მტერს რუსეთის სახელმწიფოს დაშლა და შემდეგ მისი სიმდიდრეების ხელში ჩაგდება სურს.

იმავე წლის 4 დეკემბერს ფედერალური კრებისადმი მართვაში ვ. პუტინი აღნიშნავდა: „ეს არა მარტო აშშ-სა და მისი მოკავშირეების ნერვული რეაქციაა უკრაინაში მომხდარ გადატრიალებასთან

ჩვენი პოზიციისადმი, ამას საერთო არაფერი აქვს ე.წ. „ყირიმის გაზაფხულთანაც“, ეს ყველაფერი რომც არ ყოფილიყო, მოიგონებდნენ სხვა ნებისმიერ მიზეზს იმისათვის, რომ შეეჩერებინათ ჩვენი მზარდი შესაძლებლობები, მოეხდინათ მასზე გავლენა, უფრო მეტიც - გამოეყენებინათ საკუთარი ინტერესებისათვის. შეკავების პოლიტიკა გუშინ არ მოუგონიათ. იგი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ბევრი, ბევრი წელია მოქმედებს, ყოველთვის მოქმედებს, შეიძლება ითქვას ათწლეულებია, თუ არა ასწლეულები. ერთი სიტყვით, ყოველთვის, როცა ვინმე თვლის, რომ რუსეთი ძალზე გაძლიერდა, დამოუკიდებლად მოქმედებს - ეს ინსტრუმენტები მაშინვე ირთვება. [4] ერთი შეხედვით ძალზე დამაჯერებელი არგუმენტებია, მართლაც შეიძლება დაფიქრდეს ვინმე, რომ ისეთი მდიდარი რესურსებით სავსე ქვეყანას, როგორიც რუსეთია, შეიძლება ბევრი მტერი ჰყავდეს, მათ შორის ისეთიც, რომელიც რუსეთის დანგრევაზე ფიქრობს, მაგრამ შევხედოთ დასავლეთის ერთმანეთთან ურთიერთობის პრინციპებს. როგორ იღებენ ისინი გადაწყვეტილებებს. მთელ რიგ პრობლემებთან დაკავშირებით ევროკავშირის შიგნით, ან ევროკავშირსა და აშშ-ს ცხარე კამათი იმართება, ხშირად სიტუაციაც იძაბება, მაგრამ გადაწყვეტილება ყოველთვის მიიღება კონსენსუსის გზით. დასავლეთში და განსაკუთრებით ევროკავშირში საქმე გვაქვს კონსენსუსურ დემოკრატიასთან. ევროგაერთიანება არის დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ერთობა, რომელთანაც კამათი შეიძლება და ამ კამათში შეიძლება იპოვო გამოსავალი. ევროკავშირი ბირთვულ ზესახელმწიფოსთან - რუსეთთან არასოდეს შევიდოდა რადიკალურ კონფრონტაციაში. ეს მის ინტერესებში არ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რუსული ბაზარი მისთვის მომგებიანია, იაფი ენერგორესურსები კიდევ უფრო მიმზიდველი, მაგრამ საქმე სხვა პრობლემასთან გვაქვს, რომელზეც არც რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება საუბრობს და არც ევროპარლამენტარები თუ ევროკავშირის სხვა ჩინოსნები. ესაა ცივილიზაციური დაპირისპირება. რუსეთი სხვა ცივილიზაციაა და მას თანასწორად აღიარების პრინციპი არ აძლევს შესაძლებლობას ნორმალური დიალოგი აწარმოოს ევროკავშირთან. მას თანასწორად თამაში სურს. დასავლური ცხოვრების წესი კი მისთვის მიუღებელია. ეს ზოგადად ფილოსოფიური პრობლემაა და მასზე სიღრმისეული მსჯელობაა საჭირო, მაგრამ ამჯერად ეს ჩვენს მიზნებში არ შედის, ვიტყვით იმას, რომ ახალი ცივილიზაციური განაცხადი პუტინმა ჯერ კიდევ 2007 წლის 10 თებერვალს მიუნხენის კონფერენციაზე გამოავლინა, როცა გააკრიტიკა ერთპოლარული სამყაროს არსებობა აშშ-ს მეთაურობით. [5:117-118]

რუსეთის ფედერაცია და დასავლეთი ვერ თანხმდება უნივერსალური ფასეულობების ირგვლივ. აქ წყდება დიალოგი. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთს სურს თანასწორად აღიარება, ამის საწინააღმდეგო ევროკავშირსაც არაფერი აქვს, მაგრამ რუსეთის თანასწორობა გადის ალტერნატიულ იდეოლოგიურ დღის წესრიგზე, რაც დასავლეთისათვის მიუღებელია.

ევროკავშირის მიერ 2014 წლიდან დაწესებული სანქციები დამაფიქრებელი იყო, მაგრამ არა ხისტი და ყოვლისმომცველი. შემდეგ ეტაპზე ევროკავშირმა სექტორალურ სანქციებს მიმართა. სანქციების გაღრმავება ევროგაერთიანებამ ისევ უკრაინისადმი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერით ახსნა იგი და N833/2014 რეზოლუციით დაფიქსირდა. [6] ოფიციალურად ევროკავშირი აცხადებდა, რომ „რუსეთს თავისი ქმედების გამო ფასი უნდა გადაეხადა“. [6]

ევროკავშირმა მიზანში სამი დარგი ამოიღო: სამხედრო-სამრეწველო, საბანკო და სანავთობო. საბანკო სექტორში სანქციები შეეხო ხუთ უმსხვილეს ბანკს, რომლის წილი სახელმწიფო სექტორზეც მოდიოდა, ესენი იყო: სბერბანკი, ვნეშტორგბანკი, როსსელხოზბანკი, გაზპრომბანკი, და VTB. ასევე ემბარგო იქნა დადებული ნავთობგადამამუშავებელ და ნავთობმომპოვებელ პროდუქციაზე. აქედან მოყოლებული რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ, ცხადია, დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რა ზომები მიეღო თავისი ეკონომიკის გადასარჩენად. 2014 წლის 6 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებას „ცალკეული სპეციალური ეკონომიკური ზომების შესახებ, რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით“.

სანქციების მეორე პაკეტი ევროკავშირმა 2014 წლის 8 სექტემბერს მიიღო, როცა ევროსაბჭომ ფარული კენჭისყრით მხარი დაუჭირა ამგვარ გადაწყვეტილებას. სანქციები შეეხო სექტორალურ მმართველობას და კერძო პირებს. ევროკავშირი აცხადებდა, რომ სანქციების მიზანია რუსეთზე ზეწოლის გაძლიერება, რათა მან პოზიცია შეცვალოს უკრაინასთან მიმართებით. ევროკავშირი ასევე შეშფოთებას გამოთქვამდა რუსეთიდან ე.წ. „ბოევიკების“ ნაკადის ზრდასა და შეიარაღების შეტანის გამო აღმოსავლეთ უკრაინის მიმართულებით. [7] შემოღებული

სანქციების შედეგად დაზარალდნენ ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორიცაა გაზპრომი, როსნეფტი, ტრანსნეფტი, ურალის ვაგონის ქარხანა, ობორინსერვისი, ოაკი. ეს სანქციები შემოღებულ იქნა 2014 წლის 5 სექტემბერს მიღებული მემორანდუმის შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რამაც რუსეთის ხელისუფლება ძალზე გააღიზიანა. აქ უკვე ნდობის ფაქტორი თამაშობდა მთავარ როლს, ევროპელებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლებოდა და გეგმაზომიერად ატარებდნენ სანქციურ ღონისძიებებს. სანქციების საპასუხოდ რუსეთის ფედერაციის პრემიერ მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთს შეუძლია მიიღოს ასიმეტრიული ზომები რუსეთის ტერიტორიის გავლით ევროპული ავიაკომპანიებისათვის ფრენების აკრძალვის თაობაზე. [8]

ზოგადად სანქციების შემოღება მარტივი საკითხი სრულებით არ არის, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. თუ აშშ-ს მხრიდან რუსეთის მიმართ მიღებული სანქციები არ გამოიყურება არცთუ ისე არაერთმნიშვნელოვან პროცესად, ევროკავშირის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. ევროკავშირი იძულებული ხდება შეაფასოს სანქციების ძალზე ბევრი პუნქტი, ამავე სანქციების ეფექტიანობიდან დაწყებული სამართლებრივი დაცულობითა და საერთაშორისო კოორდინაციით დამთავრებული. [9]

სანქციების დაწესებას ევროკავშირისა და აშშ-ს მხრიდან, ცხადია, თავისი მიზნები ჰქონდა უშუალოდ რუსეთის შიდა პროცესებთან მიმართებით. იგი მიზნად ისახავდა პოლიტიკური კლიმატის შეცვლას რუსეთში და საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას. ევროპელთა აზრით, ეს შესაძლებელი გახდებოდა რუსეთის საერთაშორისო იზოლაციით. რუსეთი რაც მეტ ზეწოლას ახდენდა რუსეთზე, რუსეთი უფრო აგრესიული ხდებოდა და პირიქით, ამან რუსული პოლიტიკური რეჟიმის განმტკიცებას უფრო შეუწყო ხელი. რუსეთის ისტორიის ელემენტარული ცოდნაა საჭირო იმის გასააზრებლად, რომ მიხვდე, რუსეთი სწორედ მაშინ გრძნობს თავს კარგად, როცა გარეშე მტრის ხატი ჰყავს, როცა იგი შიდა პრობლემების გადასაჭრელად გარედან მომავალ საფრთხეებს იშველიებს. იცოდა თუ არა ეს დასავლეთმა? რა თქმა უნდა იცოდა, მაგრამ პოლიტიკაში არაერთხელაა ისეთი შემთხვევა, როცა შესაძლო შედეგებიც კარგად გაქვს გააზრებული, მაგრამ სხვა გზა მაინც არ არსებობს. რა უნდა ექნათ ევროპელებს წაეყრუებინათ ყველაფერზე? იგივე გზას დასდგომოდნენ რასაც 2008 წელს? ეს ხომ უარეს შედეგებს მოუტანდა, თუმცა როგორც დღეს ვხედავთ, დასავლეთმა მაინც ვერ შეძლო დიდი ტრაგედიის თავიდან აცილება უკრაინაში და რაც მთავარია არსებობს საფრთხე ამ კონფლიქტის მასშტაბის გაფართოებისა.

ევროკავშირი ხვდებოდა იმასაც, რომ რუსეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა ხელისუფლების კურსს. მაგრამ სხვა ეფექტური საშუალება რუსეთზე ზემოქმედებისათვის ევროკავშირს არ ჰქონდა.

ყველა სანქცია, რომელიც ევროკავშირმა დაუწესა რუსეთს, ერთნაირი მნიშვნელობის, ცხადია, არ იყო. შედარებით მძიმე რუსეთისათვის იყო ეკონომიკური სანქციები. სწორედ მასზე აკეთებდნენ მთავარ აქცენტს ევროკავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელები და ცდილობდნენ რუსეთის ოფიციალური ხელისუფლებისათვის შეეცვლევინებინათ პოზიცია ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინის სეპარატისტული რეგიონების მიმართ.

ევროკავშირი მისი დაარსებიდან აქამდე რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი და ეფექტიანი პარტნიორი იყო. პირველ ეტაპზე ისინი ავლენდნენ საკმაოდ კარგი პარტნიორული თანამშრომლობის სხვადასხვა შესაძლებლობებს. იყო უთანხმოებებიც ცალკეულ საკითხებთან მიმართებით, მაგრამ იგი წყდებოდა ურთიერთმოლაპარაკების გზით. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ხანგრძლივი მოლაპარაკებები სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით, რუსეთის ჩართვა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში, რუსეთის შესვლა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში. გავიხსენოთ თუნდაც მოლაპარაკებები ევროგაერთიანების შექმნის შესახებ, რომელიც ეკონომიკას ალაგებდა და არა ქვეყნების, არამედ გეოგრაფიის ნიშნით.

წინააღმდეგობა კი ევროკავშირსა და რუსეთს შორის ადრეც არსებობდა. ევროკავშირის რუსეთს დროდადრო ახსენებდა, რომ რუსეთში ირღვეოდა ადამიანის უფლებები, არ არსებობდა გამჭვირვალე კანონმდებლობა, პრობლემები იყო მედიის თავისუფლების კუთხით, თუმცა არა ისეთი, როგო-რიც ეს საბჭოთა კავშირში იყო, არ მუშაობდა გამართულად საბანკო სექტორი, იყო კორუფცია და ა.შ. მაგრამ რა იყო აქ მიუღებელი? ევროკავშირს სურდა ნორმალურ, დემოკრატიულ და განვითარებულ რუსეთთან ჰქონოდა საქმე. იგივეს არ ვფიქრობთ აშშ-რუსეთის ურთიერთობების კონტექსტში, იმიტომ, რომ აშშ-ს ინტერესებში არასოდეს შედიოდა რუსეთის ძალიან გაძლიერება, თუნდაც დემოკრატიული და პროდასავლური რუსეთის, მაგრამ ევროპელებისათვის რუსეთთან ლიბერალური ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე

აგებული ურთიერთობები პრიორიტეტული იყო. ევროპელთა მოთმინების ფიალა აივსო ყირიმის ანექსიითა და აღმოსავლეთ უკრაინაში გაჩაღებული კონფლიქტებით, ხოლო ცალსახა მტრულ სახელმწიფოდ რუსეთის მოაზრება ევროპელთა მიერ ხდება დღეს, როცა ფართომასშტაბიანი სისხლისმღვრელი ომია გაჩაღებული უკრაინაში.

ევროკავშირი, როცა რუსეთს სანქციებს უწესებდა, მათ კარგად ესმოდათ, რომ რუსეთი სუსტი ეკონომიკა იყო, შემცირებული მოკავშირეებით და ა.შ. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ რუსეთი დიდი შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოა. ამიტომაც ისინი ამ კუთხით რამდენიმე ვარიანტს ითვლიდნენ.

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებითა და რუსეთის მიერ შემოღებული ანტისანქციებით ვრწმუნდებით, რომ საქმე არც ისე ცალსახად ერთმნიშვნელოვანია, როგორც შეიძლება მოგეჩვენოს.

ჯერ ერთი, ევროკავშირის მხრიდან რუსეთზე სანქციების შემოღება მიუთითებს მათ დამაჯერებლობაზე თავის უპირატესობაში, განსაკუთრებით ეკონომიკაში. მათი აზრით, რუსეთის მხრიდან არაპროგნოზირებად ქმედებას მსოფლიოში მოჰყვება არასტაბილურობა, რაც პირველ რიგში მისსავე ეკონომიკას მიაყენებს ზიანს, რამდენადაც იგი გამორიცხული იქნება მტკიცე და საიმედო პარტნიორების რიგებიდან. საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამდა გერმანიის ფინანსთა მინისტრი ვ. შოიბლე „ეკონომიკური ინტერესები არ არის პრიორიტეტული. პრიორიტეტია - დავიცვათ სტაბილურობა მსოფლიოში. იმ შემთხვევაში თუ გერმანიის ფინანსთა ან ეკონომიკის მინისტრი იტყოდა, ფრთხილად სანქციები აზარალებს ჩვენს ეკონომიკურ ინტერესებს, კანცლერს ცუდი მინისტრები ეყოლებოდა. მშვიდობისა და სტაბილურობის დარღვევა ყველაზე დიდი საფრთხე იქნებოდა ეკონომიკური განვითარებისათვის. [10]

მეორეც, რუსული პოლიტიკური ელიტა გარკვეულწილად აღმოჩნდა გაუგებრობაში იმ თვალსაზრისით, რომ ყოველთვის ეგონა, რომ ევროპელები ეკონომიკას და პოლიტიკაზე წინ აყენებდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გარკვეულ ფასეულობებს ევროპა არაფერზე არ ცვლის. ამიტომაც იყო, რომ ბევრი ტრანსნაციონალური კორპორაცია ბრიუსელის გადაწყვეტილებას დაექვემდებარა.

რუსეთის დანაკარგები 2014 წლის ბოლოს საერთაშორისო ფინანსურ-ეკონომიკურ ფორუმზე შეაჯამა რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ანტონ სილუანოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სანქციების შედეგად რუსეთი წელიწადში კარგავს 40 მილიარდ დოლარს, ხოლო თითქმის ორჯერ მეტს ნავთობზე ფასების შემცირების გამო. თავის მხრივ, რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ წარმოადგინა პროგნოზი 2015 წლისათვის და აღნიშნა, რომ სექტემბრის თვეში რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზრდებოდა მხოლო 1.2 პროცენტით. [11]

რუსეთს სანქციები რა თქმა უნდა ზიანს აყენებდა, და მითუმეტეს აზიანებს დღეს, როცა მართლაც სერიოზული სანქციებია დაწესებული, მაგრამ სხვა საკითხია, ჩამოშლიდა თუ არა იგი ეკონომიკას რუსეთში? გამოიწვევდა თუ არა შიდა უკმაყოფილებას და რაც მთავარია შეიცვლებოდა თუ არა ამ გზით ხელისუფლება და რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსი. ამ კითხვებზე პასუხი ჯერჯერობით ცალსახად უარყოფითია. უფრო მეტიც, რუსმა ეკონომისტებმა სანქციებს საერთოდ არ მიანიჭეს განსაკუთრებული მნიშვნელობა. შემდეგში უკვე ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი ალექსი კუდრინი აღნიშნავდა, რომ სანქციები რუსეთისათვის იქნებოდა საგრძნობი, მაგრამ არა ისეთი მასშტაბის, როგორც წარმოუდგენიათ. 2014 წლის მაისში კუდრინმა იწინასწარმეტყველა, რომ რუსეთის მშპ შემცირდებოდა მხოლოდ 1-1,5 პროცენტით. [48]

ევროკავშირის მხრიდან ეკონომიკური სანქციების შემოღებისა და გამკაცრების მიზეზი იყო არა მარტო ყირიმის ანექსია, არამედ როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ უკრაინაში გაჩაღებული კონფლიქტები.

2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ კი, როცა რუსეთი უკრაინაში რეგულარული არმიით შეიჭრა, ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ამჯერად რუსეთს უმკაცრესი სანქციები დაუწესდა, რომლიც შეეხო უამრავ ადამიანსა და კომპანიას, რომელთა ჩამოთვლაზეც ამჯერად არ შევჩერდებით, მაგრამ ევროკავშირმა ვერ მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება ენერგორესურსებთან მიმართებით, რადგან ამ შემთხვევაში დასავლური ეკონომიკა აღმოჩნდებოდა უმძიმეს მდგომარეობაში. ვფიქრობთ, რუსეთ-უკრაინის ომის დამთავრებამდე პროგნოზის გაკეთება ძნელია. ერთი რამ კი უდავოა, რომ რუსეთ-დასავლეთის მძაფრი დაპირისპირების ამოწურვის შემდეგ, ვფიქრობთ საქმე გვექნება საერთაშორისო ურთიერთობების მრავალპოლარული სისტემის ფორმირებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Гришаева Л., Россия и «крымский вопрос» в ООН, Дипломатическая служба. 2014. № 6. С. 45 – 64.
2. Стенограмма выступления Президента РФ В.В. Путина на заседании Совета безопасности в Кремле 22 июня 2014 г. URL: http://www.rg.ru/2014/07/23/stenogramma.htm l
3. Егоров И. Вторая «холодная» // Российская газета. Федеральный выпуск. 2014. No 235.
4. Послание Президента РФ В.В. Путина Федеральному собранию РФ 4 декабря 2014 г. URL: http://www.rg.ru/2014/12/04/poslanie-site.html
5. კოპალიანი კ., კვეტენაძე ზ., 2007 წლის მიუნხენის კონფერენცია და ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურები, სტუ-ს შრომები N2(520), თბ., 2021.
6. Council Regulation (EU) No. 833/2014 of 31 July 2014 concerning restrictive measures in view of Russia's actions destabilising the situation in Ukraine//OJ L 229/1
7. Statement by the President of the European Council H.V. Rompuy on further restrictive measures against Russia http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/ec/144839.pdf
8. Медведев анонсировал ассиметричный ответ на санкции ЕС http://top.rbc.ru/politics/08/09/2014/947496.shtml
9. Ромпей и Баррозу рассказали о новых санкциях против России. http://www.unian.net/politics/959869-rompey-i-barrozu-rasskazali-o-novyih-sanktsiyah-protiv-rossii.html
10. Schäuble: «Oberste Priorit ät hat die Wahrung von Stabilit ät und Frieden». 2014.
11. www.gks.ru/bgd/free/B04_03/IssWWW.exe/Stg/d03/40inv27.htm
12. he Ministry of Finance has called Russia's losses from the sanctions and the reduction in the price of oil http://www.interfax.ru/business/408899

Russia-EU relations in the context of the Ukrainian crisis

Otar Partskhaladze, PhD student of GTU

Summary

The Ukrainian factor turned out to be the most important in Russia-EU relations. At the time, the American statesman Zbigniew Brzezinski noted that the main battle between Russia and the West would take place on the territory of Ukraine, which turned out to be completely true. Today, relations between Russia and the European Union are extremely strained. The invasion of the Russian regular army in Ukraine on February 24, 2022, completely changed the European security architecture. The European Union imposed the toughest sanctions on Russia and declared that it would not trade western democratic values for anything. The European Union was equally interested in cheap Russian energy resources, such relations were natural, because Russia is a close neighbor of Europe and the European Union tried to focus on mutually beneficial cooperation with Russia within the framework of the partnership neighborhood policy. That is why the agreement was signed, in which Germany played a special role. According to the agreement, two mutually beneficial projects were to be built on the Baltic Sea - Northern Stream - 1 and Northern Stream - 2. Northern Stream - 1 really began to operate successfully, gas was directly supplied to Germany bypassing Ukraine and Poland, and then it was distributed to other European countries. It was expected that the Northern Stream-2 would also be included, but the war in Ukraine not only prevented the implementation of the Northern Stream-2, but as a result of a terrorist attack (the perpetrators of which have not been identified to this day), the operation of the Northern Stream-1 stopped. Nevertheless, the European Union could not completely refuse the Russian on energy trains, because it would put the European economy in the worst situation.

Russia systematically blamed the EU for provoking anti-Russian sentiments in Ukraine, organizing revolutions, encouraging extremist and nationalist forces, but never said why the Ukrainian people themselves made pro-Western choices. It was a choice between a better life and staying in the past. A pro-Western choice for Ukraine was a struggle for a normal life, and Russia with its imperialist ambitions tried to ignore this choice. As a result, we got the worst war, the end of which is not in sight yet. Thus, Ukraine occupies one of the central places in Russia-EU relations.

Key words: Russia, European Union, Ukraine, anti-Russian, nationalist forces.

ევროკავშირის 12 რეკომენდაცია საქართველოს – შესრულების პროცესები და პერსპექტივები

მარიამ ჩაჩუა, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ევროპის კავშირში სრული ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული მიზანია. საქართველოს კონსტიტუცია ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს, მიიღონ ყველა ზომა ამ მიზნის მისაღწევად. ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურა ხანგრძლივი და კომპლექსურია, რაც 27 წევრი ქვეყნისგან შემდგარი ბლოკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტანდარტებთან შესაბამისობისთვის მრავალი რეფორმის განხორციელებას მოიცავს. საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი უკვე მოაწერეს, რაც ევროკავშირთან ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაახლოებას მოიცავდა და მათ შორის ითვალისწინებდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებსა და უვიზო მიმოსვლას შენგენის ზონაში.

კანდიდატის სტატუსი ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მნიშვნელოვანი საფეხურია, რო-მელსაც გაწევრიანების მსურველი ქვეყანა გვერდს ვერ აუვლის. გარდა იმისა, რომ კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის ერთ-ერთი საკვანძო ეტაპია, ეს სტატუსი ასევე მოიაზრებს ევროკავშირისგან ამ ქვეყნებისათვის გამოყოფილ პრაქტიკულ, კერძოდ, ფინანსურ მხარდაჭერასაც (დევიძე, ა., მირიანაშვილი, გ. (2019)). 2022 წლის 3 მარტს ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი საქართველომაც წარადგინა. განაცხადი უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ომის კონტექსტში იქნა წარდგენილი. 2022 წლის 17 ივნისს, ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული რეზოლუციის შედეგად, უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, საქართველოს კი ევროპული პერსპექტივა.

აღნიშნული აუცილებელი რეფორმები საქართველოსთვის 12 პუნქტის სახით იქნა გამოქვეყნებული და შესასრულებელი ვადებიც იქნა გაწერილი, რომელთა შორისაა პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევა, ინსტიტუტების გამართულად მუშაობა და მათი დამოუკიდებლობა, სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ელიტური კორუფციის შემთხვევების ეფექტიანად გამოძიება, დეოლიგარქიზაცია, თავისუფალი მედიაგარემო და ა.შ. ამ პროცესში ყველა პოლიტიკურ ინსტიტუტს თავისი როლი აქვს: პრეზიდენტს, პარლამენტს, პარლამენტის სპიკერს, მაგრამ მნიშვნელოვანია, ეს იყოს ინკლუზიური პროცესი. არის გარკვეული საკითხები, რომელთა გამოც რთულია პროგრესის გაზომვა, მაგრამ შესაძლებელია მისი შეფასება. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა უნდა იყოს კარგად კოორდინირებული პროცედურა, ვინაიდან ეს ისტორიული მომენტი არის რეალური შანსი საქართველოს ევროინტეგრაციისა.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ევროინტეგრაცია, კანდიდატის სტატუსი, საგარეო ურთიერთობები, 12 რეკომენდაცია.

შესავალი

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოს მიერ შესასრულებელ 12 პირობას შორისაა პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევა, ინსტიტუტების გამართულად მუშაობა და მათი დამოუკიდებლობა, სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ელიტური კორუფციის შემთხვევების ეფექტიანად გამოძიება, დეოლიგარქიზაცია, თავისუფალი მედიაგარემო და ა.შ. (EU publ. (2022). Opinion on Georgia's application for membership of the European Union).

მაშასადამე, ევრო კომისია რეკომენდაციას აძლევს ევროკავშირის საბჭოს, საქართველოს მიეცეს პერსპექტივა გახდეს ევროკავშირის წევრი.

ევროკომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი, მას შემდეგ, რაც იგი შეასრულებს ევროკომისიის 12 რეკომენდაციას, რომელზეც მუშაობა უნდა იყოს კარგად კოორდინირებული პროცედურა: „ევროკავშირის საბჭომ გადაწყვიტა აღიაროს საქართველოს ევროპული პერსპექტივა და მზადაა კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, როგორც კი დასახული პრიორიტეტები შესრულდება - „ეს ისტორიული მომენტია ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებში: საქართველოს მომავალი ევროკავშირშია“ (შ. მიშელი). ამ პროცესში ყველა პოლიტიკურ ინსტიტუტს თავისი როლი აქვს: პრეზიდენტს, პარლამენტს, პარლამენტის სპიკერს, მაგრამ მნიშვნელოვანია, ეს იყოს ინკლუზიური

პროცესი. არის გარკვეული საკითხები, რომელთა გამოც რთულია პროგრესის გაზომვა, მაგრამ შესაძლებელია მისი შეფასება.

ძირითადი ნაწილი

პოლიტიკური პოლარიზაციის პრობლემა მსოფლიოს მასშტაბით ტრადიციული ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნების დღის წესრიგში დგას. პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში სერიოზულ პრობლემად გამოკვეთა ევროკავშირმა, ევროსაბჭომ და ეუთომ. პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით საპარლამენტო არჩევნების წინ იჩენს თავს, როდესაც პარტიებს შორის არსებული დაპირისპირება სისხლიან შეტაკებაში გადაიზრდება ხოლმე და ამ შეტაკებებში ამომრჩეველიც არის ჩართული. პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული უფსკრული და პოლარიზაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევა. ევროკომისიის რეკომენდაციის გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ საქართველომ უნდა დაძლიოს პოლიტიკური პოლარიზაციის დღევანდელი დონე.

ევროპის შეფასებით საქართველოში ღრმა პოლიტიკურმა პოლარიზაციამ ნეგატიური გავლენა იქონია თვითმმართველობის სისტემის ფუნქციონირებაზე და უფრო ნათლად გამოკვეთა ის პრობლემები, რაც მუნიციპალურ დონეზე აქამდეც არსებობდა. ამის ნათელი მაგალითია 2021 წლის თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდი, როდესაც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები სრულად იგნორირებული იყო როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიების მხრიდან. მიუხედავად მოლოდინისა, რომ მრავალპარტიული წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევა ხელს შეუწყობდა პოლიტიკური პროცესების სტაბილიზაციას, არჩევნების დასრულების შემდეგაც კი შეუძლებელი გახდა მუნიციპალიტეტების სრულფასოვნად მუშაობის დაწყება (საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), 2022).

ამ ფონზე მნიშვნელოვანია იმის ანალიზი, თუ რა არის ამ პრობლემების არსი და რამდენად სერიოზულად აზიანებს თვითმმართველობებს პოლიტიკური პოლარიზაცია და ადგილობრივი პრობლემების უგულვებელყოფა პოლიტიკური აქტორების მხრიდან.

19 აპრილის შეთანხმების „სამართლიანი არჩევნების“ მიერ მომზადებულ თავში, რომელიც საარჩევნო რეფორმას ეხება, ნათქვამია, რომ ის დებულებები, რომელთა თანახმადაც შემდეგი ორი საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული და 2%-იანი ბარიერის პირობებში ჩატარდება, ასევე საპარლამენტო ფრაქციის შესაქმნელად საჭირო დეპუტატების რაოდენობა შვიდიდან ოთხამდე შემცირდება, ნაწილობრივ შესრულდა. მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა მხოლოდ პირველი საკითხი მოაგვარა.

რაც შეეხება საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, დეპუტატებმა შეასრულეს ვალდებულება საკრებულოებში პროპორციული ადგილების წილის ზრდის, ასევე ადგილობრივ არჩევნებზე საარჩევნო ბარიერის შემცირების, ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების პარლამენტის სრულის შემადგენლობის 2/3-ით არჩევისა და ხმების ხელახალი გადათვლის კრიტერიუმების განსაზღვრის თაობაზე (ღია საზოგადოების ფონდი, 2022).

2022 წლის 11 ივლისს მმართველმა პარტიამ სასამართლო სისტემის რეფორმის გეგმა წარმოადგინა, აგრეთვე „ქართული მართლმსაჯულების ინსტიტუციური განვითარება 2013-2021 წლებში“ დოკუმენტი, სადაც ქართული სასამართლო სისტემის პროგრესია წარმოჩენილი.

მართლმსაჯულების რეფორმის აუცილებლობა კრისტიან დანიელსონის ხუთ პუნქტიან დოკუმენტშიც ერთ-ერთ ადგილს იკავებს. რეკომენდაციის მიხედვით, საჭიროა ოთხი ტალღის შეფასება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძირეული რეფორმირება, მოსამართლეთა დანიშვნის გამჭვირვალობის გაზრდა და ახალი კანონის მიღებამდე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის შეჩერება. 2021 წლის 12 ივლისს უზენაესი სასამართლოს ექვსი მოსამართლის დანიშვნა „ეწინააღმდეგება 19 აპრილის შეთანხმების საკვანძო დებულებებს“, რომელთა თანახმადაც უნდა შეჩერებულიყო მიმდინარე დანიშვნები (საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2022). ამ და სხვა მოვლენებმა შესაძლოა, „უარყოფითად იმოქმედოს“ საქართველოსთვის ევროკავშირის მოქმედი პროგრამით გათვალისწინებული მაკრო-ფინანსური დახმარების მეორე ტრანშის გამოყოფაზე, ვინაიდან მოსამართლეთა დანიშვნის დაწყებამდე მათი შერჩევის პროცესის გადახედვა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად სწორედ დახმარების გამოყოფის „შეთანხმებული წინაპირობაა“.

საქართველოს მთავრობის უცვლელი პრიორიტეტი უნდა იყოს კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმების მუდმივი გაუმჯობესება. 2020 წლის მსგავსად, 2021 წელს კორუფციის არარსებობის კრიტერიუმში საქართველოს 0,68 ქულა აქვს

მინიჭებული. 2012-2021 წლების მაჩვენებლებს შორის 2020 და 2021 წლების შეფასება ყველაზე დაბალია (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 2022). ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოსთვის კორუფციის წინააღმდეგ. საერთაშორისო პრაქტიკით დასტურდება, რომ დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური არის სისტემურ კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმი. აღნიშნული მოდელი წარმატებით არის დანერგილი არაერთ ევროპულ ქვეყანაში. შემოთავაზებული რეფორმა გულისხმობს ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკის თვისებრივ გაუმჯობესებას; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ის შესაძლებელს გახდის ე.წ. „ელიტური კორუფციის“ შემთხვევების რეალურ გამოძიებას და მათ პრევენციას.

ევროკავშირი ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობად მიიჩნევს - ოლიგარქების დამაზიანებელი პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ზეგავლენების შეზღუდვას. „დეოლიგარქიზაციის“ ტერმინი რეალურად უნდა განიხილებოდეს, როგორც სისტემური საკითხი. იგი მოიცავს ინკლუზიურობას - მნიშვნელოვან პოზიციებზე მნიშვნელოვანი დანიშვნები უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ იყოს გამჭვირვალე და არავის, არც რომელიმე ინსტიტუციას ან პოლიტიკურ პარტიას, ჯგუფს, არ აძლევდეს პროცესის მონოპოლიზების საშუალებას. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზად შესაბამისი კანონის მიღებაა, რომელიც უკრაინაში უკვე არსებობს და, სავსებით შესაძლებელია, ზოგიერთი საკანონმდებლო ინსტრუმენტი უკრაინაში მოქმედი ანალოგიური კანონიდან იქნეს გადმოღებული.

თანამდეროვე მსოფლიო და მათ შორის საქართველო აქტიურად ებრძვის დანაშაულებრივი საქმიანობის ისეთ ფორმას როგორიც არის ორგანიზებული დანაშაული. თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, ორგანიზებული დანაშაული არამხოლოდ განუვითარებელი და განვითარებადი ქვეყნების პრობლემაა, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც მწვავედ დგას. დანაშაულებასთან ბრძოლის ამოსავალი ჯგუფურ დანაშაულობათა მიზეზების შემეცნებისა და მისი წინასწარ აღკვეთის პრობლემაა, რასაც ხაზს უსმევს ევროკომისია რეკომენდაციებში.

პლურალური მედიაგარემო დემოკრატიის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია და გულისხმობს მედიის მფლობელობის მრავალფეროვნებას, დამოუკიდებლობას პარტიული გავლენებისგან, მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურს, საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის განსხვავებული შეხედულებების ჯეროვან ასახვას მედიაში (Peruško, Z. 2010, pp. 261-273). ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მხოლოდ მედიასაშუალებების სიმრავლე, რომლებიც თავის მხრივ პოლიტიკური გავლენის სფეროების მიხედვით არიან დაყოფილი, არ ნიშნავს მედიაპლურალიზმს და ეს მოცემულობა არასაკმარისია დემოკრატიული სტანდარტისთვის. სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან აფილირებული ტელეარხების არსებობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ვირტუალური პლურალიზმი. დემოკრატიულ საზოგადოებას კი სჭირდება შინაარსობრივად მრავალფეროვანი, რეალურად პლურალისტური მედია.

ადამიანის უფლებათა დაცვის და, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების, ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა. უწყებათშორისი საბჭოსა და ადამიანის უფლებათა სამდივნოს ხელშეწყობა პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის საკითხებში. აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოძალადეების შესაბამისი პასუხისგება. თუ ეს მოძალადე სამართალდამცავია თავად, ამ შემთხვევაში მეტი გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობის გამოჩენაა აუცილებელი, რათა მოქალაქემ თავი დაცულად იგრძნოს. ამიტომაც, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მექანიზმების შემუშავების ხელშეწყობა პრიორიტეტებს შორის არის.

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო თუ პოლიტიკური რეფორმების კუთხით, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესაბამისად. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც აყალიბებს უფრო დეკლარაციულ, ფორმალურ უფლებებს, ხოლო მისი ფარგლები და შინაარსი კვლავ შეზღუდული რჩება (USAID, 2020, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები). საქართველოს კანონმდებლობა ასახავს გენდერული თანასწორობის ძირითად პრინციპებს და სრულ შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო ვალდებულებებთან. მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, ქვეყანა ჯერ კიდევ დგას გამოწვევების წინაშე პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სოციალურ

ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

ევროკავშირი ძალიან მკაფიოდ უსვამს ხაზს სამოქალაქო საზოგადოების როლსა და ფუნქციას დემოკრატიული რეფორმების ხელშეწყობისა და ქვეყნის ტრანსფორმაციის საკითხში. საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების სწორად ფორმირების პროცესი, რადგან დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ პროცესებში. სახელმწიფოს პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია სამოქალაქო საზოგადოებასთან, რადგან ერთი განაპირობებს მეორეს და ურთიერთდამკიდებულების ხარისხი მნიშვნელოვანია დემოკრატიის სრულყოფილებისათვის (მ. ტაკიძე, 2019, სამოქალაქო საზოგადოების როლი და ჩართულობა პოლიტიკის ფორმირებაში).

პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების ჩართულობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთო სასამართლოების პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმპლემენტაციას იმით, რომ ევროპის საბჭოს, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მიერ წლების განმავლობაში გაწეული დახმარება მიმართული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სფეროში საერთო სასამართლოების შესაძლებლობების მდგრადი გაძლიერებისკენ.

საქართველოს სახალხო დამცველი არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. იგი ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას. საქართველოს სახალხო დამცველი მის საქმიანობაში დამოუკიდებელია და იგი ხელისუფლების არც ერთ შტოს არ მიეკუთვნება.

„სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაუმჯობესება საქართველოში“, რომელიც დაფინანსებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის მიერ, მიზნად ისახავს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული ქმედებების გაძლიერებას შეუწყნარებლობისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე მოწყვლადი ჯგუფების და სოციალური უფლებების დაცვას როგორც თბილისში ისე რეგიონებში, რათა ხელი შეეწყოს ადამიანის უფლებების დარღვევის დასაცავად ან მისი პრევენციისთვის ეროვნული მექანიზმების განხორციელებას.

აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი ამოცანა სახალხო დამცველის შესახებ კანონში ცვლილებების, როგორც ადგილობრივი უფლებადამცველი ინსტიტუციების გზამკვლევის განხილვაა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში, რასაც ითხოვს ევროკომისია.

დასკვნა

საქართველოს მიენიჭება კანდიდატის სტატუსი, მას შემდეგ, რაც იგი შეასრულებს ევროკომისიის 12 რეკომენდაციას, რომელზეც მუშაობა უნდა იყოს კარგად კოორდინირებული პროცედურა. განვითარების ახალ ეტაპზე ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია უფრო მეტად მრავალფეროვანი და პლურალისტული პოლიტიკური გარემო, აგრეთვე, ევროკავშირი ძალიან მკაფიოდ უსვამს ხაზს პლურალისტურ და დამოუკიდებელ მედიას, ადამიანის უფლებათა დაცვას, გენდერულ თანასწორობას, სამოქალაქო საზოგადოების როლსა და ფუნქციას დემოკრატიული რეფორმების ხელშეწყობისა და ქვეყნის ტრანსფორმაციის საკითხში. სახელმწიფოს პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია სამოქალაქო საზოგადოებასთან, რადგან ერთი განაპირობებს მეორეს და ურთიერთდამკიდებულების ხარისხი მნიშვნელოვანია დემოკრატიის სრულყოფილებისათვის. სასამართლო სისტემის და მართლმსაჯულების ეფექტური ფუნქციონირება დღემდე საქართველოს პოლიტიკური სისტემის სისუსტედ რჩება. ბოლო პერიოდში გატარებული რეფორმების ოთხი ტალღის შედეგად ფორმალურად გაუმჯობესდა და დაიხვეწა, თუმცა რეფორმებმა პრაქტიკული გავლენა სასამართლო სისტემის ეფექტურობასა და დემოკრატიულობის ხარისხზე ვერ იქონია. სასამართლო სისტემის ძირეული ცვლილების გარეშე საქართველოში ვერ დასრულდება დემოკრატიული კონსოლიდაცია და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი.

კომისია შეამოწმებს საქართველოს წინსვლას ამ პრიორიტეტული საკითხების მოგვარების გზაზე და შესაბამის შეფასებას 2022 წლის ბოლოს გამოაქვეყნებს. გაწევრიანების პროცესი კვლავ დადგენილ კრიტერიუმებსა და პირობებს ეფუძნება. ეს საშუალებას აძლევს ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც ამ პროცესში იმყოფება, მიაღწიოს წინსვლას საკუთარი დამსახურების საფუძველზე, მაგრამ ასევე ნიშნავს, რომ ევროკავშირისკენ ნაბიჯები შეიძლება გაუქმდეს, თუ ძირითადი პირობები დაკმაყოფილებული აღარ იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. EU publ., (2013). Accession procedure Library of the European Parliament.
2. Arnull, A. & Chalmers, D.(2015). The Oxford Handbook of European Union Law. Oxford University Press.
3. Bernard, C. & Peers, S. (2017). European Union Law, Second edition. Oxford University Press.
4. Graig, P. & De Burca, G. (2015), EU Law: Text, Cases and Materials. Sixth edition, Oxford University Press.
5. Kaczorowska, A. (2011). European Union Law. Second edition, Routledge.
6. EU publ., (June, 2022). Opinion on Georgia's application for membership of the European Union.
7. EU publ., (June, 2022). The European Commission recommends to Council confirming Ukraine, Moldova and Georgia's perspective to become members of the EU and provides its opinion on granting them candidate status. Brussels.
8. დევიძე, ა., მირიანაშვილი, გ. (2019). ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო.
9. USAID (2020). გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები
10. გრიგოლია, თ. (2008). ევროკავშირის ისტორია, ევროპის პოლიტიკა და გეოგრაფიული კონტურები. ტექნიკური უნივერსიტეტი.
11. მჭედლიძე, ნ. (2017). საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები. ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი საქართველოში - „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“.
12. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). (2022). პოლიტიკური პოლარიზაცია და თვითმმართველობა: ბრძოლა ძალაუფლებისთვის.

EU's 12 Recommendations for Georgia - Imlementation Processes and Perspectives

Mariam Chachua, PhD student of GTU

Summary

Full integration into the European Union is one of the main strategic goals of Georgia's foreign policy. The Constitution of Georgia obliges state bodies to take all measures to achieve this goal. The EU accession process is long and complex, involving the implementation of many reforms to conform to the political and economic standards of the bloc of 27 member states. Georgia, Ukraine and Moldova have already signed the Association Agreement with the European Union, which included economic and political rapprochement with the European Union, including free trade agreements with EU member states and visa-free travel in the Schengen area.

Candidate status is an important step on the way to joining the European Union, which a country wishing to join cannot ignore. In addition to the fact that receiving the status of a candidate country is one of the key stages of the process of joining the European Union, this status also includes the practical, in particular, financial support provided by the European Union to these countries. On March 3, 2022, Georgia also submitted an application for joining the European Union. The application was submitted in the context of Russia's aggressive war against Ukraine. On June 17, 2022, as a result of the resolution published by the European Commission, Ukraine and Moldova were granted the status of candidates for EU membership, and Georgia received the European perspective.

The aforementioned necessary reforms for Georgia were published in the form of 12 recommendations, and deadlines for their implementation were also written, among which are overcoming political polarization, proper functioning of institutions and their independence, real independence and impartiality of the court, effective investigation of cases of elite corruption, de-oligarchization, free media environment, etc. All political institutions have their role in this process: the president, the parliament, the speaker of the parliament, but it is important that it be an inclusive process. There are some issues that make progress difficult to measure, but it can be estimated. Work on the mentioned issues should be a well-coordinated procedure, since this historical moment is a real chance for Georgia's European integration.

Key words: European Union, European integration, Candidate status, International Relations, 12 Recommendations

არაკლასიკური ნაციონალიზმი მსოფლიო პოლიტიკაში

ლილი ხარჩილავა, სტუ ასოცირებული პროფესორი

თამარ ზირაქაშვილი, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

დისკურსები ნაციონალიზმის ირგვლივ ყოველთვის ცხოველი ინტერესით გამოირჩეოდა. გლობალიზაციის ეპოქაში კი მან ახალი იმპულსი შეიძინა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საერთაშორისო ცხოვრების სტრუქტურულმა ცვლილებებმა ნაციონალიზმის ახალი ფორმების წარმოქმნას შეუწყო ხელი.

შესაბამისად ეჭვის ქვეშ დადგა (ყოველგვარი მასობრივი ძალადობის გარეშე) ძველი ტიპის მსხვილმასშტაბიან პოლიტიკურ თანამეგობრობათა არსებობა, რომელსაც კლასიკური ნაციონალური (ეროვნული) სახელმწიფოც მიეკუთვნება. პოსტმოდერნის ფორმირებად გლობალურ კულტურას ძალზე ცოტა აქვს საერთო ნებისმიერ ტრადიციულ, ეროვნულ კულტურასთან. ამ თვალსაზრისით იგი ხელს უწყობს ამ ტრადიციული ფორმების მოშლას და წინააღმდეგობაში მოდის მასთან.

„ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განსაკუთრებით გამოვლინდა ნაციონალიზმის არაკლასიკური ფორმები. ერთი შეხედვით გათავისუფლებულ ერებს მეტი ინტეგრაციისაკენ უნდა აეღოთ აქცენტი, ნაცვლად ამისა პლანეტის ბევრ კუთხეში მივიღეთ დეზინტეგრაციული პროცესები სეპარატიზმის ახალი ძალით გაჩაღების ფონზე.

შესავალი

ნაციონალიზმი ზოგადად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში. საერთაშორისო სამეცნიერო პოლიტიკურ აზრში ყოველთვის აზრთა სხვადასხვაობა იყო აღნიშნული საკითხისადმი. მკვლევართა ერთი ნაწილი ზომიერ ნაციონალიზმს საერთაშორისო წესრიგისათვის სასარგებლო და დადებით მოვლენად მიიჩნევდა. მეორენი კი მის სახიფათო მხარეებზე მიუთითებდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც აღნიშნულ პრობლემას უშუალოდ პოლიტიკურ კონტექსტს უსადაგებდა. ერთი რამ კი ნამდვილად ცხადია, ნაციონალიზმი დღემდე რჩება კაცობრიობის უდიდეს თავსატეხად.

საერთაშორისო არენაზე ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ნაციონალიზმი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. გამოიკვეთა ნაციონალიზმის არატრადიციული, არაკლასიკური მიმართულებები და ეს ეხება არა მარტო მესამე რიგის სახელმწიფოებს, არამედ ცივილიზებული სამყაროს სოლიდურ ნაწილსაც.

ძირითადი ნაწილი

დისკურსები ნაციონალიზმის ირგვლივ ყოველთვის ცხოველი ინტერესით გამოირჩეოდა. გლობალიზაციის ეპოქაში კი მან ახალი იმპულსი შეიძინა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საერთაშორისო ცხოვრების სტრუქტურულმა ცვლილებებმა ნაციონალიზმის ახალი ფორმების წარმოქმნას შეუწყო ხელი.

ახალი ეპოქის დამახასიათებელ ერთ-ერთ თავისებურებად იქცა ტრადიციული, სისტემური ცოდნის, იდეოლოგიის, სოციო კულტურული მიკროსისტემის მნიშვნელოვანი ელემენტების მოშლა, თუმცა აქ საუბარია არა ტოტალურ დაცემასა და განადგურებაზე, არამედ ელემენტთა კონფიგურაციის ცვლილებასა თუ დეკონსტრუქციაზე.

შესაბამისად ეჭვის ქვეშ დადგა (ყოველგვარი მასობრივი ძალადობის გარეშე) ძველი ტიპის მსხვილმასშტაბიან პოლიტიკურ თანამეგობრობათა არსებობა, რომელსაც კლასიკური ნაციონალური (ეროვნული) სახელმწიფოც მიეკუთვნება. პოსტმოდერნის ფორმირებად გლობალურ კულტურას ძალზე ცოტა აქვს საერთო ნებისმიერ ტრადიციულ, ეროვნულ კულტურასთან. ამ თვალსაზრისით იგი ხელს უწყობს ამ ტრადიციული ფორმების მოშლას და წინააღმდეგობაში მოდის მასთან. ამ ფაქტის გასააზრებლად შეიძლება მოვუხმოთ კულტურის „ამერიკანიზაციის“ ირგვლივ ატეხილ ვნებათაღელვას ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (ამ მხრივ გამოირჩევა საფრანგეთი). ამგვარი წყვეტა თუ კულტურის დაცემა კი ნიშნავს თავად კლასიკური ეროვნული სახელმწიფოს ფუნდამენტის მოშლას. არადა სწორედ კულტურული ერთობა, ამა თუ იმ ხალხის ისტორიულ-ტრადიციული სიახლოვე წარმოადგენდა თავის დროზე შესაბამისი ეროვნული ელიტების პოლიტიკური პრეტენზიების ლეგიტიმაციის უმთავრეს არგუმენტს, რაც

ერი-სახელმწიფოს შენებას და განმტკიცებას ემსახურებოდა. შესაბამისად პოსტმოდერნისტული კულტურისა და გლობალიზაციის პირობებში, ფორმალურად შენარჩუნებული ერი-სახელმწიფო თანდათან კარგავს თავის ძირითად რესურსს საკუთარი ხელისუფლების ლეგიტიმაციის გზაზე.

პოსტმოდერნისტულმა მიმართულებამ საერთაშორისო - პოლიტიკური კომბინაციების ახალი რეალობა წარმოაჩნინა. თავის დროზე ჟან ფრანსუა ლიოტარი წერდა: „მოდერნის სეტყვით დაზიანებული მსხვილი ტოტალიტარული რეჟიმების შიგნიდან აფეთქება ნოსტალგიას იწვევს ისეთ ბუნებრივ თანამეგობრობებში, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სისხლით, ენით, მიწით, ტრადიციებით... მაგრამ გარეგნული ხედვის მიღმა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ერთიანი ევროპის კონცეფციის რეალიზაცია ადვილად მისაღწევი გახდეს უფრო „ბუნებრივ თანამეგობრობათა“ (რეგიონები ბავარიის, შოტლანდიის, ფლანდრიის, კატალონიის და ა.შ.) ფედერაციის საშუალებით, ვიდრე სუვერენულ სახელმწიფოთა მეშვეობით, - იმის საფრთხეების გათვალისწინებით თუ რა საფრთხე მოდის თითოეულ ამ გაერთიანებათა დომინირებული დემოსიდან“. [2:303]

ამგვარად, დასავლეთ ევროპაში (აღმოსავლეთ ევროპაში სრულიად სხვა ვითარებაა) ძველი სახის ნაციონალიზმი, რომელიც ეფუძნებოდა ფრანგების, გერმანელების და იტალიელების გრძნობებს, ადგილს უთმობს ახალი ტიპის ბავარიულ, ბასკურ, ლომბარდიულ, კორსიკულ ნაციონალიზმს. პირობითად შეიძლება პირველი განისაზღვროს, როგორც მაკრონაციონალიზმი, ხოლო მეორე, როგორც მიკრონაციონალიზმი (მინინაციონალიზმი).

დასავლეთ ევროპაში მიკრონაციონალიზმის კერებია დიდ ბრიტანეთში: შოტლანდია, უელსი, კორნუოლი; ბელგიაში: ფლანდრია; ესპანეთში გალიცია, ბასკეთი, კატალონია; საფრანგეთში: ბრეტანი, ელზასი, კორსიკა; იტალიაში: სარდინია, პოდონია (ესაა მდ. პოს მიდამოებში არსებული კომპლექსური რეგიონი, რომელიც მოიცავს ისეთ ისტორიულ ტერიტორიებს, როგორიცაა ლომბარდია, პიემონტი, ვენეცია, ემილია, ტოსკანა დასხვ.) თითოეულ ამ უნიკალურ რეგიონში ადგილობრივი ნაციონალიზმი პოპულარულია სხვადასხვა ხარისხით: (ძველი ენისა და კულტურის აღორძინებიდან დაწყებული კორნოულსა და ოქრიტანაში, შოტლანდიასა და ფლანდრიაში საპარლამენტო არჩევნებში ადგილობრივი სეპარატისტების მხარდაჭერით დამთავრებული), გამოხატული და გაფორმებულია სხვადასხვანაირად; (შოტლანდიაში, უელსში, ფლანდრიაში, კატალონიაში, ბასკეთში, მსხვილი საპარლამენტი პარტიების ურთიერთობებით სეპარატისტულ პროგრამებთან), აქვს დაძაბულობის სხვადასხვა ხარისხი (ეთნიკური ტერორისტული ორგანიზაციების არსებობამდეც კი ბასკებში, ბრეტონელებში, კორსიკელებში) [2:125] მიუხედავად ამისა, ყველა ეს ნაციონალიზმი ერთი ტიპის ნაციონალიზმია.

მაკრონაციონალიზმი დღეისათვის გვევლინება ძველი კლასიკური XVIII-XIX საუკუნეების ნაციონალიზმის მემკვიდრედ, რომლის შედეგიც იყო ევროპული ერი-სახელმწიფოების წარმოშობა. ერი-სახელმწიფო, რომელიც ბიუროკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით ჩამოყალიბდა ევროპაში, სწორედ კლასიკური ნაციონალიზმის პროდუქტი იყო, რომელიც სათავეს უფრო XVII საუკუნეში ვესტფალიის 1648 წლის ზავიდან იღებდა. ეს იყო ეპოქა, როცა 30 წლიანი ომის შემდეგ ევროპულმა სახელმწიფოებმა პასუხისმგებლობა აიღეს ერთიან ევროპულ წესრიგზე. აქედანვე ეყრება საფუძველი ერი-სახელმწიფოების წარმოქმნას და კლასიკური ნაციონალიზმის ფორმირებას. ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციების შემდეგ კი მისი ფორმები უფრო დაიხვეწა. ამგვარი ნაციონალიზმის მემკვიდრედ მივიჩნევთ მაკრონაციონალიზმს. ესაა სწორედ შემდგარი ერი-სახელმწიფოს ნაციონალიზმი (The established nationstates). გლობალიზაციის (რომელიც „ვესტერნული ფორმით ვრცელდებოდა აქამდე) პირობებში ამგვარი ტიპის ნაციონალიზმი იძლებული ხდება დაიკავოს არა შეტევითი, ცენტრალური თუ ზოგიერთ შემთხვევაში იმპერიალისტური პოზიცია, არამედ დაცვითი პოზიცია, რაც გამოიხატება უკვე არსებული და მოპოვებული სუვერენიტეტის შენარჩუნებასა და დაცვაში ტრანსნაციონალისტური ძალების მხრიდან.

თანამედროვე მაკრონაციონალიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს გავლენიანი ფრანგი პოლიტიკოსის, საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერის ჟან მარი ლე პენის პოლიტიკური მოღვაწეობა, ჯერ კიდევ 2002 წელს ლე პენი გავიდა მეორე ტურში საპრეზიდენტო არჩევნებში ჟაკ შირაკთან ერთად, რაც სულ ცოტა მისი იდეების პოპულიარობაზე მეტყველებს ფრანგულ საზოგადოებაში. რაში მდგომარეობს ამ იდეების არსი? ლე პენი ფრანგულ საზოგადოებას მოუწოდებს დაიცვას საკუთარი სუვერენიტეტი და თვითმყოფადობა გარედან მომავალი საფ-

რთხეებისაგან. ეს საფრთხეებია: ლეგალური და არალეგალური იმიგრაცია, საერთოევროპული ინტეგრაცია, იმდენად რამდენადაც ის საფრთხეს შეიცავს საფრანგეთის დამოუკიდებლობისათვის და გლობალიზაცია აშშ-ს დომინირებით. ლე პენი ხაზს უსვამდა საფრანგეთის წინაშე მდგარ მთელ რიგ ფაქტორებს, რომელსაც შეეძლო ზიანი მიეყენებინა დიდი ტრადიციების მქონე ფრანგული კულტურისათვის. იგი აღნიშნავდა: „აუცილებელია დავიცვათ საფრანგეთი. აუცილებლად დავიცვათ მისი სუვერენიტეტი. სულ უფრო და უფრო მზარდ არასტაბილურ მსოფლიოში აუცილებელი ხდება ჩვენი ხალხის ერთიანობის დაცვა მრავალრიცხოვანი საფრთხეებისაგან, რომელიც ემუქრება ჩვენს კეთილდღეობას... ყოველწლიურად საფრანგეთში ჩამოდის ასი ათასზე მეტი იმიგრანტი სხვადასხვა ქვეყნებიდან, რაც ისეთი ქალაქის რაოდენობას უტოლდება, როგორიცაა მაგ. ქ. ლაროშელი. ისინი ჩამოდიან ოჯახების გადარჩენის მოტივით (60%), სამუშაოს გამო (25%) და ლტოლვილები (15%)... უფრო მეტიც, ყურადსაღებია, რომ საზოგადოებამ თანდათან დაკარგა კონტროლი საფრანგეთის ნაციონალურ ტერიტორიაზე შემოსვლაზე, გადავიდა რა იგი ევროკავშირის ხელში, რომლის საიმიგრაციო პოლიტიკა უკიდურესი სირბილით გამოირჩევა. შენგენისა და ამსტერდამის ქვეყნების ძალით მიგრაციული ტალღის კონტროლს საფრანგეთი ვერ ახორციელებს. ამგვარი ტალღები ისეთი ქვეყნებიდანაც კი ხორციელდება, როგორებიცაა ესპანეთი, საბერძნეთი და იტალია, რომელთა კონტროლი ნაკლებად მკაცრია. აუციელებლია ჩვენი ტერიტორიული სუვერენიტეტის აღდგენა ფრანგულ მიწაზე შემოსვლის შეზღუდვის გზით. ევროპული შეთანხმება, რომელიც კონტროლის გარეშე ტოვებს ჩვენს საზღვრებს და ევროკავშირს გადასცემს საიმიგრაციო და სავიზო პოლიტიკის წარმოებას, უნდა გადაიხედოს. საპასუხოდ საფრანგეთი მზადაა კოორდინირებული პოლიტიკის საწარმოებლად სხვა ევროპული სახელმწიფოების საზღვრების კონტროლთან მიმართებით, რომელთაც მასთან საერთი საზღვრები გააჩნიათ. ნებისმიერ შემთხვევაში საფრანგეთი შეინარჩუნებს საზღვრებზე კონტროლის საკუთარ სისტემას და დამოუკიდებლად გადაწყვეტს ლტოლვილებთან და ვიზებთან დაკავშირებულ საკითხებს და იმას, თუ ვის შეუძლია გადაკვეთოს მისი ტერიტორია და ვის არა. აუცილებელია დავიცვათ ფრანგების ეროვნულობა. ფრანგ ერს აერთიანებს მისი ტერიტორია, ხალხი. მისი მონაპოვარი, მისი ისტორიული წარსული, მაგრამ იმავდროულად პრინციპებისა და ფასეულობების ერთობა...

ამგვარად ფრანგული ნაციონალურობა ყოველწლიურად ავტომატურად თუ არაავტომატურად ეძლევა ასობით ათას სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ უცხოელს თუ ემიგრანტს მისგან მომდინარე ყოველგვარი ოფიციალური სურვილის გარეშე.

ფრანგი ერის წევრობა ან მემკვიდრეობით უნდა მიიღო, ან დაიმსახურო. ფრანგული ეროვნების, თუ წარმოშობის მიღების საშუალება ისევე უნდა იყოს გამყარებული ეროვნებისა და მოქალაქეობის შესახებ კიდექსით: „თითოეული ბავშვი ფრანგია, თუ მისი მამაც და დედაც ფრანგია“... ნაციონალიზაციის საფუძველში უნდა იყოს ასიმილაცია. ავტომატურად მიღებული ყველა პროცედურა გაუქმებულ უნდა იქნას. ამიერიდან ფრანგი ნაციის კუთვნილების ერთადერთი აღიარებული პროცედურა იქნება ნატურალიზაცია, რომელიც გულისხმობს სურვილს იყო ფრანგი, ანუ სურვილის სპეციალური შუამდგომლობით. ამგვარი ნატურალიზაცია არ შეიძლება იყოს მიღწეული ასიმილაციისადმი შესაძლებლობის შემოწმების გარეშე. ისევე როგორც შვეიცარიაში ყველა დოკუმენტი კომუნის მუნიციპალურ საბჭოზე უნდა იქნას გამოტანილი განსახილველად მთხოვნელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. „ნატურალიზაციაგავლილმა“ პირებმა, ისევე როგორც აშშ-ში საფრანგეთისადმი ერთგულების საჯარო ფიცი უნდა დადონ. [4]

ფრანგი ნაციონალისტის ამ სიტყვებში იგრძნობა ნაციონალიზმის ტრადიციული მიმართულებებისაკენ სწრაფვა. სხვა შემთხვევაში ამას არავინ გააპროტესტებდა და ჩვეულებრივად იქნებოდა აღქმული, მაგრამ გლობალიზებულ მსოფლიოში ამგვარი პოზიცია ნამდვილად ატარებდა თავდაცვით ხასიათს. ამგვარი „თავდაცვას“ საფრანგეთი აგრძელებდა მომდევნო წლებშიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალიზმის კლასიკურმა ტენდენციებმა გაძლიერება დაიწყო ბოლო ათწლეულში და ამას ნამდვილად ჰქონდა თავისი მიზეზები, მაგრამ მანამდე ვფიქრობთ უნდა შევეხოთ მიკრონაციონალიზმის თავისებურებებს, რომელშიც ვაწყდებით კიდეც ნაციონალიზმის არატრადიციულ გამოვლინებსბს.

ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება ფრანგული პროვინციის ბრეტანის მაგალითის მოხმობა. ბრეტონიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნაწილობრივი ნაციონალიზმი, რამდენადაც ფორმალური თვალსაზრისით ბრეტონელები ერი კი არ არის, არამედ შედის ფრანგი ერის

შემადგენლობაში, მეორეც, ბრეტონის აღორძინების მომხრეები თითქმის არ აყენებდნენ ისეთ პოლიტიკურ მოთხოვნებს, როგორიცაა ეროვნული სივერენიტეტის გამოცხადება, გამოიყოფა საგრანგეთიდან და საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, რომლის გარეშეც ნაციონალიზმი თავისი კლასიკური გაგებით არ არსებობს. მთლიანობაში ბრეტონიზმი მიმდინარეობაა თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორიით, კულტურული თავისებურებებითა და ბრეტონული ელიტისა და ხალხის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მისწრაფებებით.

ბრეტონიზმის განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი ეტაპი:

1. XIX საუკუნის მეორე ნახევარი - XX საუკუნის დასაწყისი, როდესაც იგი წარმოადგენდა უპირატესად ელიტარულ მიმდინარეობას, სადაც გაჟღერებული იყო ბრეტონის ადგილობრივი მრავალფეროვნების, ენისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და აღორძინების აუცილებლობა. ამ პერიოდისათვის დამახაისათებელია კულტურულ-საგანმანათლებლო, ლიტერატურული, ხელოვნების დარგების და აქტივობა განვითარება.
2. ორ მსოფლიო ომს შორის არსებული ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის პერიოდი, როცა ხდება ბრეტონული მოძრაობის მნიშვნელოვანი პოლარიზაცია და რადიკალიზაცია, ფორმირდება ნაციონალისტური მიმართულების პოლიტიკური პარტიები, რომელიც პრაქტიკაში არ გამორიცხავს ტერორიზმს და ჰიტლერულ გერმანიასთან ალიანსის შესაძლებლობას.
3. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე, როცა საბოლოოდ ხდება უარის თქმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გაჟღერებულ და უკვე სრულიად დისკრედიტებულ მოთხოვნებზე და დაბრუნება საკუთარი ეროვნული ინტერესების დემოკრატიული მეთოდებით დაცვაზე.კვლავ აქტიურდება ბრეტონული თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის, ენისა და ტრადიციების დაცვის და ჟღერდება ამ საფუძვლებზე კულტურული პროდუქციის ახალი ფორმების მიღების აუცილებლობა. გარდა ამისა, პოპულიარული ხდება ბრეტონის ეკონომიკური განვითარებისა და აყვავების იდეა, რაც ეთნიკურ საბურველში შეფარულ სხვადასხვა სამეწარმეო კავშირებისა და გაერთიანებების შექმნაში გამოიხატა. [5]

კულტურული და ეკონომიკური აღმავლობისაკენ სწრაფვა ნორმალური და ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც არანაირად არ გულისხმობს სეპარატიზმის გაძლიერებას, მაგრამ როგორც ბრეტონელი სოციოლოგი რ. ლე კოალიკი შენიშნავს „ბრეტონულ კულტურულ მოძრაობას აქვს პოლიტიკური ხასიათიც. ჯერ ერთი, იგი ეჭვქვეშ აყენებს საერთოფრანგულ კულტურასა და პროვინციულ ფოლკლორს შორის დიხოტომიას. საფრანგეთის საზღვრებს მიღმა თანამედროვე ბრეტონული მუსიკის ხარისხი და მისადმი ინტერესი, საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ბრეტონულმა კულტურამ ღირსეული ადგილი დაიკავოს ზოგადსაკაცობრიო კულტურულ მემკვიდრეობაში. მეორეც, ბრეტონული კულტურული აღმავლობა თავისი არსით ნაციონალისტური არ არის, მაგრამ კრიტიკულადაა განწყობილი ფრანგული სახელმწიფოსადმი, შეიცავს ანტისახელმწიფოებრივ ელემენტს ანარქიზმის ნიშნებით. [6]

ბრეტონის კულტურული აღორძინება შეიძლება დავახასიათოთ როგორც პოსტმოდერნის გამოვლინება, რამდენადაც **პოსტმოდერნიზმი არ უყურებს რა ინდივიდუალურ მისწრაფებებსა და მოლოდინებს, ახდენს ტრადიციის არა რეკონსტრუქციას, არამედ დეკონსტრუქციას და მის ადგილას წარმოქმნის „ცარიელ ხედვას“, ცრუ რეალიზმს.**

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ შემდეგი: **თანამედროვე სიტუაციაში მაკრონაციონალიზმი წარმოადგენს კონსერვატიულ რეაქციას პოსტმოდერნიზმის პოლიტიკურ და კულტურულ გამოვლინებეზე, ხოლო მიკრონაციონალიზმი - ესაა პოსტმოდერნის ბუნებრივი მოკავშირე იზომორფული, ლოკალისტური და მარგინალური ინტენციებით.**

თანამედროვე არატრადიციული (არაკლასიკური) ნაციონალიზმი, თავის კლასიკურ ლიბერალურ წინამორბეთან ფორმალური მსგავსების პირობებში (კულტურული და პოლიტიკური ერთეულების თანხვედრის მოთხოვნილება), განსხვავდება მისგან (ანუ ტრადიციული ნაციონალიზმისგან) თავისი შინაარსით: მისი მთავარი ტენდენციაა ადამიანების სოციალური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთდამოკი-დებულებისა და ურთიერთგანპირობებულობის მასშტაბის შემცირება და არა მათი გაერთიანება

და გაფართოება. ეს თანაბარი ხარისხით ეხება არატრადიციული ნაციონალიზმის ორ ძირითად ფორმას:მაკროდამიკრონაციონალიზმს.განსხვავება მათ შორის არის იმაში, თუ როგორ მოიაზრება „შევიწროების ზღვარი“. ამასთანაა დაკავშირებული არაკლასიკური ნაციონალიზმისათვის დამახიასიათებელი იდენტურობის სამოქალაქო კომპონენტის შერევა ეთნიკურ კომპონენტთან, ასევე ამას უკავშირდება ლიბერალური დემოკრა-ტიისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება (ყოველ შემთხვევაში გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვანი ვიდრე დამახასიათებელი იყო კლასიკური ნაციონალიზმისათვის).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Керни Р., Диалоги о Европе, М., Весь мир, 2002.
2. Хрох М., От национальных движений к полностью сформировавшейся нации: процесс строительства, наций в Европе, Нации и национализм, М., Праксис, 2002.
3. http://www.greens-efa.org/index.htm__,__http://www.e-f-a.org/home.php,____http://www.eurominoritv.eu/version/eng/._
4. http://frontnational.com/doc interventions detail.php?id inter=19
5. ('http://www.eawarn.ru/pub/Pubs/DialogueMulticulturalism/07 MichelDenis.htm
6. http://vvw\v.eawarn.ru/pub/Pubs/DialogueMulticulturalism/08 Ronanl .htm.

Non-Classical Nationalism in World Politics

Lili Kharchilava, Associate Professor of GTU

Tamar Zirakashvili, Doctoral student of GTU

Summary

Discourses over nationalism have always been a topic of lively interest. However, it gained new momentum in the era of globalization. Structural changes in socio-political and international life have contributed to the emergence of new forms of nationalism.

Accordingly, the existence of a large political commonwealth of the old type, which includes the classical national (nation-state) was called into question (with no massive violence). The post-modern form of global culture has very little in common with any traditional, national culture. In this sense, it contributes to the destruction of these traditional forms and comes into conflict with them.

After the end of the “cold war” and the collapse of the Soviet Union, the forms of nationalism that are particularly non-classical have come to light. At one glance the liberated nations should have been more integration-oriented, instead, the disintegration processes in many parts of the world have taken place against the backdrop of a new force of separatism.

As a conclusion, we can note the following: in the modern situation, macronationalism is a conservative reaction to the political and cultural manifestations of postmodernism, while micronationalism is a natural ally of postmodernism with isomorphic, localist and marginal intentions.

Modern non-traditional (non-classical) nationalism, despite its formal similarity to its classical liberal predecessor (the need for the convergence of cultural and political entities), differs from it (that is, traditional nationalism) in its content: its main tendency is to reduce the scale of social, political, cultural interdependence and interdependence of people, not their Consolidation and expansion. This applies equally to the two main forms of unconventional nationalism: macro and micro nationalism. The difference between them is in how the "threshold of harassment" is understood. Related to this is the mixing of the civic component of the identity with the ethnic component, which is disfiguring for non-classical nationalism, as well as the ambivalent attitude towards liberal democracy (at least it is much less important than what was characteristic of classical nationalism).

სამართალმცოდნეობა

LAW

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი თავისებურებები დემოკრატიულ სახელმწიფოში

ანა მელქაძე, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი თავისებურებები დემოკრატიულ სახელმწიფოში. კერძოდ, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობები, წესები და შეზღუდვები. აღნიშნულია, რომ საჯარო მმართველობის ღიაობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის „საზოგადოებრივი კონტროლი". გარდა ამისა, საზოგადოების ინფორმირებულობა ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე, მათ მიმართ მოსახლეობის ნდობის ჩამოყალიბების წინაპირობაა. ხოლო, როდესაც ხდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელოვნური შეფერხება, ეს იწვევს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მოქალაქის ნდობის შემცირებას.

ინფორმაციის ღიაობა საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების ინსტრუმენტია. ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე. მაგრამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპს უპირისპირდება ინფორმაციის დაცვის ინტერესი. ამ ნაწილში კი გადმოცემულია ის კანონები და კოდექსები, რომლითაც შესაძლებელი ხდება იმის გაგება, კონკრეტულად რა ინფორმაცია ექვემდებარება გასაჯაროებას და რა ინფორმაცია უნდა იყოს ყველასათვის ხელმიუწვდომელი. ამასთანავე განმარტებულია ის წესები და კანონები, რომლებიც საშუალებას აძლევენ და რომლის საშუალებითაც მოხდება ამა თუ იმ ინფომრაციის, თუნდაც დახურულის მოპოვება. ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი არის ადმინისტრაციული სამართლის ის ერთ-ერთი დარგი, სადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინტერესთა შეპირისპირების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი. აქვე აღნიშნულია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. აღნიშნული ნორმა ასევე ადგენს პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებას.

სტატიაში განმარტებულია საჯარო ინფორმაციის ცნება, ინფომრაციის ხელმისაწვდომობის უფლების არსი და მისი უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები. ახსნილია საჯარო დაწესებულებისრაობადასაჯაროდაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის ორი განსხვავებული ფორმა, რომელთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს. ასევე განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა და თვით პერსონალურ მონაცემთა არსი. ამრიგად, საჯარო და კერძო დაწესებულების მიერ კონკრეტული პირების შესახებ ინფორმაციის ფლობა არის საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური მოვლენა. იმავდროულად, ეს იწვევს სამართლიან წუხილს, რომ მესამე პირებმა ძალიან ბევრი იციან მათი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. ეს შიში ხშირად გამართლებულია და სწორედ ამით არის

განპირობებული ადამიანებისთვის მინიჭებული უფლება, ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რა მონაცემებს ფლობს საჯარო დაწესებულება მათ შესახებ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არის ერთ-ერთი გზა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირის პირადი სფეროს ხელშეუხებლობა იქნას დაცული.

საკვანძო სიტყვები: საჯაროობა, პერსონალური ინფორმაცია, კოდექსი, საჯარო ინფორმაცია, საჯარო დაწესებულება.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება იწოდება, როგორც ინფორმაციისა და ცოდნის საზოგადოება. სამართლებრივ სახელმწიფოში, დემოკრატიული სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს საჯარო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციაზე. ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლება სამართლებრივ სახელმწიფოში გარანტირებული ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა.

ძირითადი ნაწილი

ღია მმართველობა კი თანამედროვე სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოების შეფასების ერთ-ერთი ცენტრალური კრიტერიუმია, რომლის უმნიშვნელოვანეს ელემენტს სწორედ ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს.

საჯარო მმართველობის ღიაობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის „საზოგადოებრივი კონტროლი". საზოგადოების ინფორმირებულობა ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე, მათ მიმართ მოსახლეობის ნდობის ჩამოყალიბების წინაპირობაა. ხოლო, როდესაც ხდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელოვნური შეფერხება, ეს იწვევს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მოქალაქის ნდობის შემცირებას. [1]

ინფორმაციის ღიაობა საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების ინსტრუმენტია. ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე.

ხალხის მიერ არჩეული ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების ღიად მიღება - დოკუმენტების ხელმისაწვდომობითა და პროცესის საჯაროობით - შესაძლებლობას იძლევა, გადაწყვეტილება კვალიფიციური და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული იყოს.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპს უპირისპირდება ინფორმაციის დაცვის ინტერესი. როდესაც ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს ან სახელმწიფოთა ან კომერციულ საიდუმლოებას, მაშინ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ არ მოხდეს ასეთი ინფორმაციის საჯაროობა. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ორივე ინტერესის გათვალისწინებას გულისხმობს. კანონმდებელი გვთავაზობს ისეთ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსის დაცვას ამ ორ უფლებას შორის. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჯარო დაწესებულებას უჩნდება ვალდებულება პროპორციულობის ტესტის გამოყენებით განსაზღვროს ხომ არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა ინფორმაციის ღიაობას.

უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე არ არის აბსოლუტური. ხშირად აუცილებელი ხდება მისი დაბალანსება სხვა უფლებებთან მიმართებით. ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ურთიერთსაპირისპირო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას ემსახურება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (სზაკ) მე-3 თავი და საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ".

ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი არის ადმინისტრაციული სამართლის ის ერთ-ერთი დარგი, სადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინტერესთა შეპირისპირების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებულია ადამიანის უფლება, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. აღნიშნული ნორმა ასევე ადგენს პერსონალური

მონაცემების დაცვის ვალდებულებას. [2]

ახლა განვმარტოთ რა არის საჯარო ინფორმაცია, განვსაზღვროთ საჯარო ინფორმაციიც ცნება და განვიხილოთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების არსი და მისი უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის – **ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.**

საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციაზე დაყრდნობით, საჯარო ინფორმაციის არსის დასადგენად აუცილებელია განვმარტოთ, თუ ვინ არის სუბიექტი – **საჯარო დაწესებულება,** ვისზეც ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა.



სუბიექტი, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს (ადმინისტრაციული ორგანო) ან მოქმედებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსების ფარგლებში არის **საჯარო დაწესებულება** და მასზე ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა.

საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაცია გვხვდება ორი განსხვავებული ფორმით, რომელთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს:

- საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, რომლის ღიაობა არ ახდენს გავლენას მესამე პირების კანონით დაცულ ინტერესებზე. შესაბამისად, არ არსებობს ამ ინფორმაციის ღიაობის შეზღუდვის საფუძვლები. ასეთი ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი და დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს განმცხადებელს (მისი ხელმისაწვდომობა გულისხმობს მოქმედების განხორციელებას); [3]
- საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, რომლის ღიაობა ახდენს გავლენას მესამე პირების კანონით დაცულ ინტერესებზე და მისი გაცემა (ადმინისტრაციული მოქმედების - რეალაქტის განხორციელება) დამოკიდებულია მისი გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე).

პრაქტიკაში ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კითხვა (გაიცეს თუ არა ინფორმაცია) არ

ჩნდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნილია საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ისეთი ინფორმაციის გაცემა, რომელიც არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას (მაგალითად, მუნიციპალიტეტის მერიაში შესული განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ბავშვის მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაცემა) ან როდესაც მოთხოვნილია ისეთი ინფორმაციის გაცემა, რომელიც მიეკუთვნება კანონით დადგენილ საიდუმლო ინფორმაციის კატეგორიას, მაგრამ იგივე კანონი ადგენს მისი ღიაობის ვალდებულებას (მაგალითად, მუნიციპალიტეტის მერიაში შესული განცხადებით მოთხოვნილია ინფორმაცია მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ვინაობისა და სამსახურებრივი მისამართის შესახებ).

პრაქტიკაში ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კითხვა (გაიცეს თუ არა ინფორმაცია) ჩნდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომლის გასაიდუმლოების ან ღიაობის უპირატესი ინტერესი არ არის კანონით დადგენილი და საჯარო დაწესებულებას აქვს მინიჭებული მის გაცემაზე გადაწყვეტილების წინამდებარე დოკუმენტი ემსახურება რეკომენდაციების შემუშავებას ისეთი შემთხვევების განხილვის საფუძველზე, როდესაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესების შეპირისპირების საფუძველზე.

ახლა განვსაზღვროთ რას ნიშნავს პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა და გავერკვეთ თვით პერსონალური მონაცემების არსში.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, აუცილებელია, შემდეგი სტანდარტების დაცვა:

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა იყოს სამართლიანი, ხორციელდებოდეს კონკრეტული მიზნებით, შესაბამისი პირის თანხმობით ან ლეგიტიმური საფუძვლით, რომელსაც ადგენს კანონმდებლობა. ადამიანებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ თავიანთ პერსონალურ მონაცემებზე და ჰქონდეთ მათი გასწორების შესაძლებლობა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობას უნდა აკონტროლებდეს დამოუკიდებელი ორგანო [4] (როგორიც, საქართველოს შემთხვევაში, არის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური).

ინფორმაციის თავისუფლებაზე საუბრისას აქტუალურია პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი.

საჯარო დაწესებულებები ისევე, როგორც კერძო კორპორაციები, ფლობენ დიდი მოცულობით ინფორმაციას, რომელიც მოიცავს, როგორც ყველაზე „მარტივ“ ინფორმაციას - მაგალითად, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, ისე ბევრად უფრო მნიშვნელოვან (სენსიტიურ) ინფორმაციას, როგორიცაა, მაგალითად, სამედიცინო ჩანაწერები.

ინფორმაციის მოცულობა და კომპლექსურობა, რომელიც მუშავდება საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ, გაიზარდა ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად. კერძოდ, კომპიუტერიზაციის პროცესმა მნიშვნელოვნად გაადვილა დიდი მოცულობის ინფორმაციის გაცვლა დაწესებულებებს, ქვეყნებს, პირებს შორის.

პერსონალური მონაცემები არის თითოეული ადამიანის ინდივიდუალობის ნიშანი და მისი დაცვა ადამიანის ღირსების დაცვის ერთ-ერთი ელემენტია. სახელმწიფოს აქვს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულება მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართ: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის დაცვა როგორც ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობაში ჩარევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), ასევე მონაცემთა სუბიექტის

პერსონალური მონაცემების მესამე პირთაგან დაცვა (პოზიტიური ვალდებულება) - მესამე პირებს ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემებზე.

საჯარო დაწესებულებების უფლება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ეფუძნება მისი კონფიდენციალურობის პრეზუმფციას. აღნიშნული გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის ნდობას, რომ მისი პერსონალური მონაცემები საჯარო დაწესებულების მიერ დამუშავებული იქნება კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ასეთი ნდობის გარეშე, საფრთხე ექმნება მოქალაქესა და საჯარო დაწესებულებებს შორის ნდობაზე და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებულ ურთიერთობას, რაც ნეგატიურ გავლენას მოახდენს არა მარტო ცალკეული პირების, არამედ საზოგადოების ინტერესებზე.

დასკვნა

ამრიგად, საჯარო და კერძო დაწესებულების მიერ კონკრეტული პირების შესახებ ინფორმაციის ფლობა არის საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური მოვლენა.

იმავდროულად, ეს იწვევს სამართლიან წუხილს, რომ მესამე პირებმა ძალიან ბევრი იციან მათი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. ეს შიში ხშირად გამართლებულია და სწორედ ამით არის განპირობებული ადამიანებისთვის მინიჭებული უფლება, ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რა მონაცემებს ფლობს საჯარო დაწესებულება მათ შესახებ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არის ერთ-ერთი გზა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირის პირადი სფეროს ხელშეუხებლობა იქნას დაცული.

გამოყენებულ ლიტერატურა:

1. ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი საჯარო დაწესებულებებისთვის (მეორე გამოცემა), ავტორები: პაატა ტურავა, ლევან ავალიშვილი, სერგი ჯორბენაძე. რედაქტორი: გიორგი კლდიაშვილი. აგრეთვე, იხ. ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, ავტორები: თამარ ჩუგოშვილი, ნინო ლომჯარია, თამარ კორძაია.
2. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://idfi.ge/public/upload/courts/EBRD/Freedom%20of%20Information%20Guidebook%20%20Second%20Edition.pdf
3. პაატა ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2020, გვ. 197.
4. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, გვ. 23.
5. ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი პირველი გამოცემა, 2012 chrome-extensionefaidnbmnnnibpcajpcglclefindmkajhttplibrary.court.geupload24732012-04-17.pdf
6. ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი საჯარო დაწესებულებებისთვის (მეორე გამოცემა) chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://idfi.ge/public/upload/courts/EBRD/Freedom%20of%20Information%20Guidebook%20%20Second%20Edition.pdf

Availability of information and its features in a democratic state

Ana Melkadze, PhD of GTU

Summary

The article discusses the availability of information and its features in a democratic state. In particular, the possibilities, rules and limitations of access to information in a democratic and legal state. It is noted that without the openness of public administration, "public control" of the activities of public institutions would be impossible. In addition, public awareness of the activities of government bodies is a prerequisite for building the trust of the population towards them. And when there is an artificial delay in access to information, it leads to a decrease in the trust of the citizen towards the administrative body.

Openness of information is a tool of public control. Freedom of information ensures accountability of public institutions to the public. But the principle of access to information is opposed by the interest of information protection. In this part, the laws and codes that make it possible to understand what information is subject to disclosure and what information should be inaccessible to everyone are presented. At the same time, the rules and laws that allow and through which this or that information, even if it is closed, will be obtained are explained. The law of freedom of information and protection of personal data is one of those branches of administrative law, where the issue of decision-making based on the conflict of interests acquires special importance. It is mentioned here that according to Article 41 of the Constitution of Georgia, every citizen of Georgia has the right to get acquainted with the information available in state institutions, as well as official documents, if they do not contain state, professional or commercial secrets. The mentioned norm also establishes the obligation to protect personal data.

The concept of public information explained in the article, the essence of the right to access to information and the problems related to its provision. The nature of a public institution and two different forms of public information in a public institution are explained, the availability of which requires different approaches. Access to personal data and the essence of personal data are also defined. Thus, possession of information about specific individuals by public and private institutions is a normal phenomenon of public life. At the same time, it raises legitimate concerns that third parties know too much about their daily lives. This fear is often justified, and it is due to this that people are given the right to have information about what data a public institution holds about them. Access to information is one way to ensure that a person's privacy is protected.

Keywords: publicity, personal information, code, public information, public institution.

გამჭოლი პასუხისმგებლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში: საკანონმდებლო რეგულირება და სამართალი

ელისაბედ აფაქიძე, თსუ სტუდენტი

ლიკა ფირცხალაიშვილი, თსუ სტუდენტი

რეზიუმე

გამჭოლი პასუხისმგებლობის უმთავრეს სამართლებრივ შედეგს კორპორაციის კრედიტორების სასარგებლოდ პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა წარმოადგენს. პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის საპირწონე სწორედ გამჭოლი პასუხისმგებლობა გახლავთ, რომელიც მხარეთა შორის უზრუნველჰყოფს სამართლიან ბალანსს. წინამდებარე ნაშრომში განხილულია გამჭოლი პასუხისმგებლობის არსი და მისი მოქმედების სფერო. ამ უკანასკნელის არსის სიმარტივის მიუხედავად, აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ეს განპირობებულია თუნდაც იმით, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობა წინაპირობებისა და ფაქტობრივი გარემოებების ფართო წრეს აერთიანებს. ამ საკითხის განხილვის დროს ამავდროულად მნიშვნელოვანია უფლებამოსილების გადამეტებასა და ბოროტად გამოყენებასაც შევეხოთ, რომლის ცნების ამოღების შემდგომ სასამართლოს მიეცა შესაძლებლობა, ყველა შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაჯოს ჩაითვალოს თუ არა კონკრეტული გარემოებები ბოროტად გამოყენებად. გარდა ამისა, ნამშრომში საუბარია გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობები და გამოყენების წესზეც, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიულ დოქტრინაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა. სწორედ მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების დადასტურება. თითოეული კონკრეტული საკითხი გამყარებულია სასამართლო პრაქტიკით, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც კიდევ უფრო გვარწმუნების თემის პრობლემატურობაში. სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე კი გამოყოფილია გარკვეული რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლია პარტნიორს უზრუნველყოს გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების არიდება.

ნაშრომის მთავარ მიზანს საწარმოს საქმიანობის პროცესში კრედიტორის დაცულობის როლის განხილვა, პრობლემის დანახვა და მისი გადჭრის გზების შემოთავაზება წარმოადგენს. ნაშრომი აგებულია ნორმატიულ, ანალიტიკურ და შედარებით-სამართლებრივ მეთოდებზე, რომლის ანალიზიც ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მაგალითებზე დაყრდნობით. ნორმატიული

მეთოდის დახმარებით დგინდება, რომ უფლების არამართლზომიერი გამოყენება უნდა გავიგოთ, როგორც უფლების ნორმატიული ჩარჩოების დარღვევა, ვინაიდან პირი უფლებას იყენებს კანონით დადგენილი ფარგლების მიღმა. დედუქციური მეთოდის საშუალებით კი სატიაში განხილული თეზისები გახლავთ შეჯამებული.

საკვანძო სიტყვები: საკორპორაციო სამართალი, გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპი, პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, პარტნიორის პრივილეგიით სარგებლობა.

შესავალი

გამჭოლი პასუხისმგებლობის უმთავრეს სამართლებრივ შედეგს კორპორაციის კრედიტორების სასარგებლოდ პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა წარმოადგენს. მისი როლი, მნიშვნელობა და დასაშვებობა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში დისკუსიის საგანს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულის მიღწევა როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის, ისე პირადი პასუხისმგებლობის საფუძველზეა შესაძლებელი. ვინაიდან, აღნიშნული არათუ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში პრობლემატურ თემას წარმოადგენს, მომდევნო ნაშრომში სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით გვექნება საუბარი.

1. გამჭოლი პასუხისმგებლობის ცნება და მისი მოქმედების ფარგლები

კაპიტალური ტიპის საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობა შეზღუდულია სადამფუძნებლო შეთანხმებით და ამავდროულად განხორციელებული შენატანის ოდენობის ფარგლებით. ამისდა მიუხედავად, ვხვდებით ისეთ შემთვევებსაც, როდესაც პარტნიორის არამართლზომიერი მოქმედების გამო საზოგადოების მატერიალური მდგომარეობა ან თუნდაც კრედიტუნარიანობა იმდენად მწირეა, რომ საწარმოს აღარ შეუძლია კრედიტორის მოთოვნა დააკმაყოფილოს. სწორედ

ამიტომ, საკანონდემლო სისტემაში არსებობს მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებლობას პარტნიორს დააკისრებდა და სწორედ მისი ინდივიდუალირ ქონების ხარჯით მოხდებოდა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. საუბარია ცნებაზე, რომელი ერთადერთ გამონაკლის წარმოადგენს პარტნიორის პასუხისმგებლლობის შეზღუდვის პრივილეგიიდან და ეს ცნება გახლავთ გამჭოლი პასუხისმგებლობა. მას სხვაგვარად „კორპორატიული საფარველის გაჭოლვის“ დოქტრინადაც მოიხსენიებენ. ამასვე მოწმობს კანონის 26-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის მიხედვითაც თუკი შპს-ის პარტნიორი მისი პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმას ბოროტად გამოიყენებს, იგი პირადად იქნება პასუხისმგებელი საზოგადოების წინაშე. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლები თავდაპირველად ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ იქნა გამოყენებული. ამის მიზეზი კი პარტნიორის მხრიდან მოტყუებაა, შეცდომაში შეყვანა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება გახლდათ. რა თქმა უნდა, ცნება შემდეგობ კვლავ განიმარტა და განივრცო.

ბოროტად გამოყენების ცნება 2008 წლის შემდეგ ამოიღეს კანონიდან, რადგან განმარტება ყველა შემთხვევას ვერ ამოწურავდა. ამის შემდეგ სასამართლოს მიეცა შესაძლებლობა, რომ ყველა შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაჯოს ჩაითვალოს თუ არა კონკრეტული გარემოებები ბოროტად გამოყენებად. ბოროტად გამოყენების პირდაპირ კრიტერიუმების ჩამონათვალი არ ასრებობს მაგრამ პრაქტიკიდან გამომდინარე ძირითადად ის არის, რომ არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი; სახეზე იყოს პარტნიორის მხრიდან პრივილეგიის გამოყენება სხვისი ინტერესების საზიანოდ, საკუთარი ეკონომიკური რისკების და დანაკარგის სხვაზე გადაკისრება და კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანა; პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ უნდა ხელმძღვანელობდეს და მისი მიზანი იყოს გადასახადებისგან თავის არიდება; მოქმედებდეს კოროპორაციის მიღმა; მიზნად ისახავდეს პირადი სარგებლის მიღებას. ერთ-ერთ სასამართლო დავაში სასამართლომ განმარტა, რომ „კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ვალდებულებისგან თავის ასარიდებლად, რაც უთანაბრდება კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას და მიზეზშედეგობრივი კავშირი კონტროლსადა კრედიტორისთვის მიყენებულ ზიანს შორის.“ [1]

გარდა ამისა, სასამართლომ სხვა საქმეზე აღნიშნა, რომ ბოროტად გამოყენება ნიშნავს პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით. [2] ასევე, სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს-ს პარტნიორების მიერ გადასახადებისაგან განზრახ თავის არიდება იმაზე მითითებით, რომ ისინი პერსონალურად არ აგებენ პასუხს საწარმოს ვალდებულებებისათვის, არის პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება და, ამ შემთხვევაში, მათ პირადად უნდა აგონ პასუხი კრედიტორების წინაშე. თუმცა, ამავდროულად, ამ ნორმიდან გამომდინარეობს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორების პასუხისმგებლობა საწარმოს ვალდებულებებზე სუბსიდიურია, ე.ი. ისინი პასუხს აგებენ საწარმოს ვალებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს”, ანუ, თუ ამ „ბოროტი გამოყენების შედეგად“ კრედიტორი ვერ მოახერხებს ანაზღაურების მიღებას, უშუალოდ, საწარმოსაგან. [3]

ხშირ შემთხვევაში, გამჭოლი პასუხისმგებლობის ადრესატი ერთკაციან კომოანიაშ ერთადერთი პარრტნიორია, რომელმაც თავისი უფლებამოსილების ფარგლების ბოროტად გამოყენება შეძლო, დააზიანა საწარმო და კომპანია გადახდისუნარიანობისქვეშ დააყენა. გამჭოლი პასუხისმგებლობის არსზე მხოლოდ იურიდიურლი ლიტერატურა იძლეოდა. თუმცა, შემდგმომ სუს-ს ორი დამფუძნებლის გადაწყვეტულებით დადგინდა სასამართლო პრაქტიკა. [3; 4]

2. პარტნიორის პრივილეგიით სარგებლობის საფრთხე კრედიტორთან ურთიერთობისას

ალბათ, რთული მისახვედრი არ არის, რომ მშპ პარტნიორის ხელში ერთგვარ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რათა მან შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიით ისარგებლოს კრედიტორის წინაშე. ამით ის ვალდებულებას გაურბის და თავიდან იცილებს პასუხისმგებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას,

ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით.

გამჭოლი პასუხისმგებლობა საგამონაკლისო, უკიდურესი ღონისძიებაა. [3] პარტნიორის მხირდან საკუთარი ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების დროს კორპორაციის ფინანსური სტაბილურობისთვის საფრთის შექმნა მიისი მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების ტოლფასია. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საჭიროება მაშინ დგება როდესაც კომპანიას წარმოეშვება ვალდებულება, თუმცა ის არ არის გადახდისუნარიანი.

3. გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობები და სასამართლო რეგულირება

გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიულ დოქტრინაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა. სწორედ მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების დადასტურება. [4] უნივერსალური ფორმულა არ არსებობს, თუმცაღა, საკასაციო სასამართლო პრაქტიკისა და ამავდროულად დოქტრინაზე დაყრდნობით შემდეგ გარემოებებს უნდა დავუთმოთ ყურადღება:გამიჯვნის პრინციპის ფაქტობრივ-რეალური მორღვევა - საზოგადოებისა და მისი პარტნიორისს ქონების ერთმანეთში არევა; წილების განთავსებისას მისი გაცემის და დარეგების ფორმალური/მატერიალური პროცედურული წინაპირობების უარყოფა ან იგნორირება; მესამე პირის მხრიდან შთაბეჭდილება იმისა, რომ საწარმოს პარტნიორი პირადად არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებისთვის კრედიტორის წინაშე; კორპორაციის კაპიტალის შევსებისას და შენატტანის განხორციელებისას მასთან დაკავშირებული საბუღალტრო დოკუმენტაციის არასათანადო აღრიცხვა და საზოგადოების წიგნების არასათანადო ან თუნდაც არასწორი წარმოება; საზოგადოების შეგნებული ქვეკაპიტალიზაცია; 2 სამართლებრივად დამოუკიდებელი საწარმოს ისეთი ფორმალური დაყოფა, საიდანაც შეუძლებელია გამორკვევა იმისა, თუ რომელი სუბიექტის ხელში იმყოფება ეკონომიკური კორპორაციული საკუთრება და სხვა. [5]

ასევე გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობების გამორკვევა სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკითაც არის შესაძლებელი. ერთ-ერთ სასამართლო პრაქტიკაში ვკითხულობთ, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკიოსრებისთის აუცილებელია მეორე პირი ახორციელებდეს მასზე მნიშვნელოვან კონტროლს; პირველ პირს ახასიათებდეს არასათანადო კაპიტალიზაცია, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა; განხორციელებული უნდა იყოს მისი აქტივის ტრანსფერი. ამ დავაში სასამართლომ ისიც განმარტა, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვისთვის საკმარისი არ არის ერთი კორპორაციის 100%-იანი მონაწილეობა ფიქსირდებოდედს მეორე კორპორაციაში, მიუხედავად იმისა, რომ კონტროლი და საკუთრება შეიძლება ერთი პირის ხელში იყოს მოქცეული. შესაბამისად, ამისთვის საჭიროა კონტროლის გამოყენება არამართლზომიერი ქმედებისთვის. [6] გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი ასევე გახლავთ კორპორაციული ფორმალურობის დაუცველობა. ცხადია, მისი დარღვევა ხდება მაშინ, როცა მაგალითად არ ჩაყარდება პარტნიორთა ან დირექტორების კრებები;

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლებია: კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის" დანიშნულებით გამოყენება; „არაადექვატური კაპიტალიზაცია"; „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა"; შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენება, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მხოლოდ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას, კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით. გარდა ამისა, კორპორაციის ბოროტად გამოყენებისას აუცილებელია სახეზე გვქონდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი კონტროლსა და კრედიტორისთვის მიყენებულ ზიანს შორის. აღნიშნული კონტროლი შეიძლება გამოვლინდეს არასათანადო კაპიტალიზაციის, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობის, ქონებათა აღრევის, დირექტორატის იდენტურობის, ანდა სხვა გარემოებების სახით.

სასამართლომ უნდა განმარტოს და ყოველი შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე უნდა დაადგინოს ჰქონდა თუ არა უფლების ბოროტად გამოყენებას ადგილი. რა თქმა უნდა, უფლების არამართლზომიერი გამოყენება უნდა გავიგოთ, როგორც უფლების ნორმატიული ჩარჩოების დარღვევა, ვინაიდან პირი უფლებას იყენებს კანონით დადგენილი ფარგლების მიღმა. ამ უკანასკნელის მიზანი კი, რასაკირველია,

პირადი სარგებლის მიღებაა და მას თავისთავად კრედიტორის დამდგარი ზიანი სდევს თან. იმ დროს, როცა კომპანია გადახდისუუნაროდ გვევლინება, ხოლო კრედიტორი თავისი თანხის მიღებას პარტიორისგან ითხოვს, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს თუ ვის უნდა დააკისროს ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული დანაკარგი - მესამე პირს თუ პარტნიორს.

4. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკაც, რადგან ერთ-ერთი შტატის, დელავერის, საკორპორაციო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა ითვლება ერთ-ერთ მოწინავედ და სამაგალითოდ ამ მიმართულებით. „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ (ე.წ. Piercing of Corporate Veil) აშშ-ს პრაქტიკით წარმოადგენს ისეთ შემთხვევას, როდესაც სასამართლოები არ ითვალისწინებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის ზოგად კონცეფციას და ამ კორპორაციის პარტნიორებს/დირექტორებს პირადი ქონებით უწევთ პასუხი აგონ შესაბამისი შპს-ს კრედიტორების წინაშე.

გამჭოლ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, მიდგომები და პრაქტიკა შტატების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავებულია, თუმცა, შესაძლოა ითქვას, რომ საერთო პრინციპებს ეყრდნობა.

ნიუ იორკი - აღნიშნულ შტატში საქმე *WALKOVSZKY v. CARLTON* [7] ერთ-ერთი ფუნდამენტური ქეისია. სასამართლომ ამ საქმეში დაადგინა, რომ მოსარჩელემ უნდა დაადგინოს, რომ პარტნიორმა კორპორაცია გამოიყენა, როგორც მისი აგენტი (წარმომადგენელი), რათა განეხორციელებინა ბიზნეს საქმიანობა არა საკუთარი, არამედ კორპორაციის სახელით. სასამართლომ დაადგინა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობა სახეზეა, როდესაც კორპორაცია არის „იარაღი“ პარტნიორისთვის შესაბამისი მოქმედების განსახორციელებლად. ამ შემთხვევაში, სასამართლომ გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპი ასევე შეადარა “Respondeat Superior”-ის დოქტრინასაც, რომლის მიხედვით, დამსაქმებელი (ანმარწმუნებელი) სამართლებრივად პასუხს აგებს დასაქმებულის (ან რწმუნებულის) მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე.

დელავერი - საქმეში Pauley Petroleum Inc. v. Continental Oil Co [8]. სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც ადგილი აქვს თაღლითობას ან საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ ქმედების განხორციელებას პარტნიორის მხრიდან, სახეზეა გამჭოლი პასუხისმგებლობის შემთხვევა. სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, როდესაც რთულია გამიჯვნა იმისა, კორპორაცია პარტნიორის აგენტს წარმოადგენს თუ მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, ვერ გახდება გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოწვევის მიზეზი. აქვე აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ჩატარებული კვლევის [9] თანახმად, დელავერის შტატში პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგენის მაჩვენებელი შეადგენს 34 %-ს.

აქვე აღსანიშნავია, რომ აშშ სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გამოიყოს გარკვეული რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლია პარტნიორს უზრუნველყოს გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების არიდება: ა) პირველ რიგში, მიზანს წარმოადგენს კორპორაციის ყოველდღიურ საქმიანობაში პარტნიორის ჩართულობის (კონტროლის) შემცირება; ბ) პარტნიორის გადაწყვეტილებები, კორპორაციას უნდა უტო-ვებდეს ამ უკანასკნელს საშუალებას იმოქმედოს, მათ შორის, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში; გ) მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ჩართული უნდა იყოს კომპანიის შესაბამისი მმართველობითი რგოლი და არა პარტნიორ(ებ)ი; დ) დივიდენდების განაწილების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს კორპორაციის საუკეთესო ინტერესები

დასკვნა

ნაშრომში განხილული საერთაშორისო პრაქტიკისა თუ ლიტერატურის მიხედვით დასტურდება, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის საპირწონე სწორედ გამჭოლი პასუხისმგებლობაა. სწორედ ამ მექანიზმის ამოქმედებით ხდება კორპორაციის, სამართალსუბიექტების და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ერთიერთდაკავშირება. ფაქტია, რომ კაცობრიობა არსებობის მანძილზე ერთი გლობალური მიზნისკენ ერთიანდება და ისწრაფვის ეს მიზანი კი სამართლიანობაა. ეს ყველაფერი კი ერთადერთ მიზანს - სამართლიანობის დაცვას და აღდგენას უნდა ემსახურებოდეს. რომ არა ეს პრინციპი, რასაკვირველია, დაიღვეოდა სამართლიანობის ბალანსი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-246-2020;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1307-1245-2014;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1158-1104-2014;
4. ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, 2016;
5. „საკორპორაციო სამართალი", საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2022 წელი;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-433-2020;
7. WALKOVSZKY v. CARLTON | 24 A.D.2d 582 (1965) | ad2d5823191 | Leagle.com
8. Pauley Petroleum Inc. v. Continental Oil Company :: 1968 :: Delaware Supreme Court Decisions :: Delaware Case Law :: Delaware Law :: US Law :: Justia
9. Peter B. Oh, Veil-Piercing 89 TEX. L. REV. 81

Vicarious liability in the limited liability company: legislative regulation and case law

Elisabedi Apakidze, Student of TSU
Lika Phirtskhalaishvili, Student of TSU

Summary

The main legal consequence of strict liability is the personal liability of a partner for the benefit of the corporation's creditors. The counterbalance of the principle of limitation of liability is the strict liability, which ensures a fair balance between the parties. In this paper, the essence of penetrating liability and its scope are discussed. Despite the simplicity of the latter's essence, the use of the mentioned legal mechanism is associated with certain difficulties. This is due to the fact that strict liability includes a wide range of preconditions and factual circumstances. While considering this issue, it is also important to touch upon the excess and abuse of authority, after the removal of which concept, the court was given the opportunity to judge, based on the specifics of each case, whether specific circumstances can be considered abuse or not. In addition, the work also discusses the prerequisites and application of strict liability, which was formed based on the judicial practice and legal doctrine of different countries. It is through them that it becomes possible to confirm the abuse of the form of limitation of liability. Each specific issue is supported by judicial practice, both at the national and international levels, which further convinces us of the problematic nature of the topic. Based on the analysis of judicial practice, certain recommendations are made as to how the partner can ensure that the question of pervasive liability is avoided.

The main goal of the paper is to discuss the role of creditor protection in the process of the enterprise's activity, to see the problem, and to propose ways to solve it. The work is based on normative, analytical and comparative legal methods, the analysis of which is based on the examples of the United States of America and Georgia. With the help of the method, it is determined that the improper use of the right should be understood as a violation of the normative framework of the right, since a person uses the right outside the scope established by law. By means of the deductive method, the theses discussed in Satya are summarized.

Keywords: Corporate law, the principle of strict liability, the principle of personal liability, the use of partner's privilege.

ფსიქოლოგია

PSYCHOLOGY

იდენტობის ფორმირების მნიშვნელობა გარდატეხის ასაკში

დავით ქათამაძე, სტუ დოქტორანტი

ლია მეტრეველი, სტუ პროფესორი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება მოზარდების სქესთან იდენტიფიკაციას და მასზე მოქმედი ფსიქო-სოციალური გავლენების კვლევას. მოზარდობის ასაკში არსებული იდენტიფიკაციის კრიზისი და საზოგადოების როლი ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია. სქესთან იდენტიფიკაციის დროს გაჩენილი დაბრკოლება იწვევს სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პრობლემას.

როგორც ვიცით მოზარდობის ასაკი ხასიათდება გარკვეული სირთულეებით. განვითარების პროცესი არსებითად განსხვავდება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე კულტურულად. ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში, ნეირომეცნიერების მიღწევებმა დაგვანახა თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი ტვინის დონეზე. დადასტურდა, რომ თავის ტვინში ბიოლოგიური ცვლილებები საფუძვლად უდევს დინამიურ კოგნიტურ და ფსიქოლოგიურ ძვრებს, რომლებიც ხდება ამ ასაკში. როდესაც მოზარდის განვითარება წარმატებულია, შედეგი არის ბიოლოგიურად მომწიფებული ინდივიდი, რომელიც აღჭურვილია დამოუკიდებელი მე-ს გრძნობით, თანატოლებთან და ჯგუფური ურთიერთობების დამყარების უნარით და შემეცნებითი და ფსიქოლოგიური რესურსებით ზრდასრული ცხოვრების გამოწვევებისთვის. თანამედროვე განვითარების თეორეტიკოსები ზოგადად განიხილავენ განვითარებას, როგორც პროცესს, რომელიც გრძელდება მთელი ცხოვრების განმავლობაში. ცვლილება შეიძლება არ იყოს ისეთი სწრაფი და მშფოთვარე ზრდასრულ ცხოვრებაში, მაგრამ ახალგაზრდობა წარმოადგენს განვითარების ამოცანების ახალ კომპლექტს, როგორიცაა სტაბილური, ინტიმური ურთიერთობების დამყარების უნარი და სრულფასოვანი კარიერის ძიება. ჯანმრთელ ადამიანში მოზარდის განვითარება აყალიბებს ეტაპს დამატებითი ზრდისთვის, რომელიც წინ არის.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ადამიანს შევხედოთ, როგორც მრავალმხივ, რთულ, მაღალი ცნობიერების მქონე ორგანიზმს. მას შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ქცევის მოსალოდნელი შედეგები და იმოქმედოს ამგვარად. შესაბამისად, ეს გვაფიქრებინებს, რომ ადამიანის ქცევას განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსაზღვრავს გარემო ფაქტორთა ერთობლიობა.

დაკვირვების შედეგად შეგვიძლია დავინახოთ პიროვნების განვითარების პერსპექტივები. მისი, როგორც ფიზიკური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური და ეთიკური ასპექტების განვითარება. ადამიანი, როგორც მრავალფეროვანი და უნიკალური არსება. ზოგადადამიანური ხედვა არ შეიძლება განვავითაროთ მხოლოდ ერთ თეორიაზე ან აზრზე დაფუძნებით.

მეს ჩამოყალიბების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურულ ასპექტებს. მე-ს განვითარებაზე მოქმედებს ის თუ როგორ ურთიერთქმედებს საზოგადოება და მოზარდი ერთმანეთთან. საზოგადოების როლი მოზარდის სქესთან იდენტიფიკაციის პროცესში. მოზარდობის ასაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასაწყვეტი საკითხიც ხომ სწორედ ეს არის. ჩვენი მიზანია უფრო ღრმად ჩავწვდეთ სექსუალობის მნიშვნელობას მთლიანად პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში.

შესავალი

პიროვნული დამოუკიდებლობა, პირველ რიგში, იდენტობის ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. იდენტობის ჩამოყალიბება, ანუ თვითგამორკვევა, ხანგრძლივი, რთული და ზოგჯერ არცთუ ისე უმტკივნეულო პროცესია.

მოზარდობა, რომელიც ე. ერიქსონის ცხოვრებისეული ციკლის მიხედვით მეხუთე სტადიით აღინიშნება, ადამიანის ფსიქოსოციალური განვითარებაში მნიშვნელოვან პერიოდად ითვლება. მოზარდი უკვე არ არის ბავშვი, მაგრამ არც ზრდასრულია. ის განსხვავებულ სოციალურ მოთხოვნებსა და ახალ როლებს ხვდება, რაც ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ ამოცანას წარმოადგენს ადამიანისთვის. ახალი ფსიქოსოციალური პარამეტრიც, რომელიც მოზარდობის ხანაში ჩნდება, თავის დადებით პოლუსზე ეგოიდენტურობის სახით, უარყოფითზე კი – როლური აღრევის სახით წარმოჩინდება. მოზართა მთავარ ამოცანას წარმოადგენს საკუთარი თავის შესახებ ამ დროისთვის დაგროვილი შემეცნებების გაერთიანება (თუ როგორები არიან ისინი, როგორც შვილები, სტუდენტები, მუსიკოსები, სპორტსმენები და ა. შ.) და ამ საკუთარი თავის მრავალი იერსახის ინტეგრირება პიროვნულ იდენტობაში, რომელიც წარმოადგენს, როგორც წარსულის, ასევე მისგან ლოგიკურად გამომდინარე მომავლის ინტეგრირებასაც.

ე. ერიქსონის კონცეფციაში, არც ინდივიდი ეგუება საზოგადოებას და არც საზოგადოება აყალიბებს მას (sic) თავის ნიმუშში; უფრო მეტიც, საზოგადოება და ინდივიდი ქმნიან ერთიანობას, რომლის ფარგლებშიც ხდება ურთიერთგარეგულირება. სოციალური ინსტიტუტები ინდივიდუალური განვითარების წინაპირობები არიან, ხოლო განვითარებადი პიროვნების ქცევა იწვევს ისეთ დახმარებას, რასაც საზოგადოება აძლევს ზრდასრული წევრების საშუალებით მისი ინსტიტუტებისა და ტრადიციების მიხედვით. საზოგადოება არ არის მხოლოდ ამკრძალავი ან მიმწოდებელი; ეს არის ყველა ქცევის განვითარების აუცილებელი მატრიცა. [1]

ე. ერიქსონის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ემპირიულად გადამოწმებული პიროვნული იდენტობის მოდელი ჯეიმს მარშას ეკუთვნის. მარშა იდენტობას განიხილავს ორი პროცესის განზომილებაში ძიება და არჩევანის გაკეთება. ძიება ეხება სხვადასხვა როლის და ცხოვრების გეგმების გამოცდის პერიოდს მათ გააზრებასა და დალაგებას. ძიების პერიოდი ის დროა, როცა გვიანი მოზარდობის პერიოდში ინდივიდი აქტიურადაა ჩართული პიროვნული იდენტობისათვის მნიშვნელოვანი ალტერნატივების შერჩევაში. არჩევანის გაკეთება ეხება პიროვნული ინვესტიციის, ჩართულობის ხარისხს, რასაც ინდივიდი გამოხატავს ამა თუ იმ ალტერნატივის მიმართ, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროში შეიძლება არსებობდეს. იმის მიხედვით, თუ რა ხარისხითაა გამოხატული თითოეულ ადამიანში ძიების თუ არჩევანის გაკეთების პროცესი, გამოიყოფა ოთხი იდენტობის სტატუსი.

ე. ერიქსონის ეპიგენეტიკური პრინციპის თანახმად, ჩამოყალიბებული იდენტობა ქმნის ინტიმურობის ანუ განვითარებული ურთიერთობის უნარის საფუძველს. ლიტერატურაში აღწერენ ინტიმურობის ოთხ სტილს: 1) მიღწეული ინტიმურობა ახასიათებს ადამიანებს, რომლებსაც აქვს ახლო ურთიერთობები მეგობრებთან, ეს ურთიერთობა სიღრმითა და ღიაობით ხასიათდება და ასევე აქვს ექსკლუზიური პარტნიორული კავშირი. 2) პრეინტიმურობა ახასიათებს ადამიანებს რომლებსაც აქვს ღია და ღრმა ურთიერთობა 25 მეგობრებთან, თუმცა არ აქვს ექსკლუზიური პარტნიორული კავშირი. 3) ფსევდოინტიმურობის შემთხვევაში მეგობრებთან ურთიერთობა ზედაპირული და ნაკლებად გახსნილია, იგივე ეხება ექსკლუზიურ პარტნიორულ ურთიერთობას. 4) სტერეოტიპული ინტიმურობისათვის დამახასიათებელი ურთიერთობები მეგობრებთან ისეთივეა როგორც ფსევდოინტიმურობის შემთხვევაში, ექსკლუზიურ პარტნიორთან ურთიერთობა კი საერთოდ არ არის. 5) იზოლირებულ ტიპს აქვს ცოტა შემთხვევითი კავშირები და ჩვეულებრივ ერიდება სოციალურ სიტუაციებსა და კონტაქტებს. [2]

კვლევები ადასტურებს, რომ მიღწეული იდენტობის სტატუსის შემთხვევაში მეტია მიღწეული ინტიმურობის სიხშირე, თუმცა აღინიშნება განსხვავება სქესის მიხედვით-ქალების უფრო მეტი რაოდენობა, მიუხედავად იდენტობის სტატუსისა აღწევს ინტიმურობის მაღალ ხარისხს. [1]

ძირითადი ნაწილი

მრავალი სოციალური მეცნიერების სამეცნიერო რევოლუციამ მოიცვა ზედსართავი სახელები „გენდერიდან“ - გენდერული სტერეოტიპები, გენდერული ნორმები, გენდერული იდენტობები და ა.შ., რომელსაც კოლექტიურად ეწოდებოდა ე. გოფმანი „გენდერული ჩვენება“, ე.ი. გენდერის მანიფესტაციების განსხვავება სოციალურ ნორმებში,

იდეებში, სტერეოტიპებში და იდენტიფიკაციისა და სოციალიზაციის მეთოდებში. პედაგოგიური მეცნიერებისათვის, ასეთი მონაცემები ასევე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი გამოავლენენ ადამიანის გენდერის განვითარების მნიშვნელობას და განიხილება გენდერული კონცეპტუალური და კატეგორიული აპარატის განვითარების დასაწყისი.

შეგვიძლია ვისაუბროთ ანდროგინობის მნიშვნელობაზე, ავღწეროთ და შევაფასოთ სოციალური დასწავლისა და კოგნიტური განვითარების თეორიების თვალსაზრისები ადრეულ ასაკში გენდერული იდენტურობის ჩამოყალიბებაზე.

- მკვლევარები გენდერულ იდენტურობას ზომავენ იმით, რა თვისებებით აფასებენ საკუთარ თავს ბავშვები და მოზრდილები –„მასკულინურით“ თუ „ფემინურით“. მართალია ადამიანთა უმრავლესობას ტრადიციული იდენტურობა აქვს, მაგრამ არსებობენ ანდროგინული იდენტურობის მქონენიც ანუ ისეთები, რომლებსაც როგორც „მასკულინურობის“, ასევე „ფემინურობის“ მახასიათებლების მაღალი მაჩვენებლები აქვთ. დღესდღეობით მიიჩნევა, რომ **ანდროგინურობის** მასკულინური კომპონენტი განსაზღვრავს უპირატეს ფსიქოლოგიურ ადაპტაციას.
- სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით სკოლამდელ გენდერულად ტიპურ რეაქციას პირველად ითვისებენ მოდელირებისა და დადებითი განმტკიცების მეთოდით და მხოლოდ ამის შემდეგ აგებენ საკუთარ თავზე წარმოდგენას. კოგნიტური განვითარების თეორია ვარაუდობს, რომ **გენდერული მდგრადობა** მიიღწევა მანამდე, სანამ ბავშვს ჩამოუყალიბდება გენდერულად ტიპური ქცევა.
- ბავშვები გენდერულ მდგრადობას ითვისებენ სამი სტადიის – **გენდერული სახელდების, გენდერული სტაბილობისა და გენდერული მუდმივობის** გავლით. გენდერული მდგრადობის გააზრება დაკავშირებულია კონსერვაციისა და გარეგნული განსხვავებების გადაფასებასთან. კოგნიტური განვითარების თეორიის ვარაუდის საპირისპიროდ „გენდერულად შესაბამისი“ ქცევა მიიღწევა გენდერულ მდგრადობამდე დიდი ხნით ადრე. თუმცა სხვა გენდერული მიღწევები – გენდერული სახელდება და გენდერული სტაბილურობა ამყარებს სკოლამდელის გენდერულ როლს.

რა ცვლილებები ჩნდება გენდერულ იდენტურობაში შუა ბავშვობასა და გარდამავალ ასაკში?

- შუა ბავშვობისთვის ბიჭები აძლიერებენ მასკულინურ როლთან იდენტიფიკაციას, ხოლო გოგონები უფრო ანდროგინულები ხდებიან. „მასკულინური“ როლის მეტი პრესტიჟი გოგონებს ამ იდენტურობასთან იზიდავს. ამასთან ერთად მშობლები და თანატოლები გენდერული საზრვრების გადაკვეთის შემთხვევაში უფრო შემწყნარებელნი არიან გოგონების მიმართ, ვიდრე ბიჭების მიმართ. სკოლის პერიოდში გენდერული იდენტურობა ფართოვდება და მოიცავს გენდერულად ტიპურ თვითშეფასებას, გენდერულ კმაყოფილებასა და გარედან ზეწოლის შედეგად ჩამოყალიბებულ გენდერულ კონფორმულობას – ყველა ეს ფაქტორი კი გავლენას ახდენს ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.
- მოზარდობის პირველი წლები **გენდერული ინტენსიფიკაციის** პერიოდია. ორივე სქესის გენდერული იდენტურობა უფრო ტრადიციული ხდება. ცვლილებები ფიზიკურ და კოგნიტურ სფეროში უბიძგებს მოზარდებს, უფრო „გენდერულად“ იფიქრონ საკუთარ თავზე. ზეწოლა მშობლებისა და თანატოლების მხრიდან ძლიერდება.
- **გენდერული სქემის თეორია** გენდერული ტიპურობის ჩამოყალიბების დროს ინფორმაციის გადამუშავების პროცესს აღწერს და აერთიანებს სოციალური დასწავლისა და კოგნიტური განვითარების თეორიების ცალკეულ ასპექტებს. როდესაც ბავშვი ისწავლის გენდერულად ტიპურ ქცევას და გაარკვევს, რას უნდა მიანიჭოს უპირატესობა, მათ უყალიბდებათ „მასკულინურობისა“ და „ფემინურობის“ კატეგორიები ანუ გენდერული სქემები. ამ სქემას ბავშვი იყენებს საკუთარი თავისა და დანარჩენი სამყაროს აღსაქმელად.
- ბავშვები ძალიან განსხვავდებიან გენდერული სქემების გამოყენების მიხედვით. გენდერულად ძლიერი სქემატური ბავშვები ადვილად იღებენ სქემის შესატყვის ინფორმაციას, ხოლო შეუსაბამოს ყურადრებას არ აქცევენ ან არასწორედ აფასებენ. ამის შედეგად ისინი გაცილებით მეტს იგებენ გენდერულად „სწორი“ საქმიანობისა და ქცევის შესახებ. [3]

ე. ერიქსონის თეორიაზე დაყრდნობით სხვადასხვა მეცნიერები ცდილობდნენ აეხსნათ, თუ

როგორ ვაღწევთ ჩვენ იდენტობას. მათ შორის ყველაზე ღირებულია ჯეიმს მარშას შეხედულებანი. ის იდენტობის მიღწევაზე ორი ცვლადით მსჯელობს. ეს არის კრიზისის გადატანა და მსოფლხედველობის (შეხედულებების ფორმირება). მარშა იდენტობის 4 სახეს გამოჰყოფს: დიფუზურს, წინასწარს, მორატორიუმსა და მიღწეულ იდენტობას.

დიფუზური იდენტობა - ინდივიდებს დიფუზური იდენტობით არ გადაუტანიათ კრიზისი და არც შეხედულებები ჩამოუყალიბებიათ. (პროფესიის არჩევანი, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებები). იდენტობის ეს სახე ადრეული მოზარდებისთვის სრულიად მისაღებია. მაგრამ ზრდასთან ერთად საზოგადოება მოითხოვს მათგან გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებას. მიიჩნევა, რომ თუ აღნიშნული მდგომარეობა დიდხანს გრძელდება, ეს მაინც გამოიწვევს სულიერ დისკომფორტს და დისკომფორტის მოხსნას ადამიანები ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით ცდილობენ.

წინასწარი იდენტობა - თუ ადამინს გარკვეული შეხედულებების ფორმირებისას არ გაუვლია კრიზისი, მაშ ადგილი აქვს წინასწარ იდენტობას. იდენტობის ამ ფორმას ადგილი აქვს როდესაც ბავშვი ძლიერ იდენტიფიკაციას განიცდის მისსავე სქესის მშობელთან. იდენტობის ამ სახეს საზოგადოებაში ძალიან ხშირად ვხვდებით. ,,ვინ გინდა გამოხვიდე?" - ,,ექიმი" ,,რატომ?" ,,მშობლები მყავს ექიმები". იდენტობის ამგვარი ფორმით ადამიანებს უჭირთ გამიჯვნა, რომელია არის მათ მიერ დასახული გეგმები, და რომელი მათი მშობლების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მდგომარეობა საზოგადოების მხრიდან მეტად კომფორტულად განიხილება, მიიჩნევა, რომ მათთან ფსიქოლოგიური მომწიფება არ მიმდინარეობს. ასეთი ადამიანები ძალზედ არიან დამიოკიდებულნი ,,მნისვნელოვან სხვებზე", ,,ავტორიტეტებზე", მაგრამ დამოუკიდებლად ძალზედ უჭირთ გადაწყვეტილების მიღება.

მორატორიუმი - მორატორიუმი არის გადავადებული იდენტობა, მდგომარეობა, როდესაც მოზარდი ირჩევს სხვადასხვა როლებს, მანამ სანამ გააკეთებს საბოლოო არჩევანს. ამ დროს მოზარდები კრიზისის მდგომარეობაში არიან, განიცდიან ზლიერ შფოთვას. სწორედ ამ დროს ახასიათებთ მოზარდებს ნეგატივიზმი, მეამბოხეობა. ზოგი ამ პროცესს იქამდე ,,ჭიმავს", სანამ სიტუაცია თავდ არ უბიძგებს მათ გარკვეული გადაწყვეტილებისკენ. ეს პროცესი მტკივნეული მხოლოდ მოზარდებისთვის კი არა, უფროსებისთვისაც არის. თუმცა მიიჩნევა, რომ ამგვარი ექსპერიმენტების, ძიების დროს მოზარდები საკუთარ თავს პოულობენ. იდენტობის ეს სახე მეტად უფროსი მოზარდების, საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის არის დამახასიათებელი.

მიღწეული იდენტობა - მორატორიუმის (ძიებისა და ექსპერიმენტების) შემდეგ მოზარდები იყალიბებენ საკუთარ იდენტობას. მათ უმაღლდებათ მოტივაცია, განიცდიან შინაგან ჰარმონიას, მცირდება შფოთვა.

თუმცა აღნიშნული თეორიის მიმართ არსებობს ძალიან ბევრი შენიშვნა. კერძოდ ის, რომ არ არის აუცილებელი ადამიანმა ყველა სტადია გაიაროს. სტადიების გავლა კულტურაზეც არის დიდად დამოკიდებული. შეიძლება ადამიანი შეჩერდეს რომელიმე სტადიაზე, ან მორატორიუმის გარეშე მიაღწიოს იდენტობას, წინასწარი იდენტობის გამყარებით. თანაც, შესაძლებელია, რომ მირწეული იდენტობის შემდეგ ადამიანმა თავიდან გაიაროს არნიშნული სტადიები.[4]

სექსუალური იდენტობა - ტერმინი მომდინარეობს სექსუალობის შესახებ არსებული თანამედროვე დასავლური წარმოდგენებისგან, რომელზეც დიდი ზეგავლენა მოახდინა ადრეული სექსოლოგების ნამუშევრებმა - ისინი სექსუალობას ადამიანის ცენტრალურ კომპონენტად და ჩვენი იდენტობის ინტეგრალურ ნაწილად აღიქვამდნენ. ეს მოდელი სექსუალობის კატეგორიზებას ადამიანის ტიპების (ჰომოსექსუალები, ჰეტეროსექსუალები) და არა მათი ქცევის მიხედვით ახდენს. ტერმინი „სექსუალური იდენტობა" ადრე ასევე გამოიყენებოდა ფსიქოლოგების მიერ (ბავშვის განვითარების კონტექსტში) სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის (საკუთარი თავის განცდა მამაკაცად ან ქალად) და გენდერული როლის (ჩვენი ქცევების და პრაქტიკის შესაბამისობის ხარისხი ფართო კულტურაში მიღებულ ფემინურ ან მასკულინურ მოდელთან).

გამოიყოფა ადამიანის სექსუალობის რამოდენიმე კომპონენტი:

ბიოლოგიური - სქესი, სქესის გარეგნული გამოხატულება, შინაგანი და გარეგანი სასქესო ორგანოები, მეორადი სქესობრივი ნიშნები, სქესობრივი ქრომოსომები, ჰორმონები.

გენდერული იდენტობა - გარკვეულ გენდერთან მიკუთვნებულობის შეგრძნება

გენდერული სოციალური როლი - ქცევის ტიპი საზოგადოებაში, კულტურალური და მოცემული საზოგადოების მორალურ ნორმებთან შესაბამისი

სექსუალური ორიენტაცია - ემოციური, რომან-

ტიკული და მგრძნობელობითი ლტოლვა საწინააღმდეგო სქესისადმი (ჰეტეროსექსუალური ორიენტაციისას) საკუთარი სქესისადმი (ჰომოსექსუალური ორიენტაციისას) ორივე სქესისადმი (ბისექსუალური ორიენტაციისას)

სექსუალური იდენტობა - გაიგივება საკუთარი თავის იმ ადამიანებთან, რომელნიც ამა თუ იმ სექსუალურორიენტაციასატარებენ.თვითშეგრძნება საკუთარი თავის, როგორც რომელიმე სქესობრივი ორიენტაციის წარმომადგენელის.

სექსუალობა ცვალებადი ფაქტორია და იცვლება და ყალიბდება კულტურალური და სოციალური წინაპირობების და მორალური ნორმების შესაბამისად როგორ ფორმირდება სექსუალური იდენტობა? სექსუალური იდენტობა ფორმირდება რამოდენიმე ფაქტორის ერთობლივი მოქმედებით, მეცნიერთა ნაწილი, მილტონ დაიმონდი, და ენ ფაუსტო სტერლინგი ცდილობდნენ სექსუალური იდენტობის ბიოლოგიური მექანიზმების მოძიებას, ასევე ჯონ მანი, სექსუალური იდენტობის წყაროდ ბიოლოგიურ ფაქტორებს ემხრობა. ამ ეტაპზე ერთიანი, შეჯერებული მეცნიერული თვალსაზრისი ამ თემაზე არ არსებობს. თუმცა გამოიყოფა ფაქტორთა ჯგუფი, რომელთა ერთობლივი მოქმედება განაპირობებს სქესობრივი იდენტობის ფორმირებას.

სტატიის მიზანია დაინტერესებულ პირს გააცნოს მოზარდის სქესთან იდენტიფიკაციისა და მასზე მოქმედი ფსიქო-სოციალური გავლენების საკითხები. საკითხის შესწავლა გამოიწვია ბოლო წლების განმავლობაში არსებულმა ცვლილებებმა და მოზარდთა დახმარების სერვისების შექმნის საჭიროაბამ. საკითხის შესწავლა მოგვცემს საშუალებას გავიგოთ რა როლი აქვს მოზარდების სქესთან იდენტიფიკაციის პროცესში სხვადასხვა ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია დავინახოთ რამდენად დიდი როლი უჭირავს სქესთან იდენტიფიკაციის დროს კულტურულ ნორმებსა და ტრადიციებს. იდენტიფიკაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობაა აღზრდა და ოჯახში არსებული გენდერული როლები.

დასკვნა

მოზარდობის ასაკი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია ადამიანის განვითარებისკენ მიმავალ გზაზე. მოზარდობის ასაკი – ესაა 10-11 წლიდან 15-16 წლამდე პერიოდი და მოიცავს IV-VIII კლასებს. ამ ასაკს გარდამავალ ასაკსაც უწოდებენ. ეს პერიოდი ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პერიოდია, როცა მოზარდი ჯერ კიდევ ნახევრად ბავშვი და ნახევრად მოზრდილია. ბავშვობა უკვე გასულია, ხოლო მოწიფულობა ჯერ არ დამდგარა. სიცოცხლის არცერთ პერიოდს არ გააჩნია იმდენი სახელწოდება, რამდენიც გარდამავალ ასაკს. გარდამავლის გარდა მას უწოდებენ აგრეთვე გარდატეხის, კრიზისულ, ძნელ და კრიტიკულ ასაკსაც. ამ პერიოდში ხდება გადასვლა ერთი ეპოქიდან მეორეში (ბავშვობიდან მოწიფულობაში).

სავარაუდოა, რომ მოზარდის სქესთან იდენტიფიკაციის პროცესში დიდი როლი აქვს ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს. არსებული საკითხის შესწავლის შემდეგ გვეცოდინება რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა მოზარდის განვითარების პროცესში.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია საკითხზე ღიად საუბარი, ფიქრი და გადაჭრის გზების ძიება. მოზარდების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება მნიშვნელოვანია ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. პრობლემის მოგვარება პრევენციის გზით უნდა ხდებოდეს. ამისათვის საჭიროა საკითხზე დაფიქრება და კონკრეტული ნაბიჯების შემუშავება.

ფიზიოლოგიურ ცვლილებებს თან ახლავს მოზარდის ფსიქოლოგიური სირთულეები, ხასიათისა და ქცევის ცვლილებები. ხშირ შემთხვევაში მოზარდისთვის გაუგებარია საკუთარი მდგომარეობა და სწორედ ამ გაუგებრობამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ემოციური სირთულეები. მოზარდს არ აქვს საკმარისი ცოდნა გაუმკლავდეს საკუთარ ემოციებს და შეძლოს ნორმალური ფუნქციონირება.

თუკი მოზარდობის ასაკს შევადარებთ კრიზისულ მდგომარეობას მაშინ ის არის, როგორც განვითარების საშუალება. ამ პერიოდის გავლის შემდეგ მოზარდი ყალიბდება პიროვნებად, გადადის შემდეგ ეტაპზე.

პოზიტიურად ფორმირებული იდენტობის მქონე მოზარდებს უყალიბდებათ თვითმიმღებლობის განცდა. ასევე იდენტობის ჩამოყალიბება უკავშირდება სხვების მიმღებლობისა და დაახლობის ჩამოყალიბებას. მოზარდებს იზიდავთ ისინი ვისი იდენტობის სტატუსი მსგავსია მათ იდენტობასთან.

ვფიქრობთ, მოზარდს უნდა დავეხმაროთ ამ პერიოდის უმტკივნეულოდ გავლაში. მნიშვნელოვანია ყველა იმ ინსტიტუციის როლი, რომელსაც უწევს ურთიერთობა ამ ასაკობრივ ჯგუფთან. მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეუძლია პიროვნებას სხვადასხვა ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევა, სწორი სტრატეგიების დასახვა და განხორციელება. მოზარდისთვის მთავარი ამოცანაა საკუთარ იდენტობაში გარკვევა და საკუთარი

შესაძლებობების ძიება-აღმოჩენის პროცესი. ჩვენ კი შეგვიძლია მას ამ პროცესში დავეხმაროთ და ვაჩვენოთ ალტერნატიული გზა, რომელიც იქნება მასზე ორიენტირებული.

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავინახოთ პიროვნების განვითარების პერსპექტივები. მისი, როგორც ფიზიკური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური და ეთიკური ასპექტების განვითარება. ადამიანი, როგორც მრავალფეროვანი და უნიკალური არსება. ზოგადადამიანური ხედვა არ შეიძლება განვავითაროთ მხოლოდ ერთ თეორიაზე ან აზრზე დაფუძნებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Marcia & Kroger – The Identity Statuses: Origins, Meanings, and Interpretations, 2011
2. Orlofsky & Roades – Intimacy status, attachment, separation-individuation patterns, and identity status in female university students, 1993
3. ბერკი ლ. - ბავშვის განვითარება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2010
4. ბერეკაშვილი ნ. - გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2012

The importance of identity formation in the age of transition

Davit Katamadze, Phd student of GTU

Lia Metreveli, professor of GTU

Summary

The article is devoted to the gender identification of adolescents and the research of psycho-social influences affecting it. The crisis of identity in adolescence and the role of society in this process are crucial. Obstacles in gender identification lead to various psychological problems.

As we know, adolescence is characterized by certain difficulties. The developmental process varies substantially, both individually and culturally. Over the past 2 decades, advances in neuroscience have revealed how this process takes place at the brain level. Biological changes in the brain have been shown to underlie the dynamic cognitive and psychological shifts that occur at this age. When adolescent development is successful, the result is a biologically mature individual equipped with an independent sense of self, the ability to form relationships with peers and groups, and the cognitive and psychological resources to meet the challenges of adult life. Contemporary developmental theorists generally view development as a process that continues throughout life. Change may not be as fast and tumultuous as adulthood, but youth presents a new set of developmental challenges, such as the ability to form stable, intimate relationships and the pursuit of a fulfilling career. In a healthy person, adolescent development sets the stage for the additional growth that lies ahead.

Based on the above, we can look at a person as a multifaceted, complex, highly conscious organism. It can predict the expected consequences of behavior and act accordingly. Accordingly, this suggests that human behavior at different stages of development is determined by a combination of environmental factors.

As a result of observation, we can see the perspectives of personality development. Its development as physical, mental, psychological and ethical aspects. Man as a diverse and unique being. A generalist view cannot be developed on the basis of only one theory or opinion.

Cultural aspects are of great importance in the process of self formation. How the society and the adolescent interact with each other affects the development of self. The role of society in the process of adolescent gender identification. This is one of the important issues of adolescence. Our goal is to understand more deeply the importance of sexuality in the process of development and formation of the whole personality.

არასრულფასოვნების განცდის არსი და მოქმედების მექანიზმი ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა და განწყობის თეორიის მიხედვით

ლელა ტყეშელაშვილი, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი ალფრედ ადლერი პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების პირველად და ძირეულ მოტივაციად მიიჩნევდა არასრულფასოვნების განცდასა და მის კომპენსაციას. ჩვილს არასრულფასოვნების გრძნობა აღმოუცენდება მაშინვე, როგორც კი ის იწყებს სამყაროს შეცნობას. ეს იწვევს მასში მისწრაფებას, აღმოფხვრას და გამოასწოროს ეს არასრულფასოვნება.

ადლერმა ერთმანეთისაგან გამოყო სრულყოფილებისაკენ გონიერი და ნევროტული სწრაფვა. მისი აზრით, ფსიქოთერაპიის პროცესში ადამიანებმა უნდა ჩახედონ თვალებში საკუთარ არასრულფასოვნებას და მოიპოვონ „არასრულფასოვნად ყოფნის გამბედაობა“.

არასრულფასოვნების განცდის ჰიპერკომპენსაციამ შეიძლება მიგვიყვანოს არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებამდე, რაც აუარესებს ადამიანის ცხოვრების ხარისხს, იწვევს არანორმატიულ ქცევებსა და რეაქციებს. ადამიანებს უყალიბდებათ დამოკიდებულებისა და თვითშეზღუდვის მოდელები, რომლებიც თავად მათაც უქმნით უხერხულობას და სხვებსაც აზიანებს.

აღნიშნული პრობლემები დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიისა და შოთა ნადირაშვილის განწყობის ანთროპული თეორიის მიხედვით, ორი თვალსაზრისით შეგვიძლია განვიხილოთ : დისპოზიციური განწყობის, როგორც პიროვნული ნიშნისა და „მე“-ს ობიექტივაციის, ე.წ. პიროვნების ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის შექმნისა და მოდიფიკაციის კუთხით. შესაძლებელია არასრულფასოვნების განცდის მიმართულებით განწყობისა და ინდივიდუალური ფსიქოლოგიის შეჯერებული თეორიული მოდელის შექმნა, ამ მიმართულებით კვლევების წარმოება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა.

საკვანძო სიტყვები: ინდივიდუალური ფსიქოლოგია, არასრულფასოვნების განცდა, არასრულფასოვნების კომპლექსი, ჰიპერკომპენსაცია, დ.უზნაძის განწყობის თეორია, განწყობის ანთროპული თეორია, დისპოზიციური განწყობა, „მე“-ს ობიექტივაცია, „არასრულფასოვნად ყოფნის გამბედაობა“.

შესავალი

კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების - ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი ალფრედ ადლერი პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების პირველად და ძირეულ მოტივაციად მიიჩნევდა არადრულფასოვნების განცდასა და მისი კომპენსაციას. ა. ადლერი ფიქრობდა, რომ ნევროზის ძირითადი ფსიქოლოგიური ელემენტი არასრულფასოვნების განცდაა და რომ ამ სიმპტომის მქონე ადამიანები მთელ თავის ცხოვრებას მისი დაძლევის/გადალახვის მცდელობაში ატარებენ.

ადამიანის ცხოვრების ისეთი ადრეული განცდები, რომლებიც ემსახურება მშობლების ყურადღების მიპყრობას, ბავშვს უყალიბებს არცნობიერ, ფიქტიურ მიზნებს. ჩვილს არასრულფასოვნების გრძნობა აღმოუცენდება მაშინვე, როგორც კი ის იწყებს სამყაროს შეცნობას. ეს იწვევს მასში მისწრაფებას, აღმოფხვრას და გამოასწოროს ეს არასრულფასოვნება. ასევე, ის ააქტიურებს მოთხოვნილებას, რომ სისუსტის კომპენსირება სხვა, ძლიერი მხარეების განვითარებით მოახდინოს.

ძირითადი ნაწილი

ნაკლოვანების კომპენსაციის ძიებამ რამდენიმე შედეგი შეიძლება გამოიღოს: პირველი, თუკი ბავშვი ადეკვატური აღზრდისა და ზრუნვის ობიექტია, მას შეუძლია უპირობოდ მიიღოს საკუთარი პრობლემები და გაიგოს, რომ მათი გადალახვა შესაძლებელია ბეჯითი შრომითა და ძალისხმევით. ეს არის ბავშვის ნორმალური განვითარება, რის შედეგადაც მას გამოუმუშავდება **„არასრულფასოვნების გამბედაობა“** („courage to be imperfect“,Lazarsfeld, 1966). ეს ტერმინი ეკუთვნის ფსიქოლოგ სოფი ლაზარსფელდს - თერაპევტს, მწერალსა და ადლერიანელ აქტივისტს, რომელიც ვენის ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ჯგუფს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეუერთდა. მან ეს ფრაზა პირველად 1925 წელს გამოიყენა ბერლინის კონფერენციაზე, მოგვიანებით კი გააფართოვა ეს იდეა და აღნიშნა, რომ ალფრედ ადლერი სრულყოფილებას განიხილავდა, როგორც იდეალს, რომელის მიღწევაც შეუძლებელია. მან ერთმანეთისაგან გამოყო სრულყოფილებისაკენ

გონიერი და ნევროტული სწრაფვა. მისი აზრით, ფსიქოთერაპიის პროცესში ადამიანები სწავლობენ, ჩახედონ თვალებში საკუთარ არასრულფასოვნებას და მოიპოვონ არასრულფასოვნად ყოფნის გამბედაობა.

არასრულფასოვნების განცდის ჰიპერკომპენსაციამ შეიძლება მიგვიყვანოს არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებამდე. ეს მიუთითებს საკუთარი ღირსების განცდის არარსებობაზე, როცა ადამიანს არ შეუძლია გამოასწოროს არასრულფასოვნების საკუთარი განცდა.

ალფრედ ადლერის მოსაზრების თანახმად არასრულფასოვნების, როგორც კომპლექსის განმასხვავებელი მხარე არის ის, რომ ადამიანები მუდმივად ესწრაფვიან ისეთ სიტუაციებს, რომლებშიც ისინი საკუთარ უნარებს აღმატებულად წარმოაჩენენ. ეს მისწრაფება მათი მხრიდან არასრულფასოვნების გადაულახავ განცდაზე მიუთითებს.

არასრულფასოვნების განცდას ორი კომპონენტი აქვს: პირველადი და მეორადი. პირველადი არასრულფასოვნება ორგანული და ნორმალურია ჩვილისა და ბავშვისათვის დამახასიათებელი არასრულფასოვნებისათვის. ეს განცდა პროდუქტულია, რადგან ის ბავშვს უღვივებს განვითარების მოტივაციას.

რაც შეეხება მეორად მოტივაციას, ის არის ზრდასრულის არასრულფასოვნება. ის მაშინ ყალიბდება, თუკი ბავშვობის ასაკში ადამიანს არასრულფასოვნების გადაჭარბებული განცდა აქვს.ასეთი გრძნობა აზიანებს ზრდასრულს, ის განაპირობებს **არასრულფასოვნების კომპლექსის** ჩამოყალიბებას.

არასრულფასოვნების კომპლექსი ეს ბაზისური განცდაა, რომლის შინაარსი არის არაადეკვატურობა და დაუცველობა ერთდროულად. ის აღმოცენდება ჭეშმარიტი ან წარმოსახული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დეფიციტის საფუძველზე. არასრულფასოვნების კომპლექსი შეიძლება გამოიხატოს ქცევითი გამოვლინებებით, რომელიც ვარირებს ინაქტიური მორცხვობიდან გადაჭარბებულ კონკურენციასა და აგრესიამდე.

არანორმატიული ქცევა ნორმალური ტენდენციების გაზვიადებას წარმოადგენს. ადამიანების უმრავლესობა ამის საპასუხოდ ცდილობს, განავითაროს ახალი ჩვევები, რომლებიც დაეხმარება მათ, თავი უფრო ძლიერად და ეფექტურად იგრძნონ, თუმცა ინდივიდთა განსაზღვრულ კატეგორიას უყალიბდება დამოკიდებულებისა და თვითშეზღუდვის მოდელები, რომლებიც თავად მათ უქმნით უხერხულობასა და დაბრკოლებას ან აზიანებს სხვებს. ამგვარი უსიამოვნო მოდელები ადლერთან კომპლექსების სახით არის წარმოჩენილი. ამიტომაც არის, რომ ადლერი სიტყვა „კომპლექსს“ იუნგისაგან განსხვავებულად იყენებს. კომპლექსი იუნგთან უსიამოვნო ემოციებით აღსავსე არაცნობიერი შინაარსია. ადლერთან კი ქცევის უსიამოვნო პატერნია, რომელიც უმეტესწილად სოციალურ ურთიერთობებს უკავშირდება.

არასრულფასოვნების განცდა აღმოცენდება მაშინ, როცა ადამიანი თავის თავს ადარებს სხვებს, ხედავს, რომ ვინმე მასზე კარგად იქცევა მაშინ, როცა თვითონ კრიტიკის ობიექტია, ჩაგრავენ, ბოროტად იყენებენ მის მიმართ ძალაუფლებას, აყენებენ ტკივილს ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვინმე მოიპოვებს მასზე უპირატესობას.

არასრულფასოვნების კომპლექსის მქონე ადამიანი, როგორც წესი, გაურბის პრობლემებს, რადგან დარწმუნებულია, რომ განიცდის წარუმატებლობას. ეს მოვლენა სელიგმანის მიერ შემოტანილი **დასწავლილი უმწეობის** მოვლენის ანალოგიურია (Seligman and Maier;1967).

ადლერი ხშირად აღნიშნავდა, რომ თითოეული ადამიანი თვითაღზრდის რეზულტატია. ჩვენ მუდმივად ვეძებთ ისეთ მექანიზმს, რომელიც დაგვიცავს, გაგვაბედნიერებს ან მოგვაპოვებინებს ჩვენთვის მნიშვნელოვანი ადამიანების სიყვარულსა და აღიარებას. ვცდილობთ, აღმოვფხვრათ სისუსტეები და გავძლიერდეთ. ადამიანის მთელი ცხოვრება შეიძლება ბავშვობის დროინდელი დაუცველობის განცდის ჰიპერკომპენსაციის ირგვლივ ტრიალებდეს. ეს შეიძლება ძალიან ექსტრემალური შედეგების მომტანი იყოს, ცალკეულ შემთხვევებში კი დიდი მიღწევებისაც.

საკუთარ შესაძლებლობებში მუდმივად დაეჭვება, სხვების ფონზე საკუთარი თავის ნეგატიური შეფასება აუარესებს ადამიანის ცხოვრების ხარისხს, იწვევს არანორმატიულ ქცევებსა და რეაქციებს. ხშირად საკუთარი თავის ასეთი შეფასება უბრალოდ სტერეოტიპი და მცდარი აზრია.

ზოგჯერ არასრულფასოვნების განცდას მეტნაკლებად ობიექტური საფუძველი აქვს და ფაქტობრივი დეფიციტით, ტრავმით ან/და სასტიკი მოპყრობით არის გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში პირველი ნაბიჯი, რომლითაც პრობლემის დაძლევა უნდა დაიწყოს, არის თვითემპათია და საკუთარი თავის უპირობო მიღება. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს ისეთი ჩვევების გამომუშავება, რომელიც ინდივიდს სასურველი მიზნების ჩამოყალიბებასა და მიღწევაში დაეხმარება.

არასრულფასოვნების დაძლევის გზა, რომელსაც თავად ადლერი გვთავაზობს, ბავშვობის პერიოდში

ათვისებული ნეგატიური ქცევითი და კოგნიტური მოდელებით არის განპირობებული. შესაბამისად, აუცილებელია მათი გადახედვა, ხელახლა გააზრება და რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ინდივიდმა უნდა გაიაზროს, რა არის მისთვის მთავარი ღირებულება და როგორ ზემოქმედებს ის მის ქცევასა და გადაწყვეტილებებზე.

თერაპევტი პირველ ეტაპზე მაქსიმალურად უნდა ჩართული უნდა იყოს კლიენტთან ურთიერთობაში, რათა პროცესი თანამშრომლობის რეჟიმში მიმდინარეობდეს. მომდევნო ეტაპზე უნდა შეფასდეს საოჯახო ისტორიები და ადამიანის ადრეული გამოცდილება, მოხდეს შეხედულებების, გრძნობების და მოტივების, აზროვნების ადრეული მოდელების გააზრება. ამის შემდეგ, ინსაითის - წვდომის ეტაპზე, თერაპევტი მუშაობს პაციენტთან, რათა შეიმუშაოს აზროვნების ახალი მიდგომები პრობლემასთან მიმართებით. ბოლო საფეხური არის რეორიენტაცია- ადამიანის მხარდაჭერა ამ ახალი იდეების, ქცევებისა და სტრატეგიების რეალიზაციაში.

რა ფსიქოლოგიური მექანიზმი შეიძლება ედოს საფუძვლად არასრულფასოვნებას, მის ჰიპერკომპენსაციას და დაძლევას? როგორც ცნობილია, **განწყობის თეორია** მიეკუთვნება ზოგადფსიქოლოგიური თეორიების ჯგუფს, მაშასადამე მას შეუძლია, საკუთარი დოქტრინის საფუძველზე უპასუხოს დასმულ კითხვას. აღნიშნული პრობლემები დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიისა და შოთა ნადირაშვილის **განწყობის ანთროპული თეორიის** მიხედვით, ორი თვალსაზრისით შეგვიძლია განვიხილოთ : დისპოზიციური განწყობის, როგორც პიროვნული ნიშნისა და **„მე“-ს ობიექტივაციის**, ე.წ. პიროვნების ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის კუთხით.

როგორც ცნობილია, შ. ნადირაშვილი დისპოზიციური განწყობას უწოდებს „მყარ ქრონიკულ მდგომარეობას“, რომელიც ადამიანს გამოცდილების პროცესში ჩამოუყალიბდა და პიროვნების კუთვნილებას, მის თვისებას წარმოადგენს. ის დინამიკურ გავლენას ახდენს ქცევაზე. თუკი ეს განწყობები აღარ ემსახურებიან ქცევის მიზანშეწონილობას და ადაპტირებულობას, დგება მათი შეცვლის აუცილებლობა. კონკრეტული არამიზანშეწონილი ქცევა შეიძლება შეწყდეს შეჩერებითა და „მე“-ს ობიექტივაციის მეშვეობით, რაც გულისხმობს საკუთარი ავტოპორტრეტის გადახედვასა და გადაფასებას. ეს ასევე მიანიშნებს იმაზე, რომ განწყობაში სათანადოდ არ არის ასახული ადამიანის მოთხოვნილებები და ოპერაციული შესაძლებლობები. თუმცა ის ფაქტი, რომ ადამიანი ძნელად იცვლის შეხედულებებს საკუთარი შესაძლებლობების შესახებ, განპირობებულია განწყობის ერთ-ერთი არსებითი ფუნქციით - **„მე“-ს დაცვით,** რომელიც რაციონალიზაციისა და პროექციის ფორმით იჩენს ხოლმე თავს. შ. ნადირაშვილი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ ძნელად შესაცვლელი განწყობაც კი ადვილად იცვლება, თუკი ფუნქცია, რომელსაც ის ასრულებდა, სხვა გზით სრულდება. ვფიქრობთ, არასრულფასოვნების დაძლევაც ამ გზით უნდა მოხდეს. თავად ალფრედ ადლერიც ანალოგიურ აზრს ავითარებს. მისი ლექციების ჩანაწერებში ვკითხულობთ: „არასოდეს ყოფილა პატივმოყვარეობა უფრო სასურველი, ვიდრე დღეს. ყველაზე მცირე, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, ისაა, რომ პატივმოყვარეობას უკეთესი ფორმები და საშუალებები მოვუძებნოთ, რადგან თუ პატივმოყვარეები უნდა ვიყოთ, ვეცადოთ მაინც, ჩვენი პატივმოყვარეობა საყოველთაო კეთილდღეობისკენ მივმართოთ.“ - ამ ამონარიდში კარგად ჩანს ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა და განწყობის ფსიქოლოგიის შეთავსების შესაძლებლობა არასასურველი განწყობების შეცვლისა და ახალი განწყობის ქცევაში რეალიზაციის თვალსაზრისით.

აღწერილი პრობლემის უფრო ღრმა და თანმიმდევრული გააზრება, ამ მიმართულებით წარმოებული ემპირიული კვლევები, ვფიქრობთ, პროდუქტიული იქნება შეჯერებული თეორიული მოდელის შესაქმნელად და შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შოთა ნადირაშვილი , განწყობის ანთროპული თეორია, 2014 წ.
2. ალფრედ ადლერი, ადამიანის ბუნების შეცნობისათვის, გზა თვითშემეცნებისკენ, 2021წ.
3. Riley Hoffman, Alfred Adler's Theories of Individual Psychology and Adlerian Therapy, 2020.
4. How to Treat an Inferiority Complex: Therapy, Meditation, and More, Julie Lynn Marks Medically Reviewed by Allison Young, MD.
5. https://www.everydayhealth.com/inferiority-complexhow-to-treat-inferiority-complex-therapy-medication-and-more/ Reviewed: April 6, 2020

The essence and mechanisms of the feeling of inferiority according to individual psychology and the D.Uznadze's Theory of Set

Lela Tkeshelashvili, PHD student of GTU

Summary

Alfred Adler - the founder of Individual Psychology, considered the feeling of inferiority and its compensation to be the primary and fundamental motivation for the development and formation of personality.

The newborn child experiences a sense of inferiority as soon as it begins to cognize the world. This causes in him/her aspiration to eliminate and correct this inferiority.

Adler distinguished between intelligent and neurotic pursuit towards perfection. According to him, in the process of psychotherapy, people should face their own inferiority and find "courage to be imperfect".

Hypercompensation of the feeling of inferiority can lead to the formation of an inferiority complex, which worsens the quality of a person's life, causes abnormal behaviors and reactions. Patterns of dependence and self-restraint develop in a person that cause embarrassment to themselves and harm others.

These problems can be discussed from two points of view due to Dimitri Uznadze's Theory of Set and Shota Nadirashvili's Anthropic Theory of set: dispositional attitude as a personality feature and objectification of "Self", the so-called in terms of creation and modification of a person's psychological self-portrait.

It is possible to create a balanced theoretical model by psychology of set and individual psychology in the direction of the feeling of inferiority, conduct research in this direction and plan appropriate interventions.

A deeper and consistent understanding of the described problem, empirical studies conducted in this direction, we think, will be productive for creating a coherent theoretical model and planning appropriate interventions.

Key words: individual psychology, a sence of inferiority, complex of inferiority, hypercompensation, D.Uznadze's Theory of Set, Anthropic Theory of set, dispositional attitude, objectification of ''Self'', „courage to be imperfect“

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის მოტივაციური ფაქტორები

იაშა (კოკა) კუტუბიძე, სტუ პროფესორი

თამარ ჭიჭინაძე, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ნარკომანია, იგივე წამალდამოკიდებულება, არის დაავადება, რომელიც გამოწვეულია ნარკოტიკული ნივთიერებების სისტემატიური მოხმარებით და ვლინდება ამ ნივთიერებებზე დამოკიდებულებით. დამოკიდებულების სინდრომი გულისხმობს ორი ტიპის დამოკიდებულებას - ფსიქოლოგიურს და ფიზიკურს. ფსიქოლოგიური დამოკიდებულება გულისხმობს ფსიქოლოგიურ მიჯაჭვულობას ნარკოტიკებზე, აკვიატებულ ლტოლვას ნარკოტიკული საშუალების მიმართ. მოხმარების შეწყვეტის შემთხვევაში გამოხატულია ფსიქოლოგიური დისკომფორტი. ადამიანი განიცდის ძლიერ შინაგან დაძაბულობას, რაც ვლინდება შფოთვით, სხვადასხვა სახის შიშებით, დეპრესიით და ა.შ. ფიზიკური დამოკიდებულების დროს ადამიანის ყველა სასიცოცხლო სისტემა ჩართულია დაავადებაში და ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტის შემდეგ ვლინდება ძლიერი ფიზიკური აშლილობით. ე.წ ,,აღკვეთის სინდრომის“ სახით. ეს მდგომარეობა ფსიქიკური და ფიზიკური ხასიათის სიმპტომთა კომპლექსია და სპეციფიკურია ცალკეული ნარკოტიკისთვის. ნარკოტიკის მოხმარების დაწყებას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. მრავალფეროვანია ნარკოტიკების მოხმარების მოტივაციური ფაქტორები. მათ შორისაა - შფოთვის, დაძაბულობისა და დეპრესიული მდგომარეობისგან გათავისუფლების სურვილი, პირადი პრობლემებისგან განსვლა, ცნობისმოყვარეობა, ემოციური არამდგრადობა, პროტესტი საზოგადოებაში მიღებული სოციალური ნორმების და გარემოს მიმართ, გარკვეულ სოციალურ ჯგუფთან მიერთების და ამ ჯგუფის წევრად ყოფნის სურვილი და ა. შ.

ბევრმა ფაქტორმა შეიძლება იმოქმედოს მოხმარების შეწყვეტის გადაწყვეტილებაზეც. მათ შორისაა - სოციალური, ფსიქოლოგიური და მოტივაციური ფაქტორები. ალკოჰოლზე და ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანთა მკურნალობის პროცესში მოტივაცია დიდი ხანია მიიჩნევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. სტატიაში განხილულია სოციალური, ფსიქოლოგიური, თერაპიული და ბიოლოგიური მოტივაციური ფაქტორები, რომლებიც ეხმარება დამოკიდებულ ადამიანს ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებაში. ნარკოტიკის მოხმარების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებული ჯანსაღი ცხოვრების წესები და ნორმები, ნარკოტიკების ხელმისაწვდომობის შემცირება, სამართალდამცავი სისტემის ეფექტური მუშაობა, მკურნალობის ხელმისაწვდომობა. მნიშვნელოვანი ფაქტორია ოჯახის წევრების მხარდაჭერა ნარკოდამოკიდებულის მკურნალობასა და რეაბილიტაციის პროცესში. მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად მნიშვნელოვანია ფსიქოთერაპია, რომელიც მიმართულია ნარკოდამოკიდებული ადამიანის ემოციური, კოგნიტური და ქცევითი პრობლემების დაძლევაზე, სოციალურ ადაპტაციასა და პიროვნულ ზრდაზე.

საკვანძო სიტყვები: ნარკოდამოკიდებულება, ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტა, მოტივაცია, მოტივაციური ფაქტორები

შესავალი

ნარკოტიკების ავადმოხმარება სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებისთვის. ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ალკოჰოლის, თამბაქოს და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება ფართოდ არის გავრცელებული ახალგაზრდებს შორის, შეინიშნება მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა და ამასთანავე ახალგაზრდავდება მოხმარების დაწყების ასაკი. ნარკოტიკების ავადმოხმარებით საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს, ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას. მოხმარებით გამოწვეული შედეგები უარყოფითად აისახება ოჯახზე და მთლიანად საზოგადოებაზე.

ძირითადი ნაწილი

ხშირად გვსმენია, რომ თუ ადამიანმა ნარკოტიკების მოხმარება დაიწყო და დამოკიდებული გახდა ამა თუ იმ ნივთიერებაზე, დახმარების ნებისმიერი მცდელობა უშედეგოა. უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოდამოკიდებულება ქრონიკული დაავადებაა და სხვა ქრონიკული დაავადებების მსგავსად, გამწვავებისა და რემისიის პერიოდებით ხასიათდება. მოხმარების შეწყვეტის შემდეგ ხშირია შემთხვევები, როცა გამწვავებებმა შესაძლოა ისევ იჩინოს თავი და ადამიანი კვლავ დაუბრუნდეს მოხმარებას, თუმცა ასევე შესაძლებელია რემისიის პერიოდი წლების განმავლობაში და ზოგჯერ მთელი ცხოვრებაც გაგრძელდეს. ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტის გადაწყვეტილებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათ შორის მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ფაქტორები. კვლევებით დადგენილია, რომ ნარკოდამოკიდებულის მკურნალობასა და რეაბილიტაციის პროცესში უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მოტივაცია განიხილება.

მოტივაცია წარმოადგენს ყველა იმ პროცესის განზოგადებულ სახელს, რომელიც ჩართულია ფიზიკური და ფსიქოლოგიური აქტივობების დაწყებაში, მიმართულების მიცემასა და მართვაში. სიტყვა მოტივაცია წარმოდგება ლათინური სიტყვიდან (movere) და მოძრაობას ნიშნავს. მოტივაციას ქმნის ის მოთხოვნილებები და სტიმულები, რომლებიც ადამიანის მიერ არჩეულ ქცევის ფორმებს განსაზღვრავს. ქცევას გარკვეული ფაქტორები აღძრავენ. ეს შეიძლება იყოს აზრები, გრძნობები ან მათი ერთობლიობა. ყველაზე ხშირად მოტივაციური აქტივობა აქტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა მიმართული. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი წარმომადგენლის, აბრაჰამ მასლოუს (Abraham Maslow, 1970) მიერ ჩამოყალიბებული თეორიის თანახმად, ბაზისური მოტივები ქმნიან მოთხოვნილებათა იერარქიას. მასლოუმ მოტივაციის იერარქიული მოდელი პირამიდის სახით ააგო და გამოყო შემდეგი ძირითადი დონეები:

1. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების მოთხოვნილება; 3. სიყვარულის და მიკუთვნებულობის მოთხოვნილებები; 4. პატივისცემის და პრესტიჟის მოთხოვნილება 5. თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება, რაც იერარქიის უმაღლეს დონეს წარმოადგენს.

ამ მოდელის მიხედვით, უნდა დაკმაყოფილდეს იერარქიის თითოეული დონის მოთხოვნილებები, იმისთვის რომ შესაძლებელი გახდეს მომდევნო დონეზე გადასვლა.

ადამიანის საქმიანობა ზოგჯერ პოლიმოტივაციური ბუნებით ხასიათდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთდროულად ჩნდება რამდენიმე მოთხოვნილება. ამ შემთხვევაში წამყვანი ერთი მოტივია, ხოლო დანარჩენები დაქვემდებარებულ პოზიციაში იმყოფებიან და დამატებითი სტიმულაციის ფუნქცია აქვთ. წამყვანი მოტივი განსაზღვრავს ადამიანის საქმიანობას. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ადამიანის ღირებულებათა სისტემის საფუძველზე ხდება.

ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის მოტივაციის ჩამოყალიბება მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამ ფაქტორებიდან აღსანიშნავია სოციალური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და თერაპიული ფაქტორები.

სოციალურ ფაქტორებს ერთ - ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ნარკოტიკის მოხმარებაზე უარის თქმის მოტივაციის ჩამოყალიბებაში. თუ საზოგადოებაში არსებობს ჯანსაღი ცხოვრების წეს - ჩვეულებები და ტრადიციები, სწორი წარმოდგენები ადამიანის ჯანმრთელობაზე ნარკოტიკების მოხმარების უარყოფითი ზეგავლენის შესახებ და წახალისებულია ფხიზელი ცხოვრების უპირატესობა, მაშინ ეს ყველაფერი ხელს უწყობს ნარკოტიკის მოხმარების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების, განწყობის ფორმირებას. ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის მოტივაციას ზრდის ნარკოტიკების ხელმისაწვდომობის შემცირება, სამართალდამცავი სისტემის ეფექტური მუშაობა და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მკურნალობის ხელმისაწვდომობა.

მოხმარების შეწყვეტის მოტივაციაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ოჯახს. თუ ოჯახის წევრები აღიარებენ პრობლემის არსებობას, ადექვატურად აფასებენ ნარკოდამოკიდებული ადამიანის ჯან-

მრთელობის მდგომარეობას და მხარდაჭერას გამოხატავენ დაავადებული ოჯახის წევრის მიმართ - ეს ეხმარება ნარკოდამოკიდებულს მოძებნოს საკუთარ თავში ძალები და უარი თქვას ნარკოტიკის მოხმარებაზე.

ბიოლოგიური ფაქტორები. ნარკოტიკული საშუალებების ქრონიკულმა მოხმარებამ შესაძლოა გამოიწვიოს თავის ტვინის ორგანული დაზიანება ან ჯანმრთელობის სხვა პრობლემები, რაც რიგ შემთხვევებში, მოხმარების შეწყვეტას უწყობს ხელს.

თერაპიული ფაქტორები. ნარკოდამოკიდებული ადამიანის მკურნალობის პროცესში, მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად მუშაობა მიმართული უნდა იყოს მოტივაციური სფეროს კორექციაზე. ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის მოტივაციის ფორმირებაში ფსიქოთერაპიას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ფსიქოთერაპიის ძირითადი მიზნებია: ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ქცევის შეცვლა, ემოციურ დარღვევათა კორექცია, თვითრეგულაციის უნარების ჩამოყალიბება, დანგრეული ოჯახური ურთიერთობების აღდგენა და ა. შ. ნარკოდამოკიდებულ პირებთან მუშაობის დროს თანამედროვე ფსიქოთერაპიული მეთოდებიდან საკმოდ ეფექტურია მოტივაციური ინტერვიუირების მეთოდი და კოგნიტურ- ბიჰევიორული თერაპია.

ფსიქოლოგიური ფაქტორები. ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის ფსიქოლოგიურ მოტივებს შორის მნიშვნელოვანია ნარკოდამოკიდებულ ადამიანს ჩამოუყალიბდეს ადექვატური დამოკიდებულება საკუთარი დაავადების მიმართ, მოხდეს პიროვნებათშორისი ურთიერთობების აღდგენა და ნორმალიზება, მორალურ და ეთიკურ ღირებულებათა კრიზისის დაძლევა და ცხოვრების ჯანსაღი წესზე ორიენტაცია.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სხვა ფაქტორებთან ერთად ფსიქოლოგიური, სოციალური, ბიოლოგიური და თერაპიული მოტივაციური ფაქტორებიც მოქმედებს. თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ამ პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯავახიშვილი ჯ., ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენცია, თბილისი, 2017
2. გერიგი რ., ზიმბარდო ფ., ფსიქოლოგია და ცხოვრება, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009
3. ახალაშვილი ნ., ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2016
4. ნარკოლოგია., გ. ლეჟავას რედაქციით, თბილისი, 2001
5. Maslow, A. H. Motivation and personality (First ed.). Harper & Row. 1954
6. Miller, W.R. Why do people change addiction behavior / W.R. Miller, //Addiction. -1998
7. Особенности эмоционально-мотивационной сферы (2009). наркозависимых Сборник работ. 2008-2010 гг. Санкт-Петербург

Motivational factors for stopping drug use

Iasha (Koka) Kutubidze, Professor of GTU

Tamar Chichinadze, PhD student of GTU

Summary

Drug addiction is a disease which is caused by systematically consuming drugs and is revealed by dependence on these substances. Addiction syndrome refers to two types of addiction - psychological and physical. Psychological dependence refers to psychological attachment to drugs, obsessive craving for drugs. In case of cessation of consumption, psychological discomfort is expressed. A person experiences strong internal tension, which is manifested by anxiety, various types of fears, depression, etc. During physical addiction, all vital systems of a person are involved in the disease, and after stopping the use of the drug, it is manifested by a strong physical disorder called drug withdrawal syndrome. This condition is a complex of mental and physical symptoms and is specific to a particular drug. Many factors determine the initiation of drug use. There are many motivational factors for drug use. Among them are - the desire to get rid of anxiety, tension and depression, escape from personal problems, curiosity, emotional instability, protest against the social norms and environment accepted in the society, the desire to join a certain social group and be a member of this group.

The development of drug addiction can be caused by many factors. A lot of factors can affect the decision of quitting it as well. This includes - social, psychological and motivational factors. The motivation is considered one of the most important factors when it comes to treating addicts and alcoholic people. In this article is discussed social, psychological, therapeutic and biological motivational factors, which help an addict to make a decision about quitting drugs.

The formation of a negative attitude towards drug use is facilitated by the rules and norms of a healthy life in the society, reducing the availability of drugs, effective work of the law enforcement system, and the availability of treatment. An important factor is the support of family members in the process of drug addiction treatment and rehabilitation.

Along with drug treatment, psychotherapy is important, which is aimed at overcoming emotional, cognitive and behavioral problems, social adaptation and personal growth of a drug addict.

Key words: Drug addiction, stopping drug use, motivation, motivational factors.

დევიაციიდან პროსოციალურ ქცევამდე

სოფიო ტალახაძე, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ადამიანი სოციალური არსებაა. აქედან გამომდინარე, მისი ეგზისტენციალური საზრისი მეტწილად სოციუმთან ადაპტაციას და ინტეგრაციას უკავშირდება.

სოციუმი არ არსებობს ნორმების გარეშე, ყველა მცირე თუ დიდ ჯგუფს თავისი საარსებო წესი აქვს. წეს-ჩვეულებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას და ამდენად, დიფერენცირება სხვადასხვაგვარია - კულტურალური, კუთხური, რელიგიური, სუბკულტურული, ოჯახურ-ტრადიციული და ა.შ.

არსებობს უფრო ზოგადი და ფართო წესი, რომელსაც კანონის სახე აქვს და იურიდიულ კონტექსტში განიხილება.

დევიაციაზე საუბრისას, ცხადია, შეიძლება განიხილებოდეს ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი კონტექსტი ან უბრალოდ ის კანონი, რომელსაც ესა თუ ის სახელმწიფო აღიარებს.

თემა იმდენად ვრცელია, რომ საჭიროებს უფრო სიღრმისეულ განხილვას. ადამიანის ქცევაზე სიღრმისეულ გავლენას ახდენს ეთიკის აღქმა და გააზრება. ეთიკას კი თავის მხრივ, მეცნიერები ორგვარად განმარტავენ თანშობილს და ინტერიორიზებულს. პირველის შემთხვევაში, მოიაზრება შინაგანი მორალი თუ „სინდისის“ ცნება, უმეტეს შემთხვევაში, თანშობილად გვევლინება რეგილიურ ფილოსოფიაში. ფსიქოანალიზი კი სხვაგვარ აქცენტებს გვთავაზობს ამ მხრივ. ზიგმუნდ ფროიდი და ერიხ ფრომი სოციალური ევოლუციის დარვინისეულ კონცეფციას იზიარებენ და სინდისს და ზნეობას სოციალურ დეტერმინანტებად განიხილავენ. მათი აზრით, მას, ადამიანის ბუნებაში არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

ამდენად, რა ქმნის ნორმას და როდის არის ნორმა გადახრილი, ამ საკითხს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალი კერძო და ზოგადი ფაქტორი განაპირობებს.

ცნობილი ბრიტანელი სოციოლოგი, ენტონი გიდენსი განმარტავს, რომ ნებისმიერი ადამიანი მცირედით მაინც არღვევს წესებს და ასე თუ ისე, გარკვეული დოზით ახერხებს წესრიგის შენარჩუნებასაც.

სოციოლოგების უმეტესობა აღიარებს დევიაციის ცნების სირთულეს და სხვადასხვაგვარ განმარტებას და მისეულ ხედვას გვთავაზობს.

„არ შეიძლება ადამიანები მხოლოდ ორ კატეგორიად დავყოთ: ადამიანები რომლებიც ნორმებს არღვევენ და ადამიანები, რომლებიც მათ მისდევენ. ზოგ შემთხვევაში, ბევრი ჩვენგანი ქცევის საყოველთაოდ აღიარებულ წესებს არღვევს“ -ენტონი გიდენსი [3,214გვ]

ამდენად, როგორ უნდა განვსაზღვროვთ დევიაციის ცნება და სად გადის სადემარკაციო ხაზი ნორმასა და გადახრას შორის, მსჯელობის საგანია.

საკვანძო სიტყვები: ეგზისტენციალიზმი; ადაპტაცია; სოციალიზაცია; პროსოციალური; ალტრუიზმი; სანქცია; ანომია; ეთიკა; დევიაცია.

შესავალი

ნორმებს და დევიაციურს ქცევას სხვადასხვა მსოფლმხედველობიდან სხვადასხვა რაკურსი გააჩნია. დევიაციის გააზრება ხდება, როგორც პიროვნულ, ისე ჯგუფურ დონეზეც. ერთი ჯგუფის საქმიანობა, სხვა ჯგუფისთვის შესაძლოა სულაც არ ითვლებოდეს ნორმად.

ნებისმიერ ნორმას თავისი გარკვეული სანქციები გააჩნია, რომელიც დასჯა-წახალისებაზეა ორიენტირებული.

თუმცა, მხოლოდ სანქციებს ვერ ჩავთვლით ქცევის დეტერმინანტებად, რადგან ადამიანის ქცევასა და აზროვნებას, მრავალი ფსიქოლოგიური და სოციოლურ-კულტურული ფაქტორი განაპირობებს. სანქციები, მხოლოდ გარეგან მოტივებს პასუხობს და ადამიანის ქცევა ვერ იქნება მხოლოდ გარეგან მოტივზე ორიენტირებული, რადგან მისი შემოქმედებითი ბუნება იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო ღრმა, შინაგანი მოტივები ვეძებოთ პროსოციალური ქცევისთვის.

ნორმებსა და ეთიკას აქვს ბუნებრივიც და ხელოვნურად შექმნილი საფუძველიც. ბუნებრივად შეიძლება ჩაითვალოს სინდისის ცნებაზე დაშენებული საზრისები და ქცევები. ხელოვნურად შექმნილი ნორმები უფრო მეტად სანქციებს ექვემდებარება.

რელიგიური ფილოსოფია ბუნებრივ ეთიკას სინდიისს მიაკუთვნებს, მაგრამ არსებობს კულტურალური ნორმებიც, რაც შესაძლოა სხვადასხვა სოციუმში სხვადასხვაგვარად ფასდებოდეს. ამდენად, ესეც გარკვეულ განწყობას ქმნის ადამიანის ცნობიერში.

შეიძლება დავუშვათ, რომ არსბეობს ნორმების ღრმა და მეორეხარისხოვანი, ზედაპირული დონე. ღრმაა - სიკეთის და ბოროტების გაგება და საკუთარ თავში სინდისის აღიარებაა, ხოლო

უფრო ზედაპირული, კანონზე დაქვემდებარებული ფაქტორებია.

ამერიკელი სოციოლოგი ჯორჯ მიდის კონცეფციის თანახმად, სუბიექტური და ობიექტური მე-ს ინტეგრაცია და მათი თანაბრად განვითარება მნიშვნელოვან იმპულსებს იძლევა პროსოციალური ქცევისთვის.

პიროვნებას უნდა შეეძლოს, ერთი მხრივ, საკუთარი, სუბიექტური განცდების და მოტივების შეგრძნება, დანახვა და იდენტიფიკაცია და მეორე მხრივ, მათი განზოგადება და ობიექტური ჭრილიდან დანახვა. სუბიექტური განცდები ავიწროვებს ჩვენი აღქმის არეალს და ესეც შეიძლება გახდეს საფუძველი დევიანტური ქცევისა - ეჭვიანობისა, აგრესორის როლის მორგებისა, კრიმინალური საქციელისა[1] და ა.შ.

სუბიექტურობა ცნობიერი პროცესია, ობიექტურობა უკვე სოციუმთან თანაზიარება და გამოცდილებაა. თუმცა, ობიექტური რეალობა შეიძლება იქცეს სუბიექტურ განცდამდე დაყვანილი, რომელიც რომელიმე სუბკულტურის გავლენით არის განპირობებული.

ძირითადი ნაწილი

დევიაციის მიმოხილვა

დევიაციისა და დანაშაულის ახსნის პირველ მცდელობას იტალიელ კრიმინოლოგ ჩეზარე ლომბროზოს უკავშირებენ. მისი განსაზღვრებით, კრიმინალურ ქცევას უმეტესწილად, ბიოლოგიურად განუვითარებელი ან ნაკლის მქონე ადამიანი ახორციელებდა. ეს კონცეფცია მალევე უარყვეს და შემდეგ გენეტიკურ ფაქტორებში დაიწყეს მიზეზის ძიება [4,217გვ]. მოგვიანებით ადამიანის სხეულის აგებულებასთანაც ეძებდნენ გარკვეულ კავშირს. კრიმინალებთან ასოცირდებოდნენ უფრო ათლეტური აგებულების ადამიანები, ვიდრე გამხდრები და მსუქნები.

ზემოთ აღნიშნული ჰიპოთეზებს დიდხანს არ უარსებიათ.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დევიაციის მიზეზი შეიძლება იყოს ფსიქოპათია ან დასწავლილი ქცევა, რომელსაც ზოგადად, ზედმეტად კონფორმული ადამიანი განახორციელებს, მაგრამ კრიმინალის მიღმა ყოველდღიურ ცხოვრებაში ვინ როგორ არღვევს ნორმას - რთული სათქმელია. კანონის დამრღვევ ადამიანს, ამავდროულად, შესაძლოა ბევრი დადებითი პიროვნული თვისება ჰქონდეს და რთულია წარმოდგენა, რომ მას რაიმე დევიაციური ქცევის ჩადენა შეუძლია. [3,218].

ნორმების განხილვისას ისმის კითხვა - **რა ნორმა უნდა დაიცვა და როგორ.** პირველი კითხვა შეესაბამება იმ სამართლებრივ კანონებს, რომელსაც სახელმწიფო აწესებს ან თუნდაც ნებისმიერი ჯგუფი. კითხვის მეორე ნაწილი ეთიკას მოიაზრებს.

ნებისმიერ კანონს თავისი ეთიკის წესები აქვს. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეთიკასაც ორგვარი დეფინიცია გააჩნია.

ამდენად, თუკი ქცევას საფუძვლად თვითგადარჩენა ან შექება უდევს, ესეც სანქციებს მიეკუთვნება, ხოლო სინდისის ცნებას თუ განვიხილავთ უფრო სიღრმისეულ მოტივებს დავინახავთ. სიკეთისა და ბოროტების სიღრმისეულმა გააზრებამ, შესაძლოა შეცვალოს სოციუმთან დამოკიდებულება.

პროსოციალური ქცევა

ტერმინი „პროსოციალური ქცევა“ გაჩნდა 1970 წელს და განისაზღვრა ქცევა, რომელიც სხვა ადამიანების კეთილდღეობისკენაა მიმართული. სხვისი დახმარებისთვის ზოგი მეტადაა მიდრეკილი, ზოგი კი, ნაკლებად.

ევოლუციონისტური თვალსაზრისით, პროსოციალური ქცევა, ისევე როგორც ალტრუიზმი, ბაზისური ადამიანური მოტივაციაა და საფუძვლად საკუთარი თავის რეპროდუქციის სურვილი უდევს. ალტრუისტული და პროსოციალური ქცევის ახსნას განსხვავებული რაკურსით ცდილობს ორმხრივი (რეციპროკული) ალტრუიზმის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, საჭიროების შემთხვევაში ადამიანები თავიანთი ქცევის შესაბამის სანაცვლოს მიღებას მოელიან. მაგალითად, ადამიანი გამოიყვანს ცეცხლიდან მეორე ინდივიდს, რათა თუკი მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდება, მასაც ანალოგიურად მოექცნენ. შესაბამისად, ორმხრივობა ალტრუისტული ქცევის განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა.

დენიელ ბესტონი პროსოციალური ქცევების განხორციელების ოთხ განსხვავებულ მოტივატორს გამოყოფს:

1) ალტრუისტული მოტივი - სხვებზე და მათ სარგებელზე ზრუნვა;

2) ეგოისტური - პროსოციალური ქცევის განხორციელება პირადი სარგებლის ნახვის იმედით და გათვლით;

3) კოლექტივიზმი - გარკვეულ ჯგუფს შიგნით განხორციელებული პროსოციალური ქცევები, რომლებიც ჯგუფის წარმატების უზრუნველსაყოფად არის მიმართული;

4) პრინციპიზმი - სოციალურად სასარგებლო ქცევის განხორციელება, რომელიც ეფუძნება ინდი-

1 კრიმინალური ქცევა სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს. მაგ. სოციალურმა სიდუხჭირემ, გადარჩენის სურვილმა და ა.შ.

ვიდის მორალურ-ეთიკურ შეხედულებებს.

ხანდახან შესაძლოა ზემოთქმული მოტივები წინააღმდეგობაში მოვიდნენ ერთმანეთთან, მაგალითად, როცა ხუთ ადამიანს სჭირდება დახმარება, მაგრამ თქვენ მწირი რესურსები გაქვთ. ასეთ შემთხვევაში სიტუაციას განსხვავებული მოტივები ემატება, რომლებიც საბოლოო არჩევანს განსაზღრავს. [4]

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს პროსოციალური ქცევების აღმოცენებაზე - ემპათიაა. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ თანაგრძნობის განცდა დახმარებისა და პროსოციალური ქცევის განხორციელების სურვილს აჩენს ინდივიდებში. [4]

ასევე მნიშვნელოვანია გუნება-განწყობილების როლი დახმარებაში. დადგენილია, რომ, როდესაც ადამიანი კარგ ხასიათზეა, უფრო მეტად ეხმარება სხვას. რას შეეხება ცუდ გუნება-განწყობილებას, უარყოფითი მდგომარეობის შემსუბუქების მოდელის მიხედვით, შეიძლება სხვას დაეხმარო იმის გამო, რომ ამის დახმარებით გუნება-განწყობილება გამოგიკეთდეს. თუ უარყოფითი გუნება-განწყობილება გვიბიძგებს კონცენტრაცია მოვახდინოთ საკუთარ თავსა **და საჭიროებებზე,** ნაკლებად მოსალოდნელია რომ სხვისი დახმარება მოვისურვოთ.

სოციუმის როლი და ანომიური პროცესები

პიროვნული კრიზისი ან მოტივაციის ამაღლება შესაძლოა სოციალურმა ფაქტორმა წარმოშვას. ჯანსაღი საზოგადოება ეგზისტენციალურ საზრისს ქმნის და ადამიანის შემოქმედებით ნაწილს კვებავს, მაგრამ ტოკსიკური გარემო ნიჰილიზმისკენ და ანომიისკენ უბიძგებს ადამიანს.

სოციალიზაციის პროცესი იწყება ჩვილობისას და თავისებურ განვითარებას ან რეგრესს ჰპოვებს მთელი ცხოვრებიის პროცესში.

„სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც, სხვა ადამიანებთან კონტაქტის საშუალებით, უმწეო ჩვილი თანდათან გადაიქცევა თვითცნობიერ და გონიერ ადამიანად, რომელიც მოცემულ კულტურაშია გათვითცნობიერებული“ - ენტონი გიდენსი [3,73].

„ანომია“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და უკანონობას, კანონისა და ნორმების არარსებობას ნიშნავს. ამას განაპირობებს გულგრილი და ზედაპირული მდგომარეობა.

ოჯახი და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვისა და მოზარდის პიროვნულ განვითარებაში. ქაოტურ და დისფუნქციურ გარემოში, როგორც წესი, ანომიური საზოგადოება იბადება. ანომიური საზოგადოება მარტივად ბადებს დევიაციისკენ, ავტოაგრესიისკენ და ნიჰილიზმისკენ მიმართულ ადამიანებს.

ტერმინი ანომია პირველად ცნობილმა სოციოლოგმა დიურკემმა[1] განსაზღვრა. შემდეგ ანომიის ცნების განმარტება რობერტ კ. მერტონმა სცადა.

მერტონმა გარკვეული მოდიფიცირება მოახდინა ამ ცნების და მისი კლასიფიცირება მოგვცა. იგი თვლის, რომ ანომია წარმოიშობა იმ დაძაბულობის ფონზე, როცა სოციალურ რეალობას უპირისპირდები.

მერტონის აზრით, ანომიური საზოგადოება აყალიბებს ადამიანების ხუთგვარ ტიპს:

კონფორმისტები, რომლებიც აღიარებენ საყოველთაოდ მიღებულ წესებს და მას ასრულებენ მშვიდად. არ აქვს მნიშვნელობა წარმატებულია თუ არა ეს. იგი მიიჩნევს რომ მოსახლეობის უმეტესობა ამ კატეგორიას მიეკუთვნება;

ინოვატორები, რომლებიც აღიარებენ სოციალურად მოწონებულ ღირებულებებს, მაგრამ მათ მისაღწევად შეუძლიათ კანონიც კი დაარღვიონ.

რიტუალისტები, რომლებიც ეგუებიან სოციალურად მიღებულ სტანდარტებს, თუმცა არ აინტერესებთ ის ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ სტანდარტებს;

რეტრეატისტები - უარს ამბობენ კონკურენციის პერსპექტივაზე და ამგვარად უარყოფენ არსებულ ღირებულებებს და ცდილობენ შეცვალონ ახლით.

მეამბოხეებს არ მოსწონთ არსებული ღირებულებები და მათ სურთ, რომ გარდაქმნან სოციალური სისტემა ახალი ღირებულებებითა და საშუალებებით. ისინი ხშირად მიეკუთვნებიან რადიკალურ პოლიტიკურ ჯგუფებს [3,220].

ცხადია ამ კონცეფციასაც თავისი მომხრე-მოწინააღმდეგები გამოუჩნდნენ, მაგრამ ტიპოლოგია და კლასიფიკაცია გარკვეულ გამოცდილებაზე მეტყველებს.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის თანახმად, ნებისმიერ ადამიანს სურს, რომ იყოს წარმატებული და საზოგადოებაში აღიარებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხისტი დიფერენცირება და შევთეთრად ადამიანების დაყოფა არც თუ კარგი აზრია, რადგან ეს სტიგმატიზაციას და რადიკალიზმს შეუწყობს ხელს, რაც იმთავითვე ანომიური ბუნებისაა.[2]

სოციალური ანომია - კონკრეტულ სოც. სისტემებში მორალური თუ სამართლებრივი ნორმების არაეფექტურობას, საზოგადოების რეგულირების კრიზისს, კულტურული მიზნების განუსაზღვრელობას გულისხმობს, რაც საზოგადოების

1 დიურკემი მიიჩნევდა, რომ ანომია წარმოიშობა მაშინ, როცა მკაფიო ნორმები და სტანდარტები არ არსებობს, რადგან ამ დროს ადამიანები გზააბნეულები და შეშფოთებულები არიან.

რღვევასა და სოც. დეზორგანიზაციას განაპირობებს, ხოლო სუბიექტური ანომია კონკრეტული ინდივიდის ის მდგომარეობაა, როცა იგი საკუთარი მიზნების მისადაგებას ვერ ახერხებს არსებული საზოგადოებრივი ნორმებისა და სტრუქტურების მიმართ. [4].

ანომია, თავისი მხრივ, არსებობს სუბიექტური და სოციალური. სუბიექტური ანომიის დროს ინდივიდი ვერ ახერხებს საკუთარი მიზნების განსაზღვრას და სოციუმში ადაპტირებას. ინტეგრაციას საზოგადოებრივ ფასეულობებთან. მას ეუფლება სოციალური გაუცხოება და იზოლაციის შეგრძნება, აპათია.

„სოციალური ანომია გულისხმობს კონკრეტულ სოციალურ სისტემებში მორალური თუ სამართლებრივი ნორმების არაეფექტურობას, საზოგადოების რეგულირების კრიზისს, კულტურული მიზნების განუსაზღვრელობას, რაც საზოგადოების რღვევასა და სოციალურ დეორგანიზაციას განაპირობებს“.[4].

დასკვნა

სოციალიზაციის პროცესი მეტწილად განსაზღვრავს ადამიანის ფსიქოლოგიურ და პიროვნულ მდგრადობას.

ადამიანის ფსიქო-ემოციურ და სოციალურ ყოფაზე გავლენას ახდენს - დაბალი თუ მაღალი სოციალური ფენა, ოჯახში არსებული აღზრდის სტილი, სადაც მოზარდს იმაზე მაღალ სტანდარტს უყენებს ოჯახი, ვიდრე მას შეუძლია რეალურად, ესეც შეიძლება გახდეს დაბალი მოტივაციის საფუძველი და საკუთარ თავს მანაც „დევიაციურ ქცევაში უშველოს“.

გარემო, სადაც პიროვნება ვერ რეალიზდება, იწვევს დაძაბულობას და ეს ყოველივე მისთვის არის მაფუსტრირებელი. დაძაბულობის მოსახსნელად დელიქვენტური სუბკულტურის წევრები მას ალტერნატიულ გზებს სთავაზობენ. ალბერტ კოჰენმა ამგვარ მდგომარეობას „სტატუსის ფრუსტრაცია“ უწოდა [1,134გვ]. ნებისმიერ დევიანტურ ადამიანს სურს, რომ იყოს აღიარებული. მისთვის პროსოციალური ქცევა ერთგვარი კათარზისია, რადგან სოციუმში აღიარება ყველას სჭირდება.

„პროტესტანტ“ ადამიანებში უფრო დიდი ენერგიაა ვიდრე რიგიდულ, ინერტულ ხალხში. პროტესტანტ ადამიანს, რომელსაც შეიძლება დევიაციური გამოვლინებებიც ჰქონდეს, თემატურ დავალებას დიდი გულდასმით ასრულებს და საკმაოდ საინტერესო, ნაფიქრ შედეგსაც დებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბალიაშვილი მარინა. სოცილური ფსიქოლოგიის საფუძვლები.
2. იმედაძე ირაკლი. ფსიქოლოგიის ისტორია. გამომცემლობა “მწიგნობარი“, თბილისი, 2008.
3. გიდენსი ენტონი. სოციოლოგია. გამომცემლობა „ღია საზოგადოება -საქართველოს“, 2011.
4. შალიკაშვილი მორის. კრიმინოლოგია. მერიდიანი, 2017.
5. გაფრინდაშვილი როზა. ალტერნატიული ეთიკა. თბილისი, 2000.
6. ერიხ ფრომი. ავტორიტარული სინდისი. გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი, 1998.
7. В. С. Соловьев, Оправдание добра. www.koob.ru, 2020.
8. ფილიპ ზიმბარდო. ფსიქოლოგია და ცხოვრება.

From Deviation to Pro-Social Behavior

Sophio Talakhadze, PhD student of GTU

Summary

A human is a social being. Therefore, his/her existential sense is largely related to adaptation and integration with society.

Society does not exist without norms - every small or large group has their own way of life. Various factors influence customs and thus, differentiation is of various kinds - cultural, regional, religious, subcultural, family-traditional, etc.

There is a more general and broader rule that has the form of law and is considered in a legal context.

When talking about deviation, we can consider any of the above-mentioned contexts or the law of a particular state.

The topic is so extensive that it requires a more in-depth discussion. Human behavior is deeply influenced by the perception and understanding of ethics. On the other hand, scientists interpret ethics in two ways: innate and internalized. In the case of the former, internal morality is considered; the concept of "conscience" is often inherent in a religous philosophy. Psychoanalysis offers different emphasis in this regard. Sigmund Freud and Erich Fromm share the Darwinian concept of social evolution and consider conscience and morality as social determinants. According to them, it has no basis in human nature.

Therefore, a number of individual and/or general factors determine a norm and the deviations from it.

The famous British sociologist, Anthony Giddens, explains that any person violates the rules at least a little, and in one way or another, manages to maintain order to a certain extent.

Majority of sociologists recognize the complexity of the concept of deviance and offer various definitions and visions.

"We cannot divide people into only two categories: people who break the norms and people who follow them. In some cases, many of us violate generally accepted rules of conduct" -Anthony Giddens (3, 214).

Therefore, it remains to be discussed how to define the concept of deviation and where the line of demarcation between the norm and the deviation lies.

თვითიდენტიფიკაციის დაცვითი თვისება ფსიქოაქტიური ნივთიერების ატიპიური მოხმარების გარემოებებთან

ლამა ჩეკურიშვილი, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

პიროვნების ბუნებას განსაზღვრავს სოციალურად მნიშვნელოვანი უნიკალური ფსიქიკურ კანონზომიერებათა თვისებების სტაბილური სისტემა და, ამასთან ერთად, ინდივიდს ახასიათებს როგორც საზოგადოების წევრს და გვიჩვენებს გადასვლებს ინდივიდუალურიდან სოციალურისკენ და სოციალური სტრუქტურიდან პიროვნულ ურთიერთობებსა და ინდივიდუალურ ქცევაზე.

ადამიანის პიროვნება, როგორც სპეციფიკური წარმონაქმნი, პირდაპირ გამოიკვეთება ამა თუ იმ სოციალური ფაქტორებისგან და საზოგადოების გავლენით ხდება მისი სოციალიზაცია.

ადამიანის ქცევის კანონზომიერებების სოციოლოგიური კვლევის მიგნებებითა და გაგებით განსაზღვრული ცოდნით ახსნადია სიტუაციაში მისი მოქმედების მოდელები და სოციალურად პროგრესული იდეების, სამეცნიერო არგუმენტაციის რეალური ანალიზისა და პრობლემების მიზეზების შედეგების შემცირება, ზოგიერთ შემთხვევაში მთლიანად აღმოფხვრის სტრატეგიების დასახვის და ან განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

ფსიქო-სომატურად ჯანსაღი და პიროვნულად განვითარებული ახალგაზრდა თაობის აღზრდას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების (ხელახლა აღზრდას) განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობას, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, ასეთი სისტემური მოქმედებების დაგეგმვისათვის, აღწერისათვის და დასკვნებისთვის საჭირო მიუკერძოებელი და სრულყოფილი ადგილობრივი მონაცემების შეგროვებაზე, დამუშავებასა და ანალიზზე დაფუძნებით, სოციალური ინსტიტუტების მიერ, ინდივიდუალურ დონეზე ობიექტური ზოგად-საკაცობრიო ღირებულებების სამართლიანი ათვისების, თვითგამორკვევისა და სამოქალაქო საზოგადოებაში რეალიზების შესაძლებლობის გაფართოება.

თვითიდენტიფიკაცია ძლიერი ფაქტორია მოზარდებში და ზოგად პოპულაციაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარების თავიდან ასაცილებლად ცოდნის გავრცობასა და ეროვნული სოციალური მნიშვნელობების მქონე ცვლადების სტატისტიკური კორელაციის გავლენების გათვალისწინებით, ევროპული სახელმწიფოების უნივერსალურ (მოზარდის მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების არადანიშნულებისამებრ გამოყენების თავიდან ასაცილებლად სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა, ბავშვებში საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარება), მეორულ (ნარკომანიის განმსაზღვრელი მიზეზების ადრეული გამოვლენა და სათანადო ინდივიდუალური მხარდაჭერა) და სელექტიურ (ნარკომანიის რისკის მქონე ჯგუფების იდენტიფიცირება და მათთან სპეციალური პროგრამებით მუშაობა) პრევენციებში ამჟამად არსებული გამორჩეული გამოცდილებით, ნარკომანიასთან დაკავშირებული პრობლემების მართვასა და მისით გამოწვეული ზიანის განსაკუთრებულად დიდი მასშტაბის შემცირებაში.

საკვანძო სიტყვები: სოციალიზაცია, პიროვნება, რისკები, დევიაციის შეზღუდვა, რესოციალიზაცია.

შესავალი

სოციალურ მეცნიერებებში ნებისმიერი პრობლემა ორგანულად უკავშირდება პიროვნების პრობლემას. მათ შორის ინდივიდუალურ დონეზე ნარკოტიკების ავადმოხმარებით განპირობებული ნარკომანიის დინამიკის ფსიქო-სოციალური ფაქტორების თავისებურებების საზოგადოებაზე განსაკუთრებული ნეგატიური ზემოქმედებით. რადგან სოციოლოგიური თეორია ყალიბდება სოციალური გარემოს გავლენით და თვითონვე ამ სოციალურ გარემოს ირჩევს თავის კვლევის ძირითად ობიექტად, საზღვრავს სოციალური ცხოვრების შესახებ აზროვნების მეცნიერული შესწავლის გზებს და სწორი ორიენტირების საშუალებას გვაძლევს სოციალურ სინამდვილეში და ახსნადია, თუ როგორ იგება ურთიერთობა ინდივიდსა და საზოგადოებას შორის, როგორია პიროვნების ქცევის კანონზომიერებები და რა განსაზღვრავს მათ.

ძირითადი ნაწილი

ინდივიდის გარემოცვაში არსებული სოციალური და კულტურული ელემენტების ერთობლიობა, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს პიროვნების განვითარებასა და ქცევაზე. ამასთან ერთად, განაპირობებს საზოგადოებასთან მისი

ურთიერთობის ხარისხსა და სოციალიზაციას.

ამრიგად, თვითაღზრდის მიდრეკილების ფაქტორების ხელშემწყობით, საზოგადოებაში თავისი ადგილის გააზრების ცოდნითა და ზოგადსაკაცობრიო მსოფლმხედველობით განპირობებული თვითიდენტიფიკაცია, დიდმნიშვნელოვნად აყალიბებს ადამიანის თვითშეფასებას, სხვებთან მიმართებით განწყობილებას, ინდივიდუალური სოციალური როლის აღქმას და მიღებას, ბუნებრივ პირობებთან ადაპტაციისთვის საჭირო რეაქციათა ფორმების ათვისებას და საზოგადოებრივი ღირებულებებისა და ნორმების დაცვის ჩვევებს.

პიროვნების სოციალური მიზნების ჩამოყალიბებისა და მათი მიღწევისათვის მორალით აღიარებული საშუალებების მის მიერ გამოყენების ძირითადი მოტივია, პიროვნულ და ამასთანავე, საზოგადოებრივ სუბსტანციაზე თავისი მიკერძოებული წარმოდგენებით, სოციალური მახასიათებლით განპირობებული მიკუთვნების მოთხოვნილებითა და გარემოს გავლენით იდეალების გაცნობიერებით, იდენტობის განმსაზღვრელ თვითშეცნობის პროცესში, საკუთარი უნიკალური თვისებების გაიგივება რომელიმე დამკვიდრებულ, განვითარების ტენდენციით გამორჩეულ ტიპოლოგიურ კატეგორიასთან.

საზოგადოებრივი მნიშვნელობების მიმღებლობით ჩამოყალიბებული პიროვნული შეხედულებებით განსაზღვრული დამოკიდებულებები და ღირებულებების მიმართ პრინციპულობა, დადებითად მოქმედებს როგორც ინდივიდუალური წარმატების ალბათობაზე, აგრეთვე, მეტ-ნაკლებად, სოციალურ კეთილდღეობაზე.

გასათვალისწინებელია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების ან გარემოში არსებული ვითარების შედეგად, მოთხოვნილებების არარეალიზებული განცდებით ფორმირებული მზაობა, მდგომარეობის გავლენით მოტივირებულ ქცევაში გადადის და ადამიანს ფანტაზიაში მანამდე არსებული ვიზუალიზაცია, სტრესორების ზეწოლით განწყობაში აღძრული მკვეთრი ცვლილების დაძლევის, ადაპტაციური რეაქციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ფსიქო-ემოციური წონასწორობის აღდგენისათვის, დევიაციაში აქტივობისკენ, მათ შორის, მომყოლი სახიფათო შედეგების უგულვებელყოფით, ნარკოტიკების ავადმოხმარებისკენ უბიძგებს და პარალელურად, ინდივიდის ასაკობრივი თავისებურებების, მისი ფსიქოლოგიური ან სოციალური მახასიათებლების ძლიერი ცვლილებების შედეგებით, ადამიანის ცნობიერის დონეზე იდენტობის არ არსებობა ან დაკარგვა, გავლენას ახდენს დევიანტური მოქმედების კონსტრუირებასა და სტაბილურობაზე.

სოციალურ კომუნიკაციაში თვითშემეცნების პროცესში აღქმული სხვა პირთა რეაქციებით, ადამიანის ცნობიერების, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის, მნიშვნელობის, უფლებებისა და მოვალეობების გრძნობის ჩამოყალიბებასა და სოციალიზაციაზე, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობებით განსაკუთრებული ზემოქმედების ძალა აქვს მის ოჯახს, სასკოლო საზოგადოებას, სამეგობრო და სამეზობლო კოლექტივებს და ინდივიდის დონეზე იდენტობის განსაზღვრისათვის თვითიდენტიფიკაციაში ანგარიშგასაწევ როლს ასრულებს ფსიქო-ემოციური და პედაგოგიური მხარდაჭერა.

სასკოლო პერიოდში აუცილებელია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ჩართული პირების მიერ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მოზარდობის ასაკის ბავშვის წინააღმდეგობრივ ხასიათს და ზრდასრულობისკენ წინსვლის მიზეზებთან ერთად, მისი ცხოვრების ახალ საფეხურზე გადასვლის შემაფერხებელ ფსიქოლოგიური და სომატური უარყოფითი მოვლენების რისკებს. მათ შორის აქცენტუაციის იდენტიფიცირებას და პიროვნული ზრდის დეფიციტის შევსების ეფექტური, სამეცნიერო მიგნებებით და არგუმენტებით განპირობებული სტრატეგიების შეჩევას და რეალიზებას.

რამდენადაც ინდივიდი თვითშემეცნებას ბავშვობიდანვე იწყებს და განვითარების პროცესში ჯერ, უშუალო ურთიერთობის გავლენით, რომელიმე ადამიანს ბაძავს და მისი ქცევის მოდელს თამაშობს, ხოლო ურთიერთობების წრის გაფართოებისას ბავშვი ჯგუფთან დამოკიდებულებაში ბევრ როლს ითვისებს. შემდეგ კი უკვე აცნობიერებს, რომ აბსტრაქტული, დიდი საზოგადოების ნაწილია და დამკვიდრებული ღირებულებებით, სტანდარტებით და სოციალური ჯგუფების მოლოდინების გათავისებით, აცნობიერებს თავის საზოგადოებრივ როლს და ამასთან ერთად, თუ როგორი უნდა იყოს მისი ქცევა.

ამგვარად, პიროვნების ფუნქციებს აყალიბებს მისი ბუნებრივი ასკრიპტული განსაზღვრებები და ინდივიდუალური ძალისხმევები და ადამიანის მდგომარეობა დაკავშირებულია იმ პირობებთან, რომლებიც მიღებულია სოციალურ ჯგუფში, სადაც თვითონ შედის. სოციალიზაციის მიმდინარეობისას ინდივიდი სწავლობს თავისი ფუნქციების რეალიზების შესაძლებლობებს და გარემო სიტუაციაზე მიზანშეწონილი რეაქციები

უყალიბდება დამკვიდრებული ცხოვრების წესისა და ნორმების ათვისებით.

საზოგადოებრივი მნიშვნელობების მქონე მოვლენებით განსაზღვრულ გარემოში, ადამიანის ადაპტაციისა და ინტეგრაციის ხარისხზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ მახასიათებლებზე დამოკიდებული და ინდივიდის ან ცალკეული ჯგუფის უფლებამოვალეობების საფუძველზე, ქცევის საპროგნოზო სცენარებით დამკვიდრებული სოციალური როლები, თავის აქტუალურ მდგომარეობებთან და გაცნობიერებულ დამოკიდებულებებთან ერთად. ამასთანავე, საზოგადოებაში სტრატიფიკაციის გამო, პიროვნებას ხშირად უთანასწორო პირობებში უწევს თანდაყოლილი და მის მიერ მიღწეული პოზიციებით, ინტერაქციის განვითარების მცდელობები და სოციალურ სტრუქტურაში შესაძლო სამოღვაწეო ასპარეზზე ადგილის დამკვიდრება.

სოციალური სინამდვილის გამოწვევებზე სუსტად რეაგირების თავისებურებები, ინდივიდუალურ დონეზე განაპირობებს დაბალ თვითშეფასებას და გამორიცხავს სოციალური აქტივობების სტიმულირების ფაქტორების რეალიზებას. ამავე დროს საყურადღებოა, რომ შესაძლებელია ინდივიდისთვის არ იყოს მისაღები იმ სოციალური ჯგუფის ღირებულებები, ნორმები ან სტატუსი, რომელსაც მიეკუთვნება, ან ჰქონდეს ჩამოყალიბებული აზრი, თავის სოციუმში თავისივე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობების პერსპექტივის არ არსებობის შესახებ და, ამის გამო, თავის პირველად სოციალურ ჯგუფთან მიმართებით იყოს სოციალურ კონფლიქტში და სურდეს, ეკუთვნოდეს იმ სოციალურ ჯგუფს, ან აიგივებდეს თავის თავს ისეთ პიროვნებასთან, რომელიც თავის სუბიექტურ წარმოდგენებში უმაღლებს თვითშეფასებას, ან ემხრობა მისი თავისებურებების ანდა სისტემატურად დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების რეალიზებას.

ახალ, საარსებო, გარემოსთან შეგუების წინაპირობების დაძლევის, ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული პრობლემისათვის თავის გართმევის, სხვა ინდივიდებთან კოლაბორაციისა და პიროვნების განსწავლული, შედეგზე ორიენტირებული მოღვაწეობის უნარების განმავითარებელი ცოდნის გადაცემის პროცესში, გადამწყვეტია ურთიერთობაზე, მოქმედებასა და ემოციებზე, სწავლის საქმიანობის გაუმჯობესებასა და შემდგომ გაფართოებაზე მიმართული მეთოდების შერჩევა.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისა და ნარკომანიით განპირობებული საზოგადოებრივი ზიანის შემცირებისათვის განმსაზღვრელია, მოზარდობის ასაკში ბავშვებთან ანტინარკოტიკული დაბალანსებული, ინტერაქტიური და რეგულარული სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის განვითარების, ინდივიდუალურ დონეზე დევიანტური მოქმედების ფაქტორების ადრეული გამოვლენის, აგრეთვე, ნარკომანიის რისკის მქონე ჯგუფების იდენტიფიცირებისა და დროული ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებებთან მიმართებით, ეროვნულ დონეზე ისეთი მახასიათებლების ობიექტური დადგენა და საერთაშორისო გამოცდილების საუკეთესო მაგალითების გათვალისწინებით, ქვეყნის საზოგადოების წინსვლის პროცესში ინტეგრირება, რომელთა შემთხვევითი სიდიდის ცვლილებას თან ახლავს ადიქციის მიზეზების მოქმედების სისტემატური შემცირება.

ამდენად, ნარკომანიის თავიდან არიდების კონტექსტში თანამედროვე ინდიკატორების გათვალისწინებით, ადგილობრივ სოციალურ სინამდვილეში არსებული სირთულეებისა და პრობლემების ეფექტიანი მართვის ღონისძიებების განვითარების წინაპირობების გამოსავლენად, ჩვენ მიერ სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი (ანკეტირების, საექსპერტო გამოკითხვის) და თვისებრივი (სიღრმისეული ინტერვიუს) მეთოდების გამოყენებით, პირველადი სოციო-ლოგიური ინფორმაციის შეგროვება განხორციელდა საქართველოს 8 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. კერძოდ, თბილისის, ახალციხის, ონის, ხონის, ფოთის, ლანჩხუთის, საგარეჯოს და ყვარლის მუნიციპალიტეტებში. რა დროსაც, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1293 რესპოდენტმა. კერძოდ: ანკეტირების მეთოდით გამოკითხა 1147 რესპოდენტი; საექსპერტო გამოკითხვის მეთოდით გამოკითხა 26 რესპოდენტი; ხოლო სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით გამოკითხა 120 რესპოდენტი და შერჩევითი ერთობლიობის (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების, მოსწავლეთა მშობლების, 7-12 კლასის მოსწავლეების, დირექციისა და ზოგადი განათლების საბაზო და/ან საშუალო საფეხურის კლასის დამრიგებლების, აგრეთვე ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების ნარკოლოგების, ფსიქიატრებისა და ნარკომანიის პრევენციულ ღონისძიებებში ჩართული სხვა პირების) მახასიათებლების აღწერის საფუძველზე, გენერალური ერთობლიობის ნარკოვითარებისადმი დამოკიდებულების ობიექტური შეფასების

ანალიზის შედეგებით დაზუსტდა და გამყარდა, აქამდე არსებული მონაცემები, რომ ქვეყანაში ნარკოტიკულიდევიანტობისდონეგანსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. ანგარიშგასაწევია, რომ ჩვენს კვლევაში მონაწილე სკოლის 7-12 კლასის 543 მოსწავლის 34%-ზე მეტი იცნობს ადამიანს, რომელსაც გამოუყენებია ნარკოტიკი და კვლევის პროცესში გამოკითხულთა ერთობლიობის შეფასებით, ნარკომანიის გავრცელების ძირითადი ფაქტორია სოციალურ გარემოში ინდივიდუალურ დონეზე თვითიდენტიფიკაციისა და თვითრეალიზების შესაძლებლობის, ამავე დროს, ღირებულებათა ათვისების დაბალი დონე და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ატიპიური მოხმარება გამორჩეულად გავრცელებულია გურიის, კახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის მხარეებსა და დიდ ქალაქებში. მათ შორის ბათუმის, თბილისისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში; ამასთანავე გამოვლინდა, რომ მიმდინარე პერიოდში, თანამედროვე მოთხოვნათა მიმართებით, აქტუალურია ისეთი საჭიროებების დაკმაყოფილება, როგორიც არის:

1. შედეგზე ორიენტირებული ნარკოტიკების არადანიშნულებით მოხმარების თავიდან არიდების წინასწარი ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზება;
2. საზოგადოებაში ბავშვთა უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების ცოდნის განვითარება და დევიანტობის პრევენციული პროგრამების განხორციელებაში ოჯახის, სკოლისა და მასმედიის სოციალური როლის ჩართულობის გაფართოება;
3. ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის კულტურის განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობაზე ზრუნვა;
4. დევიაციის რისკის მქონე ბავშვებისათვის საჭირო ფსიქო-პედაგოგიური მხარდაჭერისა და უსაფრთხო, ჯანსაღი ურთიერთობების განვითარების ხელშესაწყობად, სკოლის პერსონალის გადამზადება;
5. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, ბავშვთა საჭირო ჩართულობის სიძნელეების გამოვლენისა და დაძლევის დონის გაუმჯობესება;
6. ნარკომანიით დაავადებულ პირთა ადგილობრივი სარეაბილიტაციო სფეროების თანამედროვე მსოფლიოში არსებული პროგრესული გამოცდილებებით გაფართოება და ხარისხის გაზრდა. მათ შორის რესოციალიზაციის სისტემის ახალ საფეხურზე გადასვლა;
7. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ორგანიზებული მუშაობის ეფექტიანობის გაძლიერება;
8. ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირება ნარკომანიის პრევენციის მიმდინარე შედეგების შესახებ.

ჩვენი კვლევის შედეგებით აგრეთვე დადგინდა, რომ პიროვნების სოციალური იზოლირების, ინდივიდუალურ დონეზე დევიაციების ჩამოყალიბების ანდა გავრცობის ალბათობისა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარების განსაკუთრებულად დიდი მასშტაბით გამოწვეული, საზოგადოებრივი ზიანის შემცირების უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობის გასაზრდელად, ეროვნულ დონეზე აუცილებელია:

1. დევიანტობის ადეკვატური ამხსნელი ცოდნის ფართო მასებში გავრცელება;
2. სკოლებში სააღმზრდელო მუშაობის ფარგლებში, ბავშვების სოციალური უნარების სრულყოფაზე ორიენტირებული ნარკომანიის პრევენციული პროგრამის დაგეგმვა და ინტენსიური, ინტერაქტიური მეთოდით სწავლების განხორციელება;
3. ნარკომანიით დაავადებულ პირთა გამოჯანმრთელებისკენ, საზოგადოებრივი და შრომითი ინტეგრაციისკენ მიმართული სისტემის გაზრდა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
4. ნარკომანიის მკურნალობის პროცესში, პაციენტის მიერ დახმარების მიღების მოტივაციის გაძლიერების, აბსტინენციური მოვლენების კუპირების დროის მოთხოვნათა შესაბამისი საშუალებებისა და ამის გარდა, სარეაბილიტაციო და რესოციალიზაციის ეტაპების დამკვიდრება და მოწინავე მიდგომებით განვითარება;
5. ნარკოტიკული გამოცდილების მქონე ინდივიდებთან ფსიქოთერაპიული მუშაობისა და ცხოვრებისეულ დინამიკაში მათთან კომუნიკაციის დახვეწა;
6. სკოლებში, კეთილგანწყობილ გარემოში, აქცენტუირებული მოზარდების გამოვლენა, თავისებურებების ანალიზი და მათი სოციალიზაციის შესაძლებლობების გაფართოებისათვის, კლასთან შედეგზე ორიენ-

ტირებული სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინება;

7. ზოგადი განათლების სისტემაში შემოქმედებითი მიდგომებით აზრების, გრძნობების, დამოკიდებულებებისა და იდეების ურთიერთგაცვლა და კრიზისული სიტუაციების მართვა, სპეციალიზებული ანდა გადამზადებული პერსონალის, მოზარდებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობა;
8. სასკოლო საზოგადოებაში გარდამავალი ასაკის სკოლის მოსწავლეებთან და ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებებში სერვისების მიმღებ პირებთან მიმართებით, მათივე ცნობიერის დონეზე, დამოუკიდებლად რაიმეს კარგად გაკეთების ინდივიდუალური უნარის (ნიჭის) ამოცნობის ხელშეწყობა;
9. ნარკომანიით დაავადებულ პირთა მიერ, ნარკოტიკული თრობის მიმართ მოთხოვნილებით წარმოშობილი ქცევის მზაობის, მოქმედების ან უმოქმედობის ფიქსირებული განწყობების თვითშეცნობის პროცესის გაუმჯობესება და თვითკონტროლის პიროვნული რესურსის გაძლიერება;
10. მოზარდთა და ნარკომანიით დაავადებულ პირთა მიკუთვნების მოთხოვნილების სწორი მიმართულებით რეალიზებისა და ფუნქციურად მნიშვნელოვანი სოციალური სტატუსის მისაღწევად, ღირებულებითი ურთიერთობების გამოცდილების გადაცემის და ერთობლივი მოღვაწეობის ორგანიზების ფორმირება;
11. საზოგადოებრივ ტიპოლოგიურ კატეგორიებთან მოზარდთა და ნარკომანიით დაავადებულ პირთა მიერ საკუთარი იდენტობის იდენტიფიცირების სრულყოფისა და მათი თვითაქტუალიზაციის მხარდაჭერა. აგრეთვე, თვითრეალიზაციის შესაძლებლობის გავრცობა, გარემო პირობებთან ადაპტირებული სოციალურობის გაზრდილი მოტივაციით.

ინდივიდის პიროვნებაში მდგომარეობასა და შესაძლებლობას შორის არსებული წინააღმდეგობის გაწევის უნარის სათანადოდ რეალიზებისათვის, სოციალურ გარემოში მისი ადგილის სწორად გაგების წარმოდგენის ქონის აუცილებლობით, მიგვაჩნია, რომ ნარკომანიის შემცირების ღონისძიებების ეფექტიანობა მიღწევადია სამეცნიერო გამოცდილებით, სოციალურ გარემოში თვითიდენტიფიკაციის გაძლიერებითა და სრულყოფით, ინდივიდის ცნობიერის დონეზე ნარკოტიკების ატიპიური მოქმედების შესახებ ცოდნისა და ანტინარკოტიკული პოზიციების, აგრეთვე, სოციალური უნარების განვითარებით და ფსიქოსომატური კრიზისული სიტუაციის განმსაზღვრელი რისკფაქტორების ზეგავლენის შესამცირებლად, შემოქმედებითი მიდგომით ინფორმაციის გაცვლის, პიროვნული შესაძლებლობების მობილიზების, ამოქმედებისა და განვითარების მისწრაფებების ხელშეწყობის, საზოგადოებრივი პრაქტიკული სტრატეგიის შემუშავებითა და განხორციელების მექანიზმების ეფექტიანი კოორდინაციით.

დასკვნა

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდივიდის პიროვნება და სოციალიზაციის ხარისხი უმეტესწილად განისაზღვრება გარემოში არსებული მახასიათებლებით და ემპირიული სინამდვილე გავლენას ახდენს მის სოციალურ ორიენტირებზე და ქცევის ფორმების ჩამოყალიბებაზე.

ობიექტურ რეალობაში არსებული დევიაციის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური რისკფაქტორების თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვების სასწავლო-სააღმზრდელო და ნარკომანიით დაავადებული ადამიანების სარეაბილიტაციო პროცესში, თვითიდენტი-ფიკაციის სოციალური მოქმედების განვითარებით, ეროვნულ დონეზე მაღალი ალბათობით შემცირდება ინდივიდუალური პრობლემური დამოკიდებულების ჩამოყალიბების მასშტაბი და ხელს შეუწყობს ნარკომანიის პრობლემის მართვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Миллс Ч.Р. Социологическое воображение, пер. с англ. О.А. Оберемко; под общ. ред. и с предисл. Г.С. Батыгина, Москва, 2001
2. Кули Ч.Х. Социальная самость, Москва, Директ-Медиа, 2007
3. Мид Д.Г. Философия настоящего, Высшая Школа Экономики (ВШЭ), 2014

4. ბერძენიშვილი ა., ქეცბაია კ. თანამედროვე სოციოლოგიური დისკურსი (თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები), თბ., 2022
5. Вебер М. Основные понятия стратификации, Социологические исследования, 1994, №5
6. 6. Дюркгейм Э. Самоубийство: социологический этюд, Москва, 1994
7. Кон И.С. Социология личности, Москва, Политиздат, 1967
8. უზნაძე დ. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები, თბ., 1977
9. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბ., 2003
10. Linton R. The cultural background of personality, N. Y.: Appleton-Century Co., 1945
11. Hyman H. The psychology of status, Archives of Psychology, 1942, N269
12. Hyman H., Singer E. Readings in reference group theory and research, Free P., Collier-Macmillan, 1968
13. Merton R. K. Social theory and social structure, Glencoe, 1957
14. Гарр Т.Р. Почему люди бунтуют, СПб: Питер, 2005
15. Джордж Ритцер. Современные социологические теории, Москва, 2002

The protective feature of self-identification in relation to the circumstances of atypical use of psychoactive substances

Lasha Chekurishvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The nature of a person is determined by a stable system of properties of socially important unique mental regularities and, at the same time, characterizes the individual as a member of society and shows the transitions from the individual to the social and from the social structure to personal relationships and individual behavior.

Human personality, as a specific formation, is directly identified from one or another social factors and is socialized under the influence of society.

The models of human's actions are explainable in situation and this is explained by the knowledge determined by understanding and findings of social research in human's conduct regularities together with the decrease of consequences of reasons for causing problems and making real analysis of scientific argument, in some cases gives us possibility to set entirely eradication strategies and / or development.

Raising a psycho-somatically healthy and personally developed young generation, and, if necessary, correcting (re-educating) mistakes made, the effectiveness of education and social support mechanisms significantly determines the collection, processing and analysis of unbiased and complete local data necessary for planning, describing and drawing conclusions of such systemic actions. Based on this, by social institutions, at the individual level, the expansion of the possibility of fair assimilation of objective public values, self-determination and realization in civil society.

Self-identification is a strong factor in preventing the non-medical use of substances subject to special control among adolescents and the general population, taking into account the spread of knowledge and the effects of statistical correlation of variables with national social significance, with current outstanding experience of European states in universal (educational activities to prevent the unintended use of psychoactive substances by adolescents, development of necessary knowledge and skills in children), secondary (early detection of the causes of drug addiction and appropriate individual support) and selective (identification of groups at risk of drug addiction and working with them with special programs) prevention, also with the management of problems related to drug addiction and reduction of the harm caused by it on a particularly large scale.

Key words: socialization, personality, risks, limitation of deviation, resocialization.

ARCHEOLOGY

შავი ზღვა „ბიბლიური წარღვნა“ და ე. წ. პროკოლხური „დაკიბეული“ ნამოსახლარების კულტურა

მერაბ ძნელაძე, სტუ პროფესორი

ვაჟა სადრაძე, სტუ პროფესორი

გიორგი კვიტკველია, სტუ მაგისტრანტი

რეზიუმე

კოლხეთის დაბლობზე არქეოლოგიურად შესწავლილი ე.წ. „ტორფქვეშა'' ნამოსახლარების ტორფის ქვეშ მოქცევას პოლოცენში მიმდინარე ზღვის დონის მკვეთრ აწევას უკავშირებენ. ზემოაღნიშნულ პრეისტორიულ ხანაში გამყინვარების პერიოდის დასასრულს ჰოლოცენში ხდება დედამიწის კლიმატის ცვლილებები, შესაბამისად ოკეანეებში წყლის დონის აწევ-დაწევა. ამ მოვლენებთანაა დაკავშირებული ახალშავზღვიური ტრანსგრესიული და ფანაგორიული რეგრესიები, რომელიც შავი ზღვის დონის რყევას იწვევს. ეს პროცესები ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში ეტაპობრივად გრძელდება. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში ხდება მნიშვნელოვანი კატაკლიზმები ე.წ. „წარღვნა“ რომელმაც სრულიად დაფარა და ფაქტიურად გაანადგურა კოლხეთის დაბლობზე არსებული ნეოლითურ-ენეოლითური ხანის კულტურა, არ შევცდებით თუ ვიტყვით კოლხეთის პრეისტორიული ხანის ცივილიზაცია.

შავი ზღვის დატბორვის თეორია დღემდე ბურუსითაა მოცული. მეცნიერებს უჭირს ამ მოვლენების ახსნა თუ რა მოხდა დაახლოებით 5000 წლის წინათ. არსებობს მითები და ლეგენდები შავი ზღვის წარმოშობასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვადასხვა ერების ცნობიერებაშია დადასტურებული. მაგალითად, შუმერულ-აქადურ-ეგვიპტური ცნობები წარღვნის შესახებ.

მითები და ლეგენდები წარღვნასთან დაკავშირებით სხვადასხვა ეთნოგრაფიულ მხარეებში მოგვეპოვება. მაგალითად, სვანეთში, რაჭა-სამეგრელოსა და საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებში. როგორ შეიძლება მსგავსი მოვლენა ამოშლილიყო ადამიანთა მეხსიერებიდან ?

ამ მითებსა და ლეგენდებს ერთი ძირი გააჩნია და სწორედაც ეს იმ ხალხის ქვეცნობიერი მეხსიერებიდან მოდის, რომლებიც სახლობდნენ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე .

გვაფიქრებინებს, რომ მიწათმოქმედმა მოსახლეობამ ზეპირად, თაობიდან-თაობას გადასცა ეს მოვლენა. მითის სიმაღლეზე აყვანილი ეს ამბავი ჩაწერილი უნდა ყოფილიყო სამი ათასი წლის შემდეგ შუმერულ, შემდეგ ბაბილონურ და ბოლოს ბიბლიურ წყაროებში. წარღვნის უძველეს ისტორიებში სახელები განსხვავებულია, დაწერილია სხვადასხვა პერიოდებში. მაგრამ ყველა მათგანი დასაბამს 5000 წლის წინანდელი ბიბლიური წარღვნის მოვლენიდან იღებს. მესოპოტამიურ და ბიბლიურ ისტორიებს ბევრი ანალოგი აქვთ. ორივე შემთხვევაში ღმერთ(ებ)მა ადამიანების დასჯა გადაწყვიტეს წარღვნით, მარტო ერთი ოჯახი გადარჩა, რომელმაც კიდობანი ააშენა, შეიყვანეს ცხოველები, გადარჩნენ და შემდეგ გამრავლდნენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძალზედ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. შავი ზღვის ე.წ. „ბიბლიური წარღვნა'' ასახულია და დაცულია მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ლეგენდებსა და მითებში.

საკვანძო სიტყვები: „ბიბლიური წარღვნა“, ტრანსგრესიული და ფანაგორიული რეგრესიები, ნეოლითურ-ენეოლითური ხანის კულტურა.

შესავალი

შავი ზღვა ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი ხალხისთვის, რომლებიც სახლობდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილში. შავი ზღვის ნაპირებს სტუმრობდნენ ფინიკიელი ზღვაოსნები, რომლებიც ვაჭრობას ეწეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან, თუმცა არ დაგვიტოვეს წერილობითი დოკუმენტები არც თავიანთი მოგზაურობის და არც საკუთრივ ზღვის შესახებ.

ცნობილი ძველი ბერძენი პოეტის ჰომეროსის ეპოქაში მიწას გამოსახავდნენ ოკეანით შემოსაზღვრული დისკოს სახით. ხოლო შავი ზღვა ნახევრადჩაკეტილ ხმელთაშუაზღვასთან დაკავშირებულ ტბად მიიჩნეოდა.

ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში ბერძნები გაემგზავრნენ ახალი მიწების საძიებლად და უკანასკნელ ათწლეულებში ბოსფორის გავლით გავიდნენ შავ ზღვაში. ისინი მიემართებოდნენ ორი მიმართულებით: ჩრდილოეთისაკენ, სადაც აღმოაჩინეს მდინარეების ისტროსის (დუნაის), ტირასისა (დნესტრის) და ბორისთენესის (დნეპრის) შესართავები და აღმოსავლეთისაკენ - მცირე აზიის სანაპიროსა და კავკასიის ნაპირების გასწვრივ, სადაც მათი წარმოდგენით იყო მსოფლიოს პირი (ესქილესთან პრომეთე მიჯაჭვულია „მსოფლიოს პირას“ კავკასიონზე). მათი აზრით, კავკასიის გაღმა იწყება მსოფლიო, სადაც სახლობენ ფანტასტიკური არსებები. შემდეგ ბერძნებმა აღმოაჩინეს ყირიმის ნახევარკუნძული და აზოვის ზღვა. პირველი ცნობა შავი ზღვის შესახებ, ძვ. წ. აღრ. V საუკუნეს ეკუთვნის. სწორედ შავი ზღვით მოცურდნენ არგონავტები ხომალდით ოქროს საწმისის წასაღებად კოლხიდაში (კოლხეთში).

სურ(1)- შავი ზღვა ნეოლითის პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ შავ ზღვაში წყალი შავი არ არის, ძველთაგანვე, სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები, მას "შავს" ეძახდნენ. ზუსტად ცნობილი არ არის ვინ, როდის და რატომ დაარქვა, ან ასე რატომ აიტაცეს ეს სახელი. ამ საკითხთან დაკავშირებით, რამდენიმე ვერსია არსებობს.

მათ შორის, ყველაზე გავრცელებული ვერსიებია: ერთი ვერსიის მიხედვით, სახელი მას ძველმა ბერძნებმა დაარქვეს. ისინი შავ ზღვას — პონტ აქსინოს (ბერძ. Πόντος Ἄξενος) ეძახდნენ, რაც «არასტუმართმოყვარე ზღვა»-ს, ბნელ ანუ შავ ზღვას ნიშნავს. სავარაუდოდ, ეს სახელი ზღვამ იმით დაიმსახურა, რომ მასზე ზღვაოსნობა რთული იყო. მოგვიანებით, ზღვის სანაპირო ზოლი ბერძნებმა შეისწავლეს და მიმდებარე ტერიტორიების კოლონიზაცია მოახდინეს, მას პონტო ექსინოსი (ბერძ. Πόντος Εὔξενος, «სტუმართმოყვარე ზღვა») დაარქვეს.

ერატოსთენე თვლიდა, რომ შავი ზღვა მეტად პატარაა, რომელსაც ერთვის მრავალი მდინარე, რომლებსაც მასში შლამი ჩააქვთ. ამითივე ხსნიდა იგი შავი ზღვის წყლების დაბალ მარილიანობას. ერატოსთენეს რუკაზე შავი ზღვის მოხაზულობა შედარებით ზუსტად არის გამოსახული.

ძირითადი ნაწილი

ტორფქვეშა ნამოსახლარები დასავლეთ საქართველოდან

დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის პროტოკოლხური ეპოქის არაერთი ნამოსახლარია შესწავლილი. მათი ძირითადი ნაწილი თავმოყრილია ზღვისპირა ჭაობიან, სნაპირო ზოლში (ოჩამჩირე, ფიჩორი, გუძუბა, ნაკარღალი, ანაკლია I, II, ერგეტა ,,მამულიების'' დიხა-გუძუბა და სხვა). ძეგლების ერთი ჯგუფი ზღვისპირა დაბლობ ტერასაზე, ხოლო მეორე ბუნებრივ ბორცვებზეა (ჩაქვი, შემოქმედი, საკირე) გამართული. საყურადღებოა, რომ ჩრდილო-დასავლეთ და აღმოსავლეთ კოლხეთის ზოგიერთ ნამოსახლარზე (გუმისთა I, არგვეთი, ითხვისი, აჭანდარა, ჯიეთი) პროტოკოლხურთან ერთად თანაარსებობს მტკვარ-არაქსული და დოლმენური კულტურებისთვის დამახასიათებელი არტეფაქტები. ძვ.წ III ათასწლეულის მიჯნით თარიღდება კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი ადრეული მღვიმე-ნამოსახლარების საცხოვრებად გამოყენება. პროტოკოლხური კულტურის წრეში ექცევა მცირერიცხოვანი, მაგრამ მნიშვნელოვანი ძეგლები, რომელიც ტორფქვეშა ნამოსახლარების სახელწოდებითაა ცნობილი. ესენია: ისპანისა (ქობულეთი) და ონწყოშიას (ზუგდიდი) ძეგლები.

გეოსტრატიგრაფიული თვალსაზრისით მათ ჭოლიპას ნამოსახლარი (ლანჩხუთი) უკავშირება, რომელიც მათგან განსხვავებით არა ტორფის, არამედ ქვიშის ფენის ქვეშ იყო მოქცეული. ძეგლების გავრცელების ტოპოგრაფიის თვალსაზრისით საყურადღებოა შემოქმედის კათედრალთან, გორის კალთაზე აღმოჩენილი ნამოსახლარების ნაშთი, რომელიც ტორფქვეშა ნამოსახლარისთვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭელს შეიცავს. განსხვავებით ზღვისპირა ნამოსახლარები ზედაპირულად შეუმჩნეველია, დაძირულია და აქედან გამომდინარე რთული მისაგნებია.



სურ(2)- ნეოლითის პერიოდის დასახლებები შავ ზღვის ირგვლივ.

ისმის კითხვა: ე.წ. ტორფქვეშა ნამოსახლარის სახით რა ტიპის ძეგლთან გვაქვს საქმე: - ხელოვნურ ბორცვზე თუ პრეისტორიული ხანის დროინდელ ვაკეზე გამართულ ნამოსახლართან?

როგორც ცნობილია, ხელოვნური ბორცვები სტრუქტურულად ორგვარი წარმოშობისაა პირველი წარმოიქმნება კულტურული ფენების თანდათანობითი დაფენების შედეგად, რომელიც ასახავს ადამიანთა ხანგრძლივი ცხოვრების კვალს. მეორე ტიპის ბორცვები ხელოვნური წარმოშობისაა, მაგრამ მათ ტორფქვეშ ნამოსახლარებთან კავშირი არ ეძებნებათ. რაც შეეხება კოლხეთის დაბლობის ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებს ისინი ვაკე, გაშლილ ადგილებში იმართებოდა. ერთი აშკარაა, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ერგეტა IV) ნამოსახლარები არ იზვინებოდა. (რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი, 2005).

ამრიგად უნდა ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის დაბლობზე პროტოკოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი დასახლებები გამართული იყო

ვაკე ადგილებში და ძირითადად წარმოადგენდა ჯარგვალური ტიპის ნაგებობებს (ისპანი, ქვედა ჰორიზონტი).

ისპანის ზედა ჰორიზონტის შესწავლისას დადასტურდა ვერტიკალურად ჩარჭობილი ძელები, რომლებიც ხიმინჯებზე შემდგარ შენობებს დაუკავშირეს და მიმდებარე ტერიტორია იმდროინდელი დაჭაობებით ახსნეს. ისპანის შემსწავლელებმა, ზე-და ჰორიზონტში გამოვლენილი ძელები ხიმინჯებად მიიჩნიეს და ახალშავზღვური ტრანსგრესიით გამოწვეული წყლის დონის აწევას დაუკავშირეს. ასევე უძნელდებათ ნოხვამუზე (ქვედა ფენა) და ანაკლია II აღმოჩენილი ვერტიკალურად ჩარ-ჭობილი ძელების დანიშნულების გარკვევა. შესაძლოა მათ ხიმინჯების დანიშნულება ჰქონოდათ, რომ ზემოაღნიშნული სარები ჯარგვალური ტიპის ნაგებობების კედლებისა და იატაკის გასამაგრებელ ნაწილს წარმოადგენდა, მითუმეტეს, რომ ზოგიერთ ნამოსახლარზე ეს ფაქტი არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. (რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი, 2005).

როგორც ცნობილია, შუაბრინჯაოს ხანის მიწურულიდან ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე თანამეროვე დონესთან შედარებით შავი ზღვა 5 მეტრით დაბლა იწევს და კოლხეთის დაბლობზე ხელსაყრელი პირობები იქმნება. ბუნებრივია ამ დროს დატბორვა-დაჭაობებას მოსახლეობა შედარებით ნაკლებად უნდა შეეწუხებინა თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ვერტიკალურად ჩარჭობილი ბოძების ხიმინჯებად გამოყენება არ უნდა გამოირიცხოს.

კოლხეთის დაბლობში გათხრილი პრეისტორიული ხანის ნამოსახლარებზე მოპოვებული კერამიკული მასალებში დასტურდება სწორპირიანი და ცილინდრულტანიანი ქილები, ქოთნები, შედრეკილძირიანი საშუალო და მცირე ზომის სასმისები, ზოგადად ტლანქად, იშვიათად კარგად განლექილი თიხისგან დამზადებული ჭურჭელი, რომლებსაც სხვადასხვა ფორმისა და ზომის ყურები ახასიათებთ. დეკორი შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი. ამ მასალებთან ერთად, ზოგიერთ ნამოსახლარზე მტკვარ-არაქსულთან ერთად ყავისფერი ან ვარდისფერსარჩულიანი შავად ნაპრიალები თიხის ნაწარმიც დასტურდება.

ვფიქრობთ, რომ ამ ნამოსახლარებიდან მომდინარე თიხის ჭურჭელი ფაქტურის, გამოწვის, ფორმისა და დეკორის მიხედვით იდენტურია. კერამიკის ფორმალურ-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე სავარაუდოდ ეს ძეგლები პროტოკოლხური კულტურის უადრეს შრეს უნდა განეკუთვნებოდეს, შავი ზღვის მკვეთრი ტრანსგრესიული ქმედების შედეგად 100-150 მ. სიმაღლის წყალმა დაფარა.

ონწყოშიას ტორფქვეშა ნამოსახლარი მოპოვებული მასალის საფუძველზე უფრო ახლოს დგას მდ. ენგურის აუზში შესწავლილი ნამოსახლარების პროტოკოლხურ თიხის ნაწარმთან და წინასწარული მონაცემების საფუძველზე ძვ.წ. IV-III ათასწლეულით უნდა დათარიღდეს. (ვ. სადრაძე, ლ.ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, 2007: გვ.24-32).

აღსანიშნავია, რომ პროტოკოლხური კულტურის წრისათვის დამახასიათებელი ნამოსახლარების მასალები ბრინჯაოს მეტალურგიის მაღალ დონეზე მიგვანიშნებს (ისპანის ნამოსახლარზე მოპოვებული ყუამილიანი ცულის ფრაგმენტები, თიხის ტიგელი, საქშენი მილები, ჭოლიპას ყუნწიანი სატევარი და სხვა. იგივე დასტურდება ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII-VII ჰორიზონტებიდან მომდინარე მასალების მიხედვითაც (ყუამილიანი ცულის, თოხისა და სხვადასხვა ნივთის დასამზადებელი ყალიბები, ბრინჯაოს თოხები და მეტალურგიული წარმოების ნარჩენები). განსაკუთრებით საყურადღებოა ისპანის ადრეულ ფენაში აღმოჩენილი ყუადაქანებული ცულის ხის მოდელი, რომლის ზუსტი ანალოგი ჩვენთვის უცნობია.

დასკვნა

ამრიგად, როგორც ჩანს ბიბლიურ მოთხრობებსა და საზოგადოებაში გავრცელებულ ლეგენდებს წარღვნის შესახებ საფუძვლად უნდა დასდებოდა რეალური, სინამდვილეში მომხდარი მოვლენები. მოულოდნელ, ძლიერ და მძაფრ წყალდიდობას უნდა აეძულებინა მაცხოვრებლები დაეტოვებინათ შავი ზღვის სანაპირო. წყალდიდობის შედეგად მტკნარი ტბა მარილიან შავ ზღვად ჩამოყალიბდა.

ეყრდნობოდნენ რა ნალექებისა და ნიჟარების ანალიზს, დაასკვნეს რომ, წყალდიდობა უნდა მომხდარიყო დაახლოებით 7500 წლის წინ და რომ ძველი ტბის დონე ზღვის ზედაპირიდან 150 მეტრზე ქვემოთ მდებარეობდა. 1999 წელს, ამ კონცეფციის დასაზუსტებლად ბალლარდმა შეისწავლა სინოპის (თანამედროვე თურქეთი) მიდამოები. სონარის მითითებულ ადგილას გამოვლენილი ნიჟარები ამ ჰიპოთეზას ადასტურებენ. მეტიც, აღმოჩნდა ნეოლითური არქეოლოგიური ძეგლები (ძვ.წ. V- IV ათასწლეული).

დადასტურდა ხის ბოძები, ლამში სანახევროდ ჩაფლული სწორკუთხა ბლოკებით ნაგები დანგრეული შენობა და მაცხოვრებლის მიერ „წარღვნის“ წინ წარმოებული არქეოლოგიური

მასალა. ამ თვალსაზრისით შავი ზღვა და ზღვის გარშემო მცხოვრებთა მახსოვრობა ინახავს იმ კატაკლიზმებს, რომელიც ასახულია უძველეს მითებსა და ლეგენდებში. (ვ. სადრაძე, ლ.ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, 2007:გვ. 24-32).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ კერამიკულ ნეოლითსა და ადრე ბრინჯაოს ეპოქებს შორის უნდა არსებულიყო - ლაკუნა, როცა მოხდა მტკნარი ტბის მარილიან, შავ ზღვად გადაქცევა.

სურ(3)- ხის ძელები ტორფქვეშა ნამოსახლარიდან

ლიტერატურა:

1. რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი,კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, ერგეტა, თბ., 2005;
2. ლ.ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია: ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის მიხედვით, თბ., 1997
3. ა.ინაიშვილი, მასალები ისპანის ძველი სამოსახლოდან. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1972წ., თბ., 19732.
4. რ.პაპუაშვილი, ტორფქვეშა ნამოსახლარი ონწყოშიაში, ძიებანი N-10, თბ.,2002.
5. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ., 2007
6. ვ. სადრაძე, ლ.ჯიბლაძე, რ.პაპუაშვილი, პროტოკოლხური ნამოსახლარების შესწავლის საკითხისთვის. გურია, V, 2007 წ., გვ.24-32
7. მ.ბარამიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში. სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი. თბ., 1998, გვ.59
8. ა.ინაიშვილი, მასალები ისპანის ძველი სამოსახლოდან საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1972წ. თბ., 1973, გვ.15;
9. რ. პაპუაშვილი, ტორფქვეშა ნამოსახლარი ონწყოშიაში, ძიებანი №10, თბ.,2002, 3335-37
10. . ვ.საღრაძე, მ.ძნელაზე, ე.გოგუაძე, რ.დავლიანიძე, ბ,მურვანიძე, კ.კალანდაძე, ზ. კალანდაძე, თ.ჭანიშვილი, ნ.მგელაძე, კ. წერეთელი. არქეოლოგიური კვლევა ძიება გურიაში 1991-1994 წწ. გურია I, თბ., 1996, გვ.22-40
11. გ. ფხაკაძე, უნეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში, სიქართველოს არქეოლოგია II, თბ., 1992, გვ.263
12. Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, Т. 2 : Тб, 1950
13. . Бжання в.. Поселення Очамчирской культуры в горах Абхазии, Кавказ и восточная , Европа в древности, М., 1976წ., გვ.66-70
14. ჟან-კლოდ დიუპლესი „Le Monde la Bible", N133, 2001, მარტი, გვ.58
15. Петко Димитров, Димитр Димитров, Черное море, потоп и древние мифы, Варна, 2008.

სურ(4)- საცხოვრებელი სახლის გეგმა (სინოპი).

სურ(5) -6. კერამიკული ჭურჭელი (სინოპი).



სურ(7)- საცხოვრებლის გეგმა (თურქეთი).



სურ(8)- საცხოვრებლის გეგმა (თურქეთი).

Black Sea "biblical flood" and So-called ProtokolkhiCulture of "Sunk" Settlers

Merab Dzneladze, Professor. stu

Vazha Sadradze, Professor. stu

Giorgi Kvirkvelia, tudent, Master

Summary

On the plain of Kolkheti, archaeologicaly studied so-called submergence of "peat" settlements under peat is associated with the sharp rise of the sea level in the Holocene.At the end of the glaciation period in the above-mentioned prehistoric age, there are changes in the earth's climate, accordingly, the water level in the oceans rises and falls in the Holocene.New Black Sea transgressive and phanagoria regressions are related to these events, which cause fluctuations in the level of the Black Sea.These processes in B.C. V-IV millennia continues gradually.It seems that important cataclysms occur in this period. The "flood" which completely covered and literally destroyed the culture of Neolithic-Eneolithic age on the Kolkheti plain, we will not be mistaken if we mention it as the civilization of prehistoric age of Kolkheti. The theory of flooding of the Black Sea is still shrouded in mist. Scientists have a hard time explaining these events to what happened about 5000 years ago. There are myths and legends about the origin of the Black Sea, which are confirmed in the consciousness of different nations. For example, Sumerian-Akkadian-Egyptian accounts of the flood.

Myths and legends related to the flood can be found in various ethnographic areas. For example, in Svaneti, Racha-Samegrelo and other historical regions of Georgia. How can such an event be erased from people's memory?

These myths and legends have one root and it comes from the subconscious memory of the people who lived in the territory of ancient Kolkheti.

It makes us think that the farming population passed this event on from generation to generation orally. This story, raised to the height of myth, should have been recorded three thousand years later in Sumerian, then Babylonian, and finally biblical sources. In the ancient stories of the flood, the names are different, written in different periods. But all of them date back to the biblical flood event of 5000 years ago. Mesopotamian and biblical stories have many parallels. In both cases the god(s) decided to punish the people with a flood, only one family survived, who built an ark, took in animals, survived and then expanded.

There exist very little information concerning this issue.So-called Black Sea "biblical flood" is reflected and preserved inthose peoples'legends and myths who lived in the surrounding area.

Key words: "Biblical flood", Transgressive and Phanagoria Regressions, Neolithic-Eneolithic Epoch Culture

ადრე შუა საუკუნეების ვაშნარის ნაქალაქარი ბოლო წლების მონაცემების მიხედვით

ზურაბ გითრგაძე, სტუ დოქტორანტი

ხელმძღვანელი: ვაჟა სადრაძე, სტუ პროფესორი

რეზიუმე

ვაშნარის ნაქალაქარი გურიის მხარეში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. გურიანთის ტერიტორიაზე მდებარეობს. კულტურული მემკვიდრეობის ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ძეგლი ადრე შუა საუკუნეებში (IV-VIII სს.), დღევანდელი გურიის ტერიტორიის კულტურულ-პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. ამის თქმის საფუძველს ადგილზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები იძლევა.

ზღვასთან სიახლოვის გამო გურიის ტერიტორია და მით უფრო, მისი სანაპირო ზოლი ანტიკური ხანიდან გამოიყენებოდა ვაჭრობის მიზნით, რასაც ბერძენ ავტორთა მიერ არც თუ იშვიათი მოხსენება ადასტურებს. გურიის ტერიტორიაზე არსებული და სხვა მდინარეების საშუალებით ანტიკური ხანიდან რომის აღმოსავლეთი პროვინციები დასავლეთ საქართველოს უკავშირდებოდა. ამ გზით გაჰქონდათ ბიზანტიელებს სხვადასხვა ნედლეული კოლხეთიდან და შემოჰქონდათ სხვადასხვა სახეობებისა და დანიშნულების ნაწარმი.

ვაშნარის ნაქალაქარი, წარმოადგენდა რა ადრე შუა საუკუნეების „გურიის ქვეყნის“ უმნიშვნელოვანეს რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრს, ბუნებრივია, ზემოაღნიშნულ სავაჭრო-კულტურულ სქემაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო, როგორც მისი მასშტაბებით, ასევე ხელსაყრელი მდებარეობითა და სტრატეგიული დანიშნულებით.

წარმოდგენილ სტატიაში მოკლედ არის განხილული ვაშნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი არქიტექტურული ობიექტები, გადმოცემულია ნაქალაქარის შესწავლის ისტორია და მისი დღევანდელი მდგომარეობა ბოლო წლებში განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები.

შესავალი

მოცემული სამეცნიერო სტატია ეძღვნება გურიის მხარის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლის, ვაშნარის ნაქალაქარის შესწავლის ისტორიას და დღევანდელ მდგომარეობას, ასევე ბოლო წლებში განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებს.

სამეცნიერო სტატიაში განხილულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მიკვლეული და ნაწილობრივ, გამოქვეყნებული არტეფაქტები, ასევე ბოლო წლების ახალი აღმოჩენები და მომავალი კვლევების უმნიშვნელოვანესი საკითხები.

შეძლებისდაგვარად, სტატიაში თავმოყრილია ვაშნარის ნაქალაქარის შიდა ციხეში შესწავლილი ძეგლები, რომელთა საფუძველზეც დასავლეთ საქართველოს შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი უნიკალური საფორთიფიკაციო სისტემაა წარმოდგენილი.

ძირითადი ნაწილი

ვაშნარი, სპონიეთი - ადრეული შუა საუკუნეების (V-VIII სს.) ციხე-ქალაქი გურიის მხარეში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. გურიანთის ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი მდინარეების სკურდუმის და ნატანების ხერთვისში, გაშლილ ადგილას, ოდნავ შემაღლებულ ბაქანზეა გამართული. ვაშნარი სამი მხრიდან დაცული იყო ფლატენაპირიანი მდინარეებით, ხოლო აღმოსავლეთიდან გამაგრებული იყო ქვითკირის მტკიცე ორმაგი გალავნით.

გურიის მხარეში მდებარე ადრე შუა საუკუნეების ვაშნარის ნაქალაქარი ჯერ კიდევ XIX ს. 30-იანი წლებიდან მოექცა ფართო ყურადღების ქვეშ. 1831 წელს შვეიცარიელმა მოგზაურმა და მკვლევარმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ სხვა ძეგლებთან ერთად მოინახულა და აღწერა ვაშნარი. საინტერესოა მისი ცნობები ვაშნარის ნაქალაქარის შესახებ (დიუბუა დე მონპერე, 1839-1843:6-90).

იმავე ხანებში იმოგზაურეს გურიაში იოჰან გიულდენშტედტმა, ჟაკ ფრანსუა გამბამ და სხვებმა, მათი ინტერესის მნიშნელოვან ნაწილს სწორედ გურია მოიცავდა.

1873 წელს ვაშნარში არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად, კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ ფ. ბაიერი მიავლინა, თუმცა, როგორც ჩანს, გათხრები არ ჩატარებულა.

1873 წელს რუსეთის საიმპერატორი მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივითა და დავალებით გურიაში იმოგზაურა ცნობილმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი ბაქრაძემ (ბაქრაძე დ., 1987:233). ძეგლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მეცნიერი ასაბუთებდა ვაშნარში არქეოლოგიური სამუშაოების დაწყების აუცილებლობას (კრებული გურია, V. 2007:7). მნიშვნელოვანია თედო სახოკიასა და ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული ექსპედიციები გურიაში. მით უფრო, რომ მათ მიერ აღწერილი ეკლესიებისა და საეკლესიო ნივთების უმეტესი ნაწილი დღეს ან დაკარგულია ან ძლიერაა დაზიანებული (სადრაძე ვ., 2003:7).

გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს, ვაშნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, სამწუხაროდ, გადაწყდა ჩაის ფაბრიკის მშენებლობა. ცნობილი არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი მოკლედ გადმოგვცემს ძეგლზე არსებულ ვითარებას: „ისტორიის ინსტიტუტი (დირექტორი აკად. ნ. ბერძენიშვილი) იძულებული გახდა განზრახულზე უფრო ადრე შედგომოდა ვაშნარის გათხრებს, რადგანაც იქ დაიწყო ჩაის ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც ძეგლს დაზიანებით ემუქრებოდა“ (გობეჯიშვილი გ., 1949:154).

ძეგლის ბედით შეწუხებული საისტორიო საზოგადოება ეცადა მის გადარჩენას, თუმცა სამწუხაროდ, ძეგლი მნიშვნელოვან დაზიანებას მაინც ვერ გადაურჩა. ერთადერთი შეღავათი ის გამოდგა, რომ 1949 წელს ადგილზე ჩატარდა გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები, რა დროსაც ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. გობეჯიშვილი) შეისწავლა ნაქალაქარის ტერიტორიაზე მდებარე ბაზილიკა, მარტირიუმი, ციტადელის აღმოსავლეთი კედლის ერთი ნაწილი, ოთხკუთხა კოშკები, სამარხები მარტირიუმსა და ტაძარში, სამაროვანი ტაძრის სამხრეთით, კოლექტორი და სხვ. აღნიშნული არქეოლოგიური სამუშაოების ამსახველი ანგარიში არქეოლოგმა გ. გობეჯიშვილმა 1952 წელს გამოაქვეყნა (გობეჯიშვილი გ., 1949:154-156; გობეჯიშვილი გ., 1952).

1949 წელს ვაშნარის ნაქალაქარზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ (მათზე დაყრდნობით), 1961 წელს გამოქვეყნდა მკვლევარ ვ. ლექვინაძის სპეციალური გამოკვლევა, რომელიც ვაშნარის ნაქალაქარის ცენტრალური ნაგებობების (ბაზილიკა, მარტირიუმი, გალავანი) შესწავლას და მის დათარიღებას მიეძღვნა (Леквинадзе В.А., 1961:151-164; Леквинадзе В.А., 1972:309-323).

1963 წელს ისტორიის ინსტიტუტის გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი) სუფსა-ნატანების ორმდინარეთში საძიებო და გათხრითი სამუშაოები გააგრძელა და სოფ. ხვარბეთსა და გურიანთაში ძველი და ახალი ქვის ხანის სადგომებს მიაკვლია. იქვე აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები და მეტალურგიული სახელოსნოები, ანტიკური ხანის მასალების შემცველი კულტურული ფენები ციხისფერდსა და გოგორეთში (სადრაძე ვ., 2003:9).

1965 წელს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ა. ინაიშვილი) სოფ. გურიანთაში განაახლა ვაშნარის ნაქალაქარის გათხრები, ნაწილობრივ შეისწავლა სასიმაგრო სისტემა და შეადგინა ნაქალაქარის სიტუაციური გეგმა.

ვაშნარის ნაქალაქართან დაკავშირებით ცნობილი არქეოლოგი გ. ლომთათიძე წერს: „...თუ გავიხსენებთ, რომ თითქმის არც ერთ იმდროინდელ ნაქალაქარში არ გვხვდება ესოდენ დახვეწილი ოსტატობით ნაშენი და შემკული საკულტო ნაგებობა (მას ვერ შეედრება ვერც უჯარმისა და ვერც ნოქალაქევის საყდრები, ბოლნისის სიონზე რომ აღარა ითქვას რა. ამ მხრივ ბიჭვინტის მოზაიკიანი ტაძარი ან ციხისძირში ახლახან გამოვლენილი ტაძარი თუ ამოუდგებიან მას მხარში), უფლება გვექნება, წარმოვიდგინოთ, რომ ის, რასაც ახლა ვაშნარის სახელით ვიცნობთ, მართლაც ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრთაგანი ყოფილა ადრეულ ეგრისისა. მეტადრე თვალსაჩინოა მშენებლობის მაღალი დონე; ძლიერ მტკიცე კირის დუღაბი, საუცხოოდ გამომწვარი აგური და კრამიტი, ასევე თლილი და ნაჩუქურთმევი ქვა, აგურნარევი ქვიშის გამოყენება იატაკებისათვის, კედლების ძირში ჩაფლული კერამიკული წყალსადენი და სხვ. ბუნებრივია, რომ აქაც ვხედავთ აგურ-კვადროვან წყობას, სხვაფრივ კი (კვადრების ზომა-მოყვანილობით, მკაცრად ჰორიზონტული წყობით) ვაშნარის ნაშენობა საკმაოდ მოგვაგონებს უჯარმისას“ (კრებული გურია, II, 1997:67-68).

1991 წელს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბაზაზე გურიის მუდმივმოქმედი ექსპედიცია შეიქმნა. აქედან მოყოლებული, ხსენებული ექსპედიცია (ხელმძღვანელი ვ. სადრაძე), მინიმალური დაფინანსების ხარჯზე მაინც მუდმივად ახერხებს გურიის მხარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების გადარჩენას, შესწავლასა და პოპულარიზებას.

1992 წელს გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ვაშნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ბაზილიკასთან და მის მიმდებარედ მცირე მოცულობის

არქეოლოგიური გათხრები აწარმოა (კრებული გურია, I, 1996:30).

2016 წლიდან მოყოლებული (2016, 2018, 2020 და 2022 წლების გათხრების სეზონი) ვაშნარის ნაქალაქარის მეცნიერული შესწავლას ფინანსურად მხარს უჭერს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. შემსრულებელია გურიის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ექსპედიციის ხელმძღვანელი ვ. სადრაძე).

ვაშნარის ნაქალaქარზე სხვადასხვა დროს გამოვლენილი და ნაწილობრივ შესწავლილია რიგი უმნიშნელოვანესი არქიტექტურული ძეგლები. მათ შორის აღსანიშნავია ტაძარი და მოწამის განსასვენებელი - მარტირიუმი.

ნაქალაქარზე გათხრილია სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც დღეს სამწუხაროდ, მიწის დონემდეა მოსწორებული (საკურთხევლის აბსიდის გარდა), ტაძრის საკურთხევლის იატაკი მარმარილოს ფილებით ყოფილა მოპირკეთებული. ბაზილიკას სამი მხრიდან გარსშემოსავლელი დერეფანი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ბაპტისტერიუმი ჰქონდა მიშენებული. ტაძარში შესასვლელი კარი დასავლეთ კედელში ყოფილა გაჭრილი. როგორც ჩანს, სალოცავი კრამიტით იყო გადახურული. საკურთხევლის აბსიდის კედლები ამოყვანილია ბაზალტის კვადრებისა და კვადრატული აგურის სარტყელების მონაცვლეობით და კირხსნარითაა შემაგრებული.

ბაზილიკის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთის გალავნის გასწვრივ გამოვლინდა ნაგებობა, რომელსაც ორმაგი კედელი გააჩნია ისე, რომ ზედხედში ამ ნაგებობას კვადრატში ჩასმული კვადრატის ფორმა აქვს. დიუბუა დე მონპერეს აზრით იგი სპარსული ათეშგა იყო, დიმიტრი ბაქრაძის მიხედვით კი, ეს იყო აბანო.

ნაგებობა ორსართულიანი ყოფილა, რომლის ქვედა სართული ღორღით ყოფილა ამოვსებული და თავისებურ კვარცხლბეკს წარმოადგენდა. ზემოდან ოთხსენაკიანი მეორე სართული ედგა. იქვე გამოვლინდა თიხის სარკოფაგი, სვეტისთავები, იმპოსტები და კორინთული ტიპის რვა სვეტისთავი, რომლებიც შემკულია აკანთის ფოთლის და ვოლუტების (ხვიების) გამოსახულებით. შენობაში თეთრი მარმარილოს სვეტები და ამოღარული მარმარილოს ფილა დაფიქსირდა. შენობა გარედან თლილი ქვით იყო მოპირკეთებული.

ზემოხსენებული ნაგებობა, მკვლევართა აზრით, „სამლოცველოს“ წარმოადგენდა. არის მოსაზრება, რომ ზემოხსენებული ნაგებობა წარმოადგენს სვეტებიან მარტირიუმს, მოწამის განსასვენებელს (სადრაძე ვ., 2003:35-36).

2016 წლის სამუშაოების მიზანი იყო 1949 წელს ნაწილობრივ შესწავლილი ნაქალაქარის ნაწილის - ბაზილიკის, გალავნისა და კოშკების გაწმენდა, ასევე ძველი განათხარისა და გეგმის დაზუსტება. ყოველივე ეს ემსახურებოდა მომავალში სტაციონარული გათხრების განხორციელებას, გამოვლენილი ძეგლების გადარჩენას, დაცვას და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას.

სეზონის განმავლობაში ნაქალაქარის ტერიტორია გაიწმინდა ხე-მცენარეებისგან, ასფალტის საფარისა და ბეტონის კედლებისგან; ასევე გაიწმინდა ბაზილიკა, მარტირიუმი და კოშკები; მოხდა ზედაპირულად მათი კონტურების ხელმეორედ გამოვლენა; ბაზილიკის აღმოსავლეთით 1 მ სიგანის, 70 მ სიგრძის და 1 მ სიღრმის სადრენაჟო თხრილი გაიჭრა; აიგეგმა გაწმენდილი ტერიტორია, ძველი და ახალი მონაცემების შეჯერებით დაზუსტდა სამშენებლო დონეები, ძეგლების ურთიერთმიმართება და სხვ.

2018 წლის საანგარიშო სეზონში ნაქალაქარზე განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: აღდგა კვადრატების ბადე; გაიწმინდა 1949 წელს გამოვლენილი ბაზილიკისა და მარტირიუმის შემორჩენილი ნაწილები. ხელმეორედ გაითხარა ორივე სათავსოს შიდა სივრცე. გაიწმინდა, რის შედეგად გამოვლინდა იატაკი, რომელიც შედგენილია საშუალო ზომის რიყის ქვებისაგან და ჰიდრავლიკური ხსნარითაა შემაგრებული; პრეპარაცია ჩაუტარდა ადრე გამოვლენილ ცალკეულ დეტალებს - გაიწმინდა კანკელისა და პორტიკის ნაშთები; გამოვლინდა გვიან მიშენებული არქიტექტურული დეტალები, გაიწმინდა მარტირიუმი; გაითხარა ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილი გალავნის ნაშთი, რომელიც ტექნიკის მიერ ძლიერ იყო დაზიანებული; ნაქალაქარის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ნატანების მარცხენა ნაპირზე, ადგილ სპონიეთში განხორციელდა სადაზვერვო სამუშაოები, ეკალბარდების გაკაფვის შემდეგ, გამოვლინდა მცირე ზომის ეკლესიის ნაშთები, რომლის გარშემო დაფიქსირდა ეკლესიის კედლების ნანგრევები და სხვადასხვა არქიტექტურული დეტალი.

2020 წლის საანგარიშო სეზონზე ვაშნარის ნაქალაქარზე წინა წლებში გათხრილი და დროებით დაკონსერვებული ვაშნარის ბაზილიკა გაიწმინდა; ბაზილიკის ჩრდილოეთით არსებული, წინა წლებში ნაწილობრივ შესწავლილი და

დროებით დაკონსერვებული მარტირიუმის დაღრმავება, გათხრა-პრეპარაცია შესრულდა; ბაზილიკის დასავლეთი შესასვლელის - კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიის ჰუმუსოვანი ფენა მოიხსნა და ტერიტორია გაითხარა; ბაზილიკის დასავლეთით 12-15 მ. დაშორებით, დამხმარე ნაგებობების ნაშთების გამოვლენის მიზნით ოთხი სადაზვერვო თხრილი გაიჭრა; სეზონის დასარულს განხორციელდა განათხარი ფართობების ნაწილობრივი კონსერვაცია (მოხდა მიწით სავსე ტომრებით ძეგლის დაკონსერვება).

2022 წელს ვაშნარის ნაქალაქარზე გაითხარა და სრულად გაიწმინდა წინა წლებში გათხრილი და დროებით დაკონსერვებული ვაშნარის ბაზილიკა, მარტირიუმი და სამხრეთისა და ჩრდილოეთის კოშკები.

გაითხარა და პრეპარაცია ჩაუტარდა შიდაციხის ტერიტორიაზე, ბაზილიკის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილ, ციტადელის სამხრეთ-დასავლეთით გალავნის ნაწილსა და ქვაყრილიანი ნაგებობების ნაშთებს. მიუხედავად 1949 წელს მთელი ტერიტორიის ნიველირებისა, რაც საბჭოთა რეჟიმის მიერ ნაქალაქარის მოსწორებას მოჰყვა, იქ არსებული საქალაქო ინფრასტრუქტურისთვის დამახასიათებელი არქეოლოგიური ობიექტების სამომავლოდ გამოვლენა სავსებით შესაძლებელია. ასევე შესაძლებელია ბაზილიკის გარშემო არსებული სამაროვნის გავრცელების არეალის შესწავლაც.

სამუშაოთა პროცესში გამოვლინდა და პრეპარაცია ჩაუტარდა ბაზილიკისა და მარტირიუმის ჩრდილოეთით მდებარე ოთხკუთხა კოშკს. აღმოჩნდა, რომ საბჭოთა რეჟიმის მიერ ვაშნარის ნაქალაქარზე აშენებული ჩაის ფაბრიკის კომპლექსში შემავალი ერთ-ერთი შენობა (სასადილო) უშუალოდ კოშკის ჩრდილოეთ კედელზე იყო დაშენებული, რამაც ადრეული შუა საუკუნეების ძეგლის ეს საყურადღებო მონაკვეთი ცხადია, ნაწილობრივ დააზიანა და მისი პირვანდელი სახით, სრულყოფილი აღქმა შეუძლებელი გახადა.

2022 წლის სიახლე იყო ასევე ნაქალაქარის ცენტრალური ნაწილის დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში გამოვლენილი, დღემდე უცნობი კედელი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთი კოშკის ჩრდილოეთ ნაწილზეა მიბჯენილი და ბაზილიკის სამხრეთით მიემართება. სამომავლოდ, იგეგმება მისი სრულად გათხრა, რათა გაირკვეს მისი გავრცელების არეალი და ფუნქციონალური დანიშნულება.

არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობისგან წლებია, დასმულია საკითხი ნაქალაქარის შიდა ციხის ნაწილის შემოღობვის შესახებ, რაც ახლო მომავალში, გურიის მხარისა წარმომადგენლობისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ განხორციელდება.

დასასრულს, განათხარი ტერიტორია ქვიშით შევსებული ტომრებით და ცელოფნით დაიფარა (დროებით დაკონსერვდა).

ზემოხსენებული ყოველი საანგარიშო წლის (სეზონის) განმავლობაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები ჩაბარდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს („გურიანთა-ვაშნარის ნაქალაქარის 2012018-2020-2022 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი).

დასკვნა

ამრიგად, როგორც აღინიშნა, სტატიის კვლევის ობიექტი და საგანი ადრე შუა საუკუნეების ნაქალაქარი ვაშნარ-სპონიეთია, რომლის შიდაციხის ძირითადი ნაწილი (ბაზილიკა, მარტირიუმი და საგალავნო სისტემა) მეტ-ნაკლების სისრულით არის შესწავლილი, თუმცა მთლიანი ნაქალქარის სრულყოფილი აღქმა კვლავ მომავალი კვლევის შედეგებზეა დამოკიდებული.

სტატიაში შეძლებისდაგვარადაა განხილული ვაშნარის ნაქალაქარის, ამ ძალზედ საინტერესო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შესახებ დღემდე გამოქვეყნებული ინფორმაცია, ასევე განხილულია ბოლო წლების აღმოჩენათა მონაცემები და სამომავლო შესწავლის რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

ვაშნარის ნაქალაქარზე განხორციელებული ბოლო წლების არქეოლოგიური გათხრების კვლევის შედეგების საფუძველზე დაზუსტდა ნაქალაქარზე შესწავლილი ძეგლების სტრატიგრაფია, შიდაციხის გალავნის, მარტირიუმის, ბაზილიკისა და კოშკების ურთიერთმიმართება.

ვაშნარის ნაქალაქარის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ტერიტორიაზე არსებული, აწ უკვე დანგრეული ჩაის ფაბრიკის შენობებისა და მცირე საცხოვრებელი კორპუსების ქვეშაა მოქცეული. შესაბამისად, დღის სინათლეზე ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსატანი, რაც ცხადია, სამომავლო სამეცნიერო შესწავლის საფუძველზე უნდა გაირკვეს.

მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები პრაქტიკული მნიშვნელობისაა. მათი გამოყენების საფუძველზე შესაძლებლობა ექნებათ დაინტერესებულ საზოგადოებას, მკვლევარებსა და სტუდენტ

ახალგაზრდობას, გააანალიზონ და წარმოდგენა შეიქმნან ადრე შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრების, ურბანისტული განვითარების მთელ რიგ საკითხებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ., „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ)“, ბათუმი, „საბჭოთა აჭარა“, 1987
2. გობეჯიშვილი გ., „არქეოლოგიური გათხრები ვაშნარში“, თბ., 1949
3. გობეჯიშვილი გ.,„არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952
4. „გურიანთა-ვაშნარის ნაქალაქარის 2016, 2018, 2020, 2022 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი
5. კრებული გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, I, თბ., 1996
6. კრებული გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, II, თბ., 1997
7. კრებული გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, V, თბ., 2007
8. სადრაძე ვ., „გურია მხარის კვლევა-ძიების შედეგები, III დამატება ვაშნარი „სპონიეთი“-„გურიანი“, თბ., გამომცემლობა მეცნიერება, 2003
9. Dubois de Montpereux, “Voyage autour du Caucase chez les Therkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Armenie et en Crimee“, I-VI, Paris, 1839-1843
10. Леквинадзе В.А., „Материалы по монументальному строительству в Лазике“, სსმმ XXII-в, თბ., 1961
11. Леквинадзе В.А., „Раннесредновековые памятники Вашнари“, са. N3, 1972



ვაშნარის ნაქალაქარის გეგმა დიუბუა დე მონპერეს მიხედვით



ვაშნარის ნაქალაქარის გეგმა დ. ბაქრაძის მიხედვით



ვაშნარის ნაქალაქარის გეგმა 1949 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მიხედვით



ვაშნარის ნაქალაქარის გეგმა ბოლო წლების არქეოლოგიური გათხრების მიხედვით

ვაშნარის ნაქალაქარი სამუშაოთა მიმდინარეობისას

ვაშნარის ნაქალაქარი 2022 წლისთვის. ხედი სამხრეთ მხრიდან (ზედა ფოტო) და დასავლეთიდან (ქვედა ფოტო). უპილოტო საფრენი აპარატით გადაღებული ფოტო

According to the recent data the early medieval settlement Vashnari

Zurab Giorgadze, PhD student

Supervisor: Vaja Sadradze, Professor of GTU

Summary

The given scientific article is dedicated to the study of Vashnari Settlement, one of the most important historical-archaeological monuments of the Guria region.

The scientific article discusses aspects of this very interesting cultural heritage monument that have been traced and published so far, as well as the data of new discoveries of recent years and a number of important issues for future study. Source-based information was collected about the research monument, scientific papers were published.

As far as possible, the artefacts identified specifically about Vashnari settlement are collected in the article, based on which a unique fastening system characteristic of the Middle Ages is presented in the territory of Western Georgia.

A number of important sections have been identified, excavated and partially studied at various times in the territory of settlement - a three-church (three nave church) basilica, a two-story building Martyrium, four-cornered towers (5 units) posted in the fence. In the territory of settlement, a crypt (a part was excavated in the interior of the basilica, a part - in the martyrium, and a part - around the basilica), water pipes, a cellar, etc.

The relevance of the topic of the article is related to the fact that we get more or less complete information about the medieval urban life of Western Georgia. It's quite possible that the settlement was located at the crossroads of the transit road of this era. Naturally, the research presented in this way is relevant and represents an important scientific innovation.

In the article is given the relevance of the research problem, the purpose and tasks of the research, the subject and methodology, the results of the research, the novelty are shown.

The article ends with a conclusion, which describes the results of the research conducted by the archaeologists.

შიდა ქართლის სამაროვნები და დაკრძალვის წესი (გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანა)

ნესტან გუგუშვილი, სტუ დოქტორანტი

ხელმძღვანელი: თამარ ხოხობაშვილი, სტუ პროფესორი

რეზიუმე

ბრინჯაოს ხანა, ისტორიული თვალსაზრისით, პირველი იმპერიების შექმნისა და ნგრევის ეპოქაა, დაფუძნებულია წინა დროის ტექნიკურ-კულტურულ მიღწევებზე და მისი მომდევნო, რკინის ხანა, განვითარების ლოგიკური გაგრძელებაა. საქართველოს უძველესი ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული პერიოდია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისით თარიღდება და თრიალეთის კულტურისაგან სრულიად განსხვავებული კულტურაა.

შიდა ქართლში, ყათნალისხევის, ცხინვალის ნაცარგორის, ხოვლეს, თრელიგორების, სამთავროს და ნარეკვავის გორანამოსახლარებზე აღმოჩენილი სამაროვნები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მიცვალებულის ძლიერი კულტის არსებობაზე მიგვითხრობს. ამ ხანის საზოგადოების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ადამიანს, სიცოცხლეში საჭირო ყველა ნივთი გარდაცვალების შემდეგაც ესაჭირეობოდა, ამიტომ სამარხები საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და საბრძოლო იარაღის სიმრავლით გამორჩეულია. მიცვალებულის დასაკრძალად შენდებოდა ქვისა და კერამიკის სამარხები, აკლდამები, სარკოფაგები, ქვევრსამარხები და ორმოსამარხები, რომლის ძირითადი ტიპი, ყორღანული ყრილის ქვეშ მდებარე ორმოსამარხები და ქვაყუთებია, სადაც მიცვალებული დაკრძალულია ერთ გვერზე მოხრილ ან მჯდომარე მდგომარეობაში. არსებობდა მეორედ დამარხვის და დანაწევრებული მიცვალებულის დაკრძალვის წესიც (თრიალეთი). ამგვარი სამარხები და წესები ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე, ნაწილობრივ კი, დასავლეთ საქართველოშიც იყო გავრცელებული.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ხშირია ერთი და იმავე სამაროვანზე, ან ვიწროდ შემოფარგლულ ტერიტორიაზე, დაკრძალვის სხვადასხვაგვარი წესი. ეს კი, იმაზე მიუთითებს, რომ, არც დაკრძალვის წესს და არც სამარხეული ნაგებობის ტიპს ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრისათვის ყოველთვის არა ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სამარხებში მიკვლეულია გაპრიალებული, გეომეტრიული ორნამენტიანი და მოჭიქული კერამიკა, ბრინჯაოსა და რკინის იარაღები, ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები. ბრინჯაოს, ძვლის, სარდიონის, აქატის მძივები, ბრინჯაოს ქანდაკებები და მრავალი სხვა არტეფაქტი.

სამთავროს ორმოსამარხები სრულად ასახავს შიდა ქართლის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურას. სადაც ძირითად იარაღი ჯერ მოკლესატევრისპირები, შემდეგ სამკუთხედი მოყვანილობის ბრინჯაოსტარიანი სატევრები, გრძელი წვეტიანი მახვილები, ბოლოკვეთილი მახვილები, ორფრთიანი ცული, მასრაგახსნილი შუბისევერები, ბრტყელი ისრისწვერები და მასრიანი სატეხებია. ჭურჭლიდან კარგად დამუშავებული და კარგად გამოწვარი თიხა, ლამაზი პროპორციებით და შავლეგა ფერით. ტანსაცმლიდან ბრინჯაოს სარტყელი, მოხატული სარტყელი და სხვადასხვა სამკაული[4].

საკვანძო სიტყვები: სამარხი, სამაროვანი, ბრინჯაო, არქეოლოგიური კულტურა.

შესავალი

არქეოლოგიური კულტურა ერთი და იმავე ნიშნის მქონე კონკრეტული პერიოდის ძეგლების ერთობლიობაა, რომელიც ერთმანეთისაგან საცხოვრებლის ტიპით, კერამიკული ნაწარმით და დაკრძალვის წესით განირჩევა. შიდა ქართლის გვიან ბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორანამოსახლარებზე აღმოჩენილი სამაროვნებიდან განსაკუთრებული სამთავროს სამაროვანია, საიდანაც, XIX საუკუნის 70 წლები, საქართველოს არქეოლოგიურად შესწავლის ისტორია იწყება. სამთავროს ველი პირველად ფ. ბაიერნმა, შემდეგ, 1938 წლიდან, ა.კალანდაძემ შეისწავლა, სადაც აღმოჩენილია 3000-მდე სხვადასხვა ტიპის სამარხი.

უძველესი კულტურული ფენა - ადრე ბრინჯაოს ხანა - არქაულ კერამიკას, ქვის იარაღსა და შენობათა დამწვარ ნაშთებს შეიცავდა. შუა ბრინჯაოს ხანის გორასამარხებში - ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი- ნაპოვნია ბრინჯაოს იარაღი, მძივები,

ოქროს სამკაული და სხვა. განსაკუთრებით მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა გვიან ბრინჯაოს ხანისა - ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარი - და ადრერკინის ხანის - ძვ. წ. IX-V საუკუნეები - ორმოსამარხებში [1].

ამ ხანის სამაროვნებზე სამარხის ძირითად ტიპს ორმოსამარხი წარმოადგენდა, სადაც აღარ გვხვდება მდიდრული სამარხები. მიცვალებული ხელფეხმოკეცილი, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე იკრძალებოდა. კოლექტური დაკრძალვის შემთხვევები იშვიათია, რაც შეიძლება ითქვას კენოტაფებზე - სულის მოსახსენელად გამართულ სამარხებზე. ამ კულტურისთვის დამახასიათებელი სამაროვნებია: სამთავრო, დიღომი, ნარეკვავი და სხვ. სამარში მიცვალებულს ჩაყოლებული აქვს ტარშეურჩენელი სატევარი, მასრაგახსნილი შუბისპირი, სამკუთხა, თხელფირფიტოვანი ისრისპირი, ირმის რქის ძირზე დამზადებული ე. წ. კვერთხისთავი, ცენტრალურ ამიერკავკასიური ცული, თავხვია, ლურსმნისებრი და სოკოსებრთავიანი საკინძები, თიხის ჭურჭელი.

სამთავროს მე-10 და მე-7 სამარხებში ჩნდება რკინის პირველი ნივთები. რკინა თავიდან „მორცხვად“ შემოდის, მაგრამ თანდათან მკვიდრდება და იწყებს ბრინჯაოს ჩანაცვლებას. აღმოჩენილია მახვილები, რომლებსაც რკინის პირი და ბრინჯაოს ტარი აქვს. შედარებით უფრო მეტია რკინისპირიანი სატევრები და მახვილიები, რომლებსაც რქის ან ხის ტარი აქვს.

პირველი რკინის ცულიც ამ ხანაში ჩნდება, რომელიც თავისი ფორმით კოლხური ცულის მსგავსია. აღმოჩნილი ლითონის მიხედვით ეს სამარხები გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანას მიეკუთვნება, მაგრამ რკინის გამოჩენა კავკასიაში უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო ძვ. წ. XII-XI ს.ს. როგორც ჩანს, თავიდან რკინა არ იყო ფართოდ გავრცელებული, პირველი რკინა შედარებით რბილი ყოფილა.

ამ კულტურის შემდგომი განვითარება და გავრცელება დაკავშირებულია ურარტუს სახელმწიფის წარმოშობასა და განვითარებაზე. ხეთურ, იბერიულ მოდგმის ტომებთან. მეცნიერთა აზრით ბევრ ქვეყანაში რკინა სწორედ ურარტუდან გავრცელდა [4].

ძირითადი ნაწილი

სისტემური არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების დროს, დასავლეთ საქართველოსთან შედარებით, აღმოსავლეთ საქართველოში მეტი ძველი სასაფლაოა გათხრილი. ოთარ ჯაფარიძე თავის მონოგრაფიაში დაწვრილებით აღწერს სამაროვნებს და მიმოიხილავს დაკრძალვის წესს, იგი განმარტავს, რომ შიდა ქართლში კარგადაა ცნობილი გვიან ბრინჯაოს ხანის სამაროვნები. აქაც, ამ დროის სამარხის ძირითადი ტიპი ორმოსამარხია. მიცვალებულებს ძირითადად გვერძე მწოლიარეს, ფეხმოკეცილს კრძალავენ, ქალებს მარცხენა, კაცებს კი მარჯვენა გვერდზე. ამ დროის სამარხთა უმრავლესობა ინდივიდუალურია, კოლექტიური სამარხები შედარებით იშვიათია [2]. იგი სამთავროს სამაროვანს, სამარხებში აღმოჩენილი მდიდარი მასალის გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ტერიტორია სამაროვნად ძვ.წ. IIათასწ. I ნახ-ში ქცეულა. სამარხთა დიდ ნაწილში, ქვაწრით შემოფარგლული ფართობის ცენტრში, ჩადგმული მოკლე ქვაყუთებია აღმოჩენილი, სადაც ხელფეხმოკეცილი მიცვალებული მარჯვენა ან მარცხენა მხარეს ესვენა. აქ გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის 600-მდე სამარხი გაითხარა. მათ შორის, გვიან ბრინჯაოს ადრეულსა და განვითარებულ ეტაპს 100-მდე, ხოლო ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანას 200-მდე სამარხი განეკუთვნება. განსხვავებული ტიპის სამარხები სამაროვანის სხვადასხვა დონეზე მდებარეობს, რაც ნიშნავს, რომ სასაფლაო ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან დაწყებული ხანგრძლივი პერიოდით მოქმედებდა. სამაროვნის ინტენსიური გამოყენება გვიანბრინჯაოს პერიოდში დაიწყო და თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე მოქმედი სასაფლაო იყო. გვიანდელი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები ფორმით სწორკუთხა ორმოებია, ყორღანების მსგავსად ქვის ფიცრებით, ან ხის ძელებით და ზედ დაყრილი ქვით დახურულია. რკინის ხანაში ქვის ფიცრებისაგან შეკრული საფლავები ბევრი გვხვდება და მამაკაცებისათვისაა განკუთვნილი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მიცვალებული გვერდზე მწოლიარეა დაკრძალული, ოდნავ მოხრილ-მოკეცილ მდგომარეობაში, ქალები მარცხენივ, მამაკაცები კი მარჯვნივ, თავით აღმოსავლეთისაკენ. დამხრობილი მიცვალებულების რაოდენობა სჭარბობს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის ბევრი სხვა რაიონის მსგავსად აქაც მიცვალებული სხვადასხვა მხრისაკენაა დამხრობილი. სამარხებში აღმოჩენილია შინაური და გარეული ცხოველთა ძვლები, კერამიკა, ბრინჯაოს, რკინის, ქვის და ძვლის ნივთები.

1938 წ. სამთავროს ველის ჩრდილოეთ უბანზე გაითხარა „პატარა მწყემსის სამარხი“, სადაც პატარა ბიჭი მოკუნტულ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისკენ, ფეხებით დასავლეთისაკენ იყო დაკრძალული. თავთან და ფეხებთან ოთხი თიხის

ჭურჭელი ედგა. სამარხის ირგვლივ კი ბრინჯაოს ფოთლისებრი სატევრისპირი, მასრაგახსნილი შუბი, თავხია ქინძისთავი, ძვლის სალამური, ორი ცალი ისრის წვერი, ტახის ეშვი და სარდიონის მძივები იყო. იქვე აღმოჩნდა, საგზლად გატანებული, ცხოველის ძვლები [4].

მეცნიერები სამთავროს სამაროვანს განიხილავენ, როგორც არქეოლოგიური არტეფაქტების გარკვეულ სისტემას, რომელიც ფუნქციონირების პროცესში ილექავდა და აქედან გამომდინარე ასახულია კიდეც საზოგადოების განვითარების ცალკეული ეტაპებისთვის დამახასიათებელ მთელ რიგი ნიშნები, ძეგლის ტოპოგრაფია, სტრატიგრაფია, სამარხთა აღნაგობა, დაკრძალვის წესი, ინვენტარი, ინვენტარის ტიპოლოგიური განვითარების ხაზი [3].

აქ სამარხები ხის ძელებით იყო გადახურული, იშვიათად, ორმოს ფილაქვაც ეხურა და მიწაყრილით მოზვინული იყო. ზოგიერთისთვის დამახასიათებელია ფსკერზე რიყის ქვის ერთპირი სწორკუთხა ან ოვალური წყობა. ორმოსამარხთა დიდი უმრავლესობა ინჰუმაციური და ინდივიდუალურია.

ასევე გამოჩნდა მეორადი დაკრძალვის და წყვილთა დაკრძალვის წესი. მიცვალებული ფეხებმოხრილია დაკრძალული, დიდი უმრავლესობა მოთავსებულია ოთხ რიყის ქვის შორის (მიცვალებულის სარეცლის საყრდენები), ორი თავთან აქეთ-იქით უდევთ, ორი მოკეცილი ქვედა კიდურების არეში. მამაკაცებს ძირითადად ახლავს იარაღ-საჭურველი და თიხის ჭურჭელი, ზოგჯერ სამკაულიც, ქალებს თიხის ჭურჭელი და სამკაული. აღმოჩენილია შინაურ და გარეულ ცხოველთა ძვლები, კერამიკა, ბრინჯაოს, რკინის, ქვისა და ძვლის ნივთები.

ნარეკვავთან აღმოჩენილი სამაროვანი, მცხეთის ჩრდილოეთით მდებარეობს და ბრინჯაო-ადრერკინის ხანას მიეკუთვნება, სადაც 1960 წელს გამოვლინდა რამდენიმე ორმოსამარხი და სამარხი ნაშთი. მიცვალებულები გვერდზე მოკუნტულები, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იწვნენ. სამარხებში აღმოჩნდა საქონლის ძვლებიც და ცხენის თავის ქალა. ნაპოვნია შედარებით ადრეული საფეხურის (ძვ. წ. XIII-X სს.) ნივთებიც:

ბრინჯაოს სატევრები, კოლხური ცული, შუბისპირები, მახვილი, აკინაკი, ცულები, ბრინჯაოს ისრისპირები, ბუნიკები, ლაგმები, ქარქაში. კერამიკა შავპრიალა, ან ლეგა და მოყავისფროა, უმრავლესობა ჩარხზეა ნაკეთები. შემკულია გრავირებითა და პრიალა ხაზებით. აღმოჩენილი ჭურჭლის მრავალსახეობა სხვადასხვა სამეურნეო დარგის განვითარებაზე მეტყველებს. კერამიკა გამოირჩეულია ფორმათა მდგრადობით. აღმოჩენილია ძვ. წ. XVI-XV საუკუნეების თრიალეთური ტიპის თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს მოგრძო სატევარი, როგორც ჩანს სამაროვანი აქ ადრეულ ხანაშიც არსებობდა.

ცხინვალის ნაცარგორის ბუნებრივ ბორცვზე, ბრინჯაოს ხანაში, მიწათმოქმედი, მესაქონლე, მეჭურჭლე, მელითონე და სხვა დარგების მიმდევარი და მცოდნე საზოგადოება ცხოვრობდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, გამოვლენილია III კულტურული ფენა, რომლის ქვეშ ადრინდელი ბრინჯაოს ხანის რამდენიმე ორმოსამარხია აღმოჩენილი. სამარხებში ღარიბულ ინვენტართან ერთად, მიცვალებულთა ჩონჩხი აღმოჩნდა.

ნახანძრალი ფენა ხუთ სამარხს შეიცავდა, რომლებშიდაც თითო მიცვალებული იყო დაკრძალული. ინვენტარი შედგებოდა: კაჟის ქუსლამოღარული ისრისპირის, ქვის კვერის, სპილენძის სამსჭვალისა და კერამიკის ფრაგმენტებისაგან. სამარხების თავზე, ნახანძრალ ფენაში, ობსიდიანის, ძვლისა და კერამიკის ფრაგმენტები ენეოლითის ხანით თარიღდება.

თრელიგორებზე გამოვლენილ სამაროვანზე მიცვალებული ადრებრინჯაოს ხანიდან იკრძალებოდა და იგი თითქმის ფეოდალურ ხანამდე მოქმედი იყო. აღსანიშნავია, რომ ეს სამაროვანი ძირითადად გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანაშია გამოყენებული. თრელის სამაროვანი თრელიგორებსა და მის მახლობლად არსებული დასახლების ერთ-ერთ სასაფლაოა. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას ეკუთვნოდა საფურცვლის, ჩალიპირაგორების, ვაშლიჯვრისა და დიღმის მასივის სხვა სამაროვნები. ყველაზე ადრეული სამარხები მტკვარ-არაქსის კულტურის სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნება, უძველესი ძვ. წ II ათასწლეულის მეორე ნახევრის ორმოსამარხებია. გვიან ბრინჯაოს ხანიდან, რკინის ფართო ათვისების ხანის ჩათვლით (ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარი-ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი I ნახევარი) დაწყებული, მამაკაცები დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, ხოლო ქალები-მარცხენაზე.

როგორც ოთარ ჯაფარიძე ასკვნის: „თრელიგორებზე გამოვლენილ სამაროვანზე მიცვალებულები ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში დაიკრძალნენ და იგი თითქმის ფეოდალურ ხანამდე მოქმედი იყო. მაგრამ, ყველაზე მეტად ეს სამაროვანი გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანაშია გამოყენებული [5].

თრელის სამარხოვნის შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლი მორგვზეა დამზადებული, რომელსაც შავპრიალა ზედაპირი და ვარდისფერი ან რუხი შიდაპირი გააჩნია. ზედაპირზე გეომეტრიული სახის ორნამენტებია და შესრულებულია ღარვითა და ტვიფრითაა. გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხებში გვხვდება მქისე თიხის ჭურჭელი, შიდა პირი, რომელიც ჩარხისეული კონცენტრული ღარებითაა დაფარული.

კერამიკის გარდა სამარხებში დასტურდება ბრინჯაოს ყუნწიანი სატევარი, ბრინჯაოს პირამიდისებურთავიანი საკინძები, სარდიონისა და პასტის მძივები, მსხვილფეხა საქონლის თავფეხის ძვლები და სხვა.

თბილისი სამხრეთ კავკასიის ის რეგიონია, რომლის მოსახლეობაც მჭიდრო ურთიერთობაში იყო მცირე აზია-ეგეოსურ სამყაროსთან. ზემო აღნიშნული ძეგლები, როგორც ჩანს, გენეტიკურად უკავშირდება შუა ბრინჯაოს ხანის ეგრეთ წოდებულ თრიალეთურ კუტურას. აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. XIV საუკუნის ბოლოდან, თრელის სამარხოვანზე, გავრცელდა ეგრეთ წოდებული სამთავრული კულტურა, შეიცვალა სამარხთა ტიპი, გაჩნდა ქვაყრილიანი ორმოსამარხები და განსხვავებული ინვენტარი.

ძვ. წ. XIII–XI საუკუნეებში ქვის წრეები მხოლოდ წარჩინებულ მეომართა სამარხებს შემოუყვება. აღნიშნული დროიდან, რკინის ფართო ათვისების ხანის ჩათვლით, თრიალეთის სამარხოვანზე ვრცელდება სამთავრეული კერამიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზოომორფულყურიანი ჭურჭელი. ძირითადად სამთავროს ანალოგიურია სხვა ინვენტარიც - იარაღი, მძივ-სამკაული და სხვა.

რკინის ფართო ათვისების ხანაში თრიალეთის სამაროვანზე ჩნდება დასაკრძალავი დარბაზიანი სამარხები (ფართობი 70 მ²), რომლებიც თავისი კონსტრუქციითჯარგვალურიტიპისაა.დაკრძალვის წეს-ჩვეულებაში შემოდის მიცვალებულის კრემაციაა, სამარხის დაწვით, ადამიანების მსხვერპლად შეწირვა. იქ აღმოჩენილია ასზე მეტი თიხის ჭურჭელი, რამდენიმე ბრინჯაოსა და რკინის ნივთი, ოქროს მძივები და სხვა. რაც მკვეთრად განსხვავდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ამ პერიოდის ძეგლებისაგან და მსგავსებას აზერბაიჯანის და ჩრდილო-დასავლეთ ირანის თანადროულ ძეგლებთან ამჟღავნებს.

თრიალეთის სამაროვანის დასაკრძალავ დარბაზიანი სამარხები ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრით და ძვ. წ. XII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. რ. აბრამიშვილის აზრით, თრელის სამაროვნის სამარხები, დაახლოებით, ერთიმეორის სინქრონულია. ისინი ქრონოლოგიურად უშუალოდ ემიჯნება თრელის შუაბრინჯაოს ხანის სამარხებს.

გვიანბრინჯაოს ხანის სამარხთა შორის ძვ. წ. XIII ს-ის წარჩინებული მეომრის სამარხია მნიშვნელოვანი. იქ აღმოჩენილია ბრინჯაოს აბზინდა (ცხენზე ამხედრებული მამაკაცის გამოსახულება), რაც კავკასიაში მხედრის უადრესი გამოსახულებაა. ამავე სამარხშია აღმოჩენილი ფოლადის დანა, რაც გვიანბრინჯაოს ხანაში რკინის მეტალურგიის არსებობაზე მიგვანიშნებს.

ჩალიპირაგორის, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის სამაროვანი, ადრე რკინის ხანის ნამოსახლარის ქვეშ აღმოჩნდა. სამარხებზე მცირე ქვაყრილი და ირგვლივ ქვის წრეა, ერთი ან რამდენიმე მიცვალებული წევს მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. ძეგლებზე აღმოჩენილი მასალის მიხედვით, ძვ.წ. XIV-XIII სს. ათარიღებენ. მეცნიერთა აზრით, ცენტრალური ამიერკავკასიის ეს მხარე, ძვ.წ. XIV საუკუნიდან, ე.წ. სამთავრული კულტურის გავლენის ქვეს ექცევა, რასაც ზოომორფორყურიანი ჭურჭელი, ფოთლისებრი სატევარი და სხვა ნივთები ადასტურებს. თუმცა, დაკრძალვის რიტუალი, მათი აზრით, ძველი რჩება და განსხვავდება სამთავრული კულტურისაგან“ [6].

დასკვნა

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კულტურის ცვლილებები და განვითარების ზოგადი ხასიათი კარგადაა ასახული სამაროვნებში. მაგალითად, აქ მოსახლე ტომებში ძარცვა და რბევა უცხო არ უნდა ყოფილიყო, რადგან სამაროვნისეულ სამარხებში მოპოვებული საომარი იარაღის სიმრავლე და მრავალფეროვნება ამას ადასტურებს.

ამ კულტურისათვის დამახასიათებელია მძლავრი, მრავალსართულად განლაგებული სამაროვნები, რომელთა უმეტესობა ქვაყრილიანი და მიწაყრილიანი ორმოსამარხითაა წარმოდგენილი. ამ საკრძალავ ნაგებობებში ძირითადად ერთი ინდივიდია დაკრძალული, ხელ-ფეხ მოკეცილი, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, ძირითადად, თავით ჩრდილოეთით ან ნებისმიერი მიმართულებით.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები შიდა ქართლში მრავალრიცხოვანია და იმდროინდელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდის.

სამაროვნებზე სამარხის ძირითად ტიპს ორმოსამარხი წარმოადგენდა. მიცვალებული, ხელ-ფეხ მოკეცილი, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე იყო დაკრძალული, კოლექტური დაკრძალვის შემთხვევები იშვიათია. იგივე შეიძლება ით-ქვას კენოტაფებზე - სულის მოსახსენელად გამართულ სამარხებზე. ამ კულტურისთვის დამახასიათებელი სამაროვნებია: სამთავრო, ღრმაღელე, ნავთლუღი, დიღომი, ნარეკვავი და სხვ. სამარხებში მიცვალებულებისთვის თან ჩაუ-ყოლებიათ ტარშეურჩენელი სატევრები, მას-რაგახსნილი შუბისპირი, სამკუთხა, თხელფირ-ფიტოვანი ისრისპირი, ირმის რქის ძირზე დამზადებული ე.წ. კვერთხისთავი, ცენტრალურ ამიერკავკასიური ცული, თავხვია, ლურსმნისებრი და სოკოსებრთავიანი საკინძები, თიხის ჭურჭელი სპეციფიური ფორმებით, გამოწვითა და ტანზე დატანილი დეკორით.

მკვლევარების აზრით, მთელი რიგი წამ-ყვანი არტეფაქტების საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის, შუა ბრინჯაოს ხანაში, შეწყვეტილი კავშირები აღდგა. მეტიც, ირკვევა, რომ უკვე ძვ. წ. II ათასწ. მიწურულისთვის, შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურა იორ-ალაზნისა და კოლხური კულტურის ზეგავლენას განიცდის. მაგრამ შიდა ქართლში არსებულმა კულტურამ მაინც შეინარჩუნა თავისი თვითმყოფადი სახე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ka.wikipedia.org/wiki/სამთავროს-სამაროვანი
2. ჯაფარიძე ო., საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა) 1991 წ. გვ. 229.
3. სადრაძე ვ., შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლარების კულტურა, თბილისი, 2018 წ. გვ. 24.
4. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 2952 წ. გვ. 246-251.
5. ჯაფარიძე ო., საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1991 წ. გვ .60.
6. ფიცხელაური კ., ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა, თბილისი, 2005 წ. გვ. 35.
7. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილიალ., ალ. დაუშვილი ალ., საქართველოს ისტორია , თბილისი, გვ. 184.
8. ხახუტაიშვილი დ., უფლისციხე, თბილისი, 1964 წ.
9. ჯაფარიძე ო., საქართველოს ისტორია, თბილისი, 2019 წ.
10. ჯაფრიძე ო., ქართველური ტომების ისტორიისთვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961 წ.
11. აფაქიძე ა., მცხეთა-ნარეკვავი I, თბილისი, 1998 წ.

Shida Kartli cemeteries and burial rules
(Late Bronze Age)

Nestan Gugushvili, PhD student of GTU

Supervisor: Tamar Khokhobashvili, Professor of GTU

Summary

The Bronze Age, from a historical point of view, is the era of the creation and destruction of the first empires, based on the technical and cultural achievements of the previous era, and the next one, the Iron Age, is a logical continuation of its development. One of the outstanding periods of the ancient history of Georgia is the Late Bronze Age, BC. year It dates back to the beginning of the second half of the II millennium and is a completely different culture from the culture of Trialeti.

In Shida Kartli, the tombstones found among the hill dwellers of Katnalishkevi, Tskhinvali Natsargori, Khovle, Treligori, Samtvori and Narekvavi tell us about the existence of a strong cult of the dead in the Late Bronze Age. According to the beliefs and ideas of the society of that time, a person needed all the things necessary in life even after death, therefore the tombs are distinguished by the abundance of household, agricultural and military weapons. To bury the deceased, stone and ceramic tombs, akdams, sarcophagi, sub-tombs and pit tombs were built, the main type of which are pit tombs and stone boxes under the Korgani kiril, where the deceased is buried in a bent or sitting position on one side. There was also the rule of second burial and burial of dismembered dead (trialeti). Such tombs and rules were spread throughout the entire territory of Transcaucasia, and partially in Western Georgia as well.

In the Late Bronze-Adrekin age, different types of burials are common in the same Samarovan, or in a narrowly limited area. This indicates that neither the manner of burial nor the type of burial structure was always decisive for the determination of ethnicity.

As a result of archaeological excavations, polished, geometrically ornamented and glazed ceramics, bronze and iron tools, and engraved bronze belts have been found in the tombs. Bronze, bone, sardine, agate beads, bronze statues and many other artifacts.

The pit tombs of the principality fully reflect the culture of the Bronze Age of Shida Kartli. Where the main weapons are first short spears, then triangular bronze-bladed spears, long pointed swords, pointed swords, two-edged axes, unthreaded spears, flat arrowheads and threaded shafts. A well-worked and well-fired clay from the pottery, with beautiful proportions and a blackish color. From clothes to bronze belt, painted belt and various jewelry

Key words: burial, Samarovani,bronze, archaeological culture.

არმაზული დამწერლობა

ლამარა გითრგაშვილი, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოში და საერთოდ კავკასიაში არქეოლოგიური აღმოჩენები საინტერესო ფაქტებს ავლენენ უძველესი დამწერლობის ნიმუშების გავრცელების გამოსარკვევად. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, მეცნიერთა ყურადღება მიიქცია არმაზისხევში გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ძველმა ბერძნულმა და არამეულმა წარწერებმა.

ამ ბოლო დროს განხორციელებულმა ახალმა საგანგებო - სამეცნიერო კვლევებმა კიდევ უფრო ნათელი გახადა ის ფაქტი, რომ მცხეთა (არმაზციხე) და მისი მიდამოები მდიდარია უწყვეტი ისტორიულ - კულტურული ცხოვრების ამსახველი ძეგლებით, რომელთა თარიღი უძველეს დროში იღებს სათავეს.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე, ჩვენი ცოდნა საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობის უძველესი ისტორიის შესახებ, მნიშვნელოვნად გამდიდრდა და გაღრმავდა. ბევრი რამ ახალი მოგვცა ფართო მასშტაბით წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. დიდად დაწინაურდა ამ მხარეების ძველისძველი მოსახლეობის ენების, დამწერლობის ისტორიის კვლევა-ძიება.

მსოფლიო ისტორიოგრაფიაში საგანგებო კვლევის საგანს წარმოადგენენ საქართველოს, კავკასიისა და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დამწერლობა. ქართველოლოგიის მრავალ პრობლემას მოჰფინეს ნათელი მსოფლიოში აღიარებულმა ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომებმა, რასაც მრავალი წლის განმავლობაში საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ საბჭოთა მეცნიერები, რომ ქართველ ერს სწორად არ გაეცნობიერებინა თავისი ეთნოგენეზისი, თავისი ერთობა იბერიულ -კავკასიურ და იბერიულ - პირინეული მოდგმის ხალხებთან.

საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე განაპირობა იმანაც, რომ კავკასიაშია პირველი ადამიანის სამშობლო. პირველ ადამიანთა საზოგადოება საქართველოს მიწა - წყალზე უხსოვარი დროიდან ჩამოყალიბდა, საიდანაც მოხდა მიგრაცია ევროპაში. აქედან დაიშალა კაცობრიობა დედამიწის სხვადასხვა მხარეში. თეთრი რასის სამშობლო საქართველოშია. სწორედ ამიტომ იწვევს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების გასაკუთრებულ ყურადღებას ჩვენი ისტორია, კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა, დამწერლობა.

შესავალი

ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე, გარესამყაროსთან გაცხოველებული ურთიერთობის შედეგად, ფართო გამოყენება პოვა დამწერლობის ძველბერძნულმა და არამეულმა სისტემებმა. XX საუკუნის ორმოციან წლებში არმაზში აღმოჩნდა სხვადასხვა ნივთებზე შესრულებული არამეული ეპიგრაფიკის თვითმყოფადი ნიმუშები (სტელები, ფირფიტები, ქვები, სამკაულები, თასები, ქვევრები და სხვა), რომლებიც იმავე დამწერლობით იყო შესრულებული.

მეცნიერთა დაინტერესება გამოიწვია არმაზში აღმოჩენილმა არამეული ეპიგრაფიკის თვითმყოფადმა ნიმუშებმა. ააკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ქართულ ასოთა მოხაზულობა ყველაზე მეტ მსგავსებას ფინიკიურ და მისგან განვითარებულ არამეულ დამწერლობასთან ამჟღავნებს. მისი დაკვირვებით, ქართულის არქაული ასოთა რიგიც უძველეს ფინიკიურთან ამყარებს კავშირს. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი აყალიბებს ჰიპოთეზას ქართული ანბანის ფინიკიურ - სემურისაგან წარმოშობის თაობაზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დაახლოებით VII საუკუნეში, როდესაც ძველი ქართველური ტომები თუბალ-მოსოხები აზიაში ცხოვრობდნენ და ფინიკიელებთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ (20, 235-236).

ივ. ჯავახიშვილის ამ ჰიპოთეზას დაუჭირა მხარი გიორგი წერეთელმა, არმაზის ბილინგვის გაშიფვრის შედეგად. აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა, როდესაც გამოიკვლია არმაზში აღმოჩენილი არამეულენოვანი სტელები (I–II სს.), სტელათა აღმოჩენის ადგილის მიხედვით, არამეული დამწერლობის ამ სახეს „არმაზული“ უწოდა, ტერმინი არმაზული დამწერლობა შემოიღო.

გიორგი წერეთელის კვლევებით, არმაზული ასო - ნიშნები გარკვეულ ნათესაობას ქართულ ასოებთანაც ამჟღავნებენ და შეინიშნება, რომ ამ უკანასკნელში უფრო მეტი არქაულობა იჩენს თავს, ვიდრე არმაზულში. მკვლევარის აზრით, ქართული დამწერლობა, არმაზულთან ერთად, ფინიკიურის არამეული დამწერლობის თავისებური შტოს საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული (18.13-14). მეცნიერის წარმოდგენილი ეს მოსაზრება გაამყარა

შემდგომმა აღმოჩენებმა და გამოკვლევებმა.

არმაზულმა დამწერლობამ განვითარების დიდი გზა განვლო. მისი სათავე, როგორც ყველა ჩრდილომესოპოტამიური დამწერლობისა, აქემენიდთა ხანის არამეულის (ე. წ. ოფიციალური თუ სახელმწიფო არამეულის) დამწერლობიდან მომდინარეობს. სპარსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, განვითარდა სხვადასხვა ლოკალური დამწერლობა, რომლებიც ელინისტურ-რომაულ ხანაში ცალკე სახეობებად ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი მათგანი ადგილობრივ (ქართულ) ნიადაგზეა ფორმირებული, რომელიც არმაზის არამეულ წარწერებში აისახა, ჰათრის, ასურის, ჰასანქეფესა და ზოგიერთი სხვა წარწერის დამწერლობასთან ერთად, ერთ ჯგუფს (ჩრდილომესოპოტამიურს) ქმნის. იგი გარკვეულ სიახლოვეს იჩენს არამეული დამწერლობის ე. წ. პართულ ტიპთან, რომელიც არშაკიდებისა და სასანიანების ხანაში (ძვ. წ. III – ახ. წ. V სს.) იყო გავრცელებული ირანული ენებისათვის (პართული, ფალაური). საყურადღებოა, რომ არმაზული დამწერლობით შესრულებული წარწერების ენა (არამეული) გამოდის სტანდარტული არამეულის ჩარჩოებიდან, რაც ადგილობრივი ენის გავლენით უნდა აიხსნას.

არმაზული დამწერლობით შესრულებული არმაზულის ნიმუშები, არამეულენოვანი წარწერებით (ჭურჭელი და სამკაული), გარდა არმაზისა, საქართველოს სხვა რეგიონებშიც გვხვდება. განსაკუთრებით საყურადღებოა, უკანასკნელ წლებში, დედოფლის მინდორზე აღმოჩენილი ძვ. წ. I საუკუნის ფირფიტები, ნადირობის სცენებით, რომელთაგან ზოგიერთს არმაზული დამწერლობით შესრულებული მცირე არამეული წარწერა ახლავს.

მოგვიანებით არმაზული წარწერები აღმოჩნდა სომხეთსა და ირანშიც. არმაზული დამწერლობითაა შესრულებული 1961 წელს გარნიში (სომხეთი) აღმოჩენილი წარწერა ქვაზე (II ს.). „არმაზულს“ მიაკუთვნებენ მაზანდარანის (ირანი) პინაკების არამეულ წარწერებსაც (VIII–IX სს.), რომელთა დამწერლობას „გვიანდელ არმაზულს“ უწოდებენ (ფ. ალტჰაიმი, რ. შტილი).

აქვე უნდა ითქვას, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები საყურდღებო მასალას ავლენენ უძველესი დამწერლობის ნიმუშების გავრცელების გამოსარკვევად. ცნობილი მეცნიერების ნაშრომებიდან, გრაკლიანის არტეფაქტების საფუძველზე, ირკვევა, რომ ქართველებმა ანბანური დამწერლობა შევქმენით 3000 წლის წინ, მსოფლიოში პირველებმა, ძვ.წ. 1005-950 წლებში, ფინიკიელებამდე.

ძველ საქართველოზე, როგორც მწიგნობრულ ქვეყანაზე, ერთგვარი მინიშნება ჩანს ბერძნულ მწერლობაშიც. საქმე ისაა, რომ ქრისტიანობამდელი ბერძნული მწერლობა ძველ ქართულ სამყაროს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს - კოლხეთს - მწიგნობრულ ქვეყნად თვლის. ამგვარ დასკვნამდე მივყავართ რამდენიმე გარემოებას: - ანტიკური ხანის საქართველოში, დამწერლობის არსებობისათვის, საყურადღებოა ძვ. წ. IV-III სს. ავტორის - პალეფატეს თხზულებიდან მომდინარე ცნობა, რომელსაც გადმოგვცემს ანონიმი ავტორი მითოგრაფიული ტრაქტატის ერთ - ერთ თავში - „ოქროს საწმისისათვჳს.“ აქ ნათქვამია, რომ კოლხეთში დაცული იყო არა ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიაც აღწერილი იყო ქიმიის საშუალებით ოქროს მიღების შესაძლებლობანი.

კოლხეთის ოქროს საწმისის ანალოგიური განმარტებაა შემონახული იოანე ანტიოქელთანაც (VII ს.). იგივე აზრი განმეორებულია საუკუნეების მიჯნის ბერძენი ავტორის ხარაქს პერგამელის მიერ. ეს განმარტება შემდგომში გადმოდის ბიზანტიური ხანის ავტორებთანაც და ბოლოს აღმოჩნდებაა X საუკუნის სვიდას (I ს.) ლექსიკონშიც (17, 439,447,479, 480).

ამ ცნობებში განსაკუთრებით საყურადღებო კოლხეთის ოქროს საწმისის განმარტებაა, სადაც ბერძენთა წარმოდგენით, ქართულ დამწერლობას ასე ძველი ფესვები აქვს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ელინისტური ეპოქის კომენტატორთა მოწმობით, კოლხებს აქვთ საკუთარი წიგნები. ბერძენ ავტორებს მხოლოდ ამაზე დაყრდნობითაც შეიძლებოდა ეთქვათ, რომ უძველეს ეპოქაში ბერძნებმა კოლხეთიდან წიგნი გაიტაცეს.

ძველ ქართველურ ტომებში არსებული დამწერლობის შესახებ, კიდევ უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავს აპოლონ როდოსელის „არგონავტიკაში” დაცული პირველი ცნობა, ესაა ეპიზოდი, როდესაც ფრიქსესა და აეტის ასულის ქალკიოპეს უფროსი ვაჟი - არგოსი - კოლხეთიდან ელადისაკენ მიმავალ არგონავტებს მოუთხრობს „აიას“ დაარსების ამბავს და მონათხრობს ასაბუთებს იმით, რომ კოლხებს - „შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კჳრბები, რომლებზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი.“ აპოლონ როდოსელის ეს ცნობა ძველ კოლხეთში დამწერლობის არსებობის მაჩვენებლადაა მიჩნეული. დღეისათვის აშკარაა, რომ კჳრბებს რუკის მაგივრობის გაწევა შეეძლოთ და ეს უძველესი ქართული რუკაც იყო, იმავე დროს, ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშიც.

როგორც ვხედავთ, ისეთ ზოგად შთაბეჭდილებას ქმნიან წარმოდგენილი ძველ ქართული და ძველ ბერძნული მწერლებისეული ცნობები, რომ შესაძლებელია ვივარაუდოთ, ეროვნული მწერლობა ქრისტიანობამდელი ეპოქის როგორც ქართლში ასევე კოლხეთში.

ძირითადი ნაწილი

არმაზული დამწერლობა, ისევე როგორც ყოველი ჩრდილო-მესოპოტამიური დამწერლობა, ეფუძნება აქამენიდთა ხანის არამეულს, ე. წ. ოფიციალურ და სახელმწიფო არამეულ ანბანს. არმაზულმა განვითარების საკმაოდ დიდი გზა გაიარა. იგი ერთ-ერთია იმ ლოკალურ დამწერლობებს შორის, რომლებიც სპარსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, განვითარდნენ და ელინისტურ-რომაულ ხანაში ცალკე სახეობებად ჩამოყალიბდნენ.

როგორც ირკვევა, არმაზული დამწერლობა ქართულ ნიადაგზეა ფორმირებული. იგი ჰათრის, ასურის, ჰასანქეფესა და ზოგიერთ სხვა წარწერათა დამწერლობებთან ერთად ქმნის ერთ ჯგუფს - ჩრდილო-მესოპოტამიურს. არამეული დამწერლობის ჩრდილო-აღმოსავლეთის მესოპოტამიური ტიპის ერთი სახეობა, არმაზული დამწერლობა, გავრცელებული იყო საქართველოსა და სომხეთში.

არსებობს გარკვეული მსგავსება არმაზულსა და არამეული დამწერლობის ე. წ. პართიულ ტიპთან, რომელიც საშუალ ირანულ ენათა (პართული, ფალაური) ჩასაწერად გამოიყენებოდა ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. V საუკუნემდე, არშაკიდებისა და სასანიდების ხანაში. არმაზულ დამწერლობასთან მსგავსებას ამჟღავნებს ავესტური დამწერლობაც, რომელიც გავრცელებული შეხედულების თანახმად, პართული და ფალაური დამწერლობების შერევის შედეგადაა მიღებული. არმაზული დამწერლობის აღმოჩენამ მკვლევართა ნაწილს აფიქრებინა, რომ ავესტური პართულისა და ფალაურის შერევის შედეგად კი არ არის წარმოშობილი, არამედ წარმოადგენს არმაზული დამწერლობასთან ახლო მყოფი არამეული დამწერლობის განვითარებას, რომლის დიფერენციაციის შედეგად მიღებულია ირანული დამწერლობის ფარსული და ფალაური სახეობანი.

არსებობს კვლევები არმაზული დამწერლობის ქართულ დამწერლობასთან გენეტურად დაკავშირებისა. გიორგი წერთელმა ივარაუდა, რომ არმაზულ დამწერლობასა და ქართულ ანბანს საერთო ძირი უნდა ჰქონდეთ და არამეული დამწერლობიდან უნდა მომდინარეობდნენ. იგი ამ დასკვნამდე არმაზული დამწერლობისა და ქართული ნუსხურის ასოთა მოხაზულობების შედარების შედეგად მივიდა, რადგან დადგენილია, რომ ქართული დამწერლობის უძველესი სახეობა ასომთავრულია, ხოლო ნუსხური მისი შემდგომი განვითარებაა.

გიორგი წერეთლის ეს ვარაუდი საკამათო აღარ არის მას შემდეგ, რაც გაიშიფრა შუმერული, პელაზური და ეტრუსკული დამწერლობა, ხოლო მას შემდეგ, რაც მაიამის [აშშ] ლაბორატორიაში გაგზავნილი საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ახალი არტეფაქტების, გრაკლიანის ნიმუშების დასკვნის საფუძველზე, ქართული დამწერლობა ძვ. წ. XI-X დათარიღდა, დგინდება, რომ ქართველებმა ანბანური დამწერლობა შევქმენით 3000 წლის წინ, მსოფლიოში პირველებმა, ძვ.წ. 1005-950 წლებში, ფინიკიელებამდე. ფინიკიური ანბანი კი, როგორც ცნობილია, ძველი ბერძნული [ქართველური ტომების პელაზგების] ანბანის საფუძველია, საიდანაც ჩამოყალიბდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ანბანი, მათ შორის ქართული.

ქართული დამწერლობის არამეულიდან მომდინარეობის აზრი უფრო ადრე გამოთქმული ჰქონდათფრიდრიხმიულერს,ი.ტეილორსადასერგი გორგაძეს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალური გახდა, სამეცნიერო შესწავლისა და შეფასების ობიექტად იქცა, საქართველოს ძველ დედაქალაქში - არმაზში - მოპოვებული ძველი ბერძნული და არამეულენოვანი დამწრლობა. აღსანიშნავია, რომ არმაზული დამწერლობით შესრულებული ტექსტები არამეულენოვანია, თუმცა ეს არაა სტანდარტული არამეული, მას ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებები. ეს თავისებურებები ადგილობრივ ენათა გავლენით აიხსნება.

აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ არმაზული დამწერლობა დაუკავშირა ლეონტი მროველის - ცნობას ფარნაოზ I-ის მიერ ქართლში „მწიგნობრობაჲ ქართულის“ შემოღების შესახებ. მისი აზრით, შესაძლოა ეს ცნობა გულისხმობდეს არა ქართული დამწერლობის შექმნას, არამედ ფარნავაზის მიერ ქართლში სამწერლობო ენად და დამწერლობად არამეულის შემოღებას, რომელმაც იბერიასა და სომხეთში თავისებური, დღეს არმაზულის სახელით ცნობილი სახე მიიღო.“

XX საუკუნის 40-იან წლებში - არმაზში - არისტოკრატთა უბანში გათხრილი იქნა არმაზისხევის ერისთავთა, ქართველ პიტიაღშთა სამაროვნები. მკვლევართა ყურადღება მიიპყრო ერთ - ერთ მათგანში აღმოჩენილმა საფლავის ქვაზე ამოკვეთილმა ორენოვანმა წარწერამ, არმაზის ბილინგვამ. წარწერის ერთი ენა ბერძნული აღოჩნდა,

მეორე - არამეული, ოღონდ არამეულის თავისებური სახეობა. სახელწოდება „ბილინგვა" ამის მიხედვითაა დარქმეული. ბილინგვა, რომელსაც არმაზული უწოდეს ჩვ. წ. II ს. დათარიღდა.

არმაზული დამწერლობით შესრულებულ წარწერათაგან ეს ყველაზე ცნობილი ძეგლი - არმაზის ბილინგვა - რომელიც საფლავის ორენოვან ეპიტაფიას წარმოადგენს ბერძნულ და არამეულ ენებზე, აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილმა. წარწერის ბერძნული ტექსტი შეისწავლა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა, ხოლო არამეული ტექსტი მეცნიერულად შეისწავლა და გაანალიზა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა – აკად. გიორგი წერეთელმა. არამეული ანბანის სახეობა (რომელსაც „არმაზული დამწერლობა" უწოდა), შეუდარა ქართულ ანბანს და დაადგინა: - ქართული ანბანი მონათესავეა არმაზულისა, ორივე კი მომდინარეობს საერთო წყაროდან – არამეულიდან. არმაზული ანბანის სახით აღმოჩნდა შუამავალი, რომლის მეოხებით ქართული ანბანი უშუალოდ დაუკავშირდა არამეულს.

ე.წ. არმაზის ბილინგვა, ანუ ქვის ბრტყელი ფილა, ზედ ამოკვეთილი ორენოვანი (არამეული და ბერძნული) წარწერის მიხედვით, აღმოჩნდა ახალგაზრდა ქალის სერაფიტას საფლავის ქვა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „არმაზის ბილინგვის" სახელითაა ცნობილი. როგორც უკვე ითქვა, სწორედ ამ არმაზის ბილინგვის საშუალებით გახდა შესაძლებელი არმაზული დამწერლობის ასოთა გაშიფრვა, რადგან მისი ტექსტი ანბანის ყველა ასოს შეიცავს. არმაზის ბილინგვა, ამ მხრივ, განსაკუთრებით ფასეული აღმოჩნდა.

არმაზის ბილინგვაზე მცხეთელი პიტიახშის მშვენიერი ასულის, ივერთა დიდი მეფის ეზოსმოძღვარის ახალგაზრდა მეუღლის, 21 წლის სერაფიტას, გარდაცვალების ტრაგიკული ამბავი საქვეყნოდაა გამოცხადებული, ორ ენაზე, ბერძნულად და არამეულად. არმაზის ბილინგვა ამოკვეთილია ქვიშაქვის დიდ ლოდზე, ასოები თითქმის თანაბარია, კარგად განაწილებული და, თანაც, ადვილად იკითხება. სტელის ზედა ნაწილზე ბერძნული ტექსტია ამოკვეთილი, მის ქვემოთ კი - არამეული. აქვე გავეცნოთ ბერძნული და არამეული ტექსტების თარგმანებს.

ბერძნული ტექსტის თარგმანი: - „სერაფიტი, ასული პიტიახშ ჯავახ მცირისა, მეუღლე პუბლიკიოს აგრიპა პიტიახშის ძის იოდმანგანისა – ქართველთა მეფის დიდი ქსეფარნუგის მრავალ გამარჯვებათა მომპოვებელი ეზოჲსმოძღვრისა, გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ოცდაერთისა წლისა, მქონებელი შეუდარებელი სილამაზისა."

არამეული ტექსტის თარგმანი: - „მე (ვარ) სერაფიტი, ასული ჯავახ მცირისა, პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა – ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მოპოვებული ეზოჲსმოძღურის ხსეფარნუგ მეფისა – ძისა აგრიფა ეზოჲსმოძღუარისა ფარსმან მეფისა. ვაება ვაებისა. ის, ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი, რომ არავინ იყო (მისი) მსგავსი სილამაზით. გარდაიცვალა 21 წლისა."

არმაზის ბილინგვა განსაკუთრებით ფასეული და მრავალმხრივ საყურადღებოა. იგი უძვირფასეს მასალას იძლევა ამ დროის ქართლის სახელმწიფოებრივი წყობის, პოლიტიკური ისტორიისა და სხვა. გარდა ბილინგვისა, მცხეთა-არმაზში აღმოჩენილია არმაზული დამწერლობით შესრულებული არაერთი სტელა და მცირე წარწერათა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ამათგან, როგორც უკვე ითქვა, ბევრი ბეჭდის თვლებზეა ამოკვეთილი, რამდენიმე – მინისა და ვერცხლის ჭურჭელზე. ისტორიულად მნიშვნელოვანი წარწერა ორივე ჯგუფშია აღმოჩენილი.

არმაზისხევის ერისთავთა (პიტიახშთა) სამაროვნის პირველ სამარხში აღმოჩენილ საერისთავო ბეჭდის თვალზე ამოკვეთილ მამაკაცის მკერდსზედა გამოსახულებას შემოუყვება ბერძნული წარწერა: „ასპარუკის პიტიაქსეს – ასპარუგ პიტიახში." როგორც ირკვევა, ეს ხელისუფლების ნიშანია, საერისთავო საბეჭდავია, რომელზედაც ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მოხელის გამოსახულება, სახელი და თანამდებობაა შემონახული. იმავე სამარხში აღმოჩენილ საერისთავო ოქროს სარტყელის ერთ-ერთი ბალთის თვალზე ქალ-ვაჟის პირისპირა პორტრეტულ გამოსახულებას შემოუყვება ინტიმური შინაარსის ბერძული წარწერა: "ჯავახი სიცოცხლეა ჩემი – კარპაკ."

საყურადღებოა, ვერცხლის ჭურჭლებზე გამოყვანილი წარწერები. ერთი მათგანის წყალობით, არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნის მესამე სამარხი, ბერსუმა პიტიახშს მიეკუთვნა. ამ სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგრის ფსკერზე ბერძნულად აწერია: „მე, მეფე ფლავიოს დადემ ვაჩუქე ბერსუმა პიტიახშს." მეორე წარწერა, რომელიც ქართულადაა მიჩნეული, მოთავსებულია ფსკერის შუაგულში, წრით შემოვლებულ არეში, იგი შეიცავს ორ ასოს, რომლებიც აღნიშნავენ პატრონის ინიციალებს – ბ ქ. ზესტაფონთან ახლოს, სოფ. ბორში, აღმოჩენილ იმავდროულ ვერცხლის თასზე ამოკაწრულმა წარწერამაც გაგვაცნო „პიტიახში, ბუზმიჰრ კეთილი." ხოლო არმაზისხევის მეორე სამარხში ნაპოვნი ვერცხლის ჯამზე გამოყვანილი

ფალაური წერტილოვანი წარწერა გვამცნობს, რომ „ფაფაკ პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა, ღვთაებრივი ფაფაკის ძისა გურზან ქვეყნის პიტიახშს არზამეს უძღვნის" ვერცხლის პინაკს, რომლის ფსკერზე, შესაძლოა, სასანიანთა მმართველი დინასტიის წარმომადგენელი, თვით ფაფაკი იყოს გამოსახული.

საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარების გასათვალიწინებლად დიდად საყურადღებო ცნობები ჩანს დაცული ახ. წ. დამდეგის არმაზისხევის ერთენოვან წარწერაში, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევენ გამარჯვების სტელად. წარწერა არამეული ასოებითაა შესრულებული, მაგრამ დიდი ნაწილი გადაშლილი და დაზიანებულია, რის გამოც მისი ამოკითხვა დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული. აკად. გ. წერეთელმა გამოაქვეყნა ამ წარწერაზე მის მიერ წარმოებული მუშაობის შედეგები. წარწერის პირველი სამი სტრიქონის თარგმანი ასეთია: -„მეფე მითრიდატე, მეფე დიდი, ძე ფარსმანისა, მეფისა დიდისა. მე შარაგასმა, ძემ ჯავახ უფლისამ, მე შარაგასმა, პიტიახშმა მითრიდატ მეფისა, სიტყვა და ასეთი სიტყვა წარმოვთქვი…" გარდა ამისა, როგორც ირკვევა, წარწერაში საუბარია საქართველოს მეზობელი ქვეყნის ვითარებაზე, სხვადასხვა ადგილებისა თუ ქვეყნების დაპყრობაზე და მრავალრიცხოვან გამარჯვებაზე, რაც ქართლის მეფეს მოუპოვებია.

წარწერაში ნახსენებია სამი გამაგრებული ადგილი, რომელიღაც სხვა ციხეები და სომხეთი. თითოეული გამარჯვების ანუ ლაშქრობის თხრობა მთავრდება სიტყვებით: - „ეს გამარჯვებანი ჩვენმა მეფემ მოიპოვა." აგრეთვე, წარწერა მოგვითხრობს ხალხის მღელვარებათა შესახებ, ახსენებს ასპარუგს. აქ გვხვდება ნიშანი, რომელიც მოგვაგონებს იმდროინდელი დიდი თანამდებობის პირის ხელისუფლების სიმბოლოს. ტექსტი გამარჯვების აღნიშვნით მთავრდება. წარწერა ეხება იბერიის სამეფოს მმართველთა ძლევამოსილი ომების, ხალხის მღელვარებათა და აჯანყებათა ხანას. შესაძლებელია აქ იყოს გამოძახილი იმ ამბებისა, რაც ახ. წ. I საუკუნეში იბერიასა და სომხეთში მოხდა, რომელსაც უკავშირდება ფარსმანის, მითრიდატეს და რადამისტის სახელები.

ანტიკური ხანის ქართლში რომ ბერძნული და არამეული დამწერლობა გამოიყენებოდა, ეს აღმოჩენილი წარწერების მიხედვით ირკვევა. როგორც ჩანს, ბერძნული და არამეული დამწერლობით ხდებოდა აქ იმ დროის ოფიციალური დოკუმენტების შედგენა. რაკი ასეა, მოულოდნელი არ უნდა იყოს ბერძნული წარწერა ასპარუგის საერისთავო ბეჭედზე და არამეული – გამარჯვების სტელაზე.

კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, არამეული ასოებით შესრულებულ წარწერათა შესწავლის შედეგად, საყურადღებო საკითხები წამოიჭრა. მოხერხდა გამოყოფილიყო არამეული დამწერლობის ახალი შტო, რომელსაც აკად. გ. წერეთელმა „არმაზული დამწერლობა" უწოდა. ასევე, შესაძლებელი გახდა ქართულ და არმაზულ დამწერლობას შორის შეხვედრის დადგენა. კერძოდ, აკად. გ. წერეთლის აზრით, ქართული ბ, გ, და ზოგიერთი სხვა ასო" ამჟღავნებენ გაცილებით უფრო მეტ არქაულობას, ვიდრე არმაზული ნიშნებია და თვით წარმოადგენენ პროტოტიპს, საიდანაც წარმოიშვა სათანადო არმაზული ნიშნები.

დასკვნა

„ქართული საისტორიო ტრადიციით, ქართველებს ფარნავაზამდეც ჰქონიათ დამწერლობა. იგი შეუდგენიათ ქართველ ქურუმებს: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე – წერდნენ იგინი უხუცესთა ცნობა შემონახულია თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომში - „ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ." ეს ისტორიული საბუთი1836 წელს ფრანგულად გამოაქვეყნა მარი ბროსემ. ამ ცნობას სარწმუნოდ მიიჩნევს ბევრი ცნობილი ქართველოლოგიც. წარმოდგენილი მოსაზრება გაამყარა შემდგომმა არქელოგიურმა აღმოჩენებმა და მეცნიერულმა კვლევებმა.

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ახალი არტეფაქტების საფუძველზე, მეცნიერთა მხრიდან, მას შემდეგ გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ აქ, საქართველოში, უხსოვარი დროიდან ჰქონდა მოსახლეობას დამწერლობა, რაც მეცნიერების მიერ შესწავლილი იქნა მტკვარ - არაქსის, თრიალეთის, კოლხეთის, შუმერული, ქალდეური მინოსური ცივილიზაციები და ამ ცივილიზაციების შემქმნელი ქართველური ტომებისა და მათი მონათესავე სხვა ტომების დამწერლობები.

ამდენად, ჩვენ არ შეგვიძლია განვიხილოთ ქართული დამწერლობა, როგორც არმაზული დამწერლობის განვითარება. ის მხოლოდ მონათესავეა მისი და მასთან ერთად წარმოდგება საერთო წყაროდან. დამწერლობა ქართლში ძველიდანვე ინტენსიურად იყო გამოყენებული. როგორც ირკვევა, ზოგიერთი ქართული ასო ამჟღავნებს გაცილებით უფრო მეტ არქაულობას,

ვიდრე I-II საუკნეების არმაზული წარწერების შესაბამისი ასოები. ამაში უნდა დავინახოთ ქართული დამწერლობის სიძველის უტყუარი ნიშანი. ახლა ქართული დამწერლობის სიძველისა და მისი ფესვების საკვლევად გაცილებით უფრო მეტი მასალა მოიპოვება. უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური აღმოჩენები საინტერესო მასალას ავლენენ საქართველოში და საერთოდ კავკასიაში, უძველესი დამწერლობის ნიმუშების გავრცელების გამოსარკვევად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აფაქიძე. მცხეთა ქართლის სამეფოს დედაქალაქი. თბილისი. 1959.
2. ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I. თბილისი. 1963.
3. ვ. ნიკოლაიშვილი. არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე. ძეგლის მეგობარი №4. 1996.
4. ვ. ნიკოლაიშვილი. არმაზციხე - ქართლის მეფეთა რეზიდენცია. თბილისი. 2011.
5. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი. 1957.
6. თ. ყაუხჩიშვილი ახალი ბერძნული წარწერები არმაციხე - ბაგინეთიდან. მცხეთა XI ს. .თბილისი. 1996.
7. „ქართლის ცხოვრება.“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. II. თბილისი. 1957.

Armasian burn

Lamara Giorgashvili, PhD student of GTU

Summary

Archaeological discoveries in Georgia and in the Caucasus in general reveal interesting facts to determine the spread of ancient writing samples. Already at the beginning of the 20th century, the ancient Greek and Aramaic inscriptions discovered as a result of excavations in Armaziskhevi attracted the attention of scientists.

Recently, new extraordinary scientific research has made even more clear the fact that Mtskheta (Armaztsikhe) and its surroundings are rich in monuments depicting continuous historical-cultural life, the date of which originates in ancient times.

During the last ten years, our knowledge about the ancient history of the population of Georgia, the Caucasus and the Near East has been significantly enriched and deepened. The large-scale archaeological excavations gave us many new things. Research into the history of the languages and writings of the ancient population of these parts has been greatly advanced.

In world historiography, the writings of Georgia, the Caucasus and the Middle East in general are the subject of extraordinary research. The works of Georgian and foreign scientists, recognized in the world, shed light on many problems of Georgian science, which were carefully hidden by Soviet scientists for many years, so that the Georgian nation would not properly realize its ethnogenesis, its unity with the Iberian-Caucasian and Iberian-Pyrenean peoples.

The relevance and scientific novelty of the research topic also led to the fact that the Caucasus is the birthplace of the first man. The first human society was formed on the land and water of Georgia from time immemorial, from where the migration to Europe took place. From here, humanity spread to different parts of the earth. The homeland of the white race is Georgia. That is why our history, culture, art, literature, and writing attract the special attention of world-renowned scientists.

ძველი თბილისის აბანოების ისტორიიდან

ლალი ჩიქარიშვილი, სტუ დოქტორანტი

ხელმძღვანელი: ვაჟა სადრაძე, სტუ პროფესორი

რეზიუმე

საქართველოს დედაქალაქის — თბილისის დაარსებას ხელი შეუწყო მოხერხებულმა გეოგ-რაფიულმა და სტრატეგიულმა პირობებმა. თბი-ლისი მოქცეულია მთებით გარშემორტყმულ ტაფობში. მასშუაშიჩაუდისმდ. მტკვარი, რო-მელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ დროისათვის. იგი რწყავდა და ანოყიერებდა მიწებს. მტკვარი აგრეთვე გამოიყენებოდა მიმოს-ვლისათვის და ტვირთის გადასაზიდავად. ამ ბუნებრივმა ფაქტორებმა განაპირობეს თბილისის მიდამოებში პირველი მოსახლეების გაჩენა. - თბილისის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთიერი მასალა მოწმობს, რომ დღევანდელი თბილისის ტერიტორია ჯერ კიდევ 6-5 ათასი წლის წინათ ყოფილა დასახლებული. სავარაუდოა, რომ თბი-ლისის პირველი მკვიდრნი თბილი წყლების (აბანოს) უბანში უნდა ყოფილიყვნენ დასახლე-ბულნი, რომელიც მოქცეულია დაბახანის (ლეღვთა ხევი), მტკვრის ხეობასა და სეიდაბადის ციცაბო კლდეს შორის. მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვადასხვა პერიოდის აღმოჩენილი მონეტები იმაზე ლაპარაკობს, რომ თბილისის ტერიტორია უძველეს დროიდანვე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ამრიგად, ეკონომიურმა და სტრატეგიულმა პირობებმა ხელი შეუწყო აღნიშნული დასახლებული პუნქტის ქალაქად გადაქცევას.

თბილისი რომ VI საუკუნეში ფრიად მნიშ-ვნელოვანი და უკვე ცნობილი ქალაქი იყო, ამის შესახებ ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე აღნიშნავს: „სომხებმა მოკლეს (მარზპანი) სურენა, გადაუდგნენ სპარსელებს და მიემხრენ რომაე-ლებს... სპარსელებს მაშინვე გაუდგნენ იბერებიც (ქართველებიც) და მიემხრენ რომაელებს;... ხო-ლო **იბერთა დედაქალაქი მაშინ ტიფილისი იყო**“. ამ უძველესი ქალაქის სახელი, თბილისი, და-კავშირებული უნდა იყოს იმ თბილ და ცხელ მინერალურ წყაროებთან, რითაც ესოდენ მდიდარია ჩვენი დედაქალაქი. საკმაოდ უხვად მოგვეპოვება თბილისის გოგირდის აბანოებთან დაკავშირე-ბული წერილობითი წყაროები, ეთნოგრაფიული მასალა და ფოლკლორული მონაცემები, ამ აბანოებთან დაკავშირებული ზოგიერთი ყოფითი სურათები.

საკვანძო სიტყვები - თბილისი, აბანო, არქეოლოგია

შესავალი

0როგორცუკვეავღნიშნეთ, თბილისიოდითგანვე განთქმული იყო თავისი ღირსშესანიშნაობებითა და ბუნებრივი სიმდიდრით , განსაკუთრებით თბილი გოგირდოვანი წყლებითა და აბანოებით. იგი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და ეგზოტიკური სილამაზის წყალობით მრავალი მოგზაურისადამკვლევარისყურადღებასიპყრობდა. X საუკუნის თბილისი აღწერა არაბმა მოგზაურმა იბნ ჰაუკალმა, რომელმაც საქართველოში 942-43 წლებში იმოგზაურა. საინტერესოა, რომ იგი თბილისს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა მრავალ სხვა დედაქალაქთა შორის. არაბი გეოგრაფი ხაზგასმით აღნიშნავს: «ქალაქში არის აბანოები, სადაც წყალი უცეცხლოდ ცხელდებაო». სპარსულ ენაზე შედგენილი გეოგრაფიული თხზულების ავტორი (XIII საუკუნე) აღნიშნავს, რომ: „თბილისი — ეს დიდი გამაგრებული ქალაქია... თბილისში 65 აბანოა, წყალი ყველა აბანოში უცეცხლოდ ცხელია, აქ აბანოზე ქირას არ იხდიან. ისტორიკოს პლატონ იოსელიანს აღნიშნული აქვს, რომ სპარსელი და არაბი მწერლების მიხედვით თბილისის სიმდიდ-რეს წარმოადგენს ცხელი წყლები, XI საუკუნეში მოხსენებული აქვს იგი ზაქარია ყაზვინსაც. შემდეგ პ. იოსელიანს მოჰყავს არაბი მწერლის აჯიბელ-მახლიუკანის (XIII საუკუნე) ცნობა თბილისის ცხელი წყლების საოცარი თვისების შესახებ, რომ თბილისის მინერალურ ცხელ წყალში ჩაშვებული 10 კვერცხიდან, ცხრა მოიხარშება, ხოლო ერთი კი აუცილებლად გაფუჭდებაო.

ცნობილ გეოგრაფსა და ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს თავის შრომაში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“ მოხ-სენებული აქვს, რომ: „ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ. არს მით აბანონი ექვსნი და დიდშენნი, ავაზიანნი. მარადის მომდინარე ცხელი წყალი“. როგორც ვახუშტის ამ ცნობიდან ჩანს, XVIII

საუკუნეში თბილისში კეთილმოწყობილი ექვსი აბანო ყოფილა. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1670 წელი), ხაზს უსვამს რა მინერალური წყლების სამკურნალო მნიშვნელობას, ამბობს: „აბანოების წყალი გოგირდიანია და ძლიერ ცხელი, კარგად მყოფების გარდა, აქ ბანაობენ, აგრეთვე სნეულებიც სამკურნალოდ“. - საინტერესოა მოგზაური ქალის ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგის ცნობაც (1811 წ.): „თბილისის აბანოები საუცხოოა, ცხელი წყალი გადმოსჩქეფს კლდიდან აუზებში. წყალი შეიცავს დიდი რაოდენობით გოგირდს და ძალზე სამკურნალოა რევმატიზმის, ნეკრესის ქარის, სირსველის და ჭრილობის მოსარჩენად“ .

1768 წელს თბილისში ჩამოსული აბატი დელპორტიც აღნიშნავდა აქაური მინერალური წყლების აბანოების დიდ ღირსებას, საქართველოს დედაქალაქში აბანოები კერძო პირებს ეკუთვნოდა და ეს აბანოები მათი მოგების წყაროს წარმოადგენდნენ.

1879 წელს ნიკო ნიკოლაძის მიერ წარდგენილი წინადადება ბალ ნეოლოგიური სადგურის შექმნის შესახებ უარყოფილ იქნა მაშინ დელი ქალაქის საბჭოს მიერ, რადგან ეს კერძო მესაკუთრეთა ინტერესებს არღვევდა.

1898 წელს კი ცურინოვი წერდა, რომ სამკურნალო ბუნებრივ თბილი წყლები ფართო მასებისათვის ხელმიუწვდომელია, რადგა ისინი კერძო პირებისათვის გამდიდრების წყაროს წარმოადგენენო. მას საჭიროდ მიაჩნდა შექმნილიყო მესაკუთრეთა ასოციაცია სააქციონერო საზოგადოება. ამ საზოგადოების დამფუძნებელნი უნდა ყოფილიყვნენ აბანოების ის მესაკუთრენი, რომელნიც განაცხადებდნენ ასეთი საზოგადოების შექმნის სურვილს. როგორც ჩანს, არც ცურინოვის მიერ წარმოდგენილ წინადადებას მოჰყოლია შედეგი. 1829 წელს ექიმმა პაროტამ პირველმა სცადა თბილისის თერმული წყლების სამკურნალო თვისებების გამოკვლევა. ამ გამოკვლევის შედეგები მან მოგვცა თავის შრომაში „მოგზაურობა არარატზე“. მართალია, თბილისის გოგირდოვან წყლებზე დაკვირვება უფრო ადრე (მე-17 საუკუნეში) დაიწყო, მაგრამ ამ წყაროების ჰიდროგეოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევა უფრო გვიან პერიოდს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

თბილისის მინერალური წყლების სპეციალური შესწავლი დაიწყო კომისიამ ინჟინერ-პოლკოვნიკ კადეს ხელმძღვანელობით 1860 წელს, ხოლო მათი გეოლოგიური, ფიზიკური და ტექნიკური თვისებები უფრო საფუძვლიანად გამოიკვლია პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა ჰ. აბიხმა (1866-1868 წლები). მისი ცნობით წყლის ტემპერატურა იმ დროისათვის 34-30° უდრიდა, ხოლო წყლის წლიური დებეტი ორჯერ აღემატებოდა საზღვარგარეთის ცნობილ სააბანოვე მინერალური წყლების რაოდენობას. აბიხის მიერ ჩატარებულმა შრომამ დიდი დახმარება გაუწია სხვა მკვლევარებს თბილისს გოგირდოვან-თერმულ წყლების შემდგომი შესწავლის საქმეში.

მინერალებით მდიდარი, მირზოევის და ბებუთოვის აბანოების წყლები, რომელთაც სპეციალისტები სავოის ექს-ლე-ბენის და კოტერეს პირენეის მინერალურ წყლებზე უფრო მაღლა აყენებდნენ, მაღალი სამკურნალო თვისების წყლებად იქნა აღიარებული. ასევე, დადგინდა, რომ ჩითახოვის და „გოგილოს“ აბანოების წყლები თავისი ქიმიური შემადგენლობით უახლოვდებოდა საფრანგეთის ექსლე-ბენის და ჩეხოსლოვაკიის ტეპლიცეს მინერალურ წყლებს, ხოლო წყლის სიუხვით აახენის და მარიენ-ბადენის წყაროებს. გამოჩენილმა ქართველმა ექიმებმა ზანდუკელმა, შუბლაძემ და სხვებმა მრავალი შრომა მიუძღვნეს თბილისის გოგირდოვანი წყლებით მკურნალობის საკითხებს. პროფესორი გ. შუბლაძე, 1926 წელში გამოქვეყნებულ ნაშრომებში „ქ. თბილისის გოგირდის წყლები და მათი სამკურნალო მნიშვნელობა და თბილისი, როგორც კლიმატურ-საბალნეოლოგიო მნიშვნელობის ადგილი“ აღნიშნავდა, რომ: „თბილისის გოგირდის წყლებს დებიტის მხრივ უპირატესობა აქვს საზღვარგარეთის (პრუსიაში) აახენ-ბურტშაიდის კურორტების გოგირდის წყლებთან, ქიმიური შემადგენლობის მიხედვით კი თბილისის გოგირდის წყლები ეკუთვნიან კურორტ კოტერეს“ (საფრანგეთში), „ბერსუს“ (პირინეიში) და ბატაგლიას (იტალიაში) ჯგუფების წყლებს.

ყურადღებას იქცევს ძველი თბილისის აბანოების ფორმა, ინტერიერის არქიტექტურული გაფორმება და შიდა მოწყობილობა. თბილისის თბილი წყლების და მასზე აშენებული გუმბათებიანი აბანოების შესახებ სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში (მე-17 საუკუნე) იუწყება: - „მთიდან ბევრი ნაკადული და უთვალავი წყარო გამოდის, დაახლოებით 70-80-მდის. წყალი ცხელია. ძველ დროში თვითეულ მუსლიმან და ურწმუნო ქართველ სულტანთაგანს იმ ცხელ წყალზე გუმბათები აუშენებია, აბანოები მოუწყვია და ქალაქის მთელი მოსახლეობა იქ დადის. რამდენიმე აბანო ციხეშია, ბევრი მის გარეთ და ახლა დაახლოებით 30-40 აბანო არის, რომელთაგანაც ზოგი მოქმედებს, ზოგი კი მზადდება სამუშაოდ“.

ჟან შარდენის მონაცემებზე დაყრდნობით, თბილისის უძველესი აბანოების შესახებ, შესანიშნავ ცნობებს იძლევა ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, რომლის მიხედვითაც როსტომ მეფის სასახლის ბაღში ყოფილა აგებული აბანოს პატარა შენობა. იგი თბილისის მინერალურ წყალსაცავიდან იღებდა წყალს თიხის მილებით, რომელიც მთავარ ბაზარსა და სიონის ქუჩაზე გადიოდა. აბანოს იატაკი მოფენილი ყოფილა მარმარილოს ფილებით. საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ის დავალებით, გამოჩენილმა ფრანგმა ბოტანიკოსმა ტურნეფორმა 1700 წელს იმოგზაურა მოსავლეთში — საბერძნეთში, თურქეთში და კავკასიაში. იგი თბილისშიც ჩამოსულა და, რა თქმა უნდა, აბანოებსაც სწვევია. „ჩვენ დავათვალიერეთ აბანოები, — წერს იგი — ეს საუცხოვო ცხელი წყლები, რომელთა ტემპერატურა ასატანია... გარდა ამისა აბანოებში თბილი და ცივი წყალია. ეს აბანოები კარგ მდგომარეობაშია და უნდა ითქვას, რომ მოქალაქეთათვის ერთადერთ გასართობ ადგილს წარმოადგენს“. ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ტურნეფორი გულისხმობს როგორც აბანოების კეთილმოწყობას, ასევე თვით შენობების არქიტექტურულ გაფორმებას. თბილისის აბანოთა არქიტექტურას ყურადღება მიაქცია აბატმა დელაპორტმა (1768 წ.). მისი ცნობით ყველა აბანო აშენებულია ქვისაგან, ჭერი კი კამაროვანია, საიდანაც ჩამოდის სინათლე, აუზები კი თლილი ქვისაგან არის ნაგებიო. ამავე საკითხს შეეხნენ 1870 წელს ქართველი ისტორიკოსები დ. ბაქრაძე და ნ. ბერძენოვი. მათ აღნიშნეს, რომ მათი დროის ზოგიერთი აბანოს ნაგებობის არქიტექტურა დელპორტის მიერ აღწერილი აბანოების არქიტექტურის მსგავსია, აბანოების შენობები აგურისაა, ყრუკედლებიანი, გუმბათოვანი სახურავით, ცენტრში მრგვალი, ოთხკუთხი სარკმელით შუქისათვის. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ბოტანიკური ქუჩის ზემოდან მზერისას აბანოები წარმოადგენს დიდ და მათ გარშემო სოკოებივით პატარა გუმბათების ჯგუფს. შემდეგ ავტორები აღწერენ აბანოს შიგა მოწყობილობას: იატაკი მოფენილია ფოროვანი ქვის თლილი ფილებით. ზოგიერთ აბანოში იყო ე. წ. განსაკუთრებული ნომრები. ეს ნომრები გამორჩეოდა კეთილმოწყობით, მარმარილოს აბაზანებით. ტანსაცმლის გასახდელ ოთახში იატაკი მოფენილი იყო ხალიჩით, მერხებზე იდო ფერადი მაუდგადაფარებული ლეიბები, თავთან მუთაქები. კედლებზე გაკრული იყო უბრალო შტოფი , წინა კედელთან იდგა მაგიდა სარკით, სურა წყლით, ჭიქა და ლამფა. ასეთ ნომერში 1 საათით ბანაობის საფასური 1 მანეთი იყო. უფრო ნაკლებად მოწყობილი ნომერი, რომელსაც მხოლოდ ერთი ცხელი აბაზანა ჰქონდა, 60 კაპეიკი ღირდა. საერთო აბანოების კეთილმოწყობისათვის კი მეპატრონე თავს არ იწუხებდა, თუმცა აბანოთი სარგებლობის ბანაობის ღირებულება თითქმის ორჯერ გაიზარდა. აბანოებზე ხალხი ლექსებსაც კი თხზავდა, სადაც აქებდა არა მარტო გოგირდის წყლის სასწაულებრივ სამკურნალო თვისებებს, არამედ აბანოების შენობათა არქიტექტურულ ნაგებობასაც.

XX საუკუნის 20-იანი წლების თბილისის აბანოების შესახებ პროფესორი მელიქსედ-ბეგი წერდა: „აბანოები წარმოადგენდნენ აგურის ყრუ შენობებს გუმბათისებური სახურავით. თითოეულ ნომერს ზემოდან დატანებული აქვს კვადრატული სარკმელი შუქისათვის. კედლები დაფარულია შორენკეცის ფილებით. ვიწრო დერეფანში გამოდის ცალკეული ნომრების კარები. ნომერი ორი ოთახისაგან შედგება: ტანისამოსის გასახდელი და საბანაო ოთახისაგან. გასახდელ ოთახში მოწყობილია მარმარილოს ტახტი. აბანოში ერთი ან ორი მარმარილოს ტახტი და მარმარილოს აუზია, რაშიც უწყვეტად ჩაედინება მინერალური წყალი. დგას გოგირდის მძაფრი სუნი. საბანაო ოთახი გავსებულია ორთქლით. თითქმის ამგვარადვეა მოწყობილი საერთო აბანოები, მხოლოდ ისინი დიდი ზომისანი არიან“.

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ძველი თბილისის აბანოების არქიტექტურაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ბალნეოლოგიური კურორტი კი, რომელიც განკუთვნილია მკურნალობის ჩასატარებლად თანამედროვე სტილით არის აშენებული და კეთილმოწყობილია. იმის შესახებ, თუ რომელ წელში რა სახელწოდების აბანოები არსებობდა, ზუსტი ქრონოლოგიური ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ის წერილობითი წყაროები, სადაც აბანოებია მოხსენებული, ამ საკითხზე ერთგვარ წარმოდგენას მაინც გვაძლევენ.

X IX საუკუნის 70-იან წლებში იყო მეითარის, ბებუთას და ციხის აბანოები, აგრეთვე სამშაბათისა და ოთხშაბათის აბანოები (ეს უკანასკნელი ქალების საბანაოდ ყოფილა განკუთვნილი).

ი. ბალახაშვილის ცნობით, XIX საუკუნის დამდეგს თბილისში ათამდე აბანო იყო. მათ შორის აღსანიშნავია: მეფე ირაკლის ანუ დარიას, მეითარის, სიონის, ბებუთას, მელიქაანთ, ციხის, მინალის, გრილი და სხვა. ექიმ ვ. კარპოვიჩის ცნობით, 1871 წელში თბილისში ყოფილა შემდეგი აბანოები: ი. მირზოევის (ყოფ. ზუბალოვის)

სამი საერთო აბანოთი: ერთი მამაკაცების, ერთი ქალებისა და ერთი ჯარისკაცებისათვის; წოვიანოვის (ყოფ. ორბელიანის), ინ. მირზოევის, ალიხანოვის (ყოფ. თამამშევისა) საერთო ქალებისათვის, ერთი საერთო მამაკაცებისათვის და ორი განსაკუთრებული ნომრით; მარიამ ბატონიშვილის აბანო (ყოფ. საეკლესიო აბანო). საერთო აბანოში შესვლის ღირებულება 10 კაპ. იყო ყველასათვის, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და აგრეთვე ბანაობის ხანგრძლივობისა. ზოგიერთი ცნობიდან ჩანს, რომ 1906 წლისათვის თბილისში, მტკვრის მარჯვენა მხარეზე ყოფილა 31-მდე მინერალური წყარო; მტკვრის მარცხენა მხარეზე არსებული წყაროების რიცხვი მოხსენებული არ არის, მხოლოდ არის ნათქვამი, რომ ისინი ნაკლებად თბილია, სამკურნალოდ უფრო მეტ მინერალებს შეიცავს, ვინემ მტკვრის მარჯვენა მხარის თერმული წყაროები.

ცნობები, რომელიც მოგვეპოვება, მიუხედავად მათი სიმცირისა ცხადყოფენ თუ რა დიდ სიმაღლეზე მდგარა იმ დროს აბანოების მშენებლობა და მათი არქიტექტურული გაფორმება. ძველი თბილისის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში აბანო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ის არა მარტო ჰიგიენურ-სამკურნალო დაწესებულებას წარმოადგენდა, არამედ იგი შეხვედრებისა და დროსტარების ადგილიც იყო. აბანოში თბილისელები ხშირად კოლექტიურად მიდიოდნენ, მთელ დღეს იქ რჩებოდნენ და ზოგჯერ ქეიფსაც მართავდნენ. ,,აღსანიშნავია, რომ აბანო საპატარძლოს გასინჯვის თავისებურ ბირჟასაც წარმოადგენდა. იქ შიშველ, გასათხოვარ ქალებს, მუშტრის თვალით ათვალიერებდნენ სასიძოს მახლობლები, ან მაჭანკლები. „ბევრი ლამაზი ქალის ბედი გადაწყვეტილა აბანოში, ბევრი სანდომიანი „ქალი და რძალი“ გაბედნიერებულა და ბევრი ფიზიკური ნაკლიც აღმოჩენია ქალს'' . ქალებისათვის საბანაოდ სპეციალური დღეები იყო გამოყოფილი: სამშაბათი და ოთხშაბათი. აბანოში ქალების აშკარად მამაკაცების დასანახავად, წასვლა სირცხვილად ითვლებოდა და ამიტომ ისინი აბანოში დილით ადრე მიდიოდნენ. სახლში კი საღამოთი ბრუნდებოდნენ. აბანოში წასვლისას ქალები საგანგებოდ ირთვებოდნენ. აბანოში მთელი დღით წასული ქალები (განსაკუთრებით დაბალი წრიდან) სარეცხსაც რეცხავდნენ.

დღე-ღამის განმავლობაში აბანოებში ხალხის შეუწყვეტელი დენა, მასში გამართული ქეიფი და დროსტარება და აგრეთვე, მათი ღამისსათევად გამოყენება მეტად ხელსაყრელი იყო აბანოების მფლობელთათვის, რომელნიც ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი მოგება და ფულადი შემოსავალი ჰქონოდათ..

დასკვნა

ამრიგად, თბილისის ბუნებრივი მინერალური თერმული წყლების სასარგებლო სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი, რაზეც თვალნათლივ მეტყველებენ არქეოლოგიური ცნობები. ცხადია, რომ თბილისის გოგირდის აბანოებისაგან ახალი აბანოები მკვეთრად განსხვავდება როგორც გარეგნული გაფორმებით, ისე შიგა მოწყობილობით. ისტორიკოსთა აღწერილობაში შემონახულია აბანოს კულტურის ამსახველი სიუჟეტები, აბანოში მამაკაცთა ქეიფი და ღამის თევა, ქალების მარაქის მიერ გამართული წვეულებები და ახალი ტანისამოსის ჩვენება, აბანოში სარეცხის რეცხვა და საპნის ხარშვა, აგრეთვე აბანოში ქალთა სახმარი ნივთების, ტანსაცმელის, სააბანაო საგნებისა, ტრადიციული გართობის აღწერილობა. ეს ყოველივე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თბილისურ ყოფაზე და კულტურაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ბერძენიშვილი - საქართველოს ისტორიის საკითხები 1975
2. დ. მუსხელიშვილი - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები 1977
3. ლ. ჭილაშვილი - ქალაქები ფეოდალურ საქართველოში 1970
4. ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი - თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები 1961
5. დ. ქორიძე თავის ნაშრომში -თბილისის არქეოლოგიური ძეგლები - 1955 წ

From the history of old Tbilisi baths

Lali Tsikarishvili, PhD student of GTU

Supervisor: Vaja Sadradze, Professor of GTU

Summary

Convenient geographical and strategic conditions contributed to the establishment of Tbilisi, the capital of Georgia. Tbilisi is surrounded by mountains. A river flows through it. Mtkvari, which was of great importance at that time. He irrigated and plowed the lands. Mtkvari was also used for traffic and cargo transportation. These natural factors led to the emergence of the first inhabitants in the vicinity of Tbilisi. - The physical material found as a result of archaeological excavations in the territory of Tbilisi proves that the territory of today's Tbilisi was inhabited 6-5 thousand years ago. It is likely that the first inhabitants of Tbilisi should have settled in the area of warm waters (Abano), which is located between Dabakhani (fig ravine), Mtkvari valley and the steep cliff of Seidabad. Monuments of material culture and coins found from different periods indicate that the territory of Tbilisi has been densely populated since ancient times. Thus, economic and strategic conditions contributed to the transformation of the said settlement into a city.

The Byzantine historian Theophanes notes that Tbilisi was a very important and already famous city in the 6th century: "The Armenians killed (Marzpan) Surena, surrendered to the Persians and sided with the Romans... Immediately the Persians (Georgians) also stood up against the Persians and sided with the Romans;... and The city was then called Tiflis. The name of this ancient city, Tbilisi, should be related to the warm and hot mineral springs that are so rich in our capital. We can find quite a lot of written sources related to Tbilisi sulfur baths, ethnographic material and folklore data, some old pictures related to these baths.

Key words - Tbilisi, Abano, archeology

ეკონომიკა და ბიზნესი

ECONOMICS AND BUSINESS

ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) დაარსების 100 წლის იუბილეს

ეკონომიკური ანალიზი და რებრენდინგი ტელეკომუნიკაციაში

ელისაბედ ხახუტაშვილი,
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

<u>ეკონომიკური ანალიზი</u> ტელეკომუნიკაციაში მოითხოვს მრავალმხრივ შესწავლას. ის არის მენეჯმენტის სისტემის შემადგენელი ნაწილი. ნებისმიერი პროექტის განხორციელება ყველა სფეროში მოითხოვს ეკონომიკურ ანალიზს რებრენდინგთან ერთად. ასევე დაგეგმვას, კონტროლს, ხარისხს. ეკონომიკური ანალიზი ეკონომიკური მოვლენების და პროცესების არსის შეცნობის მეცნიერული ხერხია, რომელიც ეფუძნება მათ დანაწევრებას შემადგენელ ელემენტებად.

<u>ეკონომიკური ანალიზის შედეგები</u> გამოიყენება მიღებული გადაწყვეტილების გასაკონტროლებლად, ბიზნეს-გეგმის შესადგენად, საინვესტიციო პროექტების და მარკეტინგული პროგრამების სამარათავად საბაზრო ურთიერთობებთან და მასზე დაფუძნებულ რებრენდინგთან ერთად.

<u>ეკონომიკური ანალიზი</u> არის ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ფინანსებთან ერთად.

<u>კომპანიის ეკონომიკური და ფინანსური</u> ანგარიშები საკმაოდ მნიშვნელოვანია ბიზნეს გეგმის შესრულების და კონტროლის დასაბუთებისათვის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი (მეთოდი) - მოდელი.

<u>ეკონომიკური ანალიზი</u> კლასიფიცირდება ჩატარებული სამუშაოების მიხედვით:

<u>ანალიზის სახეებია:</u> ფაქტორული, ინდექ-სური, პერსპექტიული, ტექნიკურ-ეკონომიკური, სამეურნეო, პროგნოზული, შედარებითი-ეკონომიკური, ინფორმაციული, აუდიტორული (ბუღალტრული), ექსპერტულ-დიაგნოსტიკური, მარკეტინგული, თემატური ანუ მიზნობრივი, ფინანსური. ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვანია <u>მოგების</u> დასაბუთება.

დღეს, ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება-დანერგვა, უსადენო ინტერნეტი, 5G-ის მიერ შეთავაზებული კავშირი, ხელს უწყობს ინოვაციურ მომსახურებას როგორც საზოგადოების, ასევე სხვადასხვა სფეროს ბიზნესისათვის, ის 10-ჯერ და ზოგ შემთხვევაში 100-ჯერ უფრო მაღალი სიჩქარის კომუნიკაციას გვთავაზობს, რაც თავის მხრივ გააძლიერებს ტელეკომუნიკაციის სფეროს. ასევე რებრენდინგი ხელს უწყობს კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდას და რაც მთავარია ტელეკომპანიისთვის ახალი მყიდველის შექმნა. ახალი იმიჯი ამა თუ იმ მარკეტიგულ მომსახურებაზე მარტივი არ არის.

საწყის ეტაპზე აუცილებელია არსებული ბრენდის ანალიზი და რებრენდინგისთვის კი აუდიტის. უნდა შეფასდეს კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები და ყველაფერი მიწოდებული უნდა იქნას ევოლუციური საზოგადოებისათვის.

თავად რებრენდინგი აუცილებელი და გარდაუვალი პროცესია ტეელკომუნიკაციაში ეკონომიკურ ანალიზთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: ანალიზის სახეობა; რებრენდინგი; ბიზნესი, კონკურენტუნარიანობა, მოგება, რენტაბელობა, ექსტრაპოლაცია.

შესავალი

დღეს შეუძლებელია ნებისმიერი პროექტის

განხორციელება ტელეკომუნიკაციაში ეკონომიკური ანალიზის და რებრენდინგის გარეშე, რადგან **ეკონომიკური ანალიზი** არის მართვის სისტემის შემადგენელი მაწილი და **მოიცავს აგრეთვე დაგეგმვას, მართვას, კონტროლს, ხარისხსს.** [1] ასევე **ეკონომიკური ანალიზი არის ეკონომიკური მოვლენების და პროცესების არსის შეცნობის მეცნიერული ხერხი,** რომელიც ეფუძნება მათ დანაწევრებას შემადგენელ ელემენტებად.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკური ნალიზის შედეგები გამოიყენება მიღებული გადაწყვეტილებათა შესრულების გასაკონტროლებლად, ბიზნეს-გეგმის შესადგენად, საინვესტიციო ეკონომიკური ანალიზის შედეგები გამოიყენება მიღებული გადაწყვეტილებათა სამართავად, პროექტების და მარკეტინგული პროგრამების ურთიერთობებთან და მასზე დაფუძნებულ **რებრენდინგთან** ერთად.

ეკონომიკური ანალიზი არის ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ფინანსებთან ერთად.

ეკონომიკური ანალიზი - არის მართვის სისტემის შემადგენელი ნაწილი, ეკონომიკური რომელიც ანალიზის გარდა მოიცავს დაგეგმვას, აღრიცხვას, კონტროლს.

<u>**ეკონომიკური ანალიზი**</u> არის ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების არსის შეცნობის მეცნიერული ხერხი, რომელიც ეფუძნება მათ დანაწევრებას შემადგენელ ელემენტებად. მათ შორის მრავალგვარი კავშირებისა და დამოკიდებულების შესწავლის მიზნით.

<u>**ეკონომიკური ანალიზის**</u> შედეგები გამოიყენება მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების გასაკონტროლებლად, ბიზნეს-გეგმის შესადგენად, საინვესტიციო პროექტების და მარკეტინგული პროგრამების სამართავად.

<u>**ეკონომიკური ანალიზის საგანი**</u> არის ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

კომპანიის ეკონომიკური და ფინანსური ანგარიშები საკმაოდ მნიშვნელოვანია ბიზნეს-გეგმის შესრულების და კონტროლის დასაბუთებისათვის, როგორც ერთ ერთი მნიშვნელოვანი მოდელი (მეთოდი).

ეკონომიკურ ანალიზის როლი დიდია ეკონომიკის მეცნიერებათა სისტემაში. ეკონომიკური ანალიზის ჩატარების დროს საჭიროა განხილული იყოს ანალიზის ძირითადი პრინციპები: **მეცნიერული, კომპლექსური, სისტემური მიდგომის, ობიექტურობის, ქმედითუნარიანობის, გეგმიურობის, დემოკრატიულობის და ეფექტურობის პრინციპები. ეკონომიკური ანალიზი** კლასიფიცირდება ჩატარებული სამუშაოების მიხედვით. ანალიზს წინ უსწრებს **სამეურნეო ოპერაციების შესრულება,** რომელსაც წინასწარი ხასიათი აქვს და ამიტომ მას **ეწოდება წინასწარი ანუ პერსპექტიული ანალიზი.**

ანალიზის ერთ-ერთი სახეა ინდუქციური, რომლის ძირითადი მიზანია **მმართველობითი გადაწყვეტილების დასაბუთება: მომავალი პერიოდის პროგნოზირება.** იგი ემყარება ოპერატიულ ინფორმაციას და ხარისხიანი შესრულებას. ასეთი ანალიზი ტარდება განუსაზღვრელობის პირობებში და ამიტომ კვლევისას გამოიყენებენ სპეციფიკურ ხერხებს: **ექსტრაპოლაციას, საექსპორტო შეფასებას, მათემატიკურ-სტატისტიკურ მოდელირებას** და სხვ. წინასწარი ანალიზი საჭიროა გადახრების დროულად გამოვლენისათვის და ნეგატიური ტენდენციების თავიდან ასაცილებლად.

შემდგომი ანალიზი ხორციელდება სამეურნეო ერთეულების მიხედვით. ესენია: რეტროსპექტრული და პროგნოზული (პერსპექტიული). ანალიზებს შორის არის **ოპერატიული ანალიზი.** მისი ძირითადი დანიშნულებაა მართვის ოპერატიული გადაწყვეტა, მის ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

პერსპექტიული ანალიზი ეწოდება _ სამეურნეო ერთეულების, სამეურნეო საქმიანობის შედეგების ანალიზს.

ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა ტექნიკურ-ეკონომიკური პოზიციიდან.

ანალიზის ჩატარებისას გამოიყენება ხერხების დიდი არსენალი. აღსანიშნავია **უნივერსალური შედარების ხერხი, ასევე ნაკეთობათა ფუნქციების გამოკვლევისა და ღირებულებითი შეფასების მეთოდი.**

შედარებითი ეკონომიკური ანალიზი, როგორც ანალიზის ცალკე სახე, ჩამოყალიბდა შედარების მეთოდის გამოყენების საფუძველზე. ეს ლოგიკური ხერხი საშუალებას იძლევა შედარდეს და დახასიათდეს ერთი მონათესავე მოვლენა მეორის საშუალებით შესადარებელი მაჩვენებლებით.

ანალიზის ობიექტი შეიძლება იყოს ერთი ან რამოდენიმე საანალიზო ერთეული (საწარმო, პროცესი, ნაკეთობა, ინფორმაცია). შედარებამ შეიძლება მოიცვას როგორც ცალკეული მახასიათებლები, ან დანახარჯთა სახეები, ასევე სხვა საერთო, ლოგიკური და კერძო შედარებები. **აუდიტორული (ბუღალტრული) ანალიზი** წარმოადგენს სამეურნეო ერთეულებს ფინანსური „ჯანმრთელობის“

ექსპერტულ დიაგნოსტიკას. იგი ტარდება აუდიტორის მიერ სამეურნეო ერთეულების არსებული ფინანსური მდგომარეობის შესწავლა. მისი პროგნოზირების მიზნით.

მარკეტინგული ანალიზი გამოიყენება სამეურნეო ერთეულების ფუნქციონირების გარე პირობების, ნატურალური რესურსების, მზა პროდუქციის, მისი კონკურენტუნარიანობის და სხვა მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიის შესწავლისათვის.

ეკონომიკური ანალიზის ობიექტი მრავალფეროვანია: მაგალითად, ტელეკომუნიკაციაში ნაირსახეობის პროდუქტით, ნაკეთობის ანალიზი „სასიცოცხლო ციკლის" დასახასიათებლად (დანახარჯები სამომხმარებლო ფუნქციებზე); სამეურნეო ერთეულების ცალკეული ელემენტები, მაგალითად, სამუშაო ადგილი, საწარმოო უბანი, საამქრო, ტექნოლოგიური პროცესი, საწარმო (კონკურენტუნარიანობა, უსაფრთხოება, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა და სხვა), დარგი, ქვედარგი, რეგიონი.

ეკონომიკური ანალიზი შეიძლება იყოს **შიდა და გარე.** იმის მიხედვით თუ რა პოზიცია შეისწავლება. შიდა-ტარდება უშუალოდ სამეურნეო ერთეულებში, ხოლო გარე - ტარდება სხვადასხვა საფინანსო, საბანკო, მაკონტროლებელი და სხვა ორგანოების, აგრეთვე აქციონერების მიერ. ეკონომიკური ანალიზი იყოფა **სრულ** და **თემატურ ანალიზად. სრული ანალიზი** ხდება სამეურნეო ერთეულების ყველა მხარის განხილვით.

თემატური ანუ მიზნობრივი ანალიზი ხორციელდება მხოლოდ ლოკალური საკითხების გადასაწყვეტად.

ეკონომიკური ანალიზი პერიოდულობის მიხედვით იყოფა **სისტემურ და ერთჯერად ანალიზად.**

ეკონომიკური ანალიზის სახეების კლასიფიკაცია არ შემოიფარგლება მარტო განხილული ანალიზებით, შესაძლებელია მათი გაფართოება საანალიზო ობიექტების გაფართოებასთან ერთად.

ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის **ფინანსური ანალიზი,** რომლისთვის არსებობს ანალიზის ამოცანები და ინფორმაციული წყაროები. ანალიზის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კომპანიის მიერ **მოგების მიღება-დაფიქსირება.**

მოგება ეს შემოსავლის წყაროა, რომელიც იქმნება წარმოების პროცესში და რეალიზდება მიმოქცევის სფეროში. რაოდენობრივად იგი **წარმოადგენს სხვაობას მთლიან შემოსავალსა და მთლიან ხარჯს შორის.** საწარმო რაც რენტაბელურ (მომგებიან) პროდუქციას ყიდს, მით მეტ მოგებას ღებულობს და მით უკეთესია მისი ფინანსური მდგომარეობა.

მოგება - ეს არის კომერციული საწარმოების სისტემატურად კვლავწარმოებადი რესურსი, რომ-ლის საბოლოო მიზანია ბიზნესის განვითარება. [2] .

როცა **კომპანია ვერ ღებულობს მოგებას, საჭიროა მისი ფინანსური ანალიზი.** ფინანსური შედეგების ანალიზის ამოცანებია:

- მოგებისა და რენტაბელობის გეგმიური დადგენა;
- გეგმების შესრულების დონის განსაზღვრა;
- გეგმიდან გადახრების გამომწვევი ფაქტორების დადგენა და მათი სიდიდის გაზომვა;
- შედარებითი ანალიზის საფუძველზე მოგების ზრდის და რენტაბელობის დონის ამაღლების გამოვლენა;
- რეკომენდაციების შემუშავება გამოვლენილი რეზერვების ასამოქმედებლად.

ფინანსური შედეგების ანალიზის ინფორმაციული წყაროებია:

- საწარმოს ბიზნეს-გეგმის და საფინანსო გეგმის მაჩვენებლები, ნორმატივები.
- ანგარიშების ფორმები: ბუღალტრული ბალანსი, ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ, თვითღირებულების ნაერთი კალკულაციები და პირველადი აღრიცხვის მასალები;
- საწარმოს ანგარიში სამეურნეო საქმიანობის შესახებ და მდგომარეობის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია ფაქტორული და ინდექსური ანალიზების გამოყენება, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ ანალიზს.

როგორც ცნობილია ბიზნესის წარმატება დაფუძნებულია საერთო მოგებაზე, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. განვიხილოთ რას წარმოადგენს ფაქტორული ანალიზი.

ფაქტორული ანალიზი - ეს მეთოდი პირველად გაჩნდა ფსიქომეტრიაში და ამჟამად გამოიყენება როგორც ფსიქოლოგიაში, ასევე ნეიროფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, ანტროპოლოგიაში, ეკონომიკაში. ფაქტორული ანალიზით შესაძლებელია კვლევის ობიექტის აღწერა სრულყოფილად და კომპაქტურად. ანალიზის შედეგად ერთ ფაქტორში ერთიანდება ძლიერად ურთიერთკორელირებული ცვლადები. ფაქტორული ანალიზის მთავარი მიზნებია: ცვლადების რედუქცია და ცვლადების ურთიერათკავშირების სტრუქტურის დადგენა (ცვლადების კლასიფიკაცია).

ფაქტორული ანალიზი გვიჩვენებს საერთო მოგებას, რომელიც წარმოადგენს სხვაობას პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და

პროდუქტსაწარმოო თვითღირებულებას შორის.

საერთო მოგების სიდიდეზე გავლენას ახდენს შემდეგი (ექვსი) ძირითადი ფაქტორი:

- რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ცვლილება;
- სასაქონლო პროდუქციაზე სარეალიზაციო ფასების ცვლილება;
- რეალიზებული პროდუქციის სტრუქტურის ცვლილება;
- პროდუქციის ერთეულზე რესურსების დანახარჯების დონის ცვლილება;
- რესურსებზე ფასების და მომსახურებაზე ტარიფების ცვლილება;
- პროდუქციის თვითღირებულებაზე სტრუქტურული ძვრების ზეგავლენა;

მოგების სიდიდეზე მოქმედებს ეს 6 ფაქტორი.

ყველა ექვსი ფაქტორის ზეგავლენით მიიღება:

1) მოგება; 2) დანახარჯთა დონის ცვლილება იწვევს მოგების ცვლილებას; 3) კომერციული ხარჯების დონის ცვლილება იწვევს მოგების შემცირებას; 4) მმართველობითი ხარჯების ცვლილებით – მცირდება საოპერაციო მოგება; ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია ინდექსირების. [1]

ტელეკომუნიკაციის ბიზნესში წარმატების მიღწევა მარტო ეკონომიკური ანალიზი საკმარისი არ არის, საჭიროა სწრაფად რებრენდინგის ჩატარება.

რებრენდინგი - ძველი იმიჯის ახალი სახეა. „ბალანსი რომ შეინარჩუნო, საჭიროა მოძ-რაობა განაგრძო". ალბერტ აინშტაინის ეს რჩევა არა მხოლოდ ცხოვრებისეულია, არამედ ბიზნესისეულიც, ბიზნესის სფერო მუდმივად მოძრაობაშია და მოქმედებაა საჭირო, რათა კონკურენტუნარიანი და წამყვან პოზიციაზე იყო [3].

თანამედროვე ბიზნესის სამყარო - ტელეკომუნიკაციაში სამი პარამეტრით ხასიათდება: **სისწრაფე, კონკურენცია** და **პროგრესი** (ინოვაცია, რეკლამა, დიზაინი). კონკურენციის ზრდის ფონზე ტელეკომპანიები ისწრაფვიან **ცვლილებების** და სიახლეებისკენ, რათა კონკურენტების ჩრდილში არ აღმოჩნდნენ.

ზოგჯერ კომპანია, ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, ნერგავს სიახლეებს, თუმცა სასურველ შედეგს მაინც ვერ იღებს. ასეთ შემთხვევაში დგება **რებრენდინგის დრო** - ანუ კომპანიის არსებული ბრენდის და იდეოლოგიის ახლით შეცვლის აუცილებლობა. [4]

რებრენდინგი ხელს უწყობს კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდას. მთავარი რებრენდინგის აზრი არის მყიდველს შეექმნას ახალი წარმოდგენა ტელეკომპანიაზე.

ახალი იმიჯის შექმნა არ არის მარტივი. ამის აუცილებლობა მაშინ დგება, როცა სამუშაო მეთოდები მოძველდა, ერთფეროვანია და ისე ეფექტურად აღარ მუშაობს როგორც წინა წლებში იყო, ასევე, როცა შეცვლილია მომხმაებლის მოთხოვნა და არსებული პროდუქტი და მომსახურება აღარ იყიდება.

საჭიროა იყოს გათვალისწინებული, რომ რებრენდინგი მხოლოდ ლოგოს, სლოგანის ან კომპანიის ფერების შეცვლა არ არის.

საწყის ეტაპზე აუცილებელია კომპანიის უკვე არსებული ბრენდის ანალიზი რებრენდინგისთვის, ამიტომნ უნდა ჩატარდეს რებრენდინგისთვის სამუშაოების აუდიტი: უპირველესად უნდა შეფასდეს კომპანიის ბრენდის ძლიერი და სუსტი მხარეები; არსებული ბაზრის შეფასება და ანალიზი; მომხმარებლის ინტერესები; კომპანიის შესაძლებლობები; _ ჩატარებული მოკვლევის პრცესის ანალიზი; საბოლოო პროდუქტის ევოლუციური საზოგადოებისთვის გაცნობა. მაგალითად; 90-იან წლებში Apple-ის კომპანიის გაყიდვები და მომხმარებელთა ინტერესები საკმაოდ დაბალი იყო, მაგრამ დიზაინის რებრენდინგის შეეგად ყველაფერი შეიცვალა და Apple შეძლო აღორძინება

ქართულ რეალობაში წარმატებული რებრენდინგის მაგალითია Elit Electronics-ის რებრენდინგი. 23 წლიანი არსებობის ისტორიაში მან სააგენტო HOLMES@WATSON-თან თანამშრომლობით შეიცვალა ბრენდის ლოგო, მასში შევიდა გრაფიკული ფორმები, შეიცვალა დიზაინი რაც ყველაზე მთავარია. გრაფიკული ფორმები თანამედროვე ტრენდებს ეხმიანება და მონუმენტური გახდა.

ელექტრონიქსის რებრენდინგმა კომპანიის გაყიდვები და მომხმარებელთა რიცხვი საგრძნობლად გაზარდა. კლიენტი ახლებურად ხედავს პროდუქტს. [5]

რებრენდინგი აუცილებელი და გარდაუვალი პროცესია ტელეკომუნიკაციაში. რებრენდინგის შედეგად სრულიად განახლდა და მომხმარებლის კომფორტზე მოერგო სოციალური ქსელები, შეიქმნა ახალი საკომუნიკაციო პლატფორმები, სადაც მომხმარებელს 24 საათიან რეჟიმში აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს უწყვეტი კავშირი (Facebook, Youtube, Linkedin, Twitter, Instagram, ComCom ანალიტიკა და სხვა).

[1] ინდექსი შეჯერებული ღირებულების მაჩვენებელი. ინდექსი ჩვეულებრივად საწყისი მნიშვნელობის შესაბამისობაში გამოიხატება, რომელიც საბაზისოდ არის მიღებული. ინფლაციის პირობებში, ფულის გაუფასურების გამო, შემოსავლების დონის შენარჩუნების მიზნით განხორციელებული ღონისძიება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს 21-ე საუკუნის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა ტელეკომუნიკაციაში. ამ გამოწვევას ეფექტურად პასუხობს ახალი თაობის ინტერნეტ-ტექნოლოგიები - 5G [5]. მისი დანერგვის აუცილებელი წინა პირობაა ინტერნეტ-ტექნოლოგიების ახალი თაობა, რომლებიც არსებულ ტექნოლოგიებისგან განსხვავებით წარმოადგენენ უსადენო ინტერნეტ-ტექნოლოგიის ახალ თაობას, უფრო სწრაფი და ეფექტური შესაძლებლობით. სიჩქარესთან ერთად მეტი გამტარუნარიანია და ნაკლებ დაყოვნებადი ანუ გულისხმობს როგორც მცირე, ისე დიდ სივრცეებში არსებული ათასობით მოწყობილობა ერთოდროულად დააკავშიროს ერმანეთთან და ამუშაოს 5G-ის მიერ შეთავაზებული კავშირი. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ახალი ინოვაციური მომსახურების პოტენციალის ათვისებას, როგორც საზოგადოების ასევე სხვადასხვა სფეროს _ ბიზნესისათვის, მათ შორის ტელეკომუნიკაციაში. ის 10-ჯერ და ზოგ შემთხვევაში 100-ჯერ უფრო მაღალი სიჩქარის კომუნიკაციას, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკას გააძლიერებს ტელეკომუნიკაციის ბიზნესთან ერთად. ახალი ციფრული პროდუქტების დასანერგად ახალი ბიზნეს-მოდელით [3].

5G ტექნოლოგია ადამიანებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას მიიღოს ისეთი მომსახურება, რომლის რესურსი აქამდე არ ჰქონია არცერთ მიმართულებას. 5G ტექნოლოგიის დასანერგად საჭიროა სიხშირული რესურსების გაცემის მიზნით თანამედროვე საზოგადოების ევოლუცია - და რებრენდინგი ტელეკომუნიკაციაში ეკონომიკურ ანალიზთან ერტად.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად დასაბუთდა, რომ ეკონომიკურ ანალიზს და რებრენდინგს ტელეკომუნიკაციაში დიდი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტელებიზნესის განვითარებისათვის.

ეკონომიკური ანალიზის შედეგის საფუძველზე ხდება ბიზნეს-გეგმის კორექტირება, საინვესტიციო პროექტების და მარკეტინგული პროგრამების მართვა საბაზრო უერთიერთობებთან ერთად და რებრენდინგთან ერთად.

ამრიგად, ეკონომიკური ანალიზი და რებრენდინგი არის ეკონომიკური მოდელი 5G ტექნოლოგიებთან ერთად წარმატებული ბიზნესისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ტყეშელაშვილი, ქ. კიწმარიშვილი. თ.კილაძე, ტ.ქოქოლაძე, ეკონომიკური ანალიზი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ. 2012.
2. ი. ჭილაძე. ფინანსური ანალიზი. სახელმძღვანელო თბ. 2011.
3. ე. ხახუტაშვილი, ბიზნესის ახალი გამოწვევები და მომხმარებლის ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია. სტუ., ჟურნალი „განათლება“ #4 (31),2020.
4. ნ. ღიბრაძე., ე. ხახუტაშვილი. ინფორმაციული საზოგადოების ევოლუცია. სტუ., ჟურნალი „განთლება“, #1 (32) 2021.
5. კ. ბექაური. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ანგარიში. საქართველო უნდა გახდეს ციფრული ინოვაციური პროდუქტების მიმწოდებელი რეგიონისა და მსოფლიოსათვის. (დეკლარაცია 02,06,2021).

Economic Analysis and Rebranding in Telecommunications

Elizabed Khakhtuashvili, Associate Professor of GTU

Summary

Economic analysis in telecommunications needs multilateral study. It is an integral part of the management system. Implementation of any project in all areas along with rebranding requires economic analysis. As well as planning, control, quality. Economic analysis is a scientific way of understanding the essence of economic events and processes, which is based on their division into constituent elements.

The results of the economic analysis are used to control the decisions made, to draw up a business plan, to manage investment projects and marketing programs along with market relations and rebranding based on it.

Economic analysis is the causal-consequential connections between economic events and processes with finances.

The company's economic and financial reports are quite important for justification of the performance and control of the business plan as one of the important (methods) - a model.

Economic analysis is classified according to the works performed:

Types of analysis are: factorial, indexical, prospective, technical-economic, economic, predictive, comparative-economic, informative, audit (accounting), expert-diagnostic, marketing, thematic, i.e. targeted, and financial. It is important to substantiate the profit base on the analysis.

Today, the introduction and development of innovative technologies, wireless internet, the connection offered by 5G, facilitates innovative services for businesses in both the community and various spheres, it offers 10 times and in some cases 100 times higher speed communication, which in its turn will strengthen the field of telecommunications. Rebranding also promotes increase demand for the company's products and, what is most important creation a new buyer for the TV Company. A new image is not easy for this or that marketing service.

At the initial stage, it is necessary to analyze the existing brand and the audit for rebranding. The strengths and weaknesses of the company should be assessed and all this must be delivered to the evolutionary society.

Rebranding itself is an indispensable and inevitable process in telecommunications together with economic analysis.

Keywords: type of analysis; rebranding; business, competitiveness, profit, profitability, extrapolation.

ქეის-სთადის მეთოდის გამოყენება სტრატეგიული მენეჯმენტის სწავლებაში

მაია სოსელია, სტუ ასოცირებული პროფესორი

თამარ რისტიაშვილი, სტუ ასოცირებული პროფესორი

ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

რეზიუმე

ბიზნეს-განათლების თანამედროვე გამოცდილება ქვეყანაში და საზღვარგარეთ გვიჩვენებს გამოყენებული მეთოდური ხერხებისა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მრავალფეროვნებას. სტრატეგიული მენეჯმენტის (როგორც ბიზნესის მიმართულების საგნის) სწავლებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონკრეტული სიტუაციები (ქეის-სთადი), რომლებიც ქმნიან დიდაქტიკურ პირობებს პროფესიული საქმიანობის მოდელირებულ პირობებში ცოდნის, როგორც პრაქტიკული მიზნების მიღწევის ეფექტიანი საშუალების გამოსაყენებლად.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ქეის-სთადი სტუდენტებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის სწავლებაში ეყრდნობა ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მმართველობით კონცეფციას - **სიტუაციურ მიდგომას.** ასევე განხილულია ამ სიტუაციური მიდგომის მეთოდოლოგია და მოცემული მიდგომის ძირითადი დებულებები, რომელიც ინტეგრირებულია ქეის-სთადის მეთოდში. სტატიაში ხაზგასმულია სისტემური მიდგომის ინტეგრაცია ქეის-სთადიში და, გარდა ამისა ახსნილია შეუღლებული გარემოებების კონცეფცია, რომელიც აერთიანებს კლასიკური მენეჯმენტისათვის დამახასიათებელ უნივერსალურობისა და სიტუაციურ მენეჯმენტში მმართველობითი გადაწყვეტილებების უნიკალურობის ალტერნატიულ იდეებს.

პრობლემური სწავლების ინტეგრაცია ქეის-სთადიში ააქტიურებს სტუდენტთა შემეცნებით საქმიანობას და გულისხმობს სასწავლო მასალის შემოქმედებით დაუფლებას.

პრობლემურ სწავლებაში სტუდენტები სისტემატურად ერთვებიან პროგრამული მასალის შინაარსზე დაფუძნებული პრობლემის და პრობლემური ამოცანების გადაჭრის პროცესში, ცოდნა სტუდენტებს მზა სახით კი არ გადაეცემათ, არამედ ისინი მას იძენენ პრობლემური სიტუაციის პირობებში დამოუკიდებელი შემეცნებითი საქმიანობის პროცესში. პრობლემური მიდგომის პოტენციალის გამოყენება ქეის-სთადიში ქმნის პირობებს ისეთი უნარების ჩამოსაყალიბებლად, როგორიცაა: პრობლემის აღმოჩენისა და ჩამოყალიბების; მისი გადაჭრის ეტაპების განსაზღვრის; ჰიპოთეზის წამოყენების; მისი შემოწმების; ანალიზის და დასკვნების გაკეთების უნარები.

სწავლებაში, სტატიაში დასახელებული მიდგომის თანახმად, განათლების ძირითადი ამოცანაა პირობების შექმნა ჰარმონიული, ზნეობრივად სრულყოფილი, შინაგანი რეზერვების აქტივიზაციის მეშვეობით სოციალურად აქტიური, პროფესიულად კომპეტენტური და თვითგანვითარებადი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. პიროვნებაზე ორიენტირებულ საქმიანობაზე დაფუძნებული მიდგომა სწავლების კერძო მეთოდიკების წინაშე აყენებს მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც უნდა იქნეს გადაჭრილი ქეის-სთადიში: მასწავლებლის, როგორც ინფორმატორის, ცოდნის წყაროს, კონტროლიორის პოზიციის შეცვლა ფასილიტატორით; სასწავლო სიტუაციის შექმნა პედაგოგიური კომუნიკაციისთვის ხელისშემშლელი სოციალური ბარიერების მოხსნის, თავისუფალ გარემოში საქმიანობისთვის და ა.შ. დასახელებული მიდგომის პოტენციალი გამოიყენება სტუდენტებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის სწავლებაში, რადგან მართვა ქცევა და უნარ-ჩვევები უფროა, ვიდრე უბრალოდ ცოდნა.

საკვანძო სიტყვები: ქეის-სთადი, სტრატეგიული მენეჯმენტი, სიტუაციური ანალიზი.

შესავალი

მეთოდი ქეის-სთადი განეკუთვნება აქტიური სწავლების იმიტაცურ მეთოდებს. ეს გახლავთ თანამშრომლობასა და საქმიან პარტნიორობაზე ორიენტირებული ინტერაქტიური მეთოდი, რადგან მუშაობახდებაჯგუფებში.ქეის-სთადისგამოყენების მიზანია მმართველობითი ანალიზისა და სტრატეგიული მიმართულობის გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის განვითარება. ეს მიიღწევა სტუდენტთა ჯგუფური ურთიერთქმედების ორგანიზაციის გზით. ამ პროცესში სტუდენტთა

ერთობლივი ძალისხმევით ხდება კონკრეტულ ვითარებაში წარმოქმნილი სიტუაციის ანალიზი და მიიღება პრაქტიკული გადაწყვეტილება. საუკეთესო გადაწყვეტილების არჩევანი დასახული პრობლემის კონტექსტში ხდება ჯგუფების მიერ შემოთავაზებული ალტერნატივების შეფასების გზით. მოცემული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის დროსაც.

ქეის-სთადის მეთოდური პოტენციალი სტრატეგიული მენეჯმენტის სწავლებაში

ქეის-სთადი სტუდენტებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის სწავლებაში ეყრდნობა ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მმართველობით კონცეფციას - **სიტუაციურ მიდგომას** (ფ. ფიდლერი, პ. ჰერსი, კ. ბლანშარი, ვ. ვურმი და სხვ.). იგი ამჟამად განიხილება როგორც ორგანიზაციული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების სფეროს ზოგადი მეთოდოლოგია და აზროვნების საშუალება.

სიტუაციური მიდგომის თანახმად, ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ზოგადი პროცესი ერთნაირია, თუმცა სპეციფიკური ხერხები, რომლებიც ხელმძღვანელმა უნდა გამოიყენოს ორგანიზაციის მიზნების ეფექტიანად მისაღწევად, შეიძლება განსხვავებული იყოს.

მაგალითად, ორგანიზაციის სტრატეგიის არჩევანი დამოკიდებულია შიდა და გარეშე ფაქტორებზე. ხელმძღვანელობის ამოცანაა მათი გაანალიზება, შესაძლო სტრატეგიების შემუშავება და იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეეფერება ორგანიზაციას ესა თუ ის სტრატეგია. ორგანიზაციის შიგნით ან გარემომცველ გარემოში ვითარების ცვლილებისას, ხელმძღვანელი ვალდებულია კორექტივები შეიტანოს არსებულ სტრატეგიაში.

სიტუაციური მიდგომის მეთოდოლოგია უნდა წარმოვადგინოთ ქვემოთ ჩამოთვლილი პროცესების ერთობლიობად. ესენია:

1. ჯგუფური და ინდივიდუალური ქცევის გაგება, სისტემური ანალიზი, დაგეგმვისა და კონტროლის მეთოდები, გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მეთოდებით სარგებლობის უნარი.

2. მოცემული მეთოდიკისა და კონცეფციის გამოყენების შედეგების სავარაუდო შედეგების განჭვრეტის უნარი.

3. სიტუაციის სწორად ინტერპრეტირების უნარი, ანუ იმის განსაზღვრა, თუ რა ფაქტორებია ყველაზე მნიშვნელოვანი მოცემულ სიტუაციაში და რა შეიძლება გამოიწვიოს ერთი ან რამდენიმე ცვლადის ცვლილებამ.

4. მოცემული კონკრეტული სიტუაციისთვის ყველაზე შესაფერისი კონკრეტული ხერხების გამოყენების უნარი და ორგანიზაციის მიზნების მიღწევა არსებული გარემოებების პირობებში ყველაზე ეფექტიანი გზებით.

მენეჯერების მომზადებისას მოცემული მმართველობითი თეორიის ძირითადი დებულებების გამოყენებამ გამოიწვია სწავლებაში სიტუაციური მიდგომის ჩამოყალიბება. ამრიგად, მართვაში სიტუაციური მიდგომის კონცეფცია წარმოადგენს სწავლებაში სიტუაციური მიდგომის მეთოდოლოგიურ საფუძველს.

მოცემული მიდგომის ძირითადი დებულებები ინტეგრირებულია ქეის-სთადის მეთოდში, რომლის გამოყენებასაც ჩვენ ვთავაზობთ სტუდენტებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის სწავლებაში.

სიტუაციური მიდგომის მეთოდოლოგია ქეის-სთადიში განსაზღვრავს მოცემული მეთოდის კურსს სიტუაციის სწორად ინტერპრეტირების უნარის გამომუშავების, ალტერნატიული გადაწყვეტილებების მოძიების, სავარაუდო შედეგების განჭვრეტის და საბოლოო არჩევანის გაკეთებისკენ.

სისტემური მიდგომის (ლ.ბერტალანფი, კ. ბოულდინგი, ნ. ვინერი და სხვ.) ინტეგრაცია ქეის-სთადიში უზრუნველყოფს სიტუაციების ყოველმხრივ და სრულ ხედვას.

ჩვენი კვლევის ფარგლებში ინტერესს იწვევს **შეუღლებული გარემოებების კონცეფცია ,** რომელიც აერთიანებს კლასიკური მენეჯმენტისათვის დამახასიათებელ უნივერსალურობისა და სიტუაციურ მენეჯმენტში მმართველობითი გადაწყვეტილებების უნიკალურობის ალტერნატიულ იდეებს.

აღნიშნული კონცეფციის შესაბამისად, განსაზღვრულ სიტუაციაში მოქმედი მმართველობის მეთოდები აუცილებლად როდი გვიჩვენებენ ასეთივე მაღალ შედეგებს სხვა პირობებშიც. მენეჯერების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს კონკრეტული სიტუაციის მაიდენტიფიცირებელი გარემოებების შექმნას და შეიმუშავოს გარემოებების შესატყვისი ყველაზე ადეკვატური გადაწყვეტილებები.

ნებისმიერი საწარმოო კომპანიის უმნიშვნელოვანეს შეუღლებულ გარემოებას წარმოადგენს დარგი, ახალი ტექნოლოგიები, სხვადასხვა ქვეყნების კულტურა და ა.შ. ამიტომაც ქეის-სთადის მეთოდით განხილული სიტუაცია უნდა შეიცავდეს მრავალ მახასიათებელს: კომპანიის და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების და სხვ. აღწერას. რაც უფრო დაწვრილებით არის აღწერილი სიტუაცია, მით უფრო

ოპტიმალური შეიძლება იყოს მისი გადაჭრა.

პრობლემური სწავლების ინტეგრაცია ქეის-სთადიში ააქტიურებს სტუდენტთა შემეცნებით საქმიანობას და გულისხმობს სასწავლო მასალის შემოქმედებით დაუფლებას.

პრობლემურ სწავლებაში სტუდენტები სისტემატურად ერთვებიან პროგრამული მასალის შინაარსზე დაფუძნებული პრობლემის და პრობლემური ამოცანების გადაჭრის პროცესში, ცოდნა სტუდენტებს მზა სახით კი არ გადაეცემათ, არამედ ისინი მას იძენენ პრობლემური სიტუაციის პირობებში დამოუკიდებელი შემეცნებითი საქმიანობის პროცესში. პრობლემური მიდგომის პოტენციალის გამოყენება ქეის-სთადიში ქმნის პირობებს ისეთი უნარების ჩამოსაყალიბებლად, როგორიცაა: პრობლემის აღმოჩენისა და ჩამოყალიბების; მისი გადაჭრის ეტაპების განსაზღვრის; ჰიპოთეზის წამოყენების; მისი შემოწმების; ანალიზის და დასკვნების გაკეთების უნარები.

პრობლემური მიდგომის გამოყენება ქეის-სთადიში ხორციელდება პიროვნებაზე ორიენტირებული საქმიანობის საფუძველზე და გულისხმობს სწავლების წარმართვას საქმიანობის პროცესში პიროვნების გასავითარებლად, ასევე მასწავლებლისა და სტუდენტის ურთიერთქმედების „სუბიექტი-სუბიექტი“ სქემის რეალიზაციას.

სწავლებაში პიროვნებაზე ორიენტირებულ საქმიანობაზე დაფუძნებული მიდგომის კონცეფცია მუშავდებოდა უპირატესად როგორც მოსწავლის სასწავლო საქმიანობის სუბიექტზე ორიენტირებული ორგანიზაცია და მისი მართვა პედაგოგის მიერ სხვადასხვა სირთულისა და პრობლემატიკის სპეციალურად ორგანიზებული სასწავლო ამოცანების გადაწყვეტისას. ეს ამოცანები უვითარებენ სტუდენტებს არა მხოლოდ საგნობრივ და კომუნიკაციურ კომპეტენციებს, არამედ ავითარებენ მასაც, როგორც პიროვნებას.

სწავლებაში ზემთ დასახელებული მიდგომის თანახმად, განათლების ძირითადი ამოცანაა პირობებისშექმნაჰარმონიული,ზნეობრივადსრულყოფილი, შინაგანი რეზერვების აქტივიზაციის მეშვეობით სოციალურად აქტიური, პროფესიულად კომპეტენტური და თვითგანვითარებადი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. პიროვნებაზე ორიენტირებულ საქმიანობაზე დაფუძნებული მიდგომა სწავლების კერძო მეთოდიკების წინაშე აყენებს მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც უნდა იქნეს გადაჭრილი ქეის-სთადიში: მასწავლებლის, როგორც ინფორმატორის, ცოდნის წყაროს, კონტროლიორის პოზიციის შეცვლა ფასილიტატორით; სასწავლო სიტუაციის შექმნა პედაგოგიური კომუნიკაციისთვის ხელისშემშლელი სოციალური ბარიერების მოხსნის, თავისუფალ გარემოში საქმიანობისთვის და ა.შ. დასახელებული მიდგომის პოტენციალი გამოიყენება სტუდენტებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის სწავლებაში, რადგან მართვა ქცევა და უნარ-ჩვევები უფროა, ვიდრე უბრალოდ ცოდნა.

აღნიშნული მიდგომის ფარგლებში სტუდენტთა მთავარი მიზანია სწავლის მოტივაციის აღძვრა, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებული ცოდნის გამოყენების უნარი და მისთვის მზაობა. პიროვნებაზე ორიენტირებულ საქმიანობაზე დაფუძნებული მიდგომის დებულებების რეალიზაცია ქეის-სთადიში ავითარებს კომუნიკაციის ჩვევებს, აყალიბებს საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირების, დისკუსიის, ასევე ჯგუფში მუშაობისა და კონსენსუსის მიღწევის უნარს.

პიროვნების განვითარების ჰუმანისტური პრინციპების რეალიზაციისა და კომპეტენტური სპეციალისტების მომზადების მიზნების მიღწევას ემსახურება **კონტექსტური სწავლების თეორია.** აღნიშნული თეორიის შესაბამისად სწავლების შინაარსის ათვისება ხდება არა სტუდენტისათვის ინფორმაციის უბრალო გადაცემის გზით, არამედ მისი საკუთარი შინაგანად მოტივირებული საქმიანობის პროცესში, რომელიც მიმართული იქნება გარემომცველი სამყაროს საგნებსა და მოვლენებზე.

კონტექსტური სწავლების თეორია ეყრდნობა ასევე ინოვაციური, „აქტიური“ სწავლების ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების, ასევე კატეგორია „კონტექსტის“ გამოყენების ემპირიულ გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მომავალი პროფესიული საქმიანობის გავლენას მისი სასწავლო საქმიანობის ფორმებზე, პროცესსა და შედეგებზე.

კონტექსტურ სწავლებაში გამოყოფენ სტუდენტთა საქმიანობის სამ საბაზისო ფორმას: **აკადემიური** ტიპის სასწავლო საქმიანობას (ინფორმაციული ლექცია); **კვაზიპროფესიულ** საქმიანობას (საქმიანი თამაში, **ქეის-სთადი); სასწავლო-პროფესიულ** საქმიანობას, რომლის დროსაც სტუდენტი ასრულებს რეალურ კვლევით ან პრაქტიკულ ფუნქციებს (საწარმოო პრაქტიკა). ამრიგად, კონტექსტური მიდგომის თანახმად, ქეის-სთადი განეკუთვნება კვაზიპროფესიულ საქმიანობას და აღნიშნული მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს სტუდენტების მიერ მომავალი პროფესიული საქმიანობის ათვისებას.

დასკვნა

ამრიგად, სტუდენტებისთვის სტრატეგიული მენეჯმენტის სწავლება ქეის-სთადის გამოყენებით ხორციელდება სიტუაციური, სისტემური, პრობლემური, პიროვნებაზე ორიენტირებულ საქმიანობაზე დაფუძნებული მიდგომების და შეუღლებული გარემოებების კონცეფციების ძირითადი დებულებების შესაბამისად. აღნიშნული მეთოდების ძირითადი დებულებები ინტეგრირებულია ქეის-სთადის მეთოდში და მის მეთოდურ პოტენციალს შეადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იმერი ბასილაძე, ნინო ჭოხონელიძე, ნინო კოსტავა ნატო ქობულაძე სწავლების მეთოდები სტრატეგიები პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნისშემოწმება შეფასების საკითხები. დამხმარე სახელმძღვანელო. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისი 2016 წელი. 491 გვ.
2. მანანა ბოჭორიშვილი ქეისებით სწავლება mastsavlebeli.ge ინტერნეტგაზეთი 17 დეკემბერი, 2012 http://mastsavlebeli.ge/?p=2445
3. Плотников М.В., Чернявская О.С., Кузнецова Ю.В. Технология case-study / учебно-методическое пособие. – Нижний Новгород, 2014 – 208 с.
4. Банникова Т. Н. Использование кейс-технологии на занятиях по дисциплине «Правовое обеспечение профессиональной деятельности» / Приложение к журналу «Среднее профессиональное образование». 2009. № 9.
5. Золотарев А. А. Кейс-метод: особенности разработки и реализации (методические рекомендации). СПб.: Изд-во Санкт-Петербургского университета управления и экономики, 2012. 48 с.
6. Метод case-study как современная технология профессионально-ориентированного обучения https://viafuture.ru/katalog-idej/metod-case-study

Using the case-study method in teaching strategic management

Maia Soselia, Associate professor of GTU

Tamar Rostiashvili, Associate professor of GTU

Asmat Pipia, Doctor of Business Administration

Summary

The modern experience of business education in the country and abroad shows the variety of used methods and educational technologies. In the teaching of strategic management (as a subject of business direction) an important role is played by specific situations (case-study), which create didactic conditions in the modeled conditions of professional activity for using knowledge as an effective means of achieving practical goals.

The article focuses on the fact that the case-study in teaching strategic management for students relies on one of the most effective management concepts - the situational approach. The methodology of this situational approach and the main provisions of this approach, which is integrated in the case-study method, are also discussed. The article emphasizes the integration of the systemic approach in the case-stage and, in addition, explains the concept of complex circumstances, which combines the universality characteristic of classical management and the alternative

ideas of the uniqueness of management decisions in situational management.

The integration of problem-based learning in the case-study activates the cognitive activity of students and involves creative mastering of the educational material.

In problem-based learning, students are systematically involved in the process of solving problems and problematic tasks based on the content of the program material, knowledge is not given to students in a ready-made form, but they acquire it in the process of independent cognitive activity under the conditions of a problematic situation. Using the potential of the problem approach in the case stage creates conditions for the formation of such skills as: problem discovery and formulation; determination of the stages of its solution; to put forward a hypothesis; his inspection; Analytical and inference making skills.

In teaching, according to the approach named in the article, the main task of education is to create conditions for forming a harmonious, morally perfect, socially active, professionally competent and self-developing person through the activation of internal reserves. The approach based on person-oriented activities poses a number of problems to private teaching methods that must be solved in the case-stage: changing the position of the teacher as an informant, a source of knowledge, a controller with a facilitator; Creation of learning situation, removal of social barriers hindering pedagogical communication, activities in a free environment, etc. The named approach has the potential to be used in teaching students about strategic management, because management is behavior and skills, rather than just knowledge.

Key words: case study, strategic management, situational analysis.

მოულოდნელი კრიზისული პერიოდისთვის რეკომენდაციები სახელმწიფო ინსტიტუტებს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებისთვის

თამარ როსტიაშვილი, სტუ ასოცირებული პროფესორი

თეონა აბულაძე, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

მცირე და საშუალო ბიზნესი თითოეული ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები მიმართულებაა, რომლის განვითარებაშიც დიდ როლს უნდა ასრულებდეს სახელმწიფოს ინსტიტუტები. ის ღირებულია უმეტეს ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში.

როგორც ვიცით, თანამედროვე მსოფლიოში, მცირე და საშუალო ბიზნესი იკავებს ბიზნესის უმეტესობას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამუშაო ადგილების შექმნასა და გლობალურ ეკონომიკურ განვითარებაში. მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენენ ბიზნესების დაახლოებით 90%-ს და დასაქმების 50%-ზე მეტს მთელ მსოფლიოში. ფორმალურად მათი წვლილი ეროვნული შემოსავლის (მშპ) 40%-მდეა განვითარებად ეკონომიკებში. ეს რიცხვები კი მოგეხსენებად მნიშვნელოვნად მაღალია.

მსოფლიოში COVID-19 პანდემიამ, მძიმე დაღი დაასვა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა ეს საქართველოში, რადგან სახელმწიფოს მხრიდან არ იყო მზაობა მოულოდნელ კრიზისზე.

კოვიდპანდემიის პერიოდში ე.წ.-მა ლოკდაუნმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რამდენად მნიშნელოვანი არის სახელმწიფოს წვლილი ბიზნესის განვითარებაში და რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ, სწრაფი ადაპტირება ბიზნესებისთვის გარე ფაქტორებზე. საქართველოში ერთ-ერთი რესტორნის მაგალითზე გავშალეთ სარესტორნე დარგის პრომლემები მიმდინარე პერიოდში და მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ჩამოვაყალიბეთ სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, სახელმწიფო ინსტიტუტები, თვითმმართველი ერთეული, ეკონომიკური სისტემა, შრომითი რესურსები, რეკომენდაციები მთავრობისთვის.

შესავალი

მცირე და საშუალო ბიზნესი დღევანდელ მსოფლიოში თითოეული ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები მიმართულებაა, რომლის განვითარებაშიც დიდ როლს უნდა ასრულებდეს სახელმწიფოს ინსტიტუტები.

მცირე და საშუალო ბიზნესი ღირებულია უმეტეს ეკონომიკაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ის იკავებს ბიზნესის უმეტესობას მთელ მსოფლიოში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამუშაო ადგილების შექმნასა და გლობალურ ეკონომიკურ განვითარებაში. მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენენ ბიზნესების დაახლოებით 90%-ს და დასაქმების 50%-ზე მეტს მთელ მსოფლიოში. ფორმალურად მათი წვლილი ეროვნული შემოსავლის (მშპ) 40%-მდეა განვითარებად ეკონომიკებში. ეს რიცხვები კი მოგეხსენებად მნიშვნელოვნად მაღალია. მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2030 წლისთვის საჭირო იქნება 600 მილიონი სამუშაო ადგილი მზარდი გლობალური სამუშაო ძალის შესათვისებლად, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას დიდ პრიორიტეტად აქცევს მსოფლიოს მრავალი მთავრობისთვის. დღეს კი ვიცით, რომ განვითარებად ბაზრებზე მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ გენერირდება ფორმალური სამუშაო ადგილების უმეტესობა, რომელიც ქმნიან 10 მუშახელიდან 7-ს [1].

ძირითადი ნაწილი

2020-2021 წლებში კოვიდპანდემიამ განსაკუთრებით მძიმედ ასახა მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარება, მეტიც ბევრისთვის არსებობა რისკის ქვეშ დააყენა, განსაკუთრებით საქართველოში.

კოვიდპანდემიისას ლოკდაუნის პერიოდმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რამდენად მნიშნელოვანი არის სახელმწიფოს წვლილი ბიზნესის განვითარებაში და რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ სწრაფი ადაპტირება ბიზნესებისთვის გარე ფაქტორებზე.

2020 წელს საინტერესო კვლევა ჩაატარა შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველომ“, სადაც 1938 კომპანია გამოიკითხეს მიკრო, მცირე და საშუალო და მსხვილი კომპანიების და საინტრესო სურათი მიიღს გამოწვეულ პრობლემებზე, სადაც კომპანიების 65%-ის მთავარ გამოწვევად მიიჩნეოდა მოთხოვნის შემცირება; თუმცა

ამასთან ერთად ასევე ბიზნესის მტკივნეული პრობლემები იყო: შეფერხება მიწოდების ჯაჭვში; თანამშრომლების გაშვება დაუგეგმავ შვებულებაში; კარანტინის ან ავადმყოფობის მიზეზით დათხოვნილი თანამშრომლები; საზღვრების დახურვა; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციების შესრულების შეუძლებლობა; დაგვიანებული გადახდები კლიენტებისაგან (ფულადი სახსრების შეგროვება); ლარის კურსის ცვლილებით გამოწვეული სირთულეები [2].

ესეთი სახის ძალიან ბევრი კვლევა ჩატარდა, და ბევრი რეკომენდაცია დაიწერა;

ჩვენს სტატიაში წარმოდგენილი რეკომენდაციები არის ცნობილი რესტორნის, „ამრა“-ს რეალურ თვითგადარჩენის მაგალითზე და ამ გამოცდილებით გვინდა დავწეროთ ის რჩევები, რაც ღირებული იქნებოდა სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად.

ინტერვიუ ჩავატარეთ რესტორან „ამრა“-ს თანადამფუძნებელთან, გურამ კიკნაძესთან, რომელიც ასევე არის რესტორნის შეფმზარეულიც; გურამს 18 წლიანი სამუშაო სტაჟი აქვს და დღეს საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი რესტორატორია.

რესტორანი „ამრა“ ბაზარზე ფუნქციონირებს მე-8 წელია, შპს „საბროსო“-ს სახელით (კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 404462853); ეს არის რესტორანი ლისის ტბის ტერიტორიაზე, რომელსაც შეუძლია მოემსახუროს დღეში საშუალოდ 300-მდე სტუმარს დახურულ და ღია სივრცეში; იგი განთქმულია აფხაზური სამზარეულოთი; რესტორანში დღეს დასაქმებულია 20 თანამშრომელი, რომელთა შენარჩუნებაც ბიზნესმა შეძლო სრული პანდემიის პერიოდში.

ჩვენი ინტერტვიუთი დავფარეთ, ძირითადი საკითხვები:

რა რისკის წინაშე დადგა ბიზნესი, რა გამოწვევები ჰქონდათ და თვით გადარჩენისთვის რა ღონისძიებები ჩაატარეს.

დისტანციური მუშაობით რა დადებითი აღმოჩენები ნახა ბიზნესმა და დღეს რას ფიქრობს ამ მიმართულების განვითარებაზე.

რა მოლოდინი ჰქონდათ სახელმწიფოდან და რეალურად რა მიიღეს.

აღნიშნული ინტერვიუთი მკაფიოდ გამოიხატა სახელმწიფოსთვის რეკომენდაციები, რითიც უნდა იმუშაოს მცირე და საშუალო ბიზნესთან ზოგადადაც და მითუმეტეს მოულოდნელი კრიზისის დროს.

რა რისკის წინაშე დადგა სარესტორნე ბიზნესი, რა გამოწვევები ჰქონდათ და თვითგადარჩენისთვის რა ღონისძიებები ჩაატარეს.

ყველაზე მტკივნეული ბიზნესისთვის იყო კოვიდპანდემიის პერიოდში რეალიზაციის და შესაბამისად მოგების შემცირება, და ფაქტიურად ნულოვანმოგებით მუშაობა; ბიზნესმა ვერ შეძლო დანაზოგის შექმნა, რათა სამომავლო გავითარებითვის ეზრუნა.

აღნიშნულმა გარე ფაქტორმა - კოვიდპანდემიამ აჩვენა ბიზნესს, რომ ის არ არის დაზღვეული მოულოდნელი კრიზისისგან და ღირებული გახდა ბიზნესისთვის სამომავლოდ ეფიქრა კრიზისული გეგმის შემუშავებაზე და დანაზოგის შექმნაზე, რაც აუცილებელი იარაღია ბიზნესის სტაბილურობისთვის.

რესტორანი „ამრა“-ს მსგავსად, ბევრი მცირე ზომის რესტორნისთვის მნიშვნელოვანი იყო მისი გუნდის და ხელფასების შენარჩუნება, და ზრუნვა მათზე, როგორც ერთიან ოჯახზე;

კარანტინის პერიოდში, რესტორანი მუშაობდა დღის საათებში, სხვა დროს სრულად დისტანციურ მუშაობაზე იყო ორიენტირებული, რამაც მათ შემოსავლის 40-50% შეუნარჩუნა, თუმცა საშვების გაცემის პრობლემის და ტრანსპორტის აკრძალვის გამო თანამშრომლებს უწევდათ რესტორნის ტერიტორიაზე ცხოვრება, რათა მიეღოთ დაკვეთები და არ შეეწყვიტა ბიზნეს ფუქციონირება; შეფმზარეული გურამი აღნიშნავს, რომ მის მსგავსად ძალიან ბევრი რესტორანი მუშაობდა ასე.

ამ ყველაფერმა რესტორნის დარგში დასაქმებულთათვის გააჩინა ერთგვარი არასტაბილურობის შიში, რის გამოც ამ მიმართულებით დღესაც კი ჭირს კადრების მოძიება.

დისტანციური მუშაობით რა დადებითი აღმოჩენები ნახა ბიზნესმა და დღეს რას ფიქრობს ამ მიმართულების განვითარებაზე.

კოვიდპანდემიამდე სარესტორნო ბიზნესში დისტანციური გაყიდვები ნაცნობი იყო, თუმცა მცირე წილი ეჭირა ჯამურ რეალიზაციებში; პენდემიის პერიოდში კი მისი წილი გახდა დაახლ 70-80%, რამაც ღირებულება შემატა ამ მიმართულების განვითარებას.

დღეს სარესტორნე ბიზნესმა აღმოაჩინა, რომ დისტანციური მუშაობით არამარტო ინდივიდუალური დაკვეთებით, არამედი ე.წ. კატერინგის მიმართულებას განავითარებენ და შექმნიან მცირე წვეულებებისთვის დისტანციურ მენიუებს, რაც შეიძლება მათი რეალიზაციის 30%-40%-მდე გაიზარდოს.

რა მოლოდინი ჰქონდათ სახელმწიფოდან და რეალურად რა მიიღეს.

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ყველაზე დიდი მოლოდინი იყო, რომ სახელმწიფო მოისმენდა მათ პრობლემებს და მათთან ერთად მიიღება გადაწყვეტილებებს.

რეალურად მოხდა ის, რომ სახელმწიფომ თითოეულ დარგში მოისმინა მსხვილი კომპანიების რეკომენდაციები და კარანტინის დროს შემოღებული ნორმატივები და სტანდარტები მოარგო ამ რეკომენდაციებს, რის შედეგადაც მიიღეს მცირე და საშუალო ბიზნესებში დიდი შეფერხება, ბევრი ბიზნესისთვის სასიცოცხლო ციკლიც გაჩერდა და დღესაც ვეღარ ახერხებენ ბიზნესის გაცოცხლებას.

გურამ კიკნაძისგან მოვისმინეთ ის მაგალითები, რომელიც მისი დარგისთვის შემაფერხებელი იყო, კერძოდ:

- კარანტინის პერიოდში არსებული ნორმატივებით შეიძლება ქალაქში მოძრაობის საშვი მიეღო რესტორანს, თუმცა მუშაობისთვის მის მომწოდებლებში იყო კომპანიები, რომლებმაც ვერ მიიღეს საშვი და შესაბამისად რესტორანიც ზარალდებოდა, რადგან ვერ იღებდა ნედლეულის რიგ სახეობას.

- გაიცა საშვები ტრანსპორტისთვის, თუმცა ეს ტრანსპორტი უნდა ყოფილიყო სამარშუტო ტიპის მანქანა, რაც ფიზიკურად არ ყავდა მცირე და საშუალო ბიზნეს და ნედლეულის მოსატანად უწევდათ ველოსიპედით/მოტოციკლეტით გადაადგილება ე.წ. დეზერტირების ტერიტორიაზე, რაც მოგეხსენებათ მარაგის დისტრიბუციისთვის რთული იქნებოდა; ასევე, ის ფაქტიც, რომ ბიზნესებს მოუწიათ ამ ტიპის ტრანსპორტის შეძენა, ხოლო ფინანსების მოძიება კრიზისის პერიოდში ერთ -ერთი რთული პროცესი იყო.

აქ პერიოდში შეიძლებოდა გაკეთებულიყო ლოკალური პუნქტები საშვის გამცემისთვის, სადაც ნედლეულით მოვაჭრე პირებზე მარტივად, ზედმეტი ბიუროკრატიით მოხდებოდა საშვების გაცემა.

- იმ პერიოდი, როცა დაიკეტა რესტორნები, სასტუმროების ტერიტორიაზე რესტორნები სტანდარტულად ფუნქციონირებდა და ტექნიკურად სტუმარს უბრალოდ უნდა გაეკეთებინა სასტუმროს ნომრის ჯავშანი და მარტივად დაჯდებოდა რესტორნის ტერიტორიაზე.

- სახელმწიფოსთან რთული კომუნიკაცია, რამაც აჩვენა ბიუროკრატია; მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ აღმოჩენილი პრობლემების დაფიქსირების დროს მთელ რიგ პროცესს გადიოდა; ოფიციალური მიმოწერით, რამოდენიმეჯერ ხდებოდა წერილის მობრუნება, რის გამოც მიმდინარე პრობლემის მოგვარება უკვე ძალას კარგავდა და შედეგად მცირე და საშუალო ბიზნესი ზარალდებოდა.

- სახელმწიფოს არ ქონდა მცირე და საშუალო ბიზნესთან კომუნიკაცია და პრობლემების მიმართ სწრაფი რეაგირება. თითქოს სახელმწიფო დაშორდა ამ ბიზნეს და მათ ინტერესებს არ იცავდა; მცირე და საშუალო ბიზნესი არ იყო მიწვეული იმ მაგიდაზე, სადაც ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება ნორმატივებზე და კოვიდპანდემიის სტანდარტებზე.

- ლოკდაუნის პერიოდში სახელმწიფოს სტანდარტები მოქმედებდა ცენტრალიზებულად, თუმცა აქ შეიძლებოდა ჩართულიყო თვითმართველი ორგანოები და ლოკაციურად ემართათ პროცესები, რადგან მაგალითად ერთიანი ლოქდაუნის დროს იყო რეგიონები, სადაც კოვიდსტატისტიკის მცირედი რაოდენობა იყო (ე.წ. მწვანე ზონები), თუმცა ამ ტერიტორიებზეც ერთიანი ლოქდაუნის ნორმატივები მუშაობდა და ზარალდებოდა ბიზნესები; მაგ.: გლეხს არ შეეძლო თავისი მიწის ტერიტორიების მორწყვა, რადგან არ ქონდა საშვი გადაადგილების, მითუმეტეს ისეთ რეგიონში, რომელიც მწვანე ზონად მოიხსენიებოდა.

ზუსტად აქ აისახება ის ფაქტი, რომ ეს იყო მსხვილი ბიზნესის რეკომენდაციით გაწერილი ნორმატივები და სტანდარტები არ იყო გათვლილი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

კოვიდპანდემიამ აჩვენა, რომ სახელმწიფო არ იყო მზად მოულოდნელი კრიზისისთვის, მთავრობას არ ქონდა რესურსი მოესმინა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვისაც და მარტო მსხვილი ბიზნესების რეკომენდაციებით არ ემოქმედა.

დღეს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რაც შეიძლება ჩამოვწეროთ, არის ის რომ სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად უნდა შემუშავდეს კრიზისულ პერიოდში არსებული სამოქმედო გეგმა, როგორც მიკრო, მცირე და საშუალო, ასევე მსხვილი კომპანიებისთვის; აქვე უნდა იყოს გათვალისწინებული დარგობრივი მიმართულებები და ასევე, უნდა იყოს გათვალისწინებული სხვადასხვა ქვეპუნქტები რეგიონების ჭრილში. თვითმმართველ მუნიციპალიტეტებს უნდა შეეძლოთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და არ უნდა იმართებოდეს სრული პროცესი ცენტრალიზებულად.

თანამედროვე მსოფლიომ აჩვენა, რომ მოულოდნელი კრიზისები გარდაუვალია, ეს არამარტო პანდემიით შეიძლება იყოს გამოწვეული, არამედ საგანგებო და საომარი მოქმედების, ან სავალუტო რისკების გამო და ა.შ.

აუცილებლად უნდა შეიქმნას დარგობრივი ინსტიტუტები/ასოციაციები/გაერთიანებები, რომლებიც შეუამავლ როლს შეასრულებენ სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის; მცირე და საშუალო ბიზნესის ტკივილებს დროულად მიიტანენ სახელმწიფოსთან; ხოლო ამ უკანასკნელის მხრიდან უნდა იყოს სწრაფი რეაგირება/გაანალიზება/დროული გადაწყვეტილების მიღება თითოეულ მტკივნეულ საკითზე.

დასკვნა

შემაჯამებელი ანალიზით, ჩვენი სტატია დავუთმეთ მცირე და საშუალო ბიზნესის ღირებულებას, ვისაუბრეთ რამდენად მნიშვნელოვანი მიმართულება არის მცირე და საშუალო ბიზნესი მსოფლიოს ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნებისთვის; როგორც ვიცით, რაც არ უნდა ძლიერი იყოს ბიზნესი და ყავდეს კომპეტენტური მენეჯმენტი, მაინც საჭიროებს ჯანსაღ გარემოში ფუნქციონირება, რადგან გარე ინსტიტუტები დიდ საყრდენ ძალას წარმოადგენს ბიზნესისთვის.

2020-2021 წლებში კოვიდ პანდემიის (COVID-19) პერიოდში დიდი გამოცდილება მიიღო მსოფლიომ, ამ პერიოდში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სახელმწიფო ინსტიტუტებმა, რომელთა ორგანიზებით მთელი რიგი ღონისძიებები ჩატარდა კერძო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, რადგან როგორც ზევით ვახსენეთ თანამედროვე მსოფლიოში, მცირე და საშუალო ბიზნესი იკავებს ბიზნესის უმეტესობას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამუშაო ადგილების შექმნასა და გლობალურ ეკონომიკურ განვითარებაში. მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს ბიზნესების დაახლოებით 90%-ს და დასაქმების 50%-ზე მეტს მთელ მსოფლიოში.

შევაფასეთ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა 2020-2021 წლებში კოვიდ პანდემიის (COVID-19) პერიოდში და ერთ-ერთი რესტორნის მაგალითზე გავშალეთ სარესტორნე ბიზნესის მუშაობის ციკლი მიმდინარე პერიოდში; რა პრობლემების წინაშე იდგა დარგი, რა მოლოდინები ჰქონდათ სახელმწიფო ინსტიტუტის მხრიდან და რეალურად რა მხარდაჭერა მიიღეს მათგან.

აღნიშნულირეალურისურათითჩამოვაყალიბეთ რეკომენდაციები სახელმწიფოსთვის, თუ რა არის ღირებული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კრიზისულ პერიოდში;

დღეს მსოფლიოში მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და მნიშვნელობა, მისი განვითარება დიდ როლს თამაშობს ეროვნული საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანია მთავრობის მხრიდან იყოს მზაობა არსებულ სიტუაციაში მცირე და საშუალო ბიზნესთან მარტივად მოხდეს კომუნიკაცია მოსალოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

თანამედროვე მსოფლიომ აჩვენა, რომ არ არის გარდაუვალი მოულოდნელი კრიზისები, ამიტომ სახელმწიფოს უნდა ქონდეს მზად კრიზისული გეგმა, და იმისთვის, რომ მოისმინოს ბიზნესების ტკივილები უნდა შეუწყოს ხელი დარგობრივი ინსტიტუტების შექმნას, რათა დროულად მართოს და ხელი შეუწყოს თითოეულ პრობლემას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.worldbank.org/en/topic/smefinance
2. https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia_Covid-19_survey_Report_Final_Georgian_21.05.20.pdf

Recommendations to state institutions for the success of small and medium-sized businesses for an unexpected crisis period

Tamar Rostiashvili, Associate Professor of GTU

Teona Abuladze, PhD student of GTU

Summary

With a summary analysis, we devoted our article to the value of small and medium-sized businesses, we talked about how important is the direction of small and medium-sized businesses for the countries worldwide, especially for developing countries; As we know, no matter how strong the business is and has an effective management, it still needs to operate in a healthy environment, as external institutions are a great support force for the business.

In 2020-2021, during the period of the Covid-19 pandemic, the world gained a huge experience throughout which, governmental institutions played an important role by organizing a number of activities for supporting the private sector, especially small and medium-sized businesses, because, as was mentioned above, in the modern world, small and medium-sized businesses hold the major share and contribute significantly to job creation and global economic development. SMEs represent approximately 90% of businesses and more than 50% of the employment index worldwide.

We evaluated the situation of small and medium-sized businesses in Georgia in 2020-2021 during the period of the Covid-19 pandemic and on the example of one of the restaurants, we analyzed the business cycle of the restaurant industry during this period - what problems did the field face, what were their expectations from the governmental institutions and what kind of support did they actually receive from them.

Based on the above-mentioned factual picture, we formulated recommendations for the state about what is valuable for small and medium-sized businesses in the crisis period;

Today, small and medium businesses are playing a vital role, in national economic development and sustainability, worldwide. The government needs to express readiness for prompt communication with businesses to avoid further problems.

The modern world has shown, that unforeseen crises are unpreventable, and it is critical for the government, to have Crisis Action Plan, and to elicit responses from businesses and manage the problems promptly, they have to endorse the establishment of sectoral institutions.

ენტროპიის არსი და კლასიფიკაცია

თთარ ბუსკიევაძე, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია ენტროპიის განმარტების განსხვავებულ ინტერპრეტაცია, ანუ რას ნიშნავს ენტროპია ფიზიკაში და რას ნიშნავს იგი ინფორმაციის თეორიაში. განხილულია ენტროპიის ძირითადი ტიპები, რათა ამ ტიპების საფუძველზე გაანალიზდეს ენტროპიის მაგალითები. ისინი პირდაპირ კავშირშია ჩვენს წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან. გადმოცემულია ენტროპიის ოთხი ფორმა:

პირველი, ენტროპია, როგორც ნებისმიერი სრულიად მოწესრიგებული ფიზიკური სისტემის მდგომარეობის გაურკვევლობის საზომი, ან ნებისმიერი სისტემის ქცევა, მათ შორის ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტები და მათი ფუნქციები;

მეორე, მიკრონაწილაკების თერმოდინამიკური ენტროპია ან მოლეკულური (მიკროსკოპული) ნაკრები.

მესამე, ინფორმაციის ენტროპია, ან ინფორმაციის გაურკვევლობა, ე.ი. ინფორმაცია ზოგიერთი საინფორმაციო სისტემის შესახებ.

მეოთხე, ენტროპია, ან ქცევის განუსაზღვრელობა, ნებისმიერი არასრულად მოწესრიგებული სისტემის მაკროსკოპულ კომპლექტებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ენტროპია უდრის უწესრიგობის (ქაოსის), დეზორგანიზებულობის, გაურკვევლობის საზომს მხოლოდ მოვლენათა თანაბარი ალბათობის პოსტულატის შემთხვევაში. რაც შეეხება ზოგად შემთხვევას, როდესაც მოვლენები არ არის თანაბრად სავარაუდო, ენტროპია უდრის უწესრიგობისა და წესრიგის ზომების ჯამს.

მეცნიერება, განათლება, კულტურა არის ანტიენტროპიული ფაქტორები და ზრდის საზოგადოების ნეგენტროპიას.

როგორც მეცნიერება და პრაქტიკა აჩვენებს, გარემო ფაქტორების ზემოქმედებას დაკვირვებულ ორგანიზაციაზე უარყოფითი შედეგები აქვს შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში. ამ გავლენის შედეგია ცოცხალი სისტემის გადახრა შიდა გარემოს მახასიათებლების ყველა პარამეტრიდან, რომლის პირობებშიც მხოლოდ სიცოცხლეა შესაძლებელი. რომ იცხოვრო, უნდა გადარჩე.

„გადარჩენის“ ცნებას ცოდნის სხვადასხვა დარგში იგივე ან მსგავსი მნიშვნელობა აქვს. ცოცხალი ორგანიზმისთვის გადარჩენა ნიშნავს ცოცხლად დარჩენას ავადმყოფობის, უბედურების, ნებისმიერი სხვა კრიზისული ფენომენის შემდეგ. უ. ეშბი ორგანიზაციის ამ თვისებას მისი ფუნქციონირების ეფექტურობის მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევს. ორგანიზაცია ითვლება „კარგად“, თუ ის სისტემას სტაბილურს ხდის წონასწორობის მდგომარეობის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: ენტროპია, ნეგენტროპია, ანტიენტროპიული ფაქტორები, ინფორმაცია, წესრიგი, ქაოსი.

შესავალი

ენტროპიის ცნება პირველად გამოჩნდა თერმოდინამიკაში ენერგიის შეუქცევადი გაფრქვევის საზომის დასადგენად და მეცნიერებაში შემოიტანა კლაუზიუსმა 1865 წელს, როგორც კარნოს თერმოდინამიკის ლოგიკური განვითარება. კონცეფციამ სწრაფად გადალახა ფიზიკის საზღვრები და შეაღწია სხვა დისციპლინებში.

TS_B Entropy-ში (ბერძნულიდან entropía - შემობრუნება, გარდაქმნა) ენტროპიის ცნება პირველად გამოჩნდა თერმოდინამიკაში ენერგიის შეუქცევადი გაფრქვევის საზომის დასადგენად და მეცნიერებაში შემოიტანა კლაუზიუსმა 1865 წელს, როგორც კარნოს თერმოდინამიკის ლოგიკური განვითარება.

კონცეფციამ სწრაფად გადალახა ფიზიკის საზღვრები და შეაღწია სხვა დისციპლინებში:

1) ინფორმაციის თეორიაში - სიტუაციის (შემთხვევითი ცვლადის) გაურკვევლობის საზომი სასრული ან ლუწი რაოდენობის შედეგებით, მაგალითად, ექსპერიმენტი, რომლის წინაშეც შედეგი ზუსტად არ არის ცნობილი.

2) მართვისა და კონტროლის თეორიაში - მოცემულ პირობებში სისტემის მდგომარეობის ან ქცევის გაურკვევლობის საზომი.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში გვხვდება ენტროპიის შემდეგი განმარტება:

1. „ენტროპია ფიზიკაში არის სხეულის ან სხეულთა სისტემის თერმული მდგომარეობის დამახასიათებელი სიდიდეებიდან სისტემის შინაგანი აშლილობის საზომი; დახურულ სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესისთვის, ენტროპია ან იზრდება (შეუქცევადი პროცესები) ან რჩება მუდმივი (შექცევადი პროცესები)“;

2. „ენტროპია ინფორმაციის თეორიაში - სიტუაციის (შემთხვევითი ცვლადის) განუსაზღვრელობის საზომი სასრული ან ლუწი რაოდენობის შედეგებით, მაგალითად, ექსპერიმენტი, რომლის წინაშეც შედეგი ზუსტად არ არის ცნობილი.“

ძირითადი ნაწილი

როგორ უკვე აღინიშნა, ენტროპიის ცნება მეცნიერებაში პირველად შემოიტანა კლაუზიუსმა 1865 წელს, როგორც კარნოს თერმოდინამიკის ლოგიკური განვითარება.

მაგრამ ჩვენ ვემხრობით ენტროპიის როგორც ქაოსის საზომის კონცეფციას. ჩვენი აზრით, ამ მომენტისთვის ეს არის ყველაზე ოპტიმალური თემა, რადგან ის მთლიანად არის დაკავშირებული ცხოვრებასთან. ენტროპია ყველაფერშია. ბუნებაში, ადამიანში, სხვადასხვა მეცნიერებაში. ადამიანის, მცენარის, ეკოლოგიური სისტემების და ჩვენი გალაქტიკის ჩასახვაც კი ქაოსიდან იწყება. ენტროპია ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს ჩვენი ცივილიზაციის ფორმირებასთან, რადგან დედამიწაზე ღმერთის გამოჩენამდე ყველა ბუნებრივი მოვლენა და ყველაფერი, რაც პლანეტაზე ხდებოდა, ენტროპიის მაღალ ხარისხით ხასიათდებოდა. ბიბლიაში პირვანდელმა ქაოსმა შვიდი დღის შემდეგ მოწესრიგებული იერსახე შეიძინა, ანუ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

ჩვენს ერთერთ მიზანს ამ ფენომენის უფრო დეტალურად გაანალიზება და, ასე ვთქვათ, მისი განმარტებების შინაარსში ენტროპიის შემცირება წარმოადგენს.

დასაწყისისთვის, გვსურს განვიხილოთ ენტროპიის ძირითადი ტიპები, რათა ამ ტიპების საფუძველზე გავაანალიზოთ ენტროპიის მაგალითები. ისინი პირდაპირ კავშირშია ჩვენს წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან.

დღემდე დამუშავებულ და შესწავლილ ლიტერატურაში ჯერჯერობით ენტროპიის ოთხ ფორმას მივაგენით:

1. პირველი, ენტროპია, როგორც ნებისმიერი სრულიად მოწესრიგებული ფიზიკური სისტემის მდგომარეობის გაურკვევლობის საზომი, ან ნებისმიერი სისტემის ქცევა, მათ შორის ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტები და მათი ფუნქციები. სწორედ ენტროპიის ამ ფორმამ, რომელიც დაკავშირებულია სისტემის მდგომარეობის გაურკვევლობასთან, ბოლო დროს იპოვა უდიდესი განაწილება როგორც ცოცხალი, ისე არაცოცხალი ობიექტებისა და პროცესების შესწავლისას.
2. მეორე, მიკრონაწილაკების თერმოდინამიკური ენტროპია ან მოლეკულური (მიკროსკოპული) ნაკრები.
3. მესამე, ინფორმაციის ენტროპია, ან ინფორმაციის გაურკვევლობა, ე.ი. ინფორმაცია ზოგიერთი საინფორმაციო სისტემის შესახებ. ცნობილია, რომ ენტროპიისა და ინფორმაციის ფორმულების დამთხვევა დაედო საფუძვლად იმის მტკიცებას, რომ ენტროპია არის დაკარგული ინფორმაცია სისტემის მდგომარეობის შესახებ. შემოთავაზებული იყო ტერმინის ნეგენტროპიის გამოყენება, როგორც იდენტური დაკავშირებული ინფორმაცია სისტემის მდგომარეობის შესახებ. **ნეგენტროპია** არ არის უარყოფითი ენტროპია, ან ანტიენტროპია, როგორც ზოგიერთ მეცნიერს ზოგჯერ შეცდომით სჯერა.
4. მეოთხე, ენტროპია, ან ქცევის განუსაზღვრელობა, ნებისმიერი არასრულად მოწესრიგებული სისტემის მაკროსკოპულ კომპლექტებამდე.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, რას ეყრდნობა ჩვენი მსჯელობა, უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ უმარტივესი მაგალითი, რომელიც ყველა ჩვენთაგანს ეხება. ეს არის სამყაროს შექმნა ღმერთის მიერ. როგორც ბიბლია მოგვითხრობს, სამყარო იყო უფსკრულივით უწყლო, ცარიელი და ბნელი. ამ სამყაროში ყველაფერი ქაოსში, ანუ გაზრდილ ენტროპიაში იმყოფებოდა. თავისი მოღვაწეობის პირველ დღეს ღმერთმა, როგორც უკვე ვიცით, გაყო ნათელი და უკუნი: „და გახდა დღე, და გახდა ღამე, და იყო დილა და საღამო“. ქაოსის ზომამ კლება დაიწყო. მეორე დღეს მან უფსკრული ცად და მიწად დაყო. თანდათან ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა. მესამე დღეს ღმერთმა გაყო მიწა და წყალი. და ხმელეთს უწოდა მიწა და წყლების კრებულს ზღვები, ოკეანეები, ტბები და მდინარეები. და თქვა ღმერთმა, რომ ამოსულიყო მიწიდან ბალახი, ნაყოფიერი ხეები, რომლებშიც იყო მისი თესლი დედამიწაზე „და იქმნა ასე“. მეოთხე დღეს ღმერთმა გამოყო დღის სინათლე ღამისგან. და ცაზე მთვარე და მზე გამოჩნდა. მეხუთე დღეს გამოჩნდნენ თევზები და ჩიტები. მეექვსე დღეს ცხოველები, ქვეწარმავლები და ადამიანი. შვიდი დღის შემდეგ ენტროპია დავიდა ნულამდე. შემდეგ ენტროპია გადავიდა უდიდესი მდგომარეობიდან უმცირესზე.

ენტროპიის კიდევ ერთი აშკარა მაგალითია ინფორმაცია და ლოგიკური აზროვნება, რომელსაც

ადამიანი ისრუტავს. ადამიანის ლოგიკური განსჯა არ შეიძლება განხორციელდეს უარყოფითი ენტროპიის მიწოდების გარეშე. რაც უფრო ნაკლებად იცის ადამიანმა რაიმე საგანი, მით მეტია ქაოსი და დაბნეულობა მის თავში, მაგრამ რაც უფრო იზრდება და იზრდება ინფორმაცია, მით უფრო მეტად იწყებს ადამიანი გაგებას და გაცნობიერებას. და ეს მაგალითი ასევე ამცირებს ენტროპიას ნულოვან მდგომარეობამდე.

კიდევ ერთი კარგი მაგალითია ადამიანის კვება. ქვეყნის ყველა კუთხეში ადამიანები განსხვავდებიან ეროვნებით, საცხოვრებელი ადგილით და, რა თქმა უნდა, საკვებით. თუ გადავხედავთ ადამიანების ცხოვრების საშუალო დონეს მთებში და დიდი, განვითარებული ქვეყნების დაბინძურებულ ქუჩებში, სადაც ყოველთვის არის ხალხის ბრბო და ნაკლებად რჩება სასუნთქი ჟანგბადი, მაშინვე დავინახავთ მნიშვნელოვან განსხვავებებს. თუ მთაში ადამიანი სვამს სუფთა მთის წყალს, ქალაქის წყალი შეიცავს საკმარისი რაოდენობის ბაქტერიას, რომელსაც შეუძლია ადამიანის დაინფიცირება ან/და მოკვლა, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედება. გარდა ამისა, თუ გვერდიგვერდ დავაყენებთ მთიანი ადგილისა და ბარში განლაგებული დიდი მეგაპოლისის მაცხოვრებელს, ბუნებრივია ამ ადამიანების გარეგნობაში აშკარა განსხვავებებს ვიპოვით. მთიდან ჩამოსული ადამიანი გაცილებით ახალგაზრდად, მხნედ და ლამაზად გამოიყურება.

ეს მაგალითი ვირთხებზეც კი არის ჩატარებული ცნობილ მეცნიერების მიერ. ვირთხების ნაწილს წყაროს სუფთა წყალს ასმევდნენ, ნაწილს კი - ალკოჰოლს. ვინც ალკოჰოლს სვამდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნათ. ვინც სუფთა წყაროს წყალს სვამდა, ხალისიანები, მხიარულები იყვნენ და არასოდეს ეკარებოდნენ ალკოჰოლს.

ენტროპიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მაგალითი არის ფიზიკის სფეროდან. ყველამ იცის, რომ სითხეში ნაწილაკები ქაოტურად მოძრაობენ, ანუ ენტროპიის წერტილი ზღვარზეა. როდესაც თხევადი სხეული იწყებს გაყინვას, ენტროპია უფრო და უფრო მცირდება. ვინაიდან ნაწილაკები უფრო ნელა იწყებენ მოძრაობას და როდესაც სითხე იყინება, ენტროპია არის 0-ის ტოლი, რადგან ნაწილაკებს შორის წარმოიქმნება განუყოფელი ბმები.

ადამიანური საზოგადოება, როგორც სისტემა, განვითარებისას, ამცირებს მისი აშლილობის ხარისხს პოზიტიური აქტივობით, როცა ორგანიზების, რეგულირების და მართვის შედარებით მაღალ დონეს აღწევს. აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოების ევოლუცია არის ანტიენტროპიული, რადგან ის უფრო მეტ წესრიგს გვაძლევს. თუმცა, მაშინვე ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ სად მიდის შინაგანი არეულობა. ფაქტია, რომ განუკითხაობა, ცხოვრების გაუმჯობესებაზე მიმართული ადამიანების აქტივობების უარყოფითი მხარე არსად არ ქრება, არამედ განულების შემდეგაც კი უცნაურად შეიძლება დაბრუნდეს. მაგალითად, ბინაში გენერალურად დალაგების და ბინიდან, ანუ შიდა გარემოდან ენტროპიის (ნაგავი, ჭუჭყი, მტვერი, ჭუჭყიანი წყალი, ქიმიური გამწმენდი საშუალებები) გარე გარემოში გატანის შედეგად ტარაკნები მეზობლებთან გაიქცევიან. მაგრამ როცა მეზობლები ანალოგიურ ქმედებებს განახორციელებენ, პარაზიტებს უკან დაბრუნება შეუძლიათ. გარდა ამისა, ნარჩენებითა და ქიმიკატებით დაბინძურებული მდინარის წყალი შეიძლება დასალევად ან მასში დასაბანად იქნას ვინმეს მიერ გამოყენებული.

როდესაც მოცემულ სისტემაში ენტროპია მცირდება, ჭარბი აშლილობა გარე სამყაროსკენ „დაიძვრება“, რაც ზრდის გარე სამყაროს (გარემოს) ენტროპიას.

უნდა აღინიშნოს, რომ ენტროპია უდრის უწესრიგობის (ქაოსის), დეზორგანიზებულობის, გაურკვევლობის საზომს მხოლოდ მოვლენათა თანაბარი ალბათობის პოსტულატის შემთხვევაში. რაც შეეხება ზოგად შემთხვევას, როდესაც მოვლენები არ არის თანაბრად სავარაუდო, ენტროპია უდრის უწესრიგობისა და წესრიგის ზომების ჯამს.

წონასწორობის თანამედროვე მოდელი განიხილავს ბუნების ციკლს, სადაც ნაწილებისა და მთელის შეფარდება აღწერილია „ოქროს პროპორციის“ წესით, რომელსაც ზოგჯერ ბუნების ჰარმონიის კანონს უწოდებენ. „ოქროს პროპორციის“ ეს კანონი „მუშაობს“ ცხოველური და უსულო ბუნების, საზოგადოებისა და ეკონომიკის რიგი ზოგადი თვისებების აღწერისას. წესრიგისა და უწესრიგობის ზომების თანასწორობა განსაზღვრავს ბუნებისა და საზოგადოების ციკლის ბალანსს.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ სისტემების განვითარებასთან ერთად ენტროპია ზოგიერთ პარამეტრში იზრდება, ხოლო სხვა პარამეტრებში მცირდება. სისტემის ზოგიერთი პარამეტრის მიხედვით იზრდება წესრიგი, მოწესრიგება, ორგანიზებულობა, სხვა პარამეტრების მიხედვით კი - პირიქით, წესრიგი და ორგანიზებულობა უარესდება. მთელი სისტემის გადასვლა უწესრიგობიდან

წესრიგზე ყველა თვალსაზრისით არ ხდება.

ბუნებასა და საზოგადოებაში სრული წესრიგის სურვილი უაზრო და მიუღწეველია. ამიტომ საჭიროა მოვძებნოთ წესრიგისა და უწესრიგობის ოპტიმალური თანაფარდობა, ე. ი. ბალანსი მათ შორის. იგივე ეხება კონტროლირებადობას და უკონტროლობას. ეს ნიშნავს, რომ არავის არ უნდა ქონდეს პრეტენზია ყველასა და ყველაფრის მართვაზე. რესურსები რაციონალურად უნდა იქნას გადანაწილებული და მაშინ იგი საკმარისი იქნება ყველაფრისათვის.

ნებისმიერი სისტემის განვითარება იწყებს შეზღუდვას, როდესაც მისი შენარჩუნებისთვის ის ქმნის ზედმეტ არეულობას ირგვლივ, ანუ მისი არსებობა ხდება ძალიან ძვირი, დამღუპველი გარემოსთვის. შედეგად, მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ შედარებით სტაბილურ მდგომარეობას წინა ეტაპზე, ხდება კონტრპროდუქტიული და გადაიქცევა მათ საპირისპიროდ - ენტროპიის კატასტროფული ზრდის საშიშროებად. ასეთი სისტემა ან იღუპება ან გარდაიქმნება გარემოსთვის ნაკლებად დამღუპველ სისტემად.

მეცნიერება, განათლება, კულტურა არის ანტიენტროპიული ფაქტორები და ზრდის საზოგადოების ნეგენტროპიას.

ინფორმაციის მენეჯმენტი ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც მექანიზმი, როდესაც საკონტროლო მოქმედება არის იმპლიციტური (ფარული), არაპირდაპირი, ინფორმაციული ხასიათისა და საკონტროლო ობიექტს ეძლევა გარკვეული ინფორმაციაზე ფოკუსირებული სურათი. ამის შემდგომ იგი დამოუკიდებლად ირჩევს ქცევის ვექტორს.

როგორც მეცნიერება და პრაქტიკა აჩვენებს, გარემო ფაქტორების ზემოქმედებას დაკვირვებულ ორგანიზაციაზე უარყოფითი შედეგები აქვს შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში. ამ გავლენის შედეგია ცოცხალი სისტემის გადახრა შიდა გარემოს მახასიათებლების ყველა პარამეტრიდან, რომლის პირობებშიც მხოლოდ სიცოცხლეა შესაძლებელი. რომ იცხოვრო, უნდა გადარჩე.

„გადარჩენის“ ცნებას ცოდნის სხვადასხვა დარგში იგივე ან მსგავსი მნიშვნელობა აქვს. ცოცხალი ორგანიზმისთვის გადარჩენა ნიშნავს ცოცხლად დარჩენას ავადმყოფობის, უბედურების, ნებისმიერი სხვა კრიზისული ფენომენის შემდეგ. უ. ეშბი ორგანიზაციის ამ თვისებას მისი ფუნქციონირების ეფექტურობის მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევს. ორგანიზაცია ითვლება „კარგად“, თუ ის სისტემას სტაბილურს ხდის წონასწორობის მდგომარეობის მიმართ.

დასკვნა

ყველა სისტემა ბალანსისკენ ისწრაფვის. მაგრამ მათი უმეტესობა ამას ვერ აცნობიერებს. მაშასადამე, სისტემა, რომელიც გადადის ნებისმიერი მდგომარეობიდან წონასწორობის მდგომარეობაში, გადადის უფრო დიდი რაოდენობის მდგომარეობიდან უფრო მცირეზე. როგორც ჩანს, ის აკეთებს არჩევანს წმინდა ობიექტური გაგებით, ზოგიერთი მდგომარეობა მის მიერ უარყოფილია (ისინი, რომლებსაც ის ტოვებს), ზოგი კი შენარჩუნებულია (ისინი, რომელშიც ის გადადის).

წონასწორობაზე გადასვლა ტრივიალურია უბრალო ქანქარაში, რადგან წონასწორობის მდგომარეობა წარმოდგენილია სივრცეში ერთი წერტილით. მოქმედი ორგანიზაცია შეიძლება ცდილობდეს ბალანსის მიღწევას, მაგალითად, პერსონალის სტაბილურობაში, მარაგის დონის შენარჩუნებაში, ფინანსებში, წარმოების მოცულობაში და ა.შ. თუმცა, ცოცხალი სისტემები უფრო მეტად მოძრაობენ რაიმე აღმავალი ხაზის გასწვრივ, ე.ი. ასეთი განვითარება, როდესაც სისტემა პრაქტიკულად არ უბრუნდება წარსულის წონასწორობის მდგომარეობას.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც დასაშვებია წონასწორობის ცნების გამოყენება, თუ სისტემა სტაბილურად ვითარდება ცნობილი კანონის მიხედვით. ამრიგად, S ფორმის მრუდი არის ტიპიური ზრდის მრუდი, რომელიც ასახავს ბუნებაში მიმდინარე პროცესებს. ეს შეიძლება დავინახოთ ბიოლოგიის ან ეკონომიკის სფეროში, სადაც არსებობს ზრდისა და კლების ცნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Сенге, П. Пятая дисциплина. Искусство и практика самообучающейся организации / П. Сенге. 2019. – 408 с.
2. Саати, Т. Л. Принятие решений при зависимостях и обратных связях. Аналитические сети / Т. Л. Саати. 2018. - 360 с.
3. Арнольд, В.И. Теория катастроф / В.И. Арнольд. — М.: Наука. Гл.ред. физ.-мат. лит., 2020. — 128 с.
4. Tversky, A. Preference, belief, and similarity: Selected writings / A. Tversky — Massachusetts: Institute of Technology, 2004. — 1023 p.

The essence and classification of entropy

Otar Buskivadze, PhD student of GTU

Summary

The article provides a different interpretation of the definition of entropy, that is, what entropy means in physics and what it means in information theory. The main types of entropy are discussed in order to analyze examples of entropy based on these types. They are directly related to our past, present and future. Four forms of entropy are presented:

First, entropy as a measure of the uncertainty of the state of any fully ordered physical system, or the behavior of any system, including living and non-living objects and their functions; Second, thermodynamic entropy of microparticles or molecular (microscopic) set.

Third, information entropy, or information uncertainty, i.e. Information about some information systems.

Fourth, entropy, or the indeterminacy of behavior, of any imperfectly ordered system to the macroscopic set.

It should be noted that entropy is equal to the measure of disorder (chaos), disorganization, uncertainty only in the case of the postulate of equal probability of events. As for the general case where events are not equally likely, entropy is equal to the sum of measures of disorder and order. Science, education, culture are anti-entropic factors and increase the negentropy of society.

As science and practice show, the influence of environmental factors on the observed organization has negative consequences in the vast majority of cases. The result of this influence is the deviation of the living system from all the parameters of the characteristics of the internal environment under which only life is possible. To live, you must survive.

The concept of "survival" has the same or similar meaning in different fields of knowledge. For a living organism, survival means staying alive after illness, disaster, or any other crisis phenomenon. U. Ashby considers this feature of the organization to be the main criterion for the effectiveness of its functioning. An organization is considered "good" if it makes the system stable with respect to the state of equilibrium.

Key words: entropy, negentropy, anti-entropic factors, information, order, chaos.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

SCIENCES

ლენტური სახეხი ჩარხის წამყვანი და ამყოლი ბორბლების ღერძული წნევების განსაზღვრა

ვახტანგ აბაიშვილი, სტუ პროფესორი

რეზიუმე

სახეხი ჩარხი ასრულებს შემდეგ ოპერაციებს: დასამუშავებელი დეტალების ზედაპირების სისუფთავის კლასის მოცემულ სიდიდემდე დაყვანა. ზედაპირების გასწორება ბრტყელ მდგომარეობამდე ან მრუდწირული ზედაპირების სათანადო სიმქისემდე მიყვანა, მოცემულ სისქემდე დაკალიბრება ნამეტების მოხსნის გზით. მჭრელ იარაღად ხეხვის პროცესის დროს გამოიყენება აბრაზიული ზუმფარა, რომელსაც აქვს უსასრულო ლენტის, ცილინდრის ან დისკის სახე. სწორი ზედაპირების მისაღებად სახეხი ინსტრუმენტი უნდა იყოს ნაკლებად ხისტი. ხეხვის პროცესი ხასიათდება დამუშავების სიზუსტით, მწარმოებლურობით, ცვეთამედეგობით და ძალოვანი პარამეტრებით. დამუშავების ხარისხი განისაზღვრება ზედაპირის სიმქისით და დამუშავების სიზუსტით.

აბრაზიული ზუმფარის კუთრი მწარმოებლურობა არაა მუდმივი, იგი იცვლება მუშაობის დროს და მცირდება ინსტრუმენტის მუშაობის უნარიანობის სრულ დაკარგვამდე.

ლენტური სახეხი ჩარხის ინსტრუმენტია უსასრულო სახეხი ლენტი, რომელიც წამოცმულია ორ დისკზე. სახეხი ლენტზე განარჩევენ ბრტყელ და რკალურ ნაწილებს, რომელთაგან თითოეული მათგანი შეიძლება იყოს მუშა, როდესაც დასამუშავებელ დეტალსა და ინსტრუმენტს შორის სრული ან ნაწილობრივი კონტაქტია. ცილინდრული ზედაპირების დამუშავებისას კონტაქტი დასამუშავებელ დეტალსა და ინსტრუმენტს შორის გარკვეულ ფართზეა. ლენტური სახეხი ჩარხის წამყვან შტოზე დასამუშავებელი დეტალის ზემოქმედებისას იზრდება ბორბალზე შემოხვევის კუთხე.

ნაშრომში განხილულია მრუდწირული დეტალების დასამუშავებელი ლენტური სახეხი ჩარხი, სადაც დამუშავებული ზედაპირის სიგლუვე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახერხი ინსტრუმენტის რხევებზე და ძალოვან პარამეტრებზე.

საკვანძო სიტყვები: სახეხი ჩარხი, სახეხი ლენტა, დაჭიმულობა, დასამუშავებელი დეტალი, სიგლუვე, ღერძულ დატვირთვა, ღერძული წნევები, მრუდწირული დეტალები, წამყვანი შტო, ამყოლი შტო, ძაბვა, მომენტი, განტოლებათა სისტემა.

შესავალი

მრუდწირული დეტალების ხეხვის პროცესში სახეხი ჩარხის წამყვან და ამყოლ ბორბლებზე მოქმედებს ღერძული დატვირთვა (წნევა), რომელიც იწვევს დამატებით დინამიკურ დატვირთვებს. აქედან გამომდინარე ლენტური სახეხი ჩარხის წამყვან და ამყოლ ბორბლების ღერძული წნევების განსაზღვრა აქტუალური საკითხია. რადგან მათი მნიშვნელობები გამოიყენება ლენტური სახეხი ჩარხის სხვადასხვა დეტალების სიმტკიცეზე გაანგარიშებისას.

სიმტკიცეზე გაანგარიშების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა კი არის დატვირთვების მაქსიმალური მნიშვნლობების განსაზღვრა, რომლის დროსაც საკვლევი ობიექტის მთლიანობა არ ირღვევა.

ძირითადი ნაწილი

განვიხილოთ ლენტური სახეხი ჩარხი, რომელიც გამოიყენება მრუდწირული დეტალების დასამუშავებლად (ნახ. 1).



ნახ. 1. მრუდწირული დეტალების დასამუშავებელი ლენტური სახეხი ჩარხი

ლენტის ჩაღუნულ მუშა შტოზე შეიძლება გაიხეხოს ძელაკოვანი დეტალების ამოზნექილი ზედაპირები (1) ან ცილინდრული დეტალების გვერდითი ზედაპირები (2). უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა ბრუნვითი (3 ისრის მიხედვით) და ღერძული გადაადგილება (4 ისრის მიმართულებით).

ნახ. 2-ზე მოცემულია დასამუშავებელი დეტალზე სახეხი ლენტის მხრიდან მოქმედი წნევების გრაფიკი. დასამუშავებელი დეტალის ზემოქმედებით შენარჩუნდება სახეხი ლენტის სასარგებლო დაჭიმულობა და იზრდება ბორბლებზე შემოხვევის კუთხე.



ნახ. 2. დასამუშავებელ დეტალზე მოქმედი წნევების გრაფიკი

ნახ. 3-ზე მოცემულია მრუდწირული დეტალების დასამუშავებელი ლენტური სახეხი ჩარხის საანგარიშო სქემა, სადაც:

R_1 – არის წამყვანი ბორბლის რადიუსი;

R_2 – არის ამყოლი ბორბლის რადიუსი;

φ_2 – არის წამყვან ბორბალზე ლენტის შემოხვევის კუთხე;

φ_2 – არის ამყოლი ბორბალზე ლენტის შემოხვევის კუთხე;

Q_0 – არის დასამუშავებელი ცილინდრული დეტალის წონა;

R_3 – არის დასამუშავებელი ცილინდრული დეტალის რადიუსი;

δ – არის დასამუშავებელი დეტალის და ლენტის კონტაქტის კუთხე;

N – არის დასამუშავებელი დეტალის ნორმალური დაწნევა.



ნახ. 3. მრუდწირული დეტალების დასამუშავებელი ლენტური სახეხი ჩარხის საანგარიშო სქემა

წამყვან ლენტზე (4) დასამუშავებელი დეტალის (3) ზემოქმედების გამო შემოხვევის კუთხეები φ_1 (წამყვანი ბორბლის) და φ_2 (ამყოლი ბორბლის) იზრდება. დასამუშავებელი დეტალის (3) მოქმედებით ლენტის (4) დაჭიმულობა იზრდება. დასამუშავებელი დეტალის დაწნევის ტოლქმედი N და წონის ძალა Q ერთ წრფეზეა განლაგებული.

დასამუშავებელი დეტალის წონას θ და N რეაქციას შორის არსებობს შემდეგი დამოკიდებულება

$$Q = 2R_3 bN \sin\frac{\delta}{2}, \qquad (1)$$

სადაც b – სახეხი ლენტის სიგანეა;

δ – დასამუშავებელი დეტალის კონტაქტის კუთხე.

წამყვან შტოში ძალვა ტოლია

$$T = \sigma_1 F, \qquad (2)$$

სადაც σ_1 – არის წამყვანი შტო ძაბვა;

F – არის სახეხი ლენტის კვეთის ფართობი;

წამყვან შტოში ძაბვის სიდიდეა

$$\sigma_1 = \frac{Q}{F}\gamma e^{-\mu_0\varphi_1} + m\omega_1^2, \qquad (3)$$

სადაც ω_1 – არის ხახუნის კოეფიციენტი;

m – არის სახეხი ლენტის ერთეული მოცემულობის მასა;

ω_1 – არის წამყვანი შტოს მოძრაობის სიჩქარე

$$\gamma = \frac{1-e^{-\mu_0\varphi_1}}{A}, \qquad (4)$$

$$A = \frac{1}{2}\left(1+e^{-\mu_0(\varphi_1-\varphi_2)}\right) + \frac{R_1\varphi_1 + R_2\varphi_2 e^{-\mu_0(\varphi_1-\varphi_2)}}{\ell} - \qquad (5)$$
$$-\frac{\varphi_1 R_1 + \varphi_2 R_2}{2\ell}\left(1+e^{-\mu_0(\varphi_1-\varphi_2)}\right) + \frac{R_1+R_2}{\mu_0\ell}\left(1-e^{-\mu_0(\varphi_1-\varphi_2)}\right),$$

ℓ – არის სახეხი ლენტის სიგრძე.

ამყოლ შტოში ძაბვის სიდიდეა

$$\sigma_2 = \frac{Q}{F}\gamma e^{-\mu_0\varphi_0} + m\omega_1^2, \qquad (6)$$

მეორე მხრივ დასამუშავებელი ცილინდრული დეტალისათვის

$$Q = 2F\sin\frac{\delta}{2}(\sigma^2 - m\omega_1^2). \qquad (7)$$

გადასაცემი მომენტი ტოლია

$$M = R_1 Q\gamma\left(e^{\mu_0\varphi_1} - 1\right). \qquad (8)$$

განვსაზღვროთ ბორბლებზე მოქმედი ღერძული წნევათა გეგმილების მნიშვნელობები. პირველი ბორბლისათვის ვღებულობთ

$$Q_{x_1} = (\sigma_1\cos\varphi_0 + \sigma_2\cos\beta_1)F; \qquad (9)$$

$$Q_{y_1} = (\sigma_1\sin\varphi_0 + \sigma_2\sin\beta_1)F. \qquad (10)$$

მეორე ბორბლისათვის ვღებულობთ

$$Q_{x_2} = (\sigma_1\cos\varphi_0 + \sigma_2\cos\beta_2)F; \qquad (11)$$

$$Q_{y_2} = (\sigma_2\sin\beta_2 + \sigma_1\sin\varphi_0)F. \qquad (12)$$

(9)-(12) განტოლებები საშუალებას იძლევა განისაზღვროს ლენტური სახეხი ჩარხების ბორბლების ღერძული წნევათა მნიშვნელობები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მათი სიმტკიცეზე გაანგარიშებებისას.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია ლენტური სახეხი ჩარხების წამყვან და ამყოლ ბორბლების ღერძული წნევების განსაზღვრის საკითხი. მიღებულია გამოსახულებები, რომელთა საშუალებითაც განისაზღვრება ლენტური სახეხი ჩარხების ბორბლების ღერძული წნევათა მნიშვნელობები. მათი გათვალისწინება აუცილებელია ჩარხის ცალკეული დეტალების ან კვანძების სიმტკიცეზე გაანგარიშებისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Манжос Ф.М. Деревореж ущие станки. М., 1974.
2. Грубе А.Э. Деревореж ущие инструменты. М., 1971.
3. Светлицкий В.А., Стасенко И.В. Сборник задач по теории колебаний. М., 2001.
4. Светлицкий В.А. Передачи с гибкой связью. М., 1997.

Determination of axial pressures for the driven and driving pulleys of a belt Grinder

Vakhtang Abaishvili, Professor of GTU

Summary

Grinding machines in woodworking technology perform the following operations:

Smoothing surfaces with bringing them to a given roughness class; leveling surfaces with bringing them to a flat state; calibration for a given thickness with the removal of a specified allowance with the formation of dimensions. As cutting tools, an abrasive skin is used, fixed on holders (grinding tools) that have the form of an endless tape, cylinder or disk.

To obtain smooth surfaces, the grinding tool must be slightly rigid (pliable).

The grinding process is characterized by the quality of processing, productivity, wear resistance of tools, as well

as power indicators. The quality of processing is determined by the surface roughness and the accuracy of processing. The specific productivity of the abrasive skin is not constant. it changes during operation, dropping to a complete loss of its cutting ability.

Belt grinders have as their grinding tool an endless sanding belt, usually stretched over two pulleys. The grinding belt is distinguished by flat parts and arc, or pulley, each of which can be working, i.e. be in contact with the treated wood over the entire surface or part of it.

Grinding with a pulley (cylindrical) part or a roller contact of an abrasive belt can be performed when processing flat or curved surfaces.

Acting on the driven branch of the tape machine, the workpiece increases the wrap angle on the pulleys.

The corresponding expression is obtained, which relates the weight of the workpiece and the value of the distributed pressure. By projecting all the forces on the directions of the coordinate axes, expressions were obtained for determining the projections of axial pressure. The resulting expressions for determining axial pressures are used in the calculation of the strength of various parts of a belt grinder.

One of the important tasks for strength is to determine the maximum load that the object under study can withstand.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 15 ნაბეჭდ გვერდს, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: მარცხენა – 30 მმ, ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

აუცილებელია ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილ იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. უცხოურ ენაზე დაწერილი ნაშრომის ტექსტი იწყება რეზიუმეთი იმ ენაზე რა ენაზეც არის თვითონ ტექსტი.

ნაშრომის სტრუქტურა:

1. **სტატიის სათაური;**
2. **ავტორის/ავტორების სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.**
3. **რეზიუმე ქართულ ენაზე ან იმ ენაზე, რა ენაზეც არის სტატია (მინიმუმ 230 სიტყვა);**
4. **საკვანძო სიტყვები (მინიმუმ 4-5 სიტყვა);**
5. **შესავალი**
6. **ძირითადი ნაწილი**
7. **დასკვნა**
8. **ტექსტში ციტირების მითითება ხდება ჩიკაგოს სტილით. მაგალითად (იმნაძე, 2015:27).**
9. **გამოყენებული ლიტერატურა**
10. **რეზიუმე ინგლისურ ენაზე (მინიმუმ 300 სიტყვა)**

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ნახაზებისა და ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი აუცილებლად უნდა იყოს TIF ფორმატში;
- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს;
- გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი 6, სართული 8, ოთახი 805 ბ.
ტელ.: 599-557-993; E-mail: ganatleba2018@gmail.com.

ჟურნალი „განათლების“ ყველა ნომრის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:
https://gtu.ge/Journals/newsletters/

DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300